საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

№19 12-18 მაისი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge



გვ. 74

ერევა თუ არა მაკა ჩიჩუა საქართველოს პრეზიდენტის გარდერობის შერჩევაში და როდის იღებს ის გიორგი მარგველაშვილისგან კომპლიმენტებს

გვ. 18

რას უმალავდა ია ნინიძე თავის ქალიშვილს და რატომ არ მიუძღვის მას წვლილი შვილის წარმატებულ კარიერაში

GINO PARADISE
ჯინო ფერედაისი გვ. 15

გვ. 70

ვინ ახერხებს ნინო ძოწენიძის იდეალურად ტრანსფორმირებას და რატომ არ ესწრება პროექტის – „ერთი ერთში" – კონცერტებს მისი მეუღლე



გვ. 14

როგორ დააბრუნეს თათია შარანგია ყველაზე ძვირფას სამყაროში და რისი გადაწყვეტა დაუჯდა მას ძალიან ძვირად



ვინ დაიწუნა „ფორჩიალა" კაბის გამო ნუცა ბუზალაძე და რის გამო ეწყება მას სიგიჟე „ახალი ტალღის" კონკურსის წინ

გვ. 2



გვ. 19

როგორ იპოვა და დაკარგა ნამდვილი ბედნიერება დინი ვირსალაძემ



გვ. 12

რა ბედი ეწიათ ცნობილ ქართველ მამაკაცებს გრიგოლ ფერაძეზე მასალების მოძიებისას და რა განსაცდელი მოუვლინა უფალმა ამის გამო მაკა ბურდულს

# იღბლიან კვირას გისურვებთ!

**ახალგაზრდა მომღერალი ნუცა ბუზალაძე მაყურებელმა კონკურსებიდან გაიცნო და შეიყვარა. შარშან, მისმა გარდასახვამ ტინა ტერნერად და ალა პუგაჩოვად პროექტ „ერთი ერთში", ნამდვილი ფურორი მოახდინა. წელს კი ნუცა, საქართველოში რუსეთიდან ჩამოსულმა რევზინმა, მელაძემ და მუხინამ, იურმალაში „ახალი ტალღის" კონკურსისთვის შეარჩიეს და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. როგორც თავად ამბობს, ბავშვობიდან მღერის, სცენას შეჩვეულია და, მიუხედავად დიდი კონკურენციისა, კონკურსზე წარმატებებს ადვილად მიაღწევს. ჩვენ, რასაკვირველია, ნუცას წარმატებებს ვუსურვებთ და ვიმედოვნებთ, მისი წინამორბედი, ქართველი კონკურსანტების მსგავსად, ისიც გამარჯვებული დაგვიბრუნდება.**

# ვინ დაიწუნა „ფოჩოჩიალა" კაბის გამო ნუცა ბუზალაძე და რის გამო ეწყება სიგიჟე მას „ახალი ტალღის" კონკურსის წინ

**ნუცა ბუზალაძე:** ბავშვობიდან ვმღერი და სულ ვოცნებობდი, რომ გავიზრდები მომღერალი გამოვალ-მეთქი. ანუ, დღეს ის ვარ, ვინც მინდოდა ვყოფილიყავი *(იცინის).* წლინახევრის ვიყავი, როცა ავმღერდი და დღემდე ვმღერი. მახსოვს, ხან სავარცხელი მეჭირა ხელში მიკროფონის მაგივრად, ხან ფუნჯი, ხან რა და ხან რა *(იცინის).* ძალიან თამამი ბავშვი ვიყავი და სადაც მივყავდი დედას – ბაღში, მაღაზიაში თუ სტუმრად, ყველგან, მორიდების გარეშე ვცეკვავდი და ვმღეროდი. ძალიან თავისუფალი და უკომპლექსო ვიყავი და მგონი, დღემდე ასეთად დავრჩი. ვფიქრობ, ჩემი მუსიკალური ნიჭი, უფრო ღმერთის საჩუქარია, ვიდრე გენეტიკის ბრალი. სულ ვამბობ, ბევრი ოცნება ავისრულე, მაგრამ წინ კიდევ ბევრი დამრჩა ასახდენი-მეთქი.

**– ბავშვობიდან მღერი, მაყურებელმა კონკურსებიდან გაგიცნო და შეგიყვარა. ვფიქრობ, 17 წლის ასაკში, საკმაოდ ბევრს მიაღწიე და ახლა უკვე საერთაშორისო კონკურსის მონაწილეც გახდი. ეს იღბლის ბრალია თუ შენი შრომისმოყვარეობისა და აქტიურობის?**



**16 წლის უცბად, ერთ დღეში რომ 60 წლის გახდები, რთულია, თუმცა არა – შეუძლებელი**

– ხუთი წლის ვიყავი დედამ „მართვეში" რომ მიმიყვანა, რვა წლისა „მზიურის" მეშვიდე თაობა გახლდით, ათი წლისამ „ანა-ბანაში" მივიღე მონაწილეობა, მანამდე კი ფესტივალზე „ხმა საქართველოდან" ვმონაწილეობდი. მოკლედ, რაც კი ფესტივალი ტარდებოდა, ყველგან გამოვდიოდი. ფართო საზოგადოებამ კი, მაინც პროექტ „ნიჭიერიდან" გამიცნო. ეს ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო. თუმცა, ახლანდელი გადასახედიდან მიმაჩნია, რომ მაშინ არ ვიყავი მზად კონკურსისთვის, გამოუცდელი ვიყავი. ეს პირველი დადგომა იყო დიდ სცენაზე და ვფიქრობ, საკმაოდ იღბლიანი. შემდეგ, ქასთინგი გამოცხადდა ბერას სტუდიაში, ლელა წურწუმიამ მირჩია, შეიტანე შენი მონაცემებიო. ასეც მოვიქეცი და უამრავ განაცხადებას შორის, რამდენიმე აარჩიეს. ამერიკელი პედაგოგები გვასწავლიდნენ და ბერას სტუდიამ უზარმაზარი გამოცდილება, ცოდნა და ნამდვილი ამერიკული „ლეიბლი" მომცა. ამერიკული თავისუფლება მომანიჭა და ჩემი სტილი მაპოვნინა. ბერასთან მეგობრობაც ამ სტუდიიდან დაიწყო. დღეს ის ამერიკაშია და არ იცის, „ახალი ტალღის" კონკურსანტიც რომ გავხდი. წარმოიდგენია, რომ გაიგებს, როგორ გაუხარდება და იამაყებს ჩემით. მოკლედ, ყოველდღე დავდიოდი, არ მიზარმაცია, მთელი ჩემი ენერგია ჩავდე. აქედან მოვხვდი პროექტში „ერთი ერთში", სადაც ალა პუგაჩოვას და ტინა ტერნერის ტყავშიც „ჩავძვერი" და 16 წლის ბავშვმა ნამდვილი შოკი განვიცადე. ეს ჩემი ყველაზე წარმატებული ნომრები იყო. 16 წლის უცბად, ერთ დღეში, რომ 60 წლის გახდები, რთულია, თუმცა არა – შეუძლებელი.

**– როგორც ვიცი, გასულ წელსაც იყავი „ახალი ტალღის" შესარჩევ კონკურსზე, თუმცა, მაშინ ვერ გახვედი. წელს თავად გადაწყვიტე ქასთინგზე გასვლა, თუ ეს ვინმეს იდეა იყო?**

– დიახ, შარშანაც ვიყავი ქასთინგზე, „ბალეტკებით" და „ფოჩოჩიალა" კაბით. თქვეს, 16 წლის ბავშვი, იურმალის ტიპაჟი არ ხარო. წელს, კი შემეშინდა, გავიდე და ვაიდა, კიდევ უარი მითხრან-მეთქი, მაგრამ გამიმართლა. აღმოჩნდა, ერთ წელში ძალიან გავიზარდე და ჟიურის რუს წევრებს ძალიან მოვეწონე. ჩემსა და ნინი ცნობილაძეს შორის უნდა გაეკეთებინათ არჩევანი და რომ გამოაცხადეს, ნუცა წავაო, ორი დღე არ მძინებია *(იცინის).* ძალიან ემოციური ვარ და ამ ემოციებისგან დღესაც ვერ დავიცალე. რომ გავიფიქრებ, რომ შეიძლება, იურმალაში ჩავიდე, „ახალი ტალღის" კონკურსზე გავიდე და გავიმარჯვო, სიგიჟე მეწყება *(იცინის).* ასეთ პატარა ასაკში რომ იურმალაში მივდივარ, ესეც უკვე დიდი გამარჯვება და წარმატებაა ჩემთვის. ჯერ ის ვერ მომინელებია, იქ რომ მივდივარ და მერე, წარმატებასაც თუ მივაღწიე, ვფიქრობ, ვერ გადავრჩები *(იცინის).* ჩემთვის მთავარია, „ახალ ტალღაზე" ძალიან მაგრად გამოვიდე, ისე, რომ ქართველებმა თქვან, ნუცა, ყოჩაღო და ვინ რა ქულას დამიწერს, დიდად არ მადარდებს. იმაზე ვნერვიულობ და მეშინია, რომ ქართველი მომღერლები ყოველთვის წარმატებებს აღწევდნენ იურმალაში, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლის გამოსვლას ყველა დიდი გაფაციცებით ელის და ხომ წარმოგიდგენიათ, ეს როგორი შიშის საფუძველია ჩემთვის? ხანდახან ვფიქრობ, რომ გავიმარჯვო, ალბათ, გული წამივა სცენაზე და რაღა ვქნა, ვინ მომასულიერებს-მეთქი *(იცინის).* გამარჯვება, ჩემს ცხოვრებაში იქნება მესამე მსოფლიო ომი.

**– თუმცა, მთავარია, შიშმა არ გძლიოს, სათანადოდ მოემზადო, არ ინერვიულო და მაქსიმალურად აჩვენო შენი შესაძლებლობები, რაშიც ეჭვი არ გვეპარება... შენს ჩაცმულობაზე ვინ ზრუნავს?**

– მეც, ასე ვფიქრობ, რომ შიშს არ უნდა ავყვე და არ დავპანიკდე. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. სიმღერებში მე ვიმეცადინებ, ჩემს ჩაცმულობას და იმიჯს კი ლელა წურწუმია მიხედავს. ის ზრუნავს ამაზე. ძალიან ენერგიული ვარ – ენერგოვამპირი და მამულიჩა ამბობს: შენ მე მომინელებო *(იცინის).* ეს ორი ადამიანი ძალიან მიდგას გვერდში და მეხმარებიან. ვფიქრობ, მომღერალი დაკომპლექსებული და ჩაკეტილი არ უნდა იყოს. ეს ხელს შეგიშლის სცენაზე. რაც მეტად დახვეწილი ქცევა და მანერები გაქვს, სასიმღერო მონაცემთან ერთად, მით მეტად იქცევ ჟიურის ყურადღებას და მაყურებელსაც მოსწონხარ. დიეტასაც ვიცავ. მინდა, შვიდი კილო დავიკლო და მაგარ ფორმაში ჩავდგე. მინდა, თქვან, სიმღერასთან ერთად, მაგარ ფორმაში იყო, უნაკლო გოგოაო *(იცინის).* თუმცა, შიმშილს არ ვაპირებ. მკაცრი დიეტა მიუღებელია ჩემთვის. უბრალოდ, სწორად ვიკვებები და იმედია, მოვასწრებ ამ შვიდი კილოს მოკლებას კონკურსამდე.

**– ნუცა, შეყვარებული არ ხარ? პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– არა, შეყვარებული არ მყავს. ამ ეტაპზე ის ხელს შემიშლის. ამიტომ, მირჩევნია, ჯერ სასიმღერო კარიერას „მივაწვე". თან, ვფიქრობ, ჯერ ადრეა ჩემი „შეყვარებულობანა". ამ დროს, დავუთმობ კარიერას, სწავლას, მიზნის ასრულებას და მერე სიყვარულიც მოვა, აბა, სად წავა? *(იცინის)* თან, გადაწყვეტილი მაქვს, ამერიკაში წასვლა და იქ სწავლის გაგრძელება. ამ ეტაპზე, ამაზე არ ვფიქრობ, მხოლოდ, „ახალი ტალღის" კონკურსზე ვარ ორიენტირებული. ახლა ხდება სიმღერების შერჩევა, იმიჯზე ფიქრი და დიდი ორომტრიალი ჩემს თავში. ამიტომ, სხვა რამეებზე ვერ ვფიქრობ.

**– ესე იგი, „ახალი ტალღის" კონკურსისთვის აქტიური მზადება უკვე დაიწყო?**

– ასეა, და ძალიან მინდა, გასახელოთ და ვიყო ისეთი, რომ თქვათ: ნუცა ძალიან, ძალიან მაგარი გოგო ხარ, ჩვენ ვამაყობთ შენითო!

**ნონა დათეშიძე**




ნუ გამოტოვებთ მომენტალური განახლების შანსს!

საქართველოს ბანკის მომენტალური განახლება – განვადება ახალი შესაძლებლობებით!

ისარგებლეთ მომენტალური განახლებით 30 მაისამდე, შეიძინეთ უფრო მეტი ნივთი განვადებით და გადაიხადეთ, ყოველთვიურად გაცილებით ნაკლები. მომენტალური განახლების აქციის ფარგლებში, თქვენ საშუალება გაქვთ შეიძინოთ საყოფაცხოვრებო, ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკა, მობილური ტელეფონი, ავეჯი და სხვა საქონელი. დამატებითი ინფორმაციისთვის მომენტალური განახლების აქციის შესახებ, ეწვიეთ: www.ganvadeba.com

# სარჩევი

რატომ ვეძებთ მუდმივად უფრო ძლიერ დათვს, ვთანხმდებით საცდელ ბოცვრობას და გვირჩევნია ლუარსაბ თათქარიძისეული კმაყოფილება ........ 6

რა უნდა ვიცოდეთ ტექნიკის შეძენისას და რატომ ვკარგავთ, როგორც მომხმარებელი, ყველა უფლებას, საგარანტიო წერილზე ხელის მოწერისას ........ 8

ვისთან ერთად იყოფს 556 კვადრატული მეტრი ფართობის ავტოფარეხს ნიკა მელია და რა თანამდებობაზე მუშაობისას აღწევდა მისი სამოხელეო წლიური ხელფასი 100 000 ლარს ... 9

რატომ იტყუება ბანკების საიტებზე განთავსებული კალკულატორები სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ანაზრის პროცენტის დათვლისას და რატომ აძლევს სახელმწიფო ბანკებს მოქალაქეების ექსპლუატაციის უფლებას ........ 10

რა ბედი ეწიათ ცნობილ ქართველ მამაკაცებს გრიგოლ ფერაძეზე მასალების მოძიებისას და რა განსაცდელი მოუვლინა უფალმა ამის გამო მაკა ბურდულს ........ 12

რა ასაკი ითვლება მოზარდისთვის კრიტიკულად მავნე ჩვევების ჩამოყალიბების თვალსაზრისით და როგორ ურევს მოზარდს ცხოვრებას ვირტუალური სამყაროს ფუჭი განცდები ........ 16

ინტიმური საუბრები ........ 17

როგორ ღალატობს ზოგიერთი კაცი ცოლს მეგობრების წაქეზებით ........ 20

გათხრების შედეგად ბრიანსკის მხარეში ნაპოვნი ჯარისკაცის ნათესავებს საქართველოში ეძებენ ........ 21

რატომ მიაჩნია თეკლა კვაჭაძეს გველი ყველაზე ლამაზ არსებად და ვინ გამოუგზავნა მას იგუანა უკრაინიდან ........ 22

რატომ აღნიშნავენ ქართველები დღესასწაულებს წარმართული ტრადიციებით და რა მსხვერპლის შეწირვას ითხოვს ღმერთი ადამიანებისგან ..... 24

არასაფეხბურთო ქვეყნებში წასული ფეხბურთის ვარსკვლავები ........ 26

მილიარდერები, რომლებსაც კანონთან პრობლემები აქვთ ........ 27

ლენა ჰედი – „300 სპარტელისა” და „სამეფო კარის თამაშების” ვარსკვლავი ........ 27

როგორ გახსნა ვახტანგ რაზმაძემ ცნობილი „შამპანურის ბოთლებისა” და „თაგვების” საქმეები ........ 30

მოქმედებს თუ არა ბედზე უარყოფითად არასწორ დროს შეცვლილი იმიჯი და რაზე აგებს პასუხს ადამიანის თმის ვარცხნილობა ........ 32

რატომ გადაწყვიტა სტალინმა საქართველოში მცხოვრები ირანელების გასახლება ........ 35

როგორ გახდა ამერიკაში ერთ-ერთ პოპულარულ რეალითი შოუში 25 ათას კონკურსანტს შორის გამარჯვებული თეა ცუცქირიძე და რატომ დადიან მისი კერძების გასასინჯად ამერიკელი კონგრესმენები ........ 47

სოლოლაკის რომელი სახლის სარდაფში აღმოაჩინა „კაგებემ“ დახვრეტილი კულაკის ქონება ........ 48

როგორ დააყაჩაღა კრიმინალმა ტაქსის მძღოლმა მარტოხელა მხატვარი და როგორ შეაღწია მის სახლში ........ 49

ქურდული ცხოვრება ........ 64

## მსოფლიოში ცნობილი, უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი

*კოლხი ნათია ბავშვობიდან კურნავს ხალხს. მას შეუძლია, უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა, დამცავი მუდმივი თილისმის დამზადება. ის გამოირჩევა მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარით, შეუძლია, გაგაფრთხილოთ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რაც საკუთარ თავზეც არაერთხელ გამოვცადე.*



**ოთარ კაპანაძე** *(40 წლის, ათენი):* ჩემი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა კოლხი ნათიას დამსახურებაა, ჩავარდნილი ბიზნესიც მისი ლოცვით გადავარჩინე. საბერძნეთში მცხოვრები ბევრი ქართველი ჩემსავით ტელეფონით უკავშირდება მას საქართველოში. მინდა, უსაზღვრო მადლიერება გამოვხატო მის მიმართ.

**ქეთი კ-ძე** *(39 წლის. თბილისი):* მთელი ცხოვრება თანამდებობაზე ვმუშაობდი საჯარო სამსახურში, ახლა კი 3 წელია, უმუშევარი ვარ. არანაირი შემოსავლის წყარო არ მქონდა. ყველა უბედურებასთან ერთად, ჯანმრთელობის პრობლემებიც დამეწყო, უზომოდ მოვიმატე წონაში. დეპრესიისგან თავის მოკვლა მინდოდა. ლამის უფლის იმედიც დავკარგე. თუმცა, შევცდი... ჩემი მეგობრები „თბილისელების“ აქტიური მკითხველები არიან და სწორედ მათ მიამბეს ქალბატონი ნათიას შესახებ. მკითხავების არასოდეს მჯეროდა, თუმცა ნათია მკითხავი არ არის – მას მართლაც შეუძლია ადამიანის ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა. ამის ცოცხალი მაგალითი ვარ მე *(იცინის).* მივედი თუ არა ნათიასთან, მან ლოცვები წამიკითხა, დამცავი თილისმა გამიკეთა და ერთ კვირაში გავთხოვდი, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს. 8 მაისს გახდა ერთი თვე მას შემდეგ, რაც ნათიასთან მივედი. ულრმეს მადლობას ვუხდი კოლხ წინასწარმეტყველს. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, რომ კიდევ ბევრ ადამიანს დაეხმაროს.

**ანონიმურობა დაცულია**

**ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81**

**Skype bulvarzelioni**

# „სულ ზემოთ-ზემოთ, მაღლა და მაღლა“

## „უნიტაზიდან საბჭოთა მზვერავის ჭკვიანური თვალები იყურებოდა“

რაკი ისე მოხდა, რომ, **აშშ-ელი ანალიტიკოსების აზრით, რფ-ს შეიარაღებულმა ძალებმა უკრაინასთან მიმართებაში 2008 წელს საქართველოსთან ომში დაშვებული თითქმის ყველა სამხედრო ხარვეზი გამოასწორა**, როგორც ჩანს, **ჩრდილოელმა უფრო** შორს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **„ზემოთ-ზემოთ, მაღლა და მაღლა“ გადაწყვიტა წასვლა (როგორც ოკუპანტები იტყოდნენ: „**ს კატერტიუ დოროგა**“).**



სახელდობრ, შევიტყვეთ, რომ **რფ-ში სულ მალე შეიარაღებული ძალების ახალი სახეობა შეიქმნება**, არც მეტი, არც ნაკლები, **საჰაერო-კოსმოსური ძალები, რომლებიც გააერთიანებს სამხედრო-საჰაერო და საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ძალებს.**

ამჟამად, როგორც კრემლიდან იუწყებიან, **მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ამ ორი სტრუქტურის შერწყმის მიზნით**. რაკი **ამ ინფოს „იტარ-ტასი“ ავრცელებს,** თუმცა ინკოგნიტო მაღალჩინოსან წყაროზე დაყრდნობით, **ჩვენ დაჯერების გარდა არაფერი დაგვრჩენია.**

ჰოდა, **წყარო გვაცნობს, რომ** (მომყავს ციტატა): **„ჩანაფიქრი და მიდგომები შემუშავების პროცესშია,** მთელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებია დაგეგმილი, რომ ყველა შესაძლო ვარიანტი გავითვალისწინოთ“.

**დოკუმენტურად**, ეს გადაწყვეტილება **2015 წელს გაფორმდება**. შესაბამისად, **ჩვენთვის ამ ეტაპზე უცნობია, სახელდობრ როგორ დასცხებენ ისინი დედამიწას კოსმოსიდან „ზარბაზნებით, თოფებით და ტანკებით“,** თუმცა, სავარაუდოა, რომ კვლავ იძენს აქტუალობას მიმართება:

„– შტირლიცი,“ – გაიფიქრეს ბატებმა.
***– ბატები, – გაიფიქრა შტირლიცმა.“***

# მოქცეული?!

## „მუქთა იყოს, კუზო იყოს“

იყო დრო, როდესაც **ქართველ ლიბერტარიანელთა მამად წოდებული ბ-ნი ბენდუქიძე,** იმას გარდა, რომ ყველაფრის გაყიდვას გვაძალებდა, **შემდეგსაც უბნობდა:** „ივანიშვილი ამბობს, რომ ჯანდაცვა იქნება უფასო. **მთავრობა ამბობს, რომ იქნება საყოველთაო და ხელმისაწვდომი დაზღვევა.** ხომ არის განსხვავება? ერთ შემთხვევაში, მე, კახა ბენდუქიძე, საავადმყოფოში რომ მივალ, უფასოდ უნდა მიმკურნალონ; მეორე შემთხვევაში, მექნება ჩემი ფულის დამატებით შეძენილი ძალიან კარგი, როგორიც მომეწონება ისეთი, სადაზღვევო პაკეტი. როგორ, ამაში განსხვავება არ არის?“



მოკლედ რომ ვთქვათ, **იგი ამბობდა, რომ უფასო ჯანდაცვა უდიდესი ბოროტება იქნებოდა ბიუჯეტთან მიმართებაში** (კვლავ ციტატას მოვიშველიებ: **„ჩვენი ხარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე 1 მილიარდ 500 მილიონზე მეტი იქნება“**).

თუმცა **ეს მაშინ იყო, ახლა** კი „გურიანიუსმა“ გაარკვია, რომ **ზემოხსენებულ ბატონს ფრიად წარმატებით უსარგებლია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით.** კერძოდ, სახელმწიფომ 1 200-ლარიან ოპერაციაში მას 840 ლარი აუნაზღაურა.

**ჩვენ არ ვიცით, რა გახდა ბ-ნი ბენდუქიძის ამგვარი საკვირველი მოქცევის მიზეზი** (იმის გათვალისწინებით, რომ **840 ლარს ცალ ყურში ისხამს**) – ღირებულებათა სისტემა შეიცვალა თუ საქმე გაცილებით მარტივადაა: **მუქთა იყოს, კუზო იყოს**, არათუ **ბიუჯეტის ხარჯზე ჯანმრთელობის გაკაჟებაო**?!

# „ხმამაღლა დაწერილი“

## ანუ ისევ „ჯოს-ჯოს“

**სპორტის სასახლე რომ არ ყოფილიყო, მისი გამოგონება მოუწევდათ,** რადგან, აგერ უკვე მერამდენე წელია, **ჩვენებურ პოლიტიკოსთა თავშეყრის უსაყვარლესი ადგილია.** ჰოდა, **რაკი არის**, ბუნებრივია, **მის გარეშე ვერც „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ყრილობა ჩაივლიდა.** ვერც ჩაივლიდა და **არც ჩაუვლია.**

როგორც მოსალოდნელი იყო და **სავსებით ბუნებრივია, გამომსვლელებმა აქცენტი ხელისუფლების კრიტიკაზე გააკეთეს** და, რა თქმა უნდა, **ყრილობაც ძველებურად „ხმამაღლა იყო დაწერილი.“**



**არც „მიშა-მიშას“ სკანდირება აკლდა** და **არც ეგზომ მოყირჭებული „ჯოს-ჯოს“ შეძახილი**. ხოლო ბ-ნმა **უგულავამ დაგვარწმუნა, ის ძალა ვართ, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას წარსულზე და, მზად არის, აიღოს მომავალზეცო** (ეგ როგორო – არ მკითხოთ), **დავით ბაქრაძე კი დაგვპირდა, რომ მაღალ ფასებს შევებრძოლებიან** (იარაღის ტიპი არ დაუკონკრეტებია, **ვითომ, ისევ დანა-ჩანგლის იმედი აქვს?!**). უფრო მეტიც, **გაზის** უკვე 5 თეთრით შემცირებულ **ტარიფს კიდევ 8 თეთრს ჩამოვაკლებთო**, ხოლო **ბენზინის** აწ მხოლოდ 25 თეთრით გაიაფებულ ფასს, **საერთოდაც, 25-ო.**

. ბუნებრივია, **უმუშევრობის აღმოფხვრასაც გვპირდებიან და ეკონომიკის აყვავებასაც.**

ხოლო, რაკი 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან მხოლოდ წელიწადი და რვა თვეა გასული (რაც იმას ნიშნავს, რომ დავიწყების ფუნქცია მეხსიერებას ჯერ არ ჩაურთავს), რა ჯობია ზემოთქმულს, მაგრამ ეს მაინც ვერ უკარგავს აქტუალობას **რიტორიკულ კითხვას: აქამომდე რა უშლიდათ?!** შესაძლოა, ის, რომ **ბეთჰოვენს არ უსმენდნენ?!**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „უჩემოდ ვით იმღერითა“

## ანუ „აბა, მარში დააგუგუნეთ, პარადს მე ვუხელმძღვანელებ!“

**ჩვენებური სეპარატისტები და მათი თანამგრძნობი რუსეთის მოქალაქეები,** რატომღაც, **„ფაშისტებად“ მოგვიხსენიებენ** და **არც მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ 400 000 ქართველს იმჩნევენ** და **არც გენერალისიმუსის წარმომავლობას,** რომლის ანგარიშზეცაა ზოგადად ფაშიზმის დამარცხება. ჩვენ გაგებით ვეკიდებით მათ ნააზრევს (და მერე რა, რომ პრინციპით: **„გიჟი თავისუფალია“).**



ასეა თუ ისე, **ეს 9 მაისიც გადავაგორეთ,** უცნობი ჯარისკაცის **საფლავიც შევამკეთ გვირგვინებით** და **შემორჩენილ ვეტერანებსაც დავპირდით დახმარებას,** მაგრამ, აი, **26 მაისის ბედი კვლავ ბუნდოვანია.**

ბუნდოვანია, **ვინაიდან იქ, ზემოთ, ვერ ჩამოყალიბებულან, თუ ვინ უნდა ჩაიბაროს „პარადი“.** და თუმცა **ეს ჩვენი კონსტიტუცია მთავარსარდლად პრეზიდენტს აღიარებს**, უმრავლესობა აპირებს, რომ **აღლუმის მიღების ვინაობა სამთავრობო კომისიის მსჯელობის შედეგად დადგინდეს.**



თუ **გავიხსენებთ ბ-ნი ვოლსკის განმარტებას,** „ყველანი ვთანხმდებით, რომ დიდი პომპეზურობა საჭირო არაა. **ეს უფრო საერთო სახალხო ზეიმი იქნება,“** შესაძლოა, **აღლუმის ჩამბარებლის ვინაობა იმიტომაც გახდა საჭოჭმანო**: რაკი **სამოქალაქო პირები ჩამოივლიან რუსთაველის პროსპექტზე, მთავარსარდალს რა თავში ვიხლითო?!**



ბუნებრივია, პრინციპით, თაფლი (ამ შემთხვევაში, **დამოუკიდებლობის დღე) იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოვაო,** ჩამბარებელზე შეჯერდებიან (ზედაც, თუ პრეზიდენტის 51-პროცენტიან მაჩვენებელს გავიხსენებთ), თუმცა **გაცილებით „ექშენ“ მოვლენები ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე გველის** (აი, მაშინ იქნება, თუ იქნება გაწევ-გამოწევა, ხელის მომწერებმა დაიძახეთ – მეო!), მანამდე კი, **სიტუაციის განმუხტვის მიზნით, გთავაზობთ გამოსავალს: „აბა, მარში დააგუგუნეთ, პარადს მე ვუხელმძღვანელებ!“ –**

# ერთგულების სინდრომი

## გარღვევა პრეზერვატივების დეფიციტში

მართალია, ყოფილები **განგაშის ზარებს არისხებენ, ეკონომიკა გაჩერდა და ჩამოშლის პირასააო**, რასაც, **თუ თვით „ენ დი აის“ გამოკითხვებით ვიმსჯელებთ, დიდად არ იზიარებს ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობა**, მაგრამ, ცნობილი გახდა, რომ **წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, წელს პრეზერვატივების იმპორტი შემცირებულა** (ანუ გარღვევა გვაქვს დეფიციტში).



სახელდობრ, თუკი **2013 წლის ამავე პერიოდში ქვეყანაში 11,6 ტონა პრეზერვატივი შემოსულა, 2014 წლის პირველ კვარტალში მხოლოდ 6,4 ტონა,** ანუ თითქმის ორჯერ ნაკლები **პრეზერვატივი შემოუტანიათ.**

ჩვენ არ ვიცით, **იმოქმედა თუ არა ამ სტატისტიკაზე ჩვენი რჩეულების მიერ ბუსუსებიანი პრეზერვატივების გაყიდვის ადგილების შეზღუდვამ** (სხვათა შორის, არცის ვუწყით, რა წილი უჭირავს პრეზერვატივების საერთო იმპორტში ამ კონკრეტულ სახეობას), მაგრამ თავად **საქსტატი მომხდარს იმპორტიორთა სიიდან მალაიზიისა და სომხეთის ამოვარდნას უკავშირებს**. თუმცა, მეორე მხრივ, გაზრდილა კონტრაცეპტივების იმპორტის მაჩვენებელი, რაც გვაიმედებს, რომ, **განა საქართველოში სექსი არ არის, უბრალოდ, ის კონტრაცეფციასაა მიძალებული**.

მეორე მხრივ, სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ დაუცველი სქესობრივი კავშირი საქართველოში სხვადასხვა ინფექციური დაავადების გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი გზაა. ბოლო მონაცემებით, **საქართველოში შიდსით დაინფიცირებული 4 308 ადამიანიდან 40 პროცენტზე მეტი სწორედ დაუცველი სქესობრივი კავშირის შედეგად დაავადდა.**

ასეა თუ ისე, შესაძლოა, **პრეზერვატივების კონტრაცეფციით ჩანაცვლება იმასაც ნიშნავდეს, რომ ქართულ ურთიერთობებში ერთგულების მოტივებიც შემოვიდა?!**

**გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ**

# ფეკალიათა მოყვარულები

## ვისთვის რა სარგებლობა მოაქვს მატლიან მუჟუჟს

ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო, **საქართველოს პარლამენტმა**, ჯერ იყო და, **უარი თქვა ვადაგასული პროდუქციით ვაჭრობის გამო ობიექტის დაჯარიმების სანქციის შემოღებაზე** (ვადაგასული პროდუქტიც ჯანმრთელობისთვის სასარგებლოაო) და, რაც მთავარია, **2020 წლამდე გადაავადა მცირე საწარმოების სანიტარული შემოწმების აუცილებლობა** (მათ სინდისზე იყოს ჰიგიენური პირობების დაცვაო. ცნობისთვის, შეგახსენებთ, რომ **მხოლოდ ხელის დაუბანლობის გამო შეიძლება, მოხვდეს საკვებ პროდუქტში კოლიბაქტერია, რომელიც მხოლოდ ფეკალიებში ცხოვრობს**).



ამ თუ სხვა მიზეზით, გასულ კვირას, როგორც „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ იუწყება, **გურჯაანში სამ ახალგაზრდას მაღაზია „ორ ნაბიჯში“ პირის ჩასაგემრიელებლად მუჟუჟი შეუძენია** (ჩემი ლეგიტიმური ეჭვით, კუსტარულად, ინდმეწარმის მიერ დამზადებული, რომელთა შემოწმება პარლამენტარებმა მიზანშეუწონლად ჩათვალეს). **თუმცა, მოგვიანებით,** შუა ჭამა-სმის დროს, **იმ მუჟუჟში მატლიც აღმოუჩენიათ.**

**სავსებით ლეგიტიმურად აღშფოთებული ახალგაზრდები მაღაზიაში დაბრუნებულან** და **მუჟუჟის დამამზადებლის ვინაობის გარკვევა უცდიათ**, თუმცა **უფორმო პოლიციელებს,** არც მეტი, არც ნაკლები, **სწორედ ეს სამი ახალგაზრდა დაუკავებიათ.**

ჩვენ არ ვიცით, **რით იხელმძღვანელეს გურჯაანელმა პოლიციელებმა** (იქნებ საქმეში უკეთ გარკვევის შემდეგ სწორედ მატლის დაპატიმრების გადაწყვეტილება მიიღეს) და **როდის მერე ითვლება მატლი საქართველოს მოქალაქის რაციონში შემავალი საკვები პროდუქტების განუყოფელ ნაწილად**, თუმცა, **პარლამენტის ზემონახსენები გადაწყვეტილებისა და პოლიციელების ქვემონახსენები ქმედების გათვალისწინებით**, გამოვდივარ ინიციატივით: **ხალხის რჩეულთა და სამართალდამცველთა რაციონში ჩვენი ხარჯით ჩავამატოთ თითო-თითო მსუქან-მსუქანი მატლი! –**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია



# რატომ ვეძებთ მუდმივად უფრო ძლიერ დათვს, ვთანხმდებით საცდელ ბოცვრობას და გვირჩევნია ლუარსაბ თათქარიძისეული კმაყოფილება

**ცოტა ხნის წინათ ამერიკელმა სამხედრო ექსპერტებმა თავიანთი მოსაზრება გამოაქვეყნეს და ანალიზის შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს რუსეთის შეიარაღებული ძალები გაცილებით მომზადებულები შეხვდნენ, მათ გაითვალისწინეს ყველა ის ხარვეზი, რაც 2008 წელს საქართველოსთან ომში დაუშვეს და საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი ბრძოლისუნარიანობა და სამხედრო მონაცემები. მეორე მხრივ, დასავლეთმაც საქმეში ნახა რუსეთის აწ უკვე საქართველოსთან მიღებული გაკვეთილის შედეგად მოდერნიზებული შეიარაღებული ძალები და შესაბამის დასკვნებსაც გააკეთებს საკუთარი უსაფრთხოების კიდევ უფრო ეფექტიანად უზრუნველსაყოფად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ როგორც ჩვენ, ისე უკრაინამ ფასდაუდებელი წვლილი შევიტანეთ ორივე მხარის უსაფრთხოების საკითხში. რამდენად მომგებიანია ასეთი როლი და რა პერსპექტივას უქმნის ჩვენს ქვეყანას? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას რამაზ საყვარელიძესთან ერთად შევეცდებით.**

**– საცდელი ბოცვრები ვართ როგორც საქართველო, ისე უკრაინა როგორც რუსეთისთვის, ისე დასავლეთისთვის?**

– როგორც კი 2008 წლის ომი დამთავრდა, მაშინვე თქვა მედვედევმა, ჩვენ სუსტი მხარეები აღმოგვაჩნდაო, თუმცა ჩვენ არ შეგვიფასებია ჩვენი მოქმედება.

**– ალასანიას უწყებაში გამოუძიებიათ, ოღონდ, თქვენ არ გეტყვითო.**

– ღმერთმა ქნას, რომ იყოს შეფასება და ჩვენ ნუ გვეტყვიან, მაგრამ განსხვავება დიდია – ჩვენ ახლა შევაფასეთ, 6 წლის შემდეგ. რუსეთმა მაშინვე შეაფასა, ცვლილებები გაატარა და გამოიყენა ეს შეფასება. ჩვენ დავაგვიანეთ და არა მხოლოდ შეფასება, ბევრი რეაქცია. ჩვენ, ასევე, დასკვნები არც აფხაზეთის ომიდან გამოგვიტანია.

**– რას შეაფასებდა წინა ხელისუფლება, რომელიც ამტკიცებდა, რომ გავიმარჯვეთ?**

– ამ შემთხვევაში ისტორიისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ხელისუფლება უშვებს შეცდომას, ის შეცდომა ქვეყანას რჩება. მარტო წინა ხელისუფლებას ვერ ვაბრალებ. რამდენი ხანია, აფხაზეთში პრობლემა იყო, მაგრამ ქართველ საზოგადოებას ეს არ შეუფასებია.

**– მეტიც, ახლაც საკმაოდ ბევრია ჩვენ თანამემამულეებს შორის, რომლებიც ომის ვერსიაზე არიან. რამდენი ომის წაგებაა საჭირო, რათა გავიგოთ, რომ ომით არ გამოდის?**

– ომით არც გამოვა. ჩვენ იმასაც ვერ მივხვდით, რომ არ უნდა ვთქვათ ტერიტორიების დაბრუნება. ადამიანებია დასაბრუნებელი და ასეთი დამოკიდებულების პირობებში დასკვნებსაც არ ვაკეთებთ. სულ მართალი გვგონია ჩვენი თავი.



ვამბობთ, რომ ევროკავშირი გვინდა, რატომ? იმიტომ რომ დასავლეთი მსოფლიოს უფრო ღონიერი ნაწილია და ღონიერი რომ არის, იმითაა მომხიბვლელი

**– არგუმენტია, რუსეთს, აბა, როგორ მოვუგებდით.**

– კონკრეტულ დასკვნებს არ აკეთებ, რაც იმ საქმეში გამოგადგება, ანუ საქმეს არ აკეთებ. ამიტომ მე ვერავის გავაკრიტიკებ – ვერც დასავლეთს და ვერც რუსეთს, თუ ჩვენ საცდელი ბოცვრები ვართ.

**– ერთი თემაა, რომ გაანალიზება დაგვეხმარებოდა სუსტი წერტილების გამოსწორებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, მაშინ რატომ გავიღეთ ის მსხვერპლი? რა მივიღეთ შედეგად?**

– ისეთი განცდაც არ მაქვს, რომ თვითონ ჩვენ გვაქვს გაცნობიერებული, რატომ გვქონდა ესა თუ ის მსხვერპლი. მივყვებით პროცესებს. ასეთ დონეზეც კი არ გვაქვს გაანალიზებული, რომ ეს პროცესი ასეთ მსხვერპლად ღირს, სხვა – სხვანაირ მსხვერპლად. არადა, გამოცდილება, თუნდაც, მარცხიანი შედეგიანია, იმიტომ რომ გამოცდილებას გმატებს. აფხაზეთი რატომ გავიხსენე: აფხაზებთან პრობლემა ათეული წლების განმავლობაში იყო და უყურადღებოდ დავტოვეთ. საერთოდ, უყურადღებო ერი ვართ. საკუთარ საქმეზე არასდროს ვფიქრობთ. თუ პოლიტიკურ ორთაბრძოლებს შეხედავთ, ესეც ლოზუნგების ბრძოლაა და იშვიათად ნახავთ პროგრამას, რომელშიც საქმიანი დამოკიდებულებაა.

**– ყოველთვის ასეთი უსაქმურები, წესით, არ უნდა ვყოფილიყავით.**

– ალბათ, არა, თორემ ამდენი ჯიშის ვაზი არ გვექნებოდა, მეტალის, ოქროს წარმოება არ გვექნებოდა, „ვეფხისტყაოსანი" არ დაიწერებოდა და ვაჟა არ დაიბადებოდა, მაგრამ რამდენი წლის წინანდელ ამბებს ვყვებით?! თან, როგორც ფსიქოლოგი, არ ვარ იმის მომხრე, რომ ხასიათი ბეჭედივითაა დასმული და არ იცვლება. ასე რომ იყოს, ევროპაც ველური იყო და ვერ მივიღებდით ისეთს, როგორიც დღეს არის. ხასიათი ძალიან ადვილად იცვლება, თუ პირობები შეიქმნა, ოღონდ ერთ-ერთი მთავარი პირობაა, იყოს გაცნობიერებული, ანუ საზოგადოებამ გააცნობიეროს პრობლემა, დაუპირისპირდეს მას და აღმოფხვრას. თუ ყოველთვის ლუარსაბ თათქარიძესავით კმაყოფილები ვიქნებით, არანაირი პროგრესი არ იქნება.

**– გასაგებია, რომ რუსეთიც და დასავლეთიც სათავისოდ ანგარიშობენ და ორივეს თავისი ინტერესები აქვს, ჩვენ, რაც უნდა დროულად ვიანგარიშოთ ჩვენი სისუსტეები, შევძლებთ ამის რეალურად გამოყენებას?**

– ისიც უნდა გაიაზრო, რეალურად შეძლებ თუ არა გამოყენებას. დათვზე ღონიერი ადამიანი არასდროს ყოფილა, რადგან არ იყო, იმ ხერხებს ეძებდა, რომლითაც თავისზე ღონიერს აჯობებდა. ჩვენც დათვებში მოხვედრილი ქვეყანა ვართ და უნდა გავიაზროთ, რით ვაჯობებთ ამ დათვებს.

**– ჯერჯერობით ასე ჩანს, რომ უფრო ძლიერ დათვთან ვიქნებით და ის აჯობებს მეორეს.**

– ანუ ჩვენ მეორე დათვს ვეძებთ, რომელიც ხელს შეგვიწყობს, რომ გადავრჩეთ, მაგრამ ეს მანევრიც როდემდე გამოგვადგება?! ისიც გაუაზრებელია, გამოგვადგება თუ არა. ვამბობთ, რომ ევროკავშირი გვინდა, რატომ? იმიტომ რომ დასავლეთი მსოფლიოს უფრო ღონიერი ნაწილია.

**– მომხიბვლელიცაა თავისი სოციალური დაცვისა და უსაფრთხოების სისტემებით.**

– ღონიერი რომ არის, იმითაა მომხიბვლელი.

**– ძლიერის ძიების გამო ჩრდილო კავკასიელები სულ გვსაყვედურობენ, რომ ცნობილი გადამგდებები ვართ, ვინც უკეთესი გამოჩნდება, მასთან მიდიხართო. მე ამას იმით ვამართლებ, პროგრესის მოთხოვნილება გვაქვს-მეთქი.**

– ეს პრინციპი რომ შიგნით შემოიტანო, ანალოგიური სიტუაციაა: არჩევნებზე რომ მივდივართ, უმეტესწილად მას ვაძლევთ ხმას, ვინც უფრო ძლიერია და არა მას, ვისი პოზიციაც ჩვენს პოზიციას ემთხვევა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამომრჩევლის დაახლოებით ნახევარი მუდმივად „დემოკრატებს" აძლევს ხმას, იმდენივე – „რესპუბლიკელებს", ანუ ეს ამომრჩევლები იმით კი არ ხელმძღვანელობენ, ვინ გაიმარჯვებს, არამედ იმით, თუ ვის პოზიციას იზიარებენ. ჩვენ გვაქვს ასეთი დამოკიდებულება შიდა პროცესების მიმართ? იგივე დამოკიდებულებაა გარე პროცესებისადმიც.

**– რაღაც მიზეზი ხომ უნდა ჰქონდეს პარტნიორების მუდმივ ცვალებადობას?**

– ისტორიულად ასე ვიყავით. ჩვენი უბედური ბედ-იღბალი იყო ამის მიზეზი, ერთთან იმიტომ ვიყავით, რომ მეორის გავლენა შეგვერყია. სულ ვაბალანსებდით. აფხაზური მარცხი გახდა იმის საფუძველი, რომ ნავთობსადენის იდეა გაჩენილიყო, რომ ამ გზით მოგვეპოვებინა რაღაც მნიშვნელობა. სანამ ნავთობსადენის იდეა არ გაისმა, მანამდე ისე დაგვამხეს აფხაზეთი, ხმა არ ამოუღია არავის. მივესალმები ამ პრაგმატიზმს, მაგრამ ვისურვებდი, რომ ასეთი პრაგმატიზმი გაგრძელდეს და მხოლოდ 20 წლის წინათ აღმოჩენილი ნავთობსადენის იდეა არ იყოს. ხომ ვხედავთ, რომ ამ ნავთობსადენის ერთი ხაზი გადის მხოლოდ ჩვენზე, ამიტომ უფრო მეტი იდეა გვჭირდება. ვამბობთ, „ნატოსკენ" მივდივართო და სხვადასხვა ცხელ წერტილში ქართველი ბიჭების გაგზავნით გვინდა, გავხდეთ საჭირო. პოლიტიკური თვალსაზრისით პასიურობა, მეჩვენება, რომ უფრო ჩვენი ხასიათის თემაა, ვიდრე რომელიმე უწყების ან დროის კონკრეტული მონაკვეთის ბრალი. სულ მოგვდევდა ეს მთელი ამ ხნის განმავლობაში.

**– ჩვენამდე სერბები აღმოჩნდნენ არანაკლებ „მოხერხებულები" და კოსოვო დაკარგეს, ახლა უკრაინელებმაც იგივე შედეგი აჩვენეს. ეს იმ იმედს კი მაძლევს, რომ გამონაკლისი არ ვყოფილვართ, მაგრამ შეღავათი მაინც არ არის.**

– ამაში გამოუცდელობას, რა თქმა უნდა, ლომის წილი აქვს და ორივე ქვეყანა, რომლებიც თქვენ ახსენეთ, ასევე, გამოუცდელები იყვნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, პოსტსაბჭოთა სივრცეში დაახლოებით ჩვენნაირი გამოცდილების მქონე ქვეყნებმა, ბალტიისპირეთი მყავს მხედველობაში, მოახერხეს, რომ ამ დიდი ქვეყნების დაპირისპირებაში ბოცვრები არ ყოფილიყვნენ, თორემ ტრაგიკული შედეგი აზერბაიჯანსაც აქვს. ისინი ცდილობენ, რაღაც თავიანთი პოზიცია იქონიონ, ჩვენ კი ჩვენი პოზიციის ქონაც კი გვიჭირს. ხშირად მახსენდება ხოლმე ერთი შეხვედრა, რომელსაც ვესწრებოდი, როგორც ფსიქოლოგი. შეხვედრას წითელ ხაზად გასდევდა ასეთი დიალოგი: უცხოელები ითხოვდნენ, გვითხარით, რა გინდათ და ჩვენ გეტყვით, როგორ დაგეხმარებითო; ჩვენები ეუბნებოდნენ, თქვენ გვითხარით, რა უნდა გვინდოდესო. აი, ეს პრობლემა გვაქვს: ჩვენ ხშირად ისიც არ ვიცით, რა გვინდა. ამის მოფიქრებაზეც არ ვიწუხებთ თავს და ამას ვერ გაამართლებს ის არგუმენტი, რომ ეს არის მცირე ზომის და გამოუცდელი ქვეყანა. იმდენ ინტელექტუალურ ენერგიას არ ხარ-

(გაგრძელება მე-13 გვერდზე)

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ნანა ონიანი**, *48 წლის (დიასახლისი. ბაღდათი).*

**დიაგნოზი**: ***ნეკნთაშუა ნევრალგია, ოსტეოქონდროზი.*** 6-7 თვის განმავლობაში მტკიოდა ზურგი, ნეკნების გაყოლებით, მიშლიდა სუნთქვას, მოძრაობას, ძილს. უამრავ ექიმთან ვიმკურნალე. ოჯახმა არაფერი მომაკლო, მაგრამ, ტკივილს არც ერთი წამალი არ მიხსნიდა. მანანა ექიმთან ახლობელმა მომასწავლა. შედეგი პირველივე დღეს მივიღე – ორი კვირის უძილოს იმავე ღამეს ტკბილად ჩამეძინა, მეორე დღეს გაცილებით უკეთ ვიყავი, სამ-ოთხ დღეში კი ტკივილები მთლიანად მომეხსნა. ისეთი გახარებული ვარ, ჩემი ლოცვა სულ გეყოფათ!

**ელდარ ქიმუცაძე**, *59 წლის (მძღოლი. მცხეთა).*

**დიაგნოზი**: ***წელის მალების პოლიდისკოპათია, იშიალგია. გადატანილი 2 დისკექტომია.*** შვიდი წლის წინ სიმძიმე ავწიე და წელში ტკივილმა დამარტყა. გამომიკვლიეს, დისკის თიაქარი აღმომაჩნდა და სასწრაფოდ გამიკეთეს ოპერაცია. სამ წელიწადში ტკივილები ისევ განმიახლდა, თუმცა, მიზეზს ვერ მივხვდი. ისევ ახალი თიაქარი აღმომაჩნდა და კიდევ გამჭრეს. ოპერაციიდან ორ წელიწადში ისევ ამტკივდა, ფეხი მთლიანად მიშეშდებოდა და მიბუჟდებოდა. ტკივილი არ მასვენებდა არც დღე, არც ღამე. მესამეჯერ გამიკეთეს კომპიუტერი და დამიდგინდა იგივე – (L5) დისკის 8-მილიმეტრიანი თიაქარი. დღის წესრიგში ისევ ოპერაცია დადგა. თიაქრის ამოკვეთის გარდა, მალების ფიქსაციაც უნდა გაეკეთებინათ ლითონის ფირფიტებით. ოპერაციის დღეც დაითქვა... მეგობარმა ამ კლინიკაში თითქმის ძალით წამომიყვანა, არაფრის იმ-



ედი აღარ მქონდა, მაგრამ, მოხდა სასწაული: მეორე პროცედურის შემდეგ ქირურგს დავურეკე და ვუთხარი, რომ ოპერაცია გადავიფიქრე. პირველმა პროცედურამ დიდი შეღავათი მომცა, გამინახევრდა ტკივილი ფეხსა და წელში, სამ დღეში კი ფეხის ტკივილმა საერთოდ გამიარა. მკურნალობას განვაგრძობ. ჯერ მცირე დაბუჟებაღა დამრჩა და ესეც ნელ-ნელა გადის. სიტყვები არ მყოფნის მადლობის სათქმელად. ეს კლინიკა ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენაა.

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

**რეზო ავალიანი**, *50 წლის (მშენებელი. ოზურგეთი).*

**დიაგნოზი**: ***ჰემოროიდული დაავადება, მეოთხე ხარისხის, გართულებული თრომბოზით.*** ისეთი ტკივილებით მომიყვანეს, მორფს ვითხოვდი. ეს იყო გართულებული საოპერაციო შემთხვევა. ყველა კბილი რომ ერთდროულად გტკიოდეთ, დაახლოებით ისეთი ტკივილი მქონდა. წავილე მალამოები და დანიშნულება. თავი სიზმარში მეგონა, მეორე დღეს რომ გავიღვიძე და ტკივილს არ ვგრძნობდი. პირველივე კურსზე მომეხსნა ყველა ჩივილი, დაპატარავდა კვანძები. ასევე, მაწუხებდა შეკრულობა, ქრონიკული ქოლეცისტიტი, გასტრიტი; კუჭ-ნაწლავი საათივით მომიწესრიგდა. ძალიან კმაყოფილი ვარ. მადლობა მანანა ექიმსა და მის ვაჟს – სოსო ექიმს დახმარებისთვის.

**მარიამ თოლორდავა**, *58 წლის (თბილისი).*

**დიაგნოზი**: ***ანალური ნაპრალი (მწვავე).*** კლინიკაში შემოსვლისას მაწუხებდა ძლიერი ტკივილი, სისხლდენა, წვა, ქავილი. მქონდა დისბაქტერიოზი, დაბალი ჰემოგლობინი, ასევე, ქრონიკული ცისტიტი.

ორი-სამი დღე საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტკივილი მოხსნილიყო, კიდევ ერთ კვირაში კი ყველა დანარჩენი პრობლემაც მომიწესრიგდა. ერთი კურსი ჩავამთავრეთ და შეწყდა სისხლდენა, აღარ მაწუხებს მუცლის შებერილობა, ხშირი შარდვა და საერთოდ, ხალისი და ენერგია მომემატა. არ ვიცი, რა მადლობა დაიტევს ჩემს ემოციას. გაიხარეთ!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

# აზა დავითაშვილი - ადამიანი, ვისზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა

## ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

*ის ვინც ნათელმხილველ აზა დავითაშვილს ერთხელ მაინც შეხვედრია, დამეთანხმება, რომ მის ფენომენალურ უნარს საზღვარი არ აქვს. მის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა, ერთ-ერთმა ცნობილმა რეჟისორმა, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აზა დავითაშვილის ნათელხილვის უნარი, დოკუმენტური ფილმიც კი გადაიღო მასზე. მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენ კვლავ მოგაწვდით ინფორმაციას ამ ქალბატონის შესახებ, რომლის ფენომენალურ ნიჭზეც თბილისში საოცარ ისტორიებს ყვებიან. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც აზა დავითაშვილი ადამიანების დახმარებას ცდილობს და ვინ მოთვლის, ამ წლების განმავლობაში რამდენი გაქცეული ქმარი დაუბრუნა ცოლს, რამდენ იმედგადაწურულ ახალგაზრდას დაეხმარა ოჯახის შექმნაში, ბედის გახსნასა და ფინანსური კრიზისების მოგვარებაში. მადლიერი ბევრი ჰყავს, რადგან მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში მართლაც არ ჰყავს ბადალი. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ მას თქვენი პრობლემების მოგვარებას მიანდობთ. წლების განმავლობაში, ქალბატონი აზა აბანოთუბანში ცხოვრობდა, რის გამოც მას „აბანოთუბნელ აზას“ უწოდებდნენ. მოგვიანებით, მას ჰქონდა კერძო მიწვევები რუსეთში, ისრაელში, უკრაინაში, თუმცა თბილისისთვის მაინც „აბანოთუბნელ აზად“ დარჩა. ის ერთადერთი ნათელმხილველია, ვისაც თქვენი მომავლის განჭვრეტა და „დახატვა“ შეუძლია. თავად არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი – არც იმას ამბობს ხშირად, რომ ნათელხილვის უნარი ბებიისგან გადაეცა, რომელიც ყარსში ცნობილი ნათელმხილველი გახლდათ. სწორედ მისგან გადმოცემული უნარით ამზადებს უნიკალურ თილისმებს მათთვის, ვისაც პირადი, ინტიმური თუ ფინანსური პრობლემები აქვს. აზა დავითაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით შეძლებთ, უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება – გაიხსნათ ჩაკეტილი პირადი ცხოვრება, მოიზიდოთ ბარაქა, დაძლიოთ წარუმატებლობა და მიაღწიოთ ფინანსურ წარმატებებს.*

*აზა დავითაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა, ჩვენ რამდენიმე ადამიანს გავესაუბრეთ, რომელთაც საკუთარი შთაბეჭდილებებისა და ისტორიების გაზიარება თავად ისურვეს.*



**მერაბ ვ-შვილი** ***(62 წლის, გორი):*** ამ ქალბატონთან ჩემმა ცოლმა მომიყვანა. უჩემოდ იყო ჩამოსული და ასე უთქვამს, შენს ქმარზე საგვარეულო ჯადოა გადასული და ხელი იმიტომ არ გემართებათო. ერთი თვეა, აქ დავდივარ, ვიცავ ყველაფერს, რაც ქალბატონმა აზამ გვასწავლა. ჩვენი ცხოვრება სულ შეიცვალა – ჩემი გოგო, რომელიც 40 წელს არის გადაცილებული და აქამდე ვერ გათხოვდა, უცებ გაბედნიერდა. აშკარად ბედი ჰქონდა ჩაკეტილი, მაგრამ ცოტა ხნის წინ შემთხვევით ღირსეული, კარგი ქართველი კაცი გაიცნო, ქორწილი უკვე გადავიხადეთ. მოდი და ამის მერე აზას მადლიერი ნუ იქნები. ამას ვენაცვალე! აი, ამას ჰქვია ნათელმხილველი.

**ლალი კ-შვილი** ***(თბილისი, 37 წლის):*** ქალბატონი აზას შესახებ ერთ-ერთი გადაცემიდან შევიტყვე, შემდეგ თანამშრომელმა მიამბო, როგორ დაეხმარა მის მეზობელს დანგრეული ოჯახის აღდგენაში. ისიც მითხრა, ჩემს ნათესავს უცხოეთში უნდოდა წასვლა და ვერ ახერხებდა, სანამ აზასთან არ დაიწყო სეანსებზე სიარულიო. მეც მაშინვე აქეთ გამოვიქეცი. ჩვენს ოჯახს რთული პერიოდი ჰქონდა. ვალებში ჩავვარდით. აქ სულ სამი-ოთხი ვიზიტი დამჭირდა – ქალბატონმა აზამ შეგვილოცა ბარაქაზე, ჩაკეტილი წრის გარღვევაზე. იმ დღის მერე მდგომარეობა გამოკეთდა, ჩვენი ფინანსური პრობლემები მოვაგვარეთ. სახლი, რომელიც იპოთეკით გვქონდა დატვირთული, გაყიდვას გადავარჩინეთ. ჩვენი საქმეები წინ წავიდა. მას შემდეგ ქალბატონი აზა ჩვენი ოჯახის ყველაზე ახლობელი ადამიანია.

***P.S.*** *აზა დავითაშვილთან სტუმრად მყოფებმა მოვისმინეთ ისტორია, რომელიც ერთ-ერთ ცნობილ ქალბატონს უკავშირდება. მას მოულოდნელად დაეკარგა ხმა და მოტყდა ორივე ფეხი. აზა დავითაშვილმა ქალბატონის ახლობლების მეშვეობით შეიტყო ეს ამბავი. მის სახლში, პიანინოში აღმოაჩინა ჩიტის ფიტული, რომელსაც ყელსა და ფეხებზე წითელი ძაფი ჰქონდა გამობმული. სწორედ ეს გახდა მოულოდნელად თავს დატეხილი ამბის მიზეზი. ქალბატონი აზას მეშვეობით, ცნობილმა ხელოვანმა დაკარგული ხმის დაბრუნებაც შეძლო და ფეხზე გავლაც. სწორედ ეს არის აზა დავითაშვილის ფენომენალური უნარი!*

*გსურთ, დაადგინოთ რატომ არ გწყალობთ იღბალი? განიცდით თუ არა ბოროტი თვალის ან ჯადოს ზემოქმედებას? რატომ გაწუხებთ უბარაქობა? დაუკავშირდით აზა დავითაშვილს.*

*დარეკეთ ტელეფონებზე: 2 74-63-08, 593 56-10-39 მისამართი: მეტროს სადგური „სამასი არაგველი“, გუთნის ქ № 42.*

**თამარ ჩხენკელი**

**მართალია, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმებას გულისფანცქალით ველოდებით, თუმცა არავინ ჩქარობს ქართველი მომხმარებლის უფლებების ევროპელი მომხმარებლის უფლებებთან გათანაბრებას. მეტიც, მეწარმეები თუ იმპორტიორები ძალას არ იშურებენ მომხმარებლების გასაცურებლად (რაც შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობის პირობებში მეტად უიოლდებათ) და მათი უფლებების უხეშად დასარღვევად. მეტიც, მრავალფეროვანი ფასდაკლებების აქციები, რომლებიც მომხმარებელს ვითომ დაბალი ფასებით იზიდავს, არცთუ იშვიათად დიდი ბლეფია, რადგან სალაროსთან თქვენ იხდით იმდენს, რაც პროდუქტი ვითომ ფასდაკლებამდე ღირდა. რა უნდა ვიცოდეთ სავაჭრო ობიექტებთან ურთიერთობისას და როგორ უნდა დავიცვათ თავი უხარისხო საქონლისა და მომსახურების მიღებისგან. პრობლემაზე საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მომხმარებელთა დაცვის პროგრამის ხელმძღვანელი ლია თოდუა გვესაუბრება.**

# რა უნდა ვიცოდეთ ტექნიკის შეძენისას და რატომ ვკარგავთ, როგორც მომხმარებელი, ყველა უფლებას, საგარანტიო წერილზე ხელის მოწერისას

**– კონკურენციის სააგენტო ფორმალურად მაინც ამოქმედდა უკვე, მისი შექმნის ფაქტი და ის საკანონმდებლო ცვლილებები, რაც მონოპოლიების შეზღუდვას ითვალისწინებს, გააუმჯობესებს მომხმარებლის მდგომარეობას?**

– კონკურენციის კანონი მანამდეც არსებობდა, მაგრამ მთავარი, რა თქმა უნდა, არის ის, რომ, რაც ნაკლები იქნება კარტელური შეთანხმება და მეტი იქნება კონკურენცია, მით ნაკლები იქნება ფალსიფიკაცია და მაღალი იქნება პროდუქციის და მომსახურების ხარისხი. სამწუხაროდ, დღეს საქართველოს ბაზარზე ისეთი სიტუაციაა, რომ მეწარმეები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ მეტად მოატყუებს მომხმარებელს და, ფაქტობრივად, კარტელური შეთანხმებაც კი არ სჭირდებათ. ერთმანეთის წაბაძვით მოტყუების ერთსა და იმავე მეთოდებს იყენებენ. მაგალითად, თუნდაც, ის, რომ თანდათანობით ელექტროსაქონლის ყველა გამყიდველი მომხმარებელს ხელს აწერინებს ეგრეთ წოდებულ გარანტიებზე, რომლებიც სინამდვილეში უფრო შემზღუდავია, ვიდრე რამის მიმცემი მომხმარებლისთვის; როდესაც პროდუქციას ერთი ფასი აწერია და, რეალურად, სხვა ფასი ღირს და ასე შემდეგ. კონკურენციის სააგენტოს ამოქმედება ამ პრობლემებს ვერანაირად ვერ შეეხება. უბრალოდ ჰბაძავენ ერთმანეთს და ერთნაირად გვატყუებენ.

**– კონკურენციის ამოქმედების შედეგი ფასებს არ დაარეგულირებს?**

– იმედი გვაქვს, რომ კონკურენცია აიძულებს მეწარმეებს, დასწიონ ფასები.

**– ამბობთ, რომ მეწარმეები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ მეტად მოატყუებს მომხმარებელს. კანონში არის მომხმარებლის უფლებების დამცველი რამე ჩანაწერი?**

– არაფერი არ არსებობს. 2012 წელს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი გააუქმეს. მომზადებულია ახალი, მაგრამ პარლამენტმა არ დააყენა საშველი, რომ მისი ინიცირება მოხდეს, რადგან თავგამოდებით იბრძვის ეკონომიკის სამინისტრო, რომ მეწარმეებს ჰქონდეთ მომხმარებლის მოტყუების უფლება, თორემ მეწარმეები დაიქცევიან. ქართველი მეწარმეები, თურმე, მხოლოდ მოტყუების ხარჯზე არსებობენ.



დიდი პრობლემაა ფასში მოტყუება: პროდუქტს დახლზე ერთი ფასი აწერია, მაგრამ მეორეს გახდევინებენ და ადამიანი არ აქცევს ყურადღებას, რომ ჩეკში სხვა ფასს ურტყამენ

**– როგორ, 2012 წლის შემდეგ ასე კანონგარეშე ვართ მომხმარებლები?**

– სამოქალაქო კოდექსი გვანიჭებს რაღაც მარტივ უფლებებს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსი იძლევა საშუალებას, რომ კერძო ხელშეკრულებებმა გადაფაროს მისი მოთხოვნები და სწორედ ამიტომ გვაწერინებენ ხელს რაღაც გაუგებარ ვითომ გარანტიებზე, რათა, ფაქტობრივად, დავკარგოთ ის უფლებები, რაც სამოქალაქო კოდექსით გვაქვს მონიჭებული და მას შემდეგ, რაც იმ გარანტიას ვაწერთ ხელს, არანაირი უფლება აღარ გვრჩება.

**– ანუ გარანტიაზე ხელის არმოწერა არის უფლების შენარჩუნების ერთადერთი საშუალება?**

– დიახ. ზოგადად, მაინც შეიძლება ვიკამათოთ იმაზე, ღირს თუ არა გარანტიაზე ხელის მოწერა. პირადად მე ვურჩევდი მომხმარებელს, ტექნიკა არ შეიძინონ ისეთ მაღაზიებში, რომლებიც გვთავაზობენ რაღაც საეჭვო გარანტიებს, რაც ფაქტობრივად, არაინაირ უფლებას არ იძლევა, პროდუქციის შეფუთვიდან ამოღებულია საქარხნო ინსტრუქცია, პროდუქციას არ მოჰყვება მეწარმის გარანტია და დიდი ალბათობაა, რომ ეს მეორადი ან ფალსიფიცირებული პროდუქცია იყოს. ამდენად, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, არ შევიძინოთ ასეთი პროდუქცია.

**– უფრო ბრენდულ მაღაზიებს ვენდოთ?**

– ასე გამოდის, მაგრამ, მაგალითად, „აიფონ პლუსი" ვითომ ბრენდული მაღაზიაა, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ არ არის ბრენდული მაღაზია.

**– რა უნდა მოჰყვებოდეს პროდუქციას, როდესაც ის ფალსიფიცირებული ან მეორადი არ არის?**

– აუცილებლად უნდა მოჰყვებოდეს საქარხნო აღწერილობა, ქარხნული ინსტრუქცია და მეწარმის გარანტია.

**– ოღონდ არ არის აუცილებელი, რომ ეს იყოს ქართულ ენაზე?**

– არა, შეიძლება, დამატებითი აღწერილობა მოჰყვებოდეს ქართულ ენაზე, მაგრამ, თუ ზემოჩამოთვლილი დოკუმენტები მოჰყვება ტექნიკას, არის შანსი, რომ ეს ნამდვილი და პირველადი პროდუქტია.

**– თუ გქონიათ შემთხვევა, როდესაც გარანტიის პირობები შეუსრულებია ტექნიკის გამყიდველ რომელიმე მაღაზიას?**

– გვქონია. სხვადასხვა პრაქტიკაა: ყოფილა შემთხვევები, როდესაც მივსულვართ, დავლაპარაკებივართ და შეუსრულებიათ გარანტიის პირობები. ყოფილა შემთხვევა, როდესაც დიდხანს გაგრძელებულა საკითხის გარჩევა; როდესაც მეწარმე ცდილობს, გაწელოს დრო, რომ საგარანტიო ვადა გაიყვანოს. არის შემთხვევები, როდესაც მომხმარებელს აბრალებენ, თქვენ გააფუჭეთო. ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მაგრად დგას მომხმარებელი. უნდა ვურჩიოთ მომხმარებელს, მაქსიმალურად შეეცადოს, გამოხატოს ყველა თავისი პრეტენზია: ჩაინიშნოს, როდის მიაკითხა მეწარმეს, რა პრეტენზია ჰქონდა, ხელი მოაწერინოს რამე დოკუმენტზე და შემდეგ ეს ყველაფერი გამოდგება სასამართლოში. როდესაც ასე მყარად დგას მომხმარებელი, მეწარმეც უფრო უთმობს ხოლმე. არის შემთხვევები, როდესაც მეწარმეს უგებს მომხმარებელი სასამართლოშიც.

**– ალბათ, ყოველთვის არ მიდის მომხმარებელი სასამართლოში, პროდუქტის ფასსაც გააჩნია?**

– რა თქმა უნდა. სასამართლოსთვის მიმართვა ფასიანია, თუ მომხმარებელი იგებს პროცესს, ხარჯებს ისტუმრებს მეწარმე, მაგრამ წაგების შემთხვევაში – მომხმარებელი, ამიტომ რისკი არის. ჩვენ ორი საქმე გვქონდა სასამართლოში და ორივეჯერ მომხმარებელმა მოიგო. თუმცა ზოგადად მომხმარებელს უჭირს სასამართლოში წასვლა.

**– პროდუქციის ფასი იმიტომ აღვნიშნე, რომ, თუკი მეწარმეს ეცოდინება, რომ 5-ლარიანი პროდუქტის შემთხვევაშიც წავა მომხმარებელი სასამართლოში, ძალიან გაფრთხილდება.**

– რა თქმა უნდა, ამიტომაც გვინდა და ამაზე გვეჭიდავება მთავრობა, რომ არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანო ასეთი დავების გადასაწყვეტად და არ იყოს სავალდებულო სასამართლოში წასვლა, იმიტომ რომ ეს არის რთული და რისკიანი პროცედურა. უნდა არსებობდეს უფრო იოლი პროცედურა, როდესაც რისკის გარეშე მიმართავ ადმინისტრაციულ ორგანოს, ის გამოიძიებს და იმ შემთხვევაში, თუ არ მოიგებ, არ წააგებ მაინც.

**– როდემდე შეიძლება, გაწელოს ხელისუფლებამ მომხმარებელთა კანონის არმიღება?**

– ასოცირების ხელშეკრულებაში მომხმარებელთა უფლებების კანონმდებლობა გათვალისწინებულია, მაგრამ დიდი ვადებია, სრული პაკეტის შესამუშავებლად გამოყოფილია 7 წლამდე პერიოდი. ანუ ყველაზე დიდი ვადაა 7 წელი, თუმცა იმედი გვაქვს, რომ უფრო ადრე მოხდება ეს ყველაფერი.

**– თუ მომხმარებელი მტყუანი იქნება, ხომ ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მას არ გაამართლებს და მეწარმეს არ დააკისრებს არანაირ სანქციას. ჩვენ ხომ სამართლიანობაზე ვლაპარაკობთ და არა მეწარმეების დაჩაგვრაზე. რით ხსნით, რომ უარზეა მთავრობა, შექმნას ასეთი ტიპის ადმინისტრაციული ორგანო?**

– ეს ჩემთვისაც აუხსნელია. უბრალოდ ეკონომიკის სამინისტროში იგივე ხალხია, რომლებსაც ძველი მთავრობის დროსაც მიჰყავდათ ეკონომიკური პოლიტიკა. ეს არის ლიბერტარიანელები, რომლებზეც რაციონალური მსჯელობა არ მოქმედებს.

**– ტექნიკაზე ვისაუბრეთ, როგორი მდგომარეობაა სხვა პროდუქციასთან მიმართებაში?**

– სურსათის შემთხვევაში ვიღაცას მაინც შეიძლება, მიმართოს ადამიანმა. მართალია, სურსათის სააგენტო პირად ზარალს არ აუნაზღაურებს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დარღვევა მაინც აღმოიფხვრება, შეიძლება, პირადი ზარალის ასანაზღაურებლად, სასამართლოში წავიდე, მაგრამ სხვებიც რომ არ მოტყუვდნენ ჩემნაირად და არ დაზარალდნენ, იმის საშუალება მაინც მომეცი, რომ სიტუაცია გამოსწორდეს. ასეთი საშუალებები ზოგიერთ სფეროში არის: მაგალითად, სურსათში; ასევე, საჩივრების შეტანა შესაძლებელია კომუნიკაციების კომისიაში. ყველაფერზე არა, მაგრამ რაღაცეების მიღება შესაძლებელია, თუმცა ვერავის მიმართავ ქიმი-

# ვისთან ერთად იყოფს 556 კვადრატული მეტრი ფართობის ავტოფარეხს ნიკა მელია და რა თანამდებობაზე მუშაობისას აღწევდა მისი სამოხელეო წლიური ხელფასი 100 000 ლარს

თბილისის მერობის კანდიდატი „ნაციონალური მოძრაობიდან" ნიკა მელია 1979 წლის 21 დეკემბერსაა დაბადებული თბილისში. მისი სრული ოფიციალური ბიოგრაფია არ იძებნება, თუმცა, სხვადასხვა წყაროს შეჯერებით, ვიგებთ, რომ ნიკა მელიამ დაამთავრა სახელმწიფო ეროვნული უშიშროების აკადემია (სამართალმცოდნეობის მაგისტრია), რის შემდეგაც 8 თვის განმავლობაში უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში მუშაობდა. თუმცა 2002 წელს ინგლისში გაემგზავრა და 4 წლის განმავლობაში ოქსფორდში ეუფლებოდა საერთაშორისო ურთიერთობების ხელოვნებას. როგორც თავად ამბობს, ფლობს რუსულ, ინგლისურ, ესპანურ და ფრანგულ ენებს. უცნობია, ზუსტად როდის იწყება მისი სამოხელეო კარიერა, თუმცა საჯარო სამსახურის ბიუროს ბაზაში მის მიერ შევსებული პირველი საფინანსო და ქონებრიივ დეკლარაცია 2010 წლით თარიღდება, რომელიც ნიკა მელიამ შეავსო, როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა. მანამდე კი, 2009 წლის განმავლობაში იუსტიციის სამინისტროში მუშაობდა აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსად.

2010 წელს შევსებულ დეკლარაციაში ნიკა მელია არავის მიუთითებს ოჯახის წევრად, რაც იმას ნიშნავს, რომ მარტო ცხოვრობდა. მის საკუთრებად ირიცხებოდა საცხოვრებელი ბინა თბილისში, ბელინსკის ქუჩაზე (140 კვ. მ. ფართობის) და 15-პროცენტიანი წილი იმავე მისამართზე მდებარე 556 კვ. მ. ფართობის ავტოფარეხის (ავტოფარეხის დანარჩენი წილი ეკუთვნოდათ: ნანა სამუშიას, ნინო მეტრეველსა და ლია ხიმშიაშვილს). ასევე, ჰყავდა ავტომანქანა – 2006 წლის „მერსედესი".

იმხანად მიმდინარე და საკრედიტო ანგარიშები ჰქონდა როგორც საქართველოს, ისე ბრიტანულ ბანკში. „საქართველოს ბანკის" საკრედიტო ანგარიშზე 1 700 ლარი ერიცხებოდა, „ლოიდს ბანკისაზე" – 850 ფუნტი, იმავე ბანკის მიმდინარე ანგარიშზე კი – 4 000 ფუნტი. რაც შეეხება შემოსავლებს: 2009 წლის განმავლობაში ნიკა მელიამ, როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსმა, 42 711 ლარი აიღო.



2011 წელს ის კვლავ იუსტიციის სამინისტროში დაბრუნებულა და ამიტომ 2011 წლის დეკლარაცია შეავსო, როგორც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ.

კვლავ მარტო ცხოვრობს და არც მისი უძრავ-მოძრავი ქონება გაზრდილა. თუმცა „ლოიდს ბანკში" აღარ ერიცხება არანაირი თანხა არც საკრედიტო და არც მიმდინარე ანგარიშზე. რაც შეეხება შემოსავლებს: 2010 წლის განმავლობაში ნიკა მელიამ, როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსმა, 22 431 ლარი აიღო, როგორც არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, 5 395 ლარი, როგორც იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარემ – 13 871 ლარი.

ნიკა მელიამ 2012 წელსაც იმავე – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ამპლუაში შეავსო დეკლარაცია. ისევ მარტო ცხოვრობს, თუმცა კიდევ ერთი საცხოვრებელი ბინა შეუძენია – თბილისში, ჭონქაძის ქუჩაზე (105 კვ. მ. ფართობის), მაგრამ ავტომანქანა იგივე ჰყავდა. დეკლარაციის შევსების დროს კი, ნაღდი ფულად 6 000 ლარი ჰქონდა. რაც შეეხება შემოსავლებს: 2011 წლის განმავლობაში, როგორც აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს, 97 700 ლარი აუღია. ამას გარდა, 2011 წელს ნიკა მელიამ ათწლიანი იპოთეკური სესხიც აიღო (80 000 აშშ დოლარის ოდენობით), რომლის მომსახურებაც იმ წელს 3 306 აშშ დოლარი დაუჯდა; 2012 წელს კი იპოთეკური სარემონტო სესხიც დაუმატა – 20 000 აშშ დოლარის ოდენობით.

2013 წელს დეკლარაცია შეავსო, როგორც ძველი თბილისის გამგებელმა. მის უძრავ-მოძრავ ქონებაში არანაირი ცვლილება არ არის, არც შემოსავლებში – 2012 წლის განმავლობაში, როგორც აღსრულების ეროვნული ბუროს უფროსმა – 98 680 ლარი აიღო. თუმცა 12 000 აშშ დოლარი იპოთეკური სესხის მომსახურებაში დახარჯა, 4 716 აშშ კი – იპოთეკური სარემონტო სესხის მომსახურებაში.

2014 წელს ნიკა მელია დეკლარაციას ავსებს, როგორც მთაწმინდის რაიონის გამგებელი. მის საგამგებლო შემოსავლსაც დაუკლია, მას, როგორც მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, 77 680 ლარი აუღია. თუმცა იპოთეკური და სარემონტო სესხების მომსახურებაში კვლავაც 16 716 აშშ დოლარი დაუხარჯავს.

**ნინო ხაჩიძე**

ური საფრთხის შემცველი პროდუქციის, როგორიცაა ლაქ-საღებავები, სარემონტო საშუალებები, სათამაშოები, ჭურჭელი, გამოსაკვლევად.

**– რომ გავიგოთ, მავნებელია თუ არა?**

– რომც ვიცოდე, რომ მავნებელია, ვერაფერს გავაკეთებ, რადგან არ არსებობს ორგანო, რომელიც ამ ბაზარს მიხედავს. ფაქტობრივად, ესეც გათვალისწინებულია ასოცირების შეთანხმებაში და ნელ-ნელა ესეც უნდა მოგვარდეს. იმედია, ივნისში მოვაწერთ ხელს ასოცირების ხელშეკრულებას და ნელ-ნელა დაიწყება ამ საკითხების მოგვარება.

**– მოტყუების რა მეთოდებს მიმართავენ ჩვენი მეწარმეები მომხმარებლებთან მიმართებაში?**

– ეს არის ყალბი პროდუქცია, ანუ მოტყუება მარკით; მეორადი პროდუქცია; საგარანტიო მომსახურების არმიწოდება; დაბალი ხარისხის მომსახურება. ნაკლიანი პროდუქცია, წესით, უნდა დაიბრუნონ ან გამოცვალონ, მაგრამ ძალიან ბევრ ობიექტს აწერია, რომ უკან არ იღებენ და არ ცვლიან გაყიდულ პროდუქციას. შემდეგი დიდი პრობლემაა ფასში მოტყუება: პროდუქტს დახლზე ერთი ფასი აწერია, მაგრამ მეორეს გახდევინებენ და ადამიანი არ აქცევს ყურადღებას, რომ ჩეკში სხვა ფასს ურტყამენ.

**– კანონიერია წარწერა, რომ გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება?**

– რა თქმა უნდა, ეს უკანონობაა, იმიტომ რომ, თუ გაყიდული საქონელი ნაკლიანია, დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსითაც კი, უკან უნდა მიიღონ. ანუ ამას მომხმარებელთა კანონი არ სჭირდება. ნაკლის შემცველი პროდუქტი უნდა გამოგიცვალონ ან უნდა დაგიბრუნონ. ანუ ის წარწერა არაფერს ნიშნავს. მაგრამ, როდესაც გარანტიას აწერთ ხელს, ამ უფლებას 5 დღეში კარგავთ.

**– როდესაც ტანსაცმელს ან ჭურჭელს ვყიდულობ?**

– დაბრუნების უფლება გაქვთ, მაგრამ, როგორც წესი, იქაც გამოკრულია წარწერა, რომ დაბრუნების ვადაა ერთი ან ორი კვირა და ითვლება, რომ თქვენ ხედავთ პროდუქციის ნაკლს, როდესაც ფულს იხდით. მაგრამ შედავება შეიძლება. ამას გარდა, თუ დაინახავთ, რომ ასეთი წარწერაა მაღაზიაში, ესე იგი, ეს ცუდი მაღაზიაა და იქ არ უნდა ივაჭროთ. გასათვალისწინებელია, რომ ნაკლიანი ნიშნავს, რომ პროდუქტს რაღაც სჭირს და არა ის, რომ თქვენ ატარეთ და გადაიფიქრეთ ყიდვა.

**– ვინ მეხმარება ნაკლიანი პროდუქტის დაბრუნებაში? თუ არ იბრუნებს, სალაროდან ხომ არ გამოვტაცებ ფულს?**

– საქმეც ეს არის, ამიტომ გვინდა, რომ არსებობდეს ორგანო, რომელსაც მიმართავს ადამიანი და რომელიც დაეხმარება. ჩვენ ვცდილობთ ხოლმე დახმარებას, მოხალისე ადვოკატები გვეხმარებიან. ასევე, ევრაზიის ფონდს ჰყავდა ადვოკატი, რომელიც ეხმარებოდა მომხმარებლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა შეწყდა ეს პროექტი.

**– ძალიან მომრავლდა შემთხვევები, როდესაც დიდ მარკეტებში პროდუქტს დახლზე აწერია – სპეციალური ფასი, ძალიან იაფი, სალაროსთან კი გახდევინებენ სულ სხვა ფასს, გაცილებით ძვირს, მოლარე კი გულუბრყვილოდ აფახურებს თვალებს და ამბობს: ჩემთან ეს ფასი ფიქსირდებაო.**

– ეს ჩვეულებრივი თაღლითობაა. თქვენ აიღეთ ეს პროდუქტი, რადგან იმედი გქონდათ, რომ ნაკლები ეღირებოდა. პოლიციის გამოძახებაც შეიძლება, თუმცა, როგორც წესი, ასეთ დროს გთავაზობენ, არ იყიდოთ, დატოვეთო.

**– ანუ პოლიციის გამოძახებაა ერთადერთი საშუალება?**

– დიახ, სხვა არანაირი მექანიზმი არ არსებობს.

**– რა ვურჩიოთ მომხმარებელს, როგორ მოიქცეს, რომ თაღლითობის მსხვერპლი არ გახდეს?**

– მარკეტის თუ მაღაზიის სალაროსთან იკითხოს, მართლაც ის ფასი ღირს პროდუქტი, რაც აწერია, თუ იქ ტყუილად წერია ან გამოიძახოს პოლიცია, თუ ფასები არ ემთხვევა, ან არ ვენდოთ არანაირ აქციას. პირადად მე არანაირ აქციას არ ვენდობი. ჩვენ დღეს, ფაქტობრივად, სრულიად დაუცველები ვართ, გარეშმორტყმულნი მატყუარა მეწარმეებით, რომლებიც ცდილობენ, ჩვენი შეცდომაში შეყვანით, ფული გააკეთონ. მეორე მხრივ, ალბათ, არსებობენ წესიერი მეწარმეებიც და, თუ ენდობით, ჯობია ისევ მათთან გქონდეთ საქმე. ასევე, ყურადღება უნდა მივაქციოთ, რაზე გვაწერინებენ ხელს; რა გაფრთხილებებია გამოკრული მაღაზიაში და თუ რაღაც საეჭვოა, სჯობს, არ ვივაჭროთ იმ მაღაზიაში. ფასთან დაკავშირებით უნდა ვიყოთ ძალიან ყურადღებით და გადავამოწმოთ. რაც მთავარია, აქტიურად უნდა გამოვხატოთ ეს ჩვენი უკმაყოფილება. თუ ჩვენი დამოკიდებულება მეწარმისადმი იქნება ადეკვატური, იქნებ ამით მივცეთ სტიმული, რომ მომხმარებლისადმი კეთილგანწყობილები გახდნენ და შეწყვიტონ მოტყუებით ფულის კეთება.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 2 0 0 2 0 0
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან
ზარი ფასიანია



**ისე მოხდა, რომ ბანკებისა და საქართველოს მოქალაქეების ურთიერთობა არცთუ ჰარმონიულია და ისიც საყოველთაოდაა აღიარებული, რომ, მიუხედავად გულისმომკვლელი სარეკლამო რგოლებისა (რომ სწორედ ჩვენი ბედნიერებისთვის მოჰკიდეს ხელი საბანკო ბიზნესს ჩვენებურმა ბანკირებმა), ისინი მომხმარებლის ჯიბიდან მაშინაც კი ახერხებენ ფულის ამოცლას, როდესაც იქ გროშიც არ ჭყავის. ამდენად, არაა გასაკვირი, რომ ქართულმა საბანკო სექტორმა მარტიც 18-მილიონიანი მოგებით დაასრულა. რატომ არ აქვთ არანაირი უფლებები ქართული ბანკების კლიენტებს, რატომ არის ბანკი ყოველთვის მართალი და რა შემთხვევაში შეუძლია მომხმარებელს, უარი თქვას ვადაგადაცილებული სესხის გადახდაზე, – თემას არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი მარიკა არევაძე განგვიმარტავს.**

# რატომ იტყუება ბანკების საიტებზე განთავსებული კალკულატორები სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ანაბრის პროცენტის დათვლისას და რატომ აძლევს სახელმწიფო ბანკებს მოქალაქეების ექსპლუატაციის უფლებას

**– ცნობილია, რომ მოქალაქის, მსესხებლის, უფლებები ბანკთან ურთიერთობისას საკმაოდ შეზღუდულია. რამდენად კაბალურ პირობებშია საქართველოში კრედიტის ამღები?**

– ბანკთან ურთიერთობისას რამდენიმე მიმართულებით ირღვევა ადამიანის უფლება. პირველი, თითქოს შედარებით უმნიშვნელოა, მაგრამ ძალიან დიდი მნიშვნელობის საკითხია, როდესაც მსესხებელმა რეალურად არ იცის, რა საპროცენტო განაკვეთით იღებს სესხს. ბანკი ამბობს ერთ პროცენტს, საბოლოოდ კი, აღმოჩნდება, რომ რეალური პროცენტი გაცილებით მაღალია. სესხის საპროცენტო განაკვეთს ემატება დაზღვევის პროცენტი და სხვა თანხები. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ეს ხელშეკრულებაა: მოქალაქეს უფლებას არ აძლევენ, რომ ხელშეკრულებაში შეიტანოს ცვლილება.

**– მე ყოველთვის ვკითხულობ ნებისმიერ ხელშეკრულებას, მაგრამ ამას არანაირი აზრი არ აქვს, იმიტომ რომ, მაინც ვერაფერს შევცვლი, სულაც რომ ზეპირად დავისწავლო.**

– მე მაქვს სესხი, წავიკითხე ხელშეკრულება და მხოლოდ იმიტომ, რომ გული გამხეთქვოდა. ცვლილების შეტანა გამორიცხულია. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს ყველა ისეთ პუნქტს, რაც ბანკის სასარგებლოდაა და შეიძლება ითქვას, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მსესხებელს, ფიზიკური პირი მყავს მხედველობაში, ბანკთან მიმართებაში. პირდაპირ ხელშეკრულებაში უდებენ მოქალაქეებს პუნქტს, რომ ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ სხვა პირს გადასცეს ბანკის კლიენტთან დაკავშირებული ინფორმაცია, განსაკუთრებით, კრედიტინფო საქართველოს. პრობლემურია ხელშეკრულების ის ნაწილი, როდესაც ბანკი უფლებამოსილია, თუნდაც, ერთი ვადაგადაცილების შემთხვევაში, სრულად მოითხოვოს თანხის დაბრუნება. ან თუ ბანკი ჩათვლის, რომ ინფლაციაა, ან გაკოტრებისკენ მიდის ეს ფიზიკური პირი, მას შეუძლია, ერთბაშად მოითხოვოს თანხის უკან დაბრუნება. ასევე, ბანკი უფლებამოსილია, თუ ძალიან პრობლემური გახდება ეს სესხი, პირდაპირ აიღოს გარანტიად ჩადებული ქონება და ყველა ხარჯი, გადაფორმების ხარჯიც კი, ეკისრება მსესხებელს. კარგი იქნება, მივაღწიოთ, რომ ხელშეკრულებაში მხარეს ცვლილების შეტანა შეეძლოს, თუნდაც, მინიმალურის.



ბანკიდან სატელეფონო ზარი ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, როდესაც ბანკის წარმომადგენელი, რომელიც ბანკს წარმოადგენს ფიზიკურ პირთან ურთიერთობაში, სთხოვს მას სესხის დაბრუნებას, მაგრამ ეს არ უნდა გადაიზარდოს მუქარაში, შეურაცხყოფასა და დამცირებაში

**– ასევე, ბანკი უფლებამოსილია, გაზარდოს სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთი.**

– დიახ, მე რაც მინახავს, იმ ხელშეკრულებებში ეს დათქმა არის. ესეც პრობლემაა, რადგან მოქალაქე იმ კონკრეტულ სესხს იღებს სწორედ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. რამდენიმე ბანკს შორის მოქალაქე არჩევანს აკეთებს პროცენტის მიხედვით. ეროვნული ბანკის საიტზე დევს კრედიტის პროცენტის ზედა ზღვარი, რომელიც იმდენად მაღალია, რომ ამის ფონზე ბანკები გაცილებით ნაკლებ პროცენტში აძლევენ მოქალაქეებს სესხებს.

**– ეროვნული ბანკის საიტზე არის კალკულატორი, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეს დაითვალოს ამა თუ იმ ბანკიდან აღებული სესხის რეალური პროცენტი. კალკულატორები ბანკებს თავიანთ საიტებზეც აქვთ, თუმცა იქ კალკულატორი სულ სხვა თანხას ანგარიშობს. არ უნდა ჰქონდეთ ვალდებულება, მათი კალკულატორები ზუსტად ითვლიდნენ საპროცენტო განაკვეთს?**

– ბანკებს თავიანთ საიტებზე აქვთ კალკულატორები, მაგრამ ამ კალკულატორების მონაცემი არ არის ზუსტი არც ანაბრების და არც სესხების შემთხვევაში. იმიტომ რომ, რეალურად, სულ სხვა თანხაა და არა ის, რასაც კალკულატორი ადგენს. კანონი არ ავალდებულებს ბანკებს, წინასწარ დაუთვალონ ზუსტი თანხა მომხმარებელს სესხსა თუ ანაბარზე. თუმცა აქ არის მეორე მომენტი, მომხმარებელს უფლება აქვს, იცოდეს, რა პირობებით აფორმებს ხელშეკრულებას. მაგრამ არის მეორე ნიუანსი, ხელშეკრულებაშივე უდებენ მომხმარებელს, რომ სესხის საპროცენტო განაკვეთი შეიძლება, შეიცვალოს, გაიზარდოს და ამის მიზეზი იყოს, ინფლაცია თუ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მდგომარეობა.

**– მიზეზს იპოვიან.**

– მით უმეტეს, როდესაც მსესხებლის მხრიდან ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია, ბანკს ბევრი უფლება ეძლევა.

**– მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ბანკს ეკარგება სესხის მოთხოვნის უფლება. ვგულისხმობ ხანდაზმულ სესხებს.**

– ხანდაზმულობა არის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პირობა, რომელიც არა მარტო საბანკო სესხებზე, არამედ ვრცელდება ზოგადად, მოთხოვნის უფლებებზე კრედიტორისა მოვალის მიმართ. თუკი მოვალეს, ანუ მსესხებელს, კრედიტორის, ამ შემთხვევაში ბანკის მიმართ ექმნება ვალდებულება, გადაიხადოს კონკრეტული თანხა და მსესხებელი გადააცილებს გადახდის თარიღს, არ აქვს მნიშვნელობა, პირველ თუ რომელიმე სხვა გადახდის თარიღს, როგორც კი გადახდის რომელიმე თარიღს გადააცილებს მოქალაქე, ბანკს წარმოეშვება მოთხოვნის უფლება ამ მსესხებლის მიმართ. თუ არ გამოიყენებს ამ უფლებას მოთხოვნის წარმოშობიდან სამი წლის განმავლობაში, სამი წლის შემდეგ ამ სესხის მოთხოვნის უფლება უქმდება.

**– არის ასეთი შემთხვევები? როგორ უშვებს ბანკი ამას, ავიწყდება თუ რა მიზეზი შეიძლება, იყოს?**

– ძალიან ბევრია ასეთი შემთხვევა. ალბათ, ძალიან ბევრი სესხი, თანამშრომლების ნაკლებობა და თანამშრომლების უყურადღებობა იქნება ამის მიზეზი. როდესაც ჩვენთან მოდიან მოქალაქეები კონსულტაციაზე ან ინტერნეტით გვთხოვენ კონსულტაციის გაწევას, მათი 50 პროცენტი მაინც ამ ხანდაზმულობას ეხება. მოთხოვნაში არ იგულისხმება ბანკის თანამშრომლის დაკავშირება, კომუნიკაცია, მოთხოვნაში იგულისხმება, როდესაც ბანკი მიმართავს სასამართლოს თანხის ამოსაღებად.

**– დავაზუსტებ: ბანკიდან კრედიტოფიცრის მიერ ტელეფონით დაკავშირება, არ ნიშნავს სესხის მოთხოვნას?**

– ბანკიდან დარეკვა არ აჩერებს ხანდახმულობის ვადას. დარეკვას სხვა ფუნქცია აქვს.

**– აქვე ვიტყვი, არ ვფიქრობ, რომ მსესხებელმა ბანკს კრედიტი არ უნდა დაუბრუნოს, უბრალოდ, უფლებებს ვაზუსტებ. რა ფუნქცია აქვს ბანკის წარმომადგენლის მიერ ბანკის კლიენტისთვის დარეკვას და აქვს თუ არა ამ სატელეფონო ზარს რამე იურიდიული ძალა?**

– ჩემს ყველა ინტერვიუში მივუთითებ, რომ, როდესაც იღებ სესხს, უნდა გადაიხადო. ბანკიდან სატელეფონო ზარი ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, როდესაც ბანკის წარმომადგენელი, რომელიც ბანკს წარმოადგენს ფიზიკურ პირთან ურთიერთობაში, სთხოვს სესხის დაბრუნებას. ბანკის წარმომადგენელი ბანკის სახელით მოქმედებს მოქალაქესთან. თუმცა ეს მოთხოვნა არ უნდა გადაიზარდოს მუქარაში, შეურაცხყოფაში, დამამცირებელ საუბარში. არადა, ასეთი შემთხვევები, ბანკის წარმომადგენლებისგან უფრო ნაკლებად, მაგრამ იმ კერძო კომპანიების მხრიდან, რომლებიც თავიანთ თავზე იღებენ ბანკების მოვალეებისგან სესხების ამოღე-

(გაგრძელება მე-13 გვერდზე)

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

**საარჩევნო მარათონი თბილისში ძალებს იკრებს. დიდუბის რაიონში საკრებულოს მანდატისთვის 29 წლის დავით ნაფეტვარიძე იბრძვის – ენერგიული და საქმიანი ახალგაზრდა კაცი, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების მეკარე იყო. სპორტული აზარტი არც ცხოვრებაში აკლია, სულ ერთი წელი იყო დიდუბის რაიონის გამგებლის მოადგილე და მის „ანგარიშზე" დიდუბის მოსახლეობისთვის გაკეთებული უამრავი კარგი საქმეა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ დიდუბესა თუ პლეხანოვზე, ცოტა თუ მოიძებნება ვინმე, მას არ იცნობდეს. ტრადიციულ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, საყვარელ უბანში ყველა ქუჩა და ჩიხი ზეპირად იცის. საზოგადოებრივი საქმიანობის „დებიუტი" ძალიან პატარა ასაკში ჰქონდა, როცა მეგობრებთან ერთად საკუთარ ქუჩაზე პატარა სკვერის გაკეთება დაიწყო. ამბობს, რომ არ უყვარს საქმის შუა გზაზე მიტოვება, დღეს ბევრად უფრო დიდი გეგმები აქვს, რომელთა განხორციელებასაც დიდუბის და პლეხანოვის მოსახლეობას უკვე საკრებულოს მანდატით ჰპირდება.**

# დავით ნაფეტვარიძე – ერთი წელი დიდუბელების სამსახურში და საყვარელი უბნის ხმა საკრებულოში

**– ბატონო დავით, რატომ გადაწყვიტეთ საკრებულოს მძიმე საარჩევნო ბატალიებში ჩართვა და დიდუბის რაიონის დეპუტატობა?**

– დიდუბის რაიონში, მირცხულავას ქუჩაზე ვარ დაბადებული და გაზრდილი. 29 წელია, ამ რაიონში ვცხოვრობ, შესაბამისად, მთელი ჩემი ცხოვრებით დიდუბესთან ვარ დაკავშირებული. აქ ყველა ქუჩა, და ჩიხი ზეპირად ვიცი. ბავშვობიდან აქტიური ვიყავი, სახლში ვერ მაჩერებდნენ. საკმაოდ პატარა ვიყავი, ჩემს მეგობრებთან ერთად მირცხულოვას ქუჩაზე სკვერის გაკეთება რომ გადავწყვიტე. მოვკიდეთ ხელი ამ საქმეს და გამოგვივიდა. ეს იყო ჩემი პირველი „საზოგადოებრივი საქმე". ცოტა გავიზარდე და უბნის პრობლემების მოგვარებით ხან ვის ვაწუხებდი, ხან – ვის. დედაჩემი საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორია, მამა – ეკონომისტი, მაგრამ არ მუშაობს. დიდუბეში ცხოვრობს ჩემი ოჯახი, აქ იზრდება ჩემი ორი შვილი, მყავს დიდი სამეგობრო. ჩვენს ოჯახსაც იგივე პრობლემები აწუხებს, რაც ყველა ჩვეულებრივ ოჯახს, საშუალო დონის მცხოვრებ თბილისელს. ჩვენი სახლის კარი, ყოველთვის ღიაა მეზობლებისთვის, ნათესავებისთვის, ნაცნობებისთვის – ამ ურთიერთობებით ვარ გაზრდილი. ასე რომ, შორს წასვლა არ მჭირდება იმის გასაგებად, დიდუბელებს რა აწუხებთ. პირადი ურთიერთობებით საქმეში ბევრი რამ უფრო იოლად გვარდება და ეს საკუთარ მაგალითზე მაქვს გამოცდილი. ერთი წელი ვიყავი დიდუბის რაიონის გამგებლის მოადგილე. ამ პერიოდში უფრო ღრმად ჩავიხედე პრობლემებში. ზუსტად ვიცი, რომელ ქუჩაზე რა უჭირს ხალხს. თუ საშუალება მომეცემა და გავხდები საკრებულოს დეპუტატი დიდუბის რაიონიდან, ჩემს გუნდთან ერთად მე მოვაგვარებ იმ პრობლემებს, რაც ასე მნიშვნელოვანია დიდუბისთვის. ჩემი ამ ერთწლიანი საქმიანობიდან გამომდინარე, ჩემი უბნისთვის მე აქამდეც ვიყავი „ხმა" დედაქალაქის ხელმძღვანელობაში. მე არ ვაპირებ პოლიტიკაში ჩართვას. საკუთარ თავში ვხედავ ძალას, რესურსსა და სურვილს, გავაკეთო საქმე, რომელიც აქაურობას სჭირდება.



**– ერთი წელი იყავით გამგებლის მოადგილე. ამ ერთ წელიწადში რა არის თქვენს „ანგარიშზე" თქვენი რაიონისთვის?**

– როცა შემომთავაზეს გამგებლის მოადგილეობა, არც დავფიქრებულვარ. ეს არ იყო ბიუროკრატიული სამსახური. მე მეძლეოდა შანსი, ბევრი სასიკეთო საქმე გამეკეთებინა ჩემი უბნისთვის. ამ ერთ წელიწადში ბევრი რამ მოვახერხეთ და შევძელით. დაახლოებით 7 000-მდე ადამიანს გავუწიეთ სოციალური დახმარება, მედიკამენტები, გამოკვლევა, ოპერაცია, მკურნალობა. თითოეულ მათგანს ვხვდებოდი და პირადად ვიცი, 7 000 ოჯახის პრობლემა. უფრო მეტსაც გეტყვით, ალბათ, არ არსებობს დიდუბეში ოჯახი, რაიმე ტიპის შეხება რომ არ მქონოდა. ჩართული ვიყავი ყველა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტში, რაც ჩვენს რაიონში კეთდებოდა. არ გეგონოთ, ამას კაბინეტიდან ვაკვირდებოდი, არა, ყველაფერში პირადად ვიყავი ჩართული. როცა რაიონის ხელმძღვანელი ხარ, ვალდებული ხარ, ათენო ღამეები. პირადად გააკონტროლო ის, რაც კეთდება და ნახო, რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა, ვისთვისაც ეს ყველაფერი კეთდება.



ამ ერთი წლის განმავლობაში ოთხასამდე სტუდენტს დავეხმარეთ სწავლის ღირებულების გადახდაში. ეს ძალიან პრობლემური თემა იყო. ამ სტუდენტების ოჯახებს არ ჰქონდათ საშუალება, შვილებისთვის სწავლის ხარჯები დაეფარათ. ეს ჩემთვის ღირსების საქმეა. მეც ვიყავი ახალგაზრდა, მეც ანალოგიური პრობლემები მქონდა, როცა სტუდენტი ვიყავი. თავად მაქვს გამოვლილი ყველა გაჭირვება. როცა ფეხბურთს ვთამაშობდი, სახლიდან დიღმის სტადიონამდე დღეში სამჯერ გავსულვარ ფეხით, როცა გზის ფული არ მქონდა. ახალგაზრდებთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და როგორც სპორტსმენისთვის, ასმაგად მნიშვნელოვანია ცხოვრების ჯანსაღი წესი. მე ვიცი, ჩემი თაობის რამდენი კარგი ახალგაზრდა შეიწირა ალკოჰოლმა, ნარკოტიკმა, ცხოვრებაში გადადგმულმა არასწორმა ნაბიჯებმა. რაც უფრო მეტი ჯანმრთელი და განათლებული ახალგაზრდა იქნება ჩვენ გვერდით, მით უფრო მეტი სიკეთე გაკეთდება უბნისთვისაც, ქალაქისთვისაც, ქვეყნისთვისაც. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ის, რაც ჩვენ დიდუბის ბავშვთა საფეხბურთო გუნდისთვის გავაკეთეთ. ამ გუნდს სამი ღირსეული ადამიანი წვრთნიდა, ენთუზიაზმით, ანაზღაურების გარეშე. ჩვენ გვერდით დავუდექით ამ ბავშვებს და ყველა პირობა შევუქმენით ვარჯიშისთვის, ფეხბურთის თამაშისთვის. ჩვენ ეს ბავშვები გავუშვით საფეხბურთო შეკრებაზე ბაკურიანში. ამ ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, ეს დიდი თანადგომა იყო. ჩვენ ასევე, გვერდში დავუდექით კალათბურთის გუნდს, რომელიც დაკომპლექტებული იყო დიდუბელი ახალგაზრდებით. მათ მიეცათ საშუალება, უსასყიდლოდ მიეღოთ მონაწილეობა მოყვარულთა ლიგის თამაშებში. კიდევ ბევრი საინტერესო პროექტი გვქონდა დაგეგმილი რაიონში, მაგრამ გახსოვთ, მერე რაც მოხდა ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ამის გამო კი ბევრი დაგეგმილი პროექტი შეჩერდა.

**– თქვენ რა მოგცათ სპორტში გატარებულმა წლებმა, რაც ახლა ყველაზე მეტად გადგებათ?**

– სპორტმა მომცა ადამიანების გატანის, გამძლეობის, პრობლემების გადაჭრის უნარი. გამხადა მიზანდასახული, მასწავლა გამარჯვების ფასი. ცხოვრებაში ძალიან ბევრი პრობლემა მაქვს გადაჭრილი, სპორტული აზარტით. ათი წლის ვიყავი, ფეხბურთზე რომ შევედი. დიდუბეში ყველა ბურთს დასდევს, სტადიონის „ხათრით" *(იცინის)*. მე იმ დროს „ერისიონში" ვცეკვავდი – არჩევანი ცეკვის ან ფეხბურთის სასარგებლოდ უნდა გამეკეთებინა. მე გადავწყვიტე, ფეხბურთს გავყოლოდი, რამაც ძალიან საინტერესო წლები და ცხოვრება მაჩუქა. როცა წლების შემდეგ, ტრავმის გამო, ფეხბურთს ჩამოვშორდი, ეს ძალიან რთულად გადავიტანე. თუმცა, როგორც კი შანსი და თავისუფალი დრო გამიჩნდება, სტადიონს ვუბრუნდები და ფეხბურთს ვთამაშობ. ამ ბოლო დროს აღარ მცალია არც ფეხბურთისთვის და არც ოჯახისთვის. ჩემი ბიჭები პლაკატზე თუ ხედავენ მამას. ჩვენ ტრადიციული ოჯახი გვაქვს. მათ კარგად ესმით ჩემი და პასუხისმგებლობით ეკიდებიან ჩემს საქმიანობას, რაც ძალიან მეამაყება – დროებით სახლიდან „გახიზნული" ოჯახის საყოფაცხოვრებო თემებისგან გამათავისუფლეს *(იცინის)*.

**– რის გაკეთებას აპირებთ დიდუბისთვის, თუ ამ რაიონის მოსახლეობა თქვენზე გააკეთებს არჩევანს?**

– არა მხოლოდ დიდუბისთვის, ასევე პლეხანოვისთვის, რაც თბილისის ყველაზე პეწიან და ხიბლიან უბნად მიმაჩნია. პლეხანოველი რომ ხარ, ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. ცენტრალურ პლეხანოვზე თვალს და გულს უხარია, ყველაფერი ისეა გაკეთებული. მაგრამ, შიდა ქუჩებზე კვლავ ბევრი პრობლემაა, ბევრი ავარიული სახლია, რომელთა რეაბილიტაციაც საჭიროა. დიდუბისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რკინიგზის თემა. მატარებელი ზოგიერთ ქუჩაზე მართლა სახლებზე გადის. წარმოიდგინეთ, რა მძიმეა იქ ცხოვრება. ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, ეს იქნება ჩემი ერთ-ერთი პრიორიტეტი. იმ ტერიტორიაზე რაც უკავია რკინიგზას, უნდა დავიწყოთ ინფრასტრუქტურული პროექტები. ეს კი შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს. უმუშევრობა ჩვენი რაიონის მშრომელი ხალხისთვის ძალიან დიდი პრობლემაა. ხალხს ენატრება მუშაობა. სჭირდებათ კაცი, ვინც ამ პროცესებს სწორად წარმართავს და მათ გამოადგება. დიდუბისთვის ასევე, დიდ საფრთხედ მიმაჩნია ეგრეთ წოდებული „ელიავას ბაზრობა", რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც ხალხი ველარ ცხოვრობს. სასწრაფოდ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა. მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თბილისის მერიის ახალი პროექტი – „იაფი გათბობა და ცხელი წყალი." ნიკა მელიას და ჩვენი გუნდის გამარჯვების შემთხვევაში, ეს თემა ამხანაგობებთან ერთად 90-პროცენტიანი თანადაფინანსებით გადაწყდება, რაც დიდი შეღავათი იქნება ხალხისთვის. ამას გარდა, ამ პროექტის ფარგლებში თბილისში საკმაოდ ბევრი სამუშაო ადგილი გაჩნდება. თითოეულ კორპუსში სამი-ოთხი ადამიანი დასაქმდება. ჩვენ დაგეგმილი გვქონდა ბევრი კარგი პროექტი, რაც სამუშაო ადგილების შექმნას ეხებოდა, მაგრამ ყველასთვის ცნობილმა პროცესებმა ეს პროექტები შეაჩერა. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, ყველა ეს პროექტი ბოლომდე იქნება მიყვანილი.

ყველასთვის ცნობილია, რომ თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების დროს, რაიონის ბიუჯეტს ძალიან დიდი თანხა ჩამოაჭრეს. დატოვებული თანხებით ამდენი სოციალური თემის გადაწყვეტა იოლი არაა. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ შეიცვლება. ხალხი დაღლილია ამდენი პრობლემით – არც პარტია აინტერესებთ, არც ის, ვინ საითაა. მათ სჭირდებათ დახმარება, წამალი, თანადგომა. ამიტომაც, უნდა იყოს ხელშეუხებელი რაიონის ბიუჯეტი, რომელიც კი არ უნდა შემცირდეს, პირიქით, უნდა გაიზარდოს. მე იმედი მაქვს, რომ ადამიანები სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ. 15 ივნისს არ არის პოლიტიკური პარტიების არჩევნები, ეს არ არის ბრძოლა პოლიტიკური თანამდებობებისთვის. ეს არჩევნები იმისტვისაა, რომ გაკეთდეს საქმე. დიდუბემ უნდა აირჩიოს დეპუტატი, ვინც ახლოსაა თავის ხალხთან და იცის, რა სჭირდებათ მათ. ყველა ჩემს კონკურენტს დავუდასტურებ ჩემს დიდ პატივისცემას, მაგრამ იმასაც ვეტყვი, რომ ჯობია, საქმით შევეჯიბროთ ერთმანეთს. ხალხიც ალბათ იმ არჩევანს გააკეთებს, რაც მათ უბანს და საქმის კეთებას წაადგება, ჩვენ ხალხთან ერთად გავაკეთებთ ყველაფერს. იმედი მაქვს, რომ დიდუბეში ყველამ კარგად იცის, რისი გაკეთება მინდა და რისი გაკეთება შემიძლია. იმაში, რომ არც ერთხელ არ მიმიტოვებია ისინი, ამ ერთი წლის განმავლობაში თავადაც დარწმუნდნენ.

**თამუნა სამადაშვილი**

**საქართველოში გუჯა ბურდულს ყველა კარგად იცნობს. მას სამი შვილი ჰყავს – ლადო, მაკა და ბაკური. მათაც დიდი ხანია, საზოგადოებაში თავიანთი ადგილი დაიკავეს: ძმები ალტერნატიულ მუსიკას მისდევენ, მაკა კი ჟურნალისტი, მსახიობი და კინოდოკუმენტალისტია. თითოეული მათგანი საკმაოდ საინტერესო პიროვნებაა, ტრადიციული და, ამავდროულად, არაორდინარული. მაკა ბურდული ყოველთვის სიამოვნებით გვთანხმდება ინტერვიუზე. ახლაც არ გვითხრა უარი და საკმაოდ საინტერესო თემაზე – მის ფილმზე, „გრიგოლ ფერაძეზე" ვისაუბრეთ, რომელშიც მთავარი როლი ბატონმა გუჯამ შეასრულა.**

# რა ბედი ეწიათ ცნობილ ქართველ მამაკაცებს გრიგოლ ფერაძეზე მასალების მოძიებისას და რა განსაცდელი მოუვლინა უფალმა ამის გამო მაკა ბურდულს

**– მაკა, თქვენ გადაიღეთ სატელევიზიო ფილმი გრიგოლ ფერაძეზე, რომელშიც მთავარი როლი მამამ ითამაშა. გვიამბეთ ყველაფერი ამ ფილმთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, ყველას ძალიან დააინტერესებს.**

– სულ არ მეგონა ასეთი ბედნიერება თუ მეღირსებოდა და გადავიღებდი ფილმს გრიგოლ ფერაძეზე. როგორც ჩემი მამაო ამბობს, ეს უფლის ნება იყო (რუსი მამაო მყავს). მან შემომთავაზა წმიდანებზე გამეკეთებინა ფილმი – ისედაც საინტერესო თემაა და, თან, გატყობ, რომ თვითონაც მოგწონს და შეგიძლიაო. თეატრალურში ჟურნალისტიკაზე როცა ვსწავლობდი, სახელმწიფო გამოცდაზე სწორედ ეს თემა შემხვდა – „ჯვარი ვაზისა" და „გრიგოლ ფერაძე". ვუპასუხე, მაგრამ, სულ მქონდა უკმაყოფილების გრძნობა, რომ უფრო მეტი შემეძლო გამეკეთებინა და ვერ გავაკეთე. კომისიამ „ხუთიანი" დამიწერა და მაშინ პირობა დავდე: ეს ადამიანი იმდენის ღირსია, რომ ამ თემას აუცილებლად დავუბრუნდები, როცა ჩავთვლი, რომ მზად ვარ-მეთქი. პარალელურად, დავიწყე სწავლა ოთარ იოსელიანთან. ჩემი ოცნება იყო, ფილმები გადამეღო, მაგრამ, ამ ასაკში უფრო მხატვრულზე ფიქრობ, დოკუმენტალისტობა არავის უნდა, თან, მაშინ ისეთი დოკუმენტური ფილმები კეთდებოდა, არც კი გაინტერესებდა მათი ყურება, ვერ აკეთებდნენ, რადგან, არ იყო ისეთი ტექნიკური საშუალებები, როგორიც დღესაა. ახლა უფრო მეტი ხერხია, ხდება ამა თუ იმ ამბის გაცოცხლება, გამხატვრულება, ანუ, რაღაც ელემენტები შეგაქვს, რომ მაყურებლისთვის ეს ვიდეოხაზი უფრო საინტერესო გახდეს.



**არ მეგონა, თუ ასეთი ბედნიერება მეღირსებოდა და გრიგოლ ფერაძეზე გადავიღებდი ფილმს**

**– მაგრამ, ფილმი არა საქართველოში, არამედ, რუსეთში გადაიღეთ. ეს იმიტომ, რომ რუსი მამაო გყავთ თუ რა პრინციპით?**

– ეს არის სრულმეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი, რომელიც მოსკოვის ტელევიზიისთვის გავაკეთე, იმიტომ, რომ ქართველები ვერ დავაინტერესე. ვის არ მივმართე, როგორ არ შევეცადე, მაგრამ, ან მზად არ არიან, ან ეს თემა არ არის მათთვის ახლოს. ამ ფილმით მომეცა საშუალება, დამემტკიცებინა, რომ აი, ის დაწერილი ფრიადი ღირსეულად მიღებული ფრიადი იყო.

**– და, როგორ დაიწყო ყველაფერი?**

– პოლონეთში ვარ ჩასული სტაჟირებაზე კინოსკოლაში – ქართული ოჯახი იყო იქ და ის დამეხმარა. იმ კაცმა მითხრა: აქ სამასზე მეტი ეკლესიაა, მაგრამ, ძალიან მცირეა მრევლი. საკათედრო ტაძარია და, მოდი, წავიდეთო. რაზეა ლაპარაკი, წავიდეთ-მეთქი. კანში რომ ვიყავი, მაშინ ვიპოვე რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, ნიცაში ხომ არის და არის... გია კერესელიძეც დაესწრო ლოცვებს, ახლა წმიდა ნინოზე ვინც იღებს ფილმს. გამაცნეს მამაო. რომ გაიგო, ვინ ვიყავი, მითხრა: ქართველი ხარ, თან, რეჟისორი ყოფილხარ და შენ გადაიღებ ფილმს გრიგოლ ფერაძეზე, ოღონდ, ჯობია ქართველების სახელით გადაიღო, პოლონელების მიერ გადაღებულია უკვე ეს ფილმი და ეყოფათო. მე ვუთხარი: არავინ არ დამაფინანსებს, ისეთი გაკეთება უნდა ამ ფილმს, რომ ღირდეს-მეთქი. მე კურთხევა მოგეცი და, მართლმადიდებელი თუ ხარ, არავითარი უფლება არ გაქვს, არ გადაიღოო. ჩავედი მოსკოვში და ვეუბნები მამაოს: ასე და ასეა საქმე, ძალიან რთული თემაა, თუ შეგიძლიათ, რომ ის კურთხევა, რაც პოლონელმა მღვდელმა მომცა, რაღაცნაირად გააქარწყლოთ, რომ მე, როგორც მართლმადიდებელს, არ მქონდეს ეს ტვირთად-მეთქი. მე არავითარი უფლება არ მაქვს ამის, ეს შენი ხელით უნდა მოხდესო. თუ არავითარი უფლება არ მაქვს, მაშინ, ვიღებ-მეთქი. მივხვდი, რომ მე რუსეთიდან, ქართული დიასპორისგან მხარდაჭერა არ მექნებოდა. წამოვედი და ვფიქრობ: „ახლა რა ვქნა?" ვსწავლობ „ვგიკში", სტაჟირებაზე ვარ. მივედი „ვგიკის" ხელმძღვანელობასთან და ახლა მათ მოვუყევი: ასეთი და ასეთი ამბავია, ასეთ პიროვნებაზეა საუბარი და როგორ მოვიქცე-მეთქი. როგორ, ასეთი პიროვნება გყავდათ ქართველებს და, შეგიძლიათ რამე გააკეთოთო. მთელი ეს კინოსკოლა ფეხზე დადგა და დამეხმარა, ისეთი აჟიოტაჟი ატყდა... ოპერატორი და ასისტენტი უფასოდ გამომაყოლეს, ვიღაცამ ფირი მაჩუქა და უკვე ძალა ვიგრძენი. ეს იყო აგვისტოს ომამდე. იმ კაცმა მითხრა, თვითონ უფალი დაგეხმარებაო და მას მერე სულ ასეთ საოცრებებში ვარ. მოკლედ, აღარ „მივაწექი" იმ გზას, სადაც უარი მითხრეს. დავრეკე ქართული ცეკვის ანსამბლში. ხელმძღვანელს ვთხოვე კოსტიუმები, რადგან, კოსტიუმირებული უნდა ყოფილიყო ფილმი თავისთავად და, ერთი წუთი რომ იქირაო კოსტიუმი რამდენიმე ათასი დოლარი ჯდება. ვუთხარი: ლამაზი კაბები რომ გაქვთ, იქნებ, თქვენს გოგოებს ჩააცვათ და გადაღებაზე გამოუშვათ-მეთქი. იმ ეკლესიაში, სადაც ვიყავით მისული, ქართველი მამაოა – მამა რომანოზი. მან თავისი სამოსელი მოგვცა და ჩავაცვით მამას. გუჯის ორგზის ჯვარი აქვს ნაჩუქარი ილია მეორისგან და ის ჩამოვკიდეთ გულზე. იმ დღიდან ისე დამიდგა გვერდში ის კაცი, გადავწყვიტე, რომ ჩემი სულიერი მამა, მამა რომანოზი ყოფილიყო. ყველაზე საოცარი ის არის, რომ გრიგოლ ფერაძის მამას ერქვა რომანოზი – აი, ასეთი საოცარი დამთხვევა მოხდა.

**– მაშინვე იფიქრეთ, რომ გრიგოლ ფერაძე მამას უნდა ეთამაშა თუ სხვებიც მოიაზრებოდნენ?**

– სხვათა შორის, ძალიან ბევრი ვიფიქრე, ვის უნდა ეთამაშა მთავარი როლი. ჯერ ერთი, მას უნდა სცოდნოდა ამ კაბის ხმარება. ვინც მომიყვანეს, პოლონელი, იმან არ იცოდა და სულ ფეხებში ედებოდა, ერთი სამჯერ კინაღამ წაიქცა, რადგან, სხვა ზომაა ნაბიჯის, სხვა მოხდენაა, სხვანაირად ატარებს კაცი ამ სტიქარს. მამა კი, რამდენი წელია, სტიქაროსანია პატრიარქთან. რამდენჯერ მყავს ნანახი სტიქარში და, მინდა გითხრათ, რომ ძალიან უხდება ეს სამოსელი. როცა ვუთხარი, გრიგოლ ფერაძე უნდა გათამაშო-მეთქი, გადაირია – ახლა შენ გინდა, 70 წლის კაცმა 43 წლის გრიგოლ ფერაძე განვასახიეროო (გრიგოლ ფერაძე 43 წლის ხდებოდა, რომ გარდაიცვალა). არა, მამა, – ვეუბნები, – მე მინდა, დააბრუნო-მეთქი. რა დავაბრუნოო? 43 წლისამ რომ ითამაშე 70 წლის გელა ექიმი („უძინართა მზე"), აი, ის დრო დააბრუნო და ახლა ახალგაზრდა ითამაშო-მეთქი. მიყურა, მიყურა და მითხრა, ისეთს იტყვი ხოლმე, რომ უარს ვერაფერზე ვერ გეუბნები, იმისთანა ფაქტი მომიყვანეო.

**– გუჯა ბურდულის გადაღება არავისთვის არ არის ადვილი საქმე. თემურ ბაბლუანმა თქვა ერთხელ: გუჯა ბურდული ჩემი მეგობარია, მაგრამ, ძლივს დავითანხმე ფილმზე, ისიც, ნელ-ნელა შევაპარე რაღაც სცენებიო.**

– როგორი უარი მქონდა, იცით? სულ „მამაო ჩვენოს" ვამბობდი და ვიმეორებდი: „უფალო, შენ დამეხმარე, უფალო, შენ დამეხმარე"... ხომ ვიცი, თუ მოჰკიდა რამეს ხელი, რაღაც სასწაულს გააკეთებს. ასაკობრივი სხვაობა მართლა დიდი იყო, მაგრამ, უკეთესი ვარიანტი არ მქონდა. დადგა გადაღების დროც. ახლა ვფიქრობ, რომ ვუთხრა, საღებავით შეგიღებავ თმას და წვერს-მეთქი, ველარ გამოვასწრებდი. ვფიქრობ, რა ვქნა, რა ვქნა და, გამახსენდა წამწამების ტუში. ახლა, არ შემიშალო ხელი, ხმა არ ამოიღო-მეთქი. წავიყვანე ეკლესიაში და თვალების ტუშით შევღებე – მხოლოდ წარბებისა და წვერის შეღებვა დამჭირდა, მეღირებასავით გამოვიდა. ხომ შეიძლება, 43 წლის კაცს, ასეთი რთული ცხოვრებით ნაცხოვრებ ადამიანს ჭაღარა ჰქონდეს შეპარული თმაში და წვერში?! დავსვი მთელი გადამღები ჯგუფი და მოვუყევი, რაც კი ვიცოდი გრიგოლ ფერაძეზე. თქვენ არ იცით, რა რთულია ფირზე ამის გაკეთება. ერთ დღეში გადავიღე და დავამონტაჟე, სანამ კიდევ ვინმე გამიბრაზდებოდა და რამეს ამიკრძალავდა – ვიფიქრე, ჩქარა გავაკეთებ-მეთქი. ერთი მყავდა იაპონელი ფოტოგრაფი, მეორე – რუსი, მესამე – სომეხი; ოპერატორი იყო რუსი – მოკლედ, ინტერნაციონალური ჯგუფი შეიკრიბა და, კიდევ, ყველაზე დიდი საოცრება ის არის, რომ, ვახტანგ მეექვსემ საქართველოდან წაალებინა მიწა, სადაც ეს ქართული ეკლესია დგას მოსკოვში და ჩვენ ვიდექით ქართულ მიწაზე, ასე რომ, ქართული სულიც გვეხმარებოდა. მამამ ისეთი გარდასახვა მოახდინა... წარმოიდგინეთ, დღისით მძღოლს თამაშობდა სხვასთან ფილმში, დღის მეორე ნახევარში კი – გრიგოლ ფერაძეს – რადგან დაგთანხმდი, ბოლომდე მოგყვებიო. ახლა, რომ უყურებს, ეამაყება – როგორ ამოცანებს მაძლევდი, შვილო, რომ მე ასეთი სახე შევქმენიო.

**– გადაიღო ფილმი წმიდანების თემაზე – ეს თავისთავად, ძალიან რთულია. ზოგადად, ასეთ დროს უფალი ეცხადება და ხელს უწყობს რეჟისორს, ან – პირიქით, რაღაც განსაცდელს მოუვლენს. თქვენ თუ გქონიათ მსგავსი შემთხვევა გადაღებებზე?**

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

# რატომ იტყუება ბანკების საიტებზე განთავსებული კალკულატორები სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ანაბრის პროცენტის დათვლისას და რატომ აძლევს სახელმწიფო ბანკებს მოქალაქეების ექსპლუატაციის უფლებას

(მე-10 გვერდიდან)

ბას, ხშირია. მოქალაქეები უჩივიან მათგან ასეთ დამოკიდებულებას, რომ ისინი ამცირებენ, შეურაცხყოფას აყენებენ.

**– კანონი იცავს ამ შემთხვევაში მომხმარებელს?**

– კანონმდებლობის შესაბამისად, რა თქმა უნდა, სხვისი ღირსების შელახვა არ შეიძლება, მუქარაც აკრძალულია და დამცირებაც. თუმცა ეს ზოგადი ნორმებია და კონკრეტული პასუხისმგებლობის დაკისრება ამის გამო რთულად მისაღწევია.

**– პრეცედენტიც არ ყოფილა?**

– არა, ხანდაზმულ სესხებთან დაკავშირებით არის ასეთი პრობლემაც: როდესაც სესხი ხანდაზმულია, ესე იგი, ის სესხი აღარ არსებობს. მაგრამ ბანკები, როგორც წესი, არღვევენ კლიენტის, მოქალაქის საბანკო ინფორმაციის გაცემისა და შენახვის უფლებას. გარდა საბანკო სფეროში მოქმედი კანონისა, არსებობს სხვა კანონიც და ეს არის პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონი, რომელიც ორი წელია, რაც აქტიურად შემოვიდა და მოქალაქეს აძლევს უფლებას, ბანკს ან სხვა დაწესებულებას, რომლებშიც მის შესახებ ინფორმაცია გროვდება და ინახება, მოსთხოვოს ამ ინფორმაციის განახლება და ისიც, რომ მესამე პირს არ მიეწოდოს მის შესახებ ინფორმაცია. პირადად მე, მქონდა შემთხვევა, როდესაც კონკრეტულად „საქართველოს ბანკს“ მივმართე მოქალაქის ხანდაზმულ სესხთან დაკავშირებით და მოვთხოვე, ეს ინფორმაცია შეეცვალა და ხანდაზმული სესხი აქტიურ სესხად აღარ დაფიქსირებულიყო. ასევე, კრედიტინფო საქართველოსა და სხვა ნებისმიერი მესამე პირისგან გამოეთხოვა ეს მცდარი და მოძველებული ინფორმაცია, თუმცა ბანკი ჯიუტად ამას არ ასრულებს. როდესაც სესხი ხანდაზმულია, ის აღარ არსებობს და, კანონით, თუ მოქალაქე მოითხოვს, რომ მის შესახებ ინფორმაცია შესწორდეს, უნდა შესწორდეს.

**– თუმცა ბანკს ხომ შეუძლია, თავის „შავ სიაში“ ჰქონდეს ეს ინფორმაცია?**

– „შავი სია“ მოქალაქეებმა დაარქვეს კრედიტინფო საქართველოს ბაზებს, რომელიც მოქალაქეების საკრედიტო ისტორიას ასახავს. თუ, ზოგადად, საერთაშორისო პრაქტიკას გადავხედავთ, კრედიტიფნოს მსგავსი ორგანიზაციები არსებობს ევროპაში და ეს მიღებული პრაქტიკაა, მაგრამ იქ სპეციფიკური კანონები არეგულირებს ასეთი ტიპის ორგანიზაციების საქმიანობას. ასეთი ტიპის ორგანიზაციის არსებობა ნამდვილად მისაღებია, იმავე ბიზნესურთიერთობებში რისკების გათვლის შესაძლებლობას იძლევა და მოსახერხებელია, როდესაც არსებობს საკრედიტო ისტორიები, მაგრამ ეს არ უნდა არღვევდეს სხვა მოქალაქეების უფლებებს.

**– საკრედიტო ისტორიების შესახებ ინფორმაცია ვისთვის არის ხელმისაწვდომი?**

– ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მემორანდუმს გააფორმებს კრედიტინფო საქართველოსთან. არადა, მოქმედი კანონმდებლობით, ნებისმიერი ფიზიკური პირის მიერ, ინფორმაცია რომ გაიცეს ერთი ორგანიზაციის მიერ მეორე ორგანიზაციაზე, აუცილებლადაა საჭირო ამ ადამიანის თანხმობა. ჩვენს შემთხვევაში კრედიტინფო საქართველო ბევრ ორგანიზაციასთან აფორმებს მემორანდუმს და აწვდის ინფორმაციას მოქალაქეების შესახებ.

**– ჩვენ ვისაუბრეთ საბანკო ხანდაზმულ სესხებზე, იგივე პრინციპი ვრცელდება მიკროსაფინანსოებსა და კერძო იპოთეკარებთან მიმართებაშიც?**

– ხანდაზმულობის ნორმა არის ზოგადი, გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსით და, ამდენად, მოქმედებს ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან მიმართებაში.

**– როგორ უნდა მოიქცნენ მოქალაქეები, რომ რაც შეიძლება, მინიმალური ზიანი მიადგეთ ბანკებისგან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან თუ კერძო იპოთეკრებისგან?**

– ტენდენციურობასა და ბანკებთან მიმართებაში არასწორ მოქმედებად რომ არ ჩამეთვალოს, ვურჩევ, უზრუნველყონ სესხების დროული დაფარვა, რათა ზედმეტი გართულება აირიდონ თავიდან, მათ შორის, ჯარიმები. თუმცა, ამავე დროს, ვურჩევ, მოითხოვონ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა. თუკი მოქალაქეებისგან მასობრივად წამოვა ბანკების მიმართ ინტენსიური მოთხოვნა, რომ მათაც მიეცეთ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის უფლება, შესაძლებელია, ბანკი რაღაც დათმობაზე წამოვიდეს. ერთი და ორი ადამიანის მოთხოვნა ბანკებს არ მიიყვანს იმ აზრამდე, რომ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა დაიწყონ.

**– ეროვნულ ბანკს თუ, ზოგადად, სახელმწიფოს არ აქვს ვალდებულება, დაიცვას თავისი მოქალაქეების უფლებები? არავინ დავობს, რომ ბანკმა, კომერციულმა სტრუქტურამ, მოგებაზე იმუშაოს, მაგრამ მეორე მხარესაც რომ ადამიანია, მისი უფლებების მინიმალურად დაცვა არ არის სახელმწიფოს პრეროგატივა?**

– სახელმწიფოს თავისი მოქალაქეების მიმართ აქვს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება, რაც ორ ასპექტს გულისხმობს: ერთი მხრივ, თვითონ არ დაარღვიოს თავისი მოქალაქის ძირითადი უფლებები და, მეორე მხრივ, სხვას არ მისცეს საშუალება, დაარღვიოს მოქალაქის უფლება. ანუ სახელმწიფოს აკისრია ვალდებულება, რომ ბანკმა არ დაარღვიოს საქართველოს მოქალაქის უფლება. სახელმწიფოს ამის შესრულება შეუძლია საკანონმდებლო რეგულაციების შემოღების გზით. ეს რეგულაციები ან არ არის, ან არასაკმარისია. კონკრეტულად ბანკებთან ურთიერთობა არ არის საკმარისად დარეგულირებული ისე, რომ დაცული იყოს მოქალაქეების უფლებები, თუნდაც, ხელშეკრულების გაფორმების დონეზე. შესაბამისად, უკეთესი იქნება, თუ სპეციალური კანონი შემუშავდება, რომელიც დაარეგულირებს, თუ როგორ უნდა იფუნქციონიროს კრედიტინფო საქართველოს მსგავსმა ორგანიზაციებმა. ხელშეკრულების ნაწილში როგორ უნდა დაბალანსდეს უფლებები მოქალაქესა და ბანკს შორის, რომ არათანაბარი მდგომარეობა არ იყოს. ეს სიღრმისეული პრობლემაა და საკანონმდებლო რეგულაციების შემოღებას მოითხოვს.

**ნინო ხაჩიძე**

# რატომ ვეძებთ მუდმივად უფრო ძლიერ დათვს, ვთანხმდებით საცდელ ბოცვრობას და გვირჩევნია ლუარსაბ თათქარიძისეული კმაყოფილება

(მეექვსე გვერდიდან)

ჯავ, რაც უნდა დაახარჯო შენს ბედ-იღბალს.

**– საინტერესო დამოკიდებულება გვაქვს: ჩავაბარე პატრონს, ეს პატრონიანია, ის უპატრონო, არადა, თუ პატრონი მჭირდება, ესე იგი, არასრულფასოვანი ვარ, იმიტომ რომ მე თვითონ ვარ ჩემი თავის პატრონი. ასეთი გამძაფრებული დამოკიდებულება პატრონისადმი გულისხმობს, რომ იმთავითვე არასრულფასოვნები უნდა ვიყოთ?**

– ტერმინი უპატრონო ნეგატიური ტერმინია შენს კულტურაში და ამით უკვე ჩანს შენი დამოკიდებულება.

**– თუ ვიპოვით ზესახელმწიფოს პატრონად, პატრონსაც ჩავბარდებით?**

– მერე წამოვწვებით ხის ძირში. მთელი პრობლემა ისაა, თან მით უმეტეს იმ ტიპის მსოფლიოში, რომელშიც დღეს ვართ, რომ ასეთი ცხოვრება დიდად პერსპექტიული არ არის.

**– როდესაც გამოცდილებას იღებენ შენს ხარჯზე, ეს არ განიჭებს საჭიროების ფუნქციას? 2008 წელს რუსეთმაც მიიღო გამოცდილება და დასავლეთმაც, ნახა, რას მოიმოქმედებდა რუსეთი „ნატოს“ გაფართოების შემთხვევაში. რომ არა უკრაინა, ვერ ნახავდა, როგორ განიცადა მოდერნიზება რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა.**

– ეს ისეთი საჭიროებაა, მადლობას რომ არავინ გეტყვის. თქვენ დაიწყეთ იმ უხეში შედარებით, საცდელი ვირთაგვები ხომ არ ვართო, მაგრამ საცდელ ვირთაგვებს მადლობას ეუბნებიან? ისინი საჭირონი არიან, ოღონდ მათ მადლობას არ უხდიან. მათ მიმართ ჰუმანური დამოკიდებულება არ არის, ვირთხის მადლობელი არავინაა, იმიტომ რომ ის თავისი ნებით არ დაგთანხმებია. მათ მიმართ არიან მადლიერები, ვინც თავიანთი ნებით თანხმდება.

**– ამ თანხმობაში მოგვცეს 4,5 მილიარდი?**

– აბა?! თუმცა იქ ამას გარდა, ბევრი თემაა.

**– უკრაინას რატომ არ აძლევენ?**

– როგორ არ აძლევენ? გამოუყვეს, უბრალოდ ჯერ არ მიუციათ. თვითონ დასავლეთმა დაუშვა შეცდომა, როდესაც ტიმოშენკოს თემას გადააყოლა მთელი უკრაინის ამბავი. იანუკოვიჩიც ფულს ითხოვდა, არ მისცეს და ამიტომ მოხდა ყველაფერი. დასავლეთსაც უჭირს ამ თავის მიერ დაშვებულ შეცდომებზე გადაბიჯება. თან, მეორე მხრივ, რად ულირს, თუნდაც, იგივე უკრაინა?! ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ულირს კი იმდენ ფულად, რამდენსაც ითხოვს უკრაინა, მაშინ, როდესაც თვითონ დასავლეთია გაჭირვებული?!

**– რუსეთს ულირს კი ამდენი მიწის შეგროვება, იმათ ხომ რჩენა უნდა?**

– მე არ მგონია, პუტინი მიწების შემგროვებელი იყოს. ეცდება, შეინარჩუნოს ეს იარლიყი, მაგრამ ის არ არის ასეთი არაპრაგმატული. გაზის ევროპაში გამტანი მხოლოდ ტერიტორიების შემოერთებაზე ორიენტირებული არ იქნება. მე მაინც მგონია, რომ როგორც ქართული, ისე უკრაინული კონფლიქტიც დასავლეთთან ანგარიშსწორების ერთ-ერთი საშუალებაა მისთვის. წარმოიდგინეთ, რუსეთს რომ ეს რეაქცია არ ჰქონოდა მაიდანზე, ხომ გადაწყვეტდა მთელი დასავლეთი, რომ მათ გაიმარჯვეს?! და რუსეთის მოსახლეობაც ხომ ჩათვლიდა, რომ პუტინი დამარცხდა?! აი, ეს არ დაუშვა პუტინმა და ამის მიზანი არ არის მიწების შემოერთება. ეს უფრო პოლიტიკური საკითხია, თან როგორც შიდა, ისე გარე პოლიტიკური.

**– მიუხედავად იმისა, რა არის რეალური მოტივი, იმ მიწას რჩენა ხომ მაინც უნდა?**

– ვნახოთ... მე არ მაქვს განცდა, რომ პუტინი აპირებს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის რჩენას. მას უნდა, იპოვოს მარჩენალი და ასეთი ერთადერთი მარჩენალი იმ რეგიონების, არის საქართველო.

**– უკრაინა?**

– უკრაინით უბრალოდ დაანახვა დასავლეთს, რომ შეუძლია დაანგრიოს ქვეყანა, მაგრამ მერე როგორ მოახერხებს ამ სიტუაციიდან გამოსვლას, მგონი, თვითონაც არ იცის.

**ნინო ხაჩიძე**

**ძალიან ლაღი, ბედნიერი და პოზიტიური ადამიანია; იმდენად სავსეა დადებითი ემოციებით, რომ ამას შეხვედრისთანავე გრძნობ და თავადაც მისი ბედნიერების „მონაწილე“ ხდები. სიყვარულით აღსავსე თათია შარანგია ცხოვრების ახალ ეტაპს გადის, თუმცა, მანამდე, სანამ მისი და სანდრო შელიას დიდი სიყვარულის ისტორიას „მიიღებდნენ,“ რთული გზის გავლა მოუხდა. შევარდნაძეების რძლისთვის, ცნობილი ოჯახიდან წამოსვლა და ახალი ცხოვრების დაწყება იოლი არ ყოფილა. დღეს ეს ყველაფერი უკან დარჩა; ნიჭიერი პიანისტი, რომელსაც წარმატებული მუსიკალური კარიერა აქვს, ახალი ეტაპისთვის პროფესიულ კარიერაშიც ემზადება და ტკბება იმით, რაც ყველას სჭირდება ბედნიერებისთვის და რაც მან ცხოვრებისგან მიიღო.**

# როგორ დააბრუნეს თათია შარანგია ყველაზე ძვირფას სამყაროში და რისი გადაწყვეტა დაუჯდა მას ძალიან ძვირად

**თათია შარანგია**: ერთწლიანი ტაიმაუტის შემდეგ ძალიან აქტიურად ვემზადები კონცერტისთვის, რომელიც გაიმართება თბილისში, 3 სექტემბერს, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ჩემი პირადი ცხოვრებიდან გამომდინარე, საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა გამომივიდა. ზუსტად არ გვქონდა გადაწყვეტილი, თბილისში დავრჩებოდით თუ ამერიკაში მოგვიწევდა ცხოვრება, მაგრამ ბავშვების გამო გადავწყვიტეთ, რომ თბილისში ვიცხოვროთ. ისეთი განცდა მაქვს, რომ თავიდან ვიწყებ ყველაფერს და, ამიტომაც, ახლა მთლიანად ვარ გადართული ჩემს პროფესიულ კარიერაზე, რომელიც იქნება ჩემი შემოქმედების ახალი ეტაპი. აქამდე უფრო კონცერტისტი პიანისტის კარიერა მქონდა, ახლა მინდა მონაწილეობა მივიღო პრესტიჟულ კონკურსებში – ჩემთვის ეს ძალიან საინტერესოა. 3 სექტემბერს დაგეგმილი კონცერტი იქნება ორგანყოფილებიანი სოლო კონცერტი. ამასთან ერთად, ჩავწერ ამ კონცერტის დისკს. ძალიან მალე მექნება საინტერესო მასტერკლასი ამერიკაში. ზაფხულში მივდივარ საფრანგეთში, ფესტივალზე. დაგეგმილი მაქვს ძალიან დიდი პროექტი, რომელზეც ჯერ ვერ ვსაუბრობ, რადგან, დეტალები არ არის დაზუსტებული. ამ პროექტის საორგანიზაციო საკითხები დაკავშირებულია ამერიკულ მხარესთან და ამ მოლაპარაკებებში ძალიან აქტიურად არის ჩართული სანდრო, რომელიც დიდ სტიმულს მაძლევს. რა თქმა უნდა, ჩართული იქნება ქართველი, ძალიან წარმატებული პროდიუსერი. ზარმაცი არასდროს ვყოფილვარ, ყოველთვის ბევრს ვმეცადინეობდი, მაგრამ ახლა, რაც ვუყურებ, როგორ შრომობს სანდრო დღე და ღამე, მეც უფრო მეტი სურვილი გამიჩნდა, მაქსიმალურად დავიხარჯო ჩემი საყვარელი პროფესიისთვის. ახლა ყოველდღიურად ვარ ჩართული სამუშაო რეჟიმში, მაქსიმალურად ორგანიზებული და მობილიზებული ვარ საქმეზე, მთლიანად მივუძღვენი თავი ჩემს პროფესიას.



**ოჯახურ პასუხისმგებლობას უფრო მეტად ვგრძნობ. სირთულეებმა, რაც ჩვენ გავიარეთ, გამზარდა**

– **როგორც ჩანს, სანდრომ ბევრი რამ შეცვალა შენს ცხოვრებაში.**

– დიახ, ნამდვილად, სანდრომ ყველაფერი შეცვალა ჩემს ცხოვრებაში და, მხოლოდ პოზიტიურად. ვფიქრობ, რომ იწყება ჩემი ცხოვრების ახალი და საინტერესო ეტაპი. ღმერთის წყალობით, ვარ ძალიან ბედნიერი, სავსე, შინაგანად ძალიან მშვიდი, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს. სანდრომ, თავისი სითბოთი და სიყვარულით ჩემ მიმართ, მთლიანად შეცვალა ჩემ ირგვლივ ყველაფერი. ის ბუნებით მაქსიმალისტია, საკუთარ თავსაც ბევრს სთხოვს და მეც. 18 წლის წავიდა თბილისიდან და, ყველაფერს, რასაც მიაღწია ამერიკაში, მიაღწია თავისი შრომით, რასაც ძალიან ვაფასებ. ძალიან მიყვარს მისი ეს თვისება. სანდროს კარგი მუსიკალური განათლება აქვს. ბავშვობაში თბილისში სწავლობდა მუსიკას, ამერიკაში, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშიც გადიოდა კლასიკური მუსიკის კურსს და, შესაბამისად, კარგად ესმის ჩემი საქმე. როცა თვითონ მუშაობს, იმ დროს კაბინეტში მეც მის გვერდით ვარ და ვმეცადინეობ. ამბობს, რომ ეს ძალიან ეხმარება იდეების მიზიდვაში. ზოგჯერ მგონია, რომ თავის საქმეში ჩართულს, საერთოდ არ ესმის ჩემი, მაგრამ უცებ მეტყვის ხოლმე: „ხომ არ ჯობია, აქ ასე გააკეთო?“ მე მიხარია, რომ, მისი სახით ძალიან კარგი შემფასებელი და გულშემატკივარი მყავს. როცა ცოლ-ქმარს საერთო ინტერესები აქვს, ეს ძალიან კარგია. ჩვენ ერთნაირი ხედვა გვაქვს ბევრ რამეზე და ერთად მივიწევთ წინ. სანდროს ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის: მე შენ, რა თქმა უნდა, შემიყვარდი პიროვნულად, მაგრამ, შემიყვარდი მუსიკასთან ერთადო და ეს დიდი სტიმულია ჩემთვის. ცოტა ხნის წინ „ჯიპაში“ ძალიან მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგებთან შევისწავლე საზოგადოებასთან ურთიერთობა და ღონისძიებების მართვა და ამ მიმართულებამ ძალიან დამაინტერესა. ვფიქრობ, ჩემს პროფესიას დაეხმარება. მაგრამ, ვერასოდეს შეველევი ჩემს პროფესიას და ვერ ვიფიქრებ სხვა საქმიანობაზე. ვგრძნობ, რომ შემოქმედებითი ბუნება მაქვს.

– **როგორ შეეწყვე ცხოვრებას იმ ადამიანთან ერთად, ვისთანაც შენი პირადი ცხოვრების დაკავშირება ძალიან ბევრი სირთულის გადალახვად დაგიჯდა?**

– ეს იყო ჩემი ცხოვრების ურთულესი პერიოდი. მინდა ვუთხრა ყველას, ვისაც ჰგონია, რომ ჩემთვის ადვილი გადასატანი იყო განქორწინება – ასე არ ყოფილა. ეს დამიჯდა ბევრ ტკივილად, გათენებულ ღამედ. მე ძალიან ტრადიციების დამცველ ოჯახში ვარ გაზრდილი. მამაჩემი აფხაზური მენტალიტეტის კაცია და

## ბიჭებს შევარდნაძეების ხასიათის ბევრი თვისება აქვთ

მისთვის იმის გაცნობიერება, რომ მე ლაშას ვშორდებოდი, არ იყო იოლი. როცა სანდრო გავიცანი და მივხვდი, რომ ეს ის სიყვარულია, როგორითაც იშვიათად გვანებივრებს ღმერთი, მომეცა ძალა, ამ თემაზე ოჯახის წევრებს დაველაპარაკებოდი, თუმცა, ჩემმა დამ პირველივე დღიდან იცოდა ყველაფერი და მუდამ ჩემ გვერდით იყო. არასდროს დავუტოვებივარ პრობლემასთან ან სიხარულთან მარტო. დღეს ვგრძნობ, რომ დედას და მამას სანდრო ისე უყვართ, როგორც საკუთარი უფროსი შვილი, როგორც ახლო მეგობარი. სანდროს ჩემი ოჯახის ყველა წევრთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს, ძალიან უყვარს ჩემი და-ძმა – მარი და ლუკა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ ჰარმონიაში ვართ მთელი ოჯახი. მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემი და სანდროს სახელით იმ მეგობრებს, ვინც ჩვენ გვერდით იყვნენ. ის, ვისგანაც თითქოს არ ველოდი, თავდადებული მეგობარი აღმოჩნდა, ის კი, ვისგანაც მეტს ველოდი – სულ სხვა. მე საერთოდ არ მესმის კულისებში მეგობრობის, პირში რომ გეფერებიან და ზურგსუკან ისე იქცევიან, როგორც მეგობრობას არ ეკადრება.

მე დღემდე პატივს ვცემ შევარდნაძეების ოჯახს, მის ყველა წევრს. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, ისიც კი, რასაც როდესლაც ვერ წარმოიდგენდი. არასდროს არაა იოლი, ერთი ხელის მოსმით დაასრულო ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც შენთვის ძვირფასი იყო. იმასაც ამბობდნენ, თითქოს მე შეზღუდული მქონდა თავისუფლება და ეს იყო გაყრის ერთ-ერთი მიზეზი. ეს ასე არ ყოფილა, მე არასდროს მაკლდა თავისუფლება, სადაც საჭირო იყო. მიმაჩნია, რომ, როცა გიყვარს, თავად უნდა შეზღუდო შენი „თავისუფლება“, ამიტომ, ახლა უფრო ვაქცევ საკუთარ თავს ჩარჩოებში და ვუწესებ იმ სტანდარტებს, რასაც ოჯახური თანაცხოვრება მოითხოვს.

ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ძალიან უყვართ ლაშა და მათ ერთმანეთთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვთ. არ მინდა, ცუდად შევეხო იმ წლებს, რომლებიც ლაშასთან მაკავშირებდა. იმ წლებიდან მყავს ყველაზე დიდი განძი და საჩუქარი – ჩემი შვილები. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. იმ წლებშიც იყო ბევრი კარგი რამ ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ, ახლა იმდენად დიდი სიმშვიდე, სიყვარული და ურთიერთგაგება მაქვს ოჯახში, რომ ამით ძალიან ბედნიერი ვარ. მე და სანდროს ერთნაირი შეხედულებები, ცხოვრების ერთნაირი სტილი გვაქვს. ჩვენ ბევრი რამით ვგავართ, თუმცა, ჩვენი ურთიერთობის პირველი ეტაპი არ იყო ადვილი. მხოლოდ ჩვენ ვიცით, რად დაგვიჯდა ჩვენი ერთობა.

ერთხანს ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი მქონდა, საკუთარი თავის ძიება ვცადე სხვა პროფესიაშიც, მაგრამ, არაფერი გამომივიდა. შინაგანმა სიმშვიდემ, რაც მე ახლა მაქვს, არათუ დამაბრუნა ჩემს საყვარელ საქმეში, უფრო მეტი სტიმულიც მომცა. ახლა ძალიან ბედნიერი ვარ: ოჯახი, შვილები, საყვარელი საქმე – ყველაფერი მაქვს, რაც ქალს ბედნიერებისთვის სჭირდება და ამაში სანდროს დიდი დამსახურებაც არის. როცა სიახლის ძიებაში ვიყავი, სანდრო სულ მეუბნებოდა, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველა გზა მუსიკასთან მიგიყვანსო. სულ მუშაობდა ამ საკითხზე, ცდილობდა, ხშირად შევეყვანე კონცერტებზე, რომ მომნატრებოდა სცენა, აპლოდისმენტები და შედეგიც მიიღო. მივხვდი, რომ ეს მართლა ძალიან მაკლდა. შემიძლია, ვთქვა, რომ დამაბრუნა იქ, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია.

– **დღეს როგორი ურთიერთობები გაქვთ შევარდნაძეებთან? როგორც ვიცი, ედუარდ შევარდნაძეს დიდხანს არ უმხელდნენ თქვენი ოჯახის დანგრევას.**

– ეს მეც გამიგია, თუმცა, დეტალები არ ვიცი. ბავშვები დღესაც ხშირად მიდიან ბაბუს სანახავად. ისინი ყოველ შაბათ-კვირას მამასთან ატარებენ.

– **რა თვისებები აქვთ ბიჭებს შევარდნაძეების?**

– ბიჭებს შევარდნაძეების ხასიათის ბევრი თვისება აქვთ. ედუარდს ისეთი მტკიცე ხასიათი და გონება აქვს, მისი ასაკის ბავშვისთვის, ნამდვილად გასაოცარია ალექსანდრე ძალიან ჰგავს გარეგნულად ბაბუას – პაატას. გონებამახვილი ბიჭია. ამბობენ, ედუჩი უფრო ედუარდს ჰგავს გამოხედვითო, თუმცა, მე მაინც მგონია, რომ ის ჩემს ბავშვობას და მამაჩემს ჰგავს ძალიან.

**(გაგრძელება მე-17 გვერდზე)**

# Gino Paradise Tbilisi – გართობისა და დასვენების ახალი სტილი

**Gino Paradise Tbilisi ის ერთადერთი ადგილია,** სხვათა შორის, **არა მხოლოდ თბილისსა და საქართველოში, იმიერსა თუ ამიერკავკასიაში, არამედ – მთელ აღმოსავლეთ ევროპაშიც კი – სადაც წელიწადის დროები არ იგრძნობა** და რელაქსაციისა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებების მიღება ისეთივე წარმატებით შეიძლება ზაფხულში, როგორც ზამთარში, შემოდგომასა თუ გაზაფხულზე.

Gino Paradise Tbilisi – **მრავალფუნქციური აკვა-პარკი – 22 ჰექტარზეა განთავსებული და ერთდროულად შეუძლია, მოემსახუროს ნებისმიერი ასაკის 10 000-მდე ვიზიტორს დღის განმავლობაში**. რაც მთავარია, შეუქმნას სრული კომფორტი, მიანიჭოს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები და შესთავაზოს შეგრძნებების ისეთი სპექტრი, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

**Gino Paradise Tbilisi –ში თქვენ გელით უმაღლესი სტანდარტის ღია და დახურული, სარელაქსაციო და გამაჯანსაღებელი აუზები სხვადასხვა ეგზოტიკური და მოულოდნელი ატრაქციებით;** სხვადასხვა **ფორმისა და არომატის ჯაკუზები როგორც ღია, ისე დახურულ არეალში**. აღმოსავლეთ ევროპაში **ყველაზე სწრაფი და მაღალი – 31-მეტრიანი ტოპოგანით – რომლის დახმარებითაც თქვენ საათში 60 კილომეტრს განავითარებთ და რაც ადრენალინის აქამდე არნახულ მოზღვავებას განგაცდევინებთ**. ასევე, თქვენ გელით **გემი „ჯინო“ – მარილიანი წყლის ჯაკუზით და ბარით გემბანზე, სადაც უალკოჰოლო და ალკოჰოლიან სასმელებს დააგემოვნებთ.**

**Gino Paradise Tbilisi-ს ველნეს და სპა ცენტრში თქვენს განკარგულებაშია 12 სხვადასხვა ტიპის საუნა, არჩევანი თქვენზეა: „რომაული საუნა“** ძველი ელინების მომაჯადოებელი სურნელით აგავსებთ; **„მცენარეული საუნა“** გაზაფხულსა და მზის არომატით დაათრობს თქვენს სხეულს; **„მარილის საუნა“** ტოქსინებისგან გაგათავისუფლებთ; **„ინფრაწითელ საუნაში“** იმავდროულად გაირუჯებით; **„საუნა მელიის სორო“** თავს ზღაპრული სამყაროს პერსონაჟად გაგრძნობინებთ; **„სურნელოვანი საუნა“** სურნელოვანი არომატებით გააჯერებს თქვენს სხეულს, **„მენთოლის საუნა“** გაგარილებთ და ინჰალაციის შეუდარებელ ეფექტს მოახდენს, კლასიკურ **„ფინურ საუნაში“** კი დახვეწილი დიზაინი და თანამედროვე ტექნოლოგიები მოგხიბლავთ. საუნების მოგზაურობიდან შეგრძნებებს **ცივი და თბილი წყლებით სავსე ქვიანი სავალი ბილიკი გაგიმძაფრებთ**. გამოგაფხიზლებთ **შხაპი გაზაფხულის წვიმისა და ჭექა-ქუხილის ეფექტით**, ისევე, როგორც **გამოქვაბული წყაროს ცივი წყლით.** ბოლოს კი, **ტეპიდარიუმში მოისვენებთ – მიღებული შთაბეჭდილებების სრულად აღსაქმელად.**

თქვენს ორგანიზმს კი რეგენერაციაში ალექსანდრე მაკედონელის 24-კარატიანი ოქროს ტახტის ზუსტი ასლი დაეხმარება.




Excellent ზონაში პრივატული „ფინური საუნით“ ისარგებლებთ და ზაფხულის მზის მცხუნვარე სხივებს „ყინულისა და თოვლცვენის ოთახში“ გააგრილებთ.

**კლეოპატრას ოქროთი მოპირკეთებული აბაზანებში** მიიღებთ, შამპანურის, ღვინის, მენთოლის, ყვავილების ან რძის სარელაქსაციო აბაზანას. **ნატურალური ხის ჯაკუზ „ლუდის კათხაში“** შემთბარ ლუდში ინებივრებთ, იქვე კი, თუ ამის სურვილი გექნათ, ცივ ლუდსაც დააგემოვნებთ.

**Gino Paradise Tbilisi სპა-ცენტრში შეგიძლიათ, ჩაიტაროთ ევროპაში აღიარებული ბრენდის – „სტენდერსის“ პროდუქციის პროცედურები:** სარელაქსაციო, არომა და გამაჯანსაღებელი მასაჟი; სხეულის პილინგი და გადახვევა 100-პროცენტიანი ნატურალური პროდუქტებით. ჰიდრომასაჟი, სამასაჟე ოთახები როგორც ინდივიდუალური, ისე წყვილებისათვის, საპნის, ანუ ეგრეთ წოდებული - თურქული მასაჟი. მასაჟის ოთახში კი **Gino Paradise Tbilisi-ს მასაჟის ჯადოსნურხელებიანი ვირტუოზები უამრავი ნაირსახეობის მასაჟს შემოგთავაზებენ, რომელთა ხანგრძლივობა 10 წუთიდან იწყება და ორ საათზე მეტხანს გრძელდება: დამიჯერეთ, ეს აუცილებლად უნდა გამოსცადოთ!**

რაც მთავარია, **Gino Paradise Tbilisi-ს სხვადასხვა ტიპის პაკეტის შეძენა შეგიძლიათ** (ECONOM, STANDART, BUSSINESS, VIP, EXELLENT), **რაც ნებისმიერი შეძლების ადამიანს აძლევს საშუალებას ისარგებლოს ამ გრანდიოზული აკვა-პარკის მომსახურებებით.**

გარდა ზემოჩამოთვლილი მომსახურებებისა, Gino Paradise Tbilisi-ში არაერთი სოციალური თუ გასართობი ღონისძიება გაიმართა.

სიყვარულის დღეს, **დიზაინერ ანუკი არეშიძის ინიციატივითა და Gino Paradise Tbilisi-ს ის ორგანიზებით, ჩატარდა აქცია ონკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებისთვის:** მათ ჯანმრთელობის გასაკაჟებელი პაკეტები საჩუქრად გადაეცათ და ამიერიდან საცურაო აუზითა და გამაჯანსაღებელი ვარჯიშებით უფასოდ შეუძლიათ ისარგებლონ.

**24 აპრილს ხელოვნების სახლის მონაწილეობით, ზალიკო ბერგერისა და ანა ჩანგიანის ორგანიზებით, ახალი საბავშვო კოლექციისთვის ფოტოსესია გაიმართა.** 4 მაისს Gino Paradise Tbilisi-ს **სტუმრები ზალიკო ბერგერის საბავშვო მოდების ჩვენებას დაესწრნენ, გაჯერებულს უამრავი სიურპრიზით როგორც პატარებისთვის, ისე უფროსებისთვის**. ღონისძიება თათია სვანიძემ გააფორმა. ასევე, ჩატარდა კონცერტი, რომელზე დასწრებაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო.

ალბათ, უკვე იცით, რომ **Gino Paradise Tbilisi-ს ყველაზე ცნობილი და პოპულარული პროექტის - „ცეკვავენ ვარკვლავების“ მეოთხე სეზონის ოფიციალური პარტნიორია** და მისი მონაწილეებიც ყოველ კვირას ესტუმრებიან აკვა-პარკს. Gino Paradise Tbilisi პარტნიორებთან ერთად მომავალშიც გაანებივრებს თავის სტუმრებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებებითა და საინტერესო ღონისძიებებით. თქვენ კი გირჩევთ: **ნუ გვენდობით სიტყვაზე, უბრალოდ ეწვიეთ ამ საოცარ ადგილს თბილისის ზღვაზე!**

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: +995 599–88–09–89, +995 322 15–85–85**
**ეწვიეთ ჩვენს ვებ-საიტს www.ginoparadise.ge და „ფეისბუქის“ გვერდს Gino Paradise**

# რა ასაკი ითვლება მოზარდისთვის კრიტიკულად მავნე ჩვევების ჩამოყალიბების თვალსაზრისით და როგორ ურევს მოზარდს ცხოვრებას ვირტუალური სამყაროს ფუჭი განცდები

**მოზარდში მავნე ჩვევბის ჩამოყალიბება ძალიან აქტუალური პრობლემაა. ხშირად, ერთი შეხედვით მარტივი მავნე ჩვევა, შესაძლოა, მოზარდს ისეთ თვისებად ექცეს, რაც მის ცხოვრებას საბედისწეროდ წარმართავს. თუ რა მეთოდით შეიძლება აღმოვფხვრათ მოზარდში მავნე ჩვევები, ამ თემაზე ბავშვთა ფსიქიატრს, სალომე ვაშალომიძეს გავესაუბრეთ.**

**– როგორ ხდება მოზარდებში მავნე ჩვევების ჩამოყალიბება?**

– მოზარდში მავნე ჩვევების ჩამოყალიბება, შესაძლოა, განპიროებებული იყოს რამდენიმე ფაქტორით, მათ შორის უმნიშვნელოვანესია შემთხვევები, როდესაც მშობლები უყურადღებონი არიან ბავშვის მიმართ და ის საკუთარ ნებაზე ჰყავთ მიშვებული; ასევე, ისეთ ბავშვებთან ურთიერთობები, რომლებიც თავად ეტანებიან მავნე ჩვევებს. მავნე ჩვევები უფრო ხშირად აღინიშნება იმ ბავშვებში, რომლებიც განიცდიან მშობლებთან ურთიერთობის დეფიციტს, არ ჰყოფნით მოფერება. როდესაც გვერდით არ არის დედა, რომელიც ბავშვს დაამშვიდებს და ჩაეხუტება, ბავშვი პოულობს სიტუაციიდან გამოსავალს: იწყებს თითის წოვას ან ტუჩის მოკვნეტას, ფანქრის ღრღნას ან ძილში კბილების კრაჭუნს. ეს ჩვევები ათავისუფლებს მას შიშებისგან, ყურადღება გადააქვს სხვა საგანზე და თვითდამშვიდების ერთგვარი საშუალება ხდება ბავშვისათვის. თითოეული მავნე ჩვევის საფუძველი ყოველთვის უნდა ვეძებოთ ფსიქოლოგიაში, ბავშვსა და მშობლებს შორის მტკიცე ემოციური კავშირების არარსებობაში. მაგრამ, ხშირად მშობლები ნაადრევად ტეხენ განგაშს, რადგან, მრავალი მავნე ჩვევა ხშირად დაკავშირებულია ბავშვების ასაკთან, მათი განვითარების განუყოფელი ნაწილია და, შესაბამისად არ უნდა გადავამეტოთ მათი შეფასება და მნიშვნელობა.



**აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება გლობალურ სოციალურ პრობლემად იქცა. დაავადებათა კოდირების საერთაშორისო სისტემაში ამ პათოლოგიას საკუთარი ნომერი – F 63.0 მიენიჭა**

**– რომელი ასაკი ითვლება მოზარდისთვის ყველაზე კრიტიკულად, როცა მან, შესაძლოა, მავნე ჩვევები შეიძინოს?**

– მოზარდისთვის კრიტიკულად ითვლება 10-15 წლის ასაკი – ამ ასაკის ბავშვები უყურებენ სხვებს და უნდათ, თვითონაც ისეთები იყვნენ, როგორიც ყველაა. ამ ასაკში მშობლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შვილებს და არ გამოეპაროთ მოზარდის ქცევის ცვლილებები, ფულის მოთხოვნილების გაჩენა, სწავლაში ჩამორჩენა, ახალი მეგობრების შეძენა, რომლებიც რადიკალურად განსხვავდებიან მისგან და იმათგან, ვისთანაც ადრე მეგობრობდა; ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ბავშვის გონებაგაფანტულობა, გულმავიწყობა, გულგრილობა, განმარტოების სურვილი, გულჩათხრობილობა, მოთენთილობა, ძილის დარღვევა. თუ მშობელი დაკვირვებული და ყურადღებიანია, ეს ცვლილებები არ გამოეპარება და არც იმ მომენტს გაუშვებს ხელიდან, როდესაც ბავშვის შველა შესაძლებელია. ბავშვთა გარკვეულ კატეგორიას აქვს სიზარმაცის, უცენზურო სიტყვების მიმართ მიდრეკილება. ეს არ არის მოუგვარებელი პრობლემა. ფსიქოლოგთა განმარტებით, სიზარმაცის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მოტივაციის უქონლობაა. ბუნებაში ზარმაცი ბავშვები არ არსებობენ. ჯანმრთელი პატარები ადრეული ასაკიდანვე ისწრაფვიან მოძრაობისკენ, დამოუკიდებელი ქმედებებისკენ. პასიურობა და უმოქმედობა, რაც ხშირად მშობლებს სიზარმაცე ჰგონიათ, ბავშვის არაჯანსაღ მდგომარეობას უკავშირდება, ან, მშობლებისა და მასწავლებლების არასწორი მიდგომის შედეგია.

რაც შეეხება უცენზურო სიტყვებს: ბავშვი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაიგონებს უცენზურო სიტყვებს, თუნდაც ოჯახის წევრები მათ არასდროს წარმოთქვამდნენ. შეუძლებელია გარე სამყაროსგან ბავშვის იზოლირება, ქოთნის ყვავილად მისი გადაქცევა. თუ განსაზღვრულ დრომდე ბავშვი სწორედ ასე იზრდება, ძალიან ცუდია, რადგან, ბაღში თუ სკოლაში მისვლისას მას უფრო მეტად გაუჭირდება ახალ პირობებთან ადაპტაცია. უცენზურო სიტყვები კი აუცილებლად მიიპყრობს მის ყურადღებას თუნდაც იმიტომ, რომ ეს მისთვის სიახლეა. თუ ბავშვის ლექსიკონში უცენზური სიტყვებს აღმოაჩენთ მას ნუ შეარცხვენთ, ნუ გაუბრაზდებით და ნუ დასჯით, რადგან ის პატარაა და უცენზურო სიტყვების მნიშვნელობას ვერ ხვდება. ზემოქმედების საუკეთესო მეთოდია ახსნა-განმარტება. ბავშვის ქცევის ჩამოყალიბებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს უფროსებს შორის დაძაბული ურთიერთობა, რთული ოჯახური მდგომარეობა. ხშირად ხდება, რომ ატმოსფეროს განსამუხტავად მშობლები ჯავრს ბავშვზე იყრიან ხოლმე. როდესაც ბავშვებს აკლიათ ოჯახური სითბო, მზრუნველობა და თანაგრძნობა, ერთნი საკუთარ თავში იკეტებიან; გულჩათხრობილები, გაუბედავები, უსუსურები ხდებიან, გამუდმებით შინაგანი განგაშის განცდა, ცუდის მოლოდინი სდევთ თან, მეორენი კი გაღიზიანებულები, აფექტურები, დაბოღმილები, გაბოროტებულები, სასტიკები, კონფლიქტურები არიან, არავის ენდობიან. ორივე შემთხვევაში ბავშვებს ძალიან უჭირთ გარე სამყაროსთან ადაპტაცია.

**– თანამედროვე მოზარდებში დიდ პრობლემად იქცა კომპიუტერული გატაცებები, ისინი ძალიან დიდ დროს უთმობენ კომპიუტერს, რითაც, ალბათ, ხდება მიჯაჭვა ვირტუალურ სამყაროსთან.**

– ვიდეობუმი მოზარდთა ქცევის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით ნეგატიურ როლს ასრულებს. ბავშვის ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს ძალადობის ამსახველი და საშინელებათა ფილმები. ხშირია შემთხვევა, როდესაც ყმაწვილი მოძალადე ვიდეოგმირს კერპად გაიხდის და მას ჰბაძავს. ერთ ისტორიას გავიხსენებ, რაც უკრაინაში სწავლისას მქონდა პრაქტიკაში: პატარა მოთამაშე ბიჭი, რომელიც განუსაზღვრელი დროის განმავლობაში თამაშობდა ძალადობრივი სცენებით გაფორმებულ კომპიუტერულ თამაშებს, იმდენად დამოკიდებული გახდა კომპიუტერზე, რომ სხეულის ფორმა დაკარგა. მას ცხიმების დაგროვებაც დაეწყო, დაკარგა მადა, ინტერესი სწავლისადმი, ხოლო ძალადობას, ანუ, კომპიუტერით ნანახს, უმცროსი ძმის წინააღმდეგ იყენებდა.

კომპიუტერთან თამაში საკმაოდ დიდ გასართობს წარმოადგენს. ამის გამო ხშირია ისტერიკები და მშობლებთან ურთიერთობის სერიოზული გართულებები. ამის ერთადერთი მიზეზი კი, ბავშვთა ფსიქოლოგების აზრით, აზარტი გახლავთ. იმდენად დიდია კომპიუტერული თამაშებისაგან გამოწვეული აზარტი, რომ ის ბავშვის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე მწვავედ ავლენს თავს. აზარტული თამაშისათვის დამახასიათებელია დაუსრულებელი განგრძობადობა: დამარცხებულს სურვილი უჩნდება გამარჯვებისა და ამიტომაც თამაშს ახლიდან იწყებს; გამარჯვებულისათვის კი მნიშვნელოვანია მიღწეული შედეგი გაიმყაროს, რისთვისაც, ამავე თამაშში, სულ ახალ თავგადასავლებს ეძებს. ყველაფერ ამას ისიც ემატება, რომ დღესდღეობით კომპიუტერული თამაშები საკმაოდ მრავალფეროვანი სახით არის წარმოდგენილი. ახლა თავად აზარტის შესახებ ვისაუბროთ. კაზინოებზე, სლოტკლუბებსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება გლობალურ სოციალურ პრობლემად იქცა. დაავადებათა კოდირების საერთაშორისო სისტემაში ამ პათოლოგიას საკუთარი ნომერი - F 63.0 მიენიჭა. დიდი ფულის მოგების სურვილი აზარტული თამაშებისკენ ბევრს უბიძგებს, აქედან კი დამოკიდებულებამდე ერთი ნაბიჯია. აზარტი სულს ვნებათა ნამდვილ ასპარეზად აქცევს. აზარტის დროს ადამიანი სულიერად მთლიანად მოშვებულია, თანაც თავად მოთამაშეს ჰგონია, რომ ის აღნიშნულ მომენტში მაქსიმალურად მიზანდასახული, გონებამოკრებილი და მშვიდია. ამ საშინელ და საშიშ მდგომარეობაში შეიძლება, არათუ არასრულწლოვანი, არამედ ზრდასრული ადამიანი აღმოჩნდეს. კომპიუტერული თამაშებით დაკავებული ბავშვი პოტენციურად იკვალავს გზას აზარტული თამაშებისკენ და, რაც ყველაზე ცუდია, ასეთი ბავშვები საერთოდ შორს არიან რეალური სამყაროდან – ისინი არარსებული სამყაროს მიერ შემოთავაზებული სიცრუითა და ვნებით არიან მოცული. ის თამაშის დროს იმ სამყაროში იწყებს ცხოვრებას, რომელიც რეალურად არ არსებობს. თამაშით გამოწვეულ აზარტს ბავშვი მღელვარებამდე მიჰყავს, ეს მღელვარება კი აბსოლუტურ სიცარიელეში ხვდება. პრინციპში, ამ დროს სწორედ ის ხდება, რაც ტელე თუ ვიდეოფილმების ყურებისას ფიქსირდება: ბავშვის რეალურ ცხოვრებაში არარეალური სამყაროს ფუჭი განცდები იჭრება და სულისათვის სასარგებლო იმ განცდების ადგილს იჭერს, რომელიც აუცილებელია მოზარდის ნორმალური ჩამოყალიბებისთვის. თუმცა, კომპიუტერული თამაშებისა და ფილმების ყურების შედეგად მიღებულ განცდებს შორის მაინც არის ერთი პრინციპული განსხვავება: კომპიუტერული თამაშების სპეციფიკა ადამიანს პასიურ მაყურებლად არ ამყოფებს; ამ შემთხვევაში ხდება მოთამაშის აქტიურ, ქმედით პიროვნებად ქცევა. შესაბამისად, მოთამაშე თამაშისას ცხოვრობს არა რეალურ, არამედ, ილუზიურ სამყაროში. მაგალითად, ორთაბრძოლის ამსახველ ზოგიერთ თამაშში ბავშვი ერთ-ერთ მხარეს განასახიერებს და „მაუსის" ღილაკზე თითის ყოველი დაჭერა მოწინააღმდეგის სულ უფრო მეტ დასახიჩრებასა თუ დაჭრას იწვევს. მოთამაშე ხედავს, თუ როგორ დგება სისხლის გუბე მისი ხელის მოძრაობის კვალობაზე, ამგვარი რამ კი მეორდება ყოველდღე, ასჯერ, ათასჯერ; ბავშვისთვის ეს ყოველივე ჩვეული ხდება და ის ეჩვევა ძალადობას. კომპიუტერის ილუზიურ სამყაროში შემოთავაზებული „იოლად" გადასატანი „დაჭრები" თუ „დასახიჩრებები" ბავშვის გონებაში ადაპტირებას განიცდის.

ბავშვის განვითარებისთვის უმჯობესია ცოცხალი, სპონტანური თამაში – ნერვულ სისტემასა და მოტორულ სფეროზე დადებითად სწორედ ის მოქმედებს, თანაც, სასურველია, ბავშვმა სუფთა ჰაერზე ითამაშოს. ბუნებრივი მასალები (ქვიშა, თიხა, წყალი) ხელს უწყობს წვრილი მოტორიკის განვითარებას, კუნთების კოორდინირებას, დადებითად მოქმედებს მეტყველებაზე, ქმნის დადებით ემოციას, თანაც, ადამიანური ურთიერთობის წესები მხოლოდ ცოცხალი თამაშის დროს, სხვა ბავშვებთან კონტაქტის გზით შეითვისება. ვერც ერთი კომპიუტერი ვერ გადასცემს ბავშვს იმ ემოციურ მუხტს, რასაც ის თანატოლებთან, მშობლებთან, ახლობლებთან ურთიერთობით იღებს.

**– კერპებზე მინდა გკითხოთ, თანამედროვე მოზარდებში ესეც აქტუალური თემაა: უნდა ვებრძოლოთ თუ არა მოზარდებში „კერპების" გაჩენას, თუ ამ გატაცებას არ აქვს ჯანსაღი ფორმა?**

– რა თქმა უნდა, ეს არ არის ჯანმრთელი პროცესი, თუ კერპით გატაცებას აქვს არანორმალური ხასიათი, თუმცა, მოზარდთან „ბრძოლა" ამ თემაზე აბსოლუტურად დაუშვებელია. ასეთი შემთხვევები თითქმის ყველა მოზარდში გვხვდება, მაგრამ, არის გარკვეული ასაკი, რის შემდეგაც ასეთი გატაცება თავისით გაივლის. დღეს ხშირია ნარცისიზმიც – მოზარდები გატაცებულები არიან საკუთარი თავით. ამ პრობლემების მქონე მოზარდებთან პროფესიონალების ჩარევა და მათი დროული დახმარებაა საჭირო.

**თამუნა ჩხენკელი**

# ინტიმური საუბრები

## ჩემს ცოლს და-ძმამ ყველაფერი წაართვა

ცოლი ცოტა გვიან შევირთე. მანჩოც შუათანა შვილი იყო თავისი მშობლების (უფროსი და და უმცროსი ძმა ჰყავს) და მეც. მე და ჩემს და-ძმას დღემდე ისეთი ურთიერთობა გვაქვს, მთელ უბანში, საახლობლოსა და სამეგობროშია სალაპარაკო. ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ, ერთმანეთით ვსუნთქავთ და ვარსებობთ, რაც ჩემს ცოლს ყოველთვის ძალიან უკვირდა (თუმცა, ვაღიარებ, რომ მოსწონდა და თვითონაც კარგად იყო ჩემიანებთან), რადგან, იმავეს თქმა, თავის და-ძმაზე ნამდვილად არ შეეძლო. მისი უფროსი და, ნუცა, ძალიან თავისებური ქალია – ოფიციალური, უემოციო. ყოველთვის ისე ეჭირა თავი, ზედმეტად ტელეფონით დარეკვასაც კი ვერ გაუბედავდი, არათუ თანადგომას ან დახმარების თხოვნას. სხვათა შორის, თვითონაც არ იცოდა ხშირად შეწუხება, მაგრამ, თუ რამე დასჭირდებოდა, ისე ახერხებდა თქმას, აქეთ გაგიხარდებოდა, ოღონდ კი მისთვის რამე გაგეკეთებინა. შვილებიც ასეთები გაზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი და მისი შვილები თითქმის თანატოლები იყვნენ და ერთ სკოლაშიც სწავლობდნენ, დეიდაშვილებს პრაქტიკულად, არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდათ ერთმანეთთან. ჩვენც, ძირითადად, მხოლოდ ნათესავების ქორწილებში ან პანაშვიდებზე თუ ვხვდებოდით ხოლმე და მაშინაც არაფერი გვქონდა სალაპარაკო. რაც შეეხება უმცროს ძმას, ის ჩემი და მანჩოს დაქორწინებიდან ორ წელიწადში, გერმანიაში წავიდა სამუშაოდ, მერე იქაური ქალი შეირთო ცოლად და თითქმის ოცი წლის განმავლობაში სამჯერ თუ ოთხჯერ ჩამოვიდა საქართველოში. ჩვენ რომ არ ვენატრებოდით, ასე თუ ისე გასაგები იყო, მაგრამ, უკვე მოხუც მშობლებს, რომლებიც პენსიის ამარა არიან დარჩენილები, ახალგაზრდა კაცმა ყურადღება არ უნდა მიაქციოს? მით უმეტეს, რომ ჩემს სიდედრსაც და სიმამრსაც სიცოცხლის ბოლომდე მასზე ამოსდიოდათ მზე.

ისე მოხდა, რომ მანჩოს მშობლებმა თითქმის სამ-სამი წელი იავადმყოფეს (ლოგინად იყვნენ), თან, ასაკის გამო ორივეს საშინელი სკლეროზი ჰქონდა, პლუს, ჩემმა სიდედრმა ლოგინში ფეხი მოიტეხა და, მოგეხსენებათ, როგორია ასეთი მოხუცების მოვლა, მით უფრო, როცა არ გაქვს სტაბილური შემოსავალი (ჩემი სამსახური დაიხურა, მანჩო კი ნახევარ განაკვეთზე გადაიყვანეს) და ორი სტუდენტრი შვილიც სარჩენი გვყავს. ისე აეწყო, რომ რადგან ჩემმა ცოლმა ითავა მშობლების მოვლა, მისმა დამ, რომ იტყვიან, ხელები დაიბანა, დედ-მამის სანახავადაც კი არ კადრულობდა მოსვლას, აღარაფერს ვამბობ მატერიალურ დახმარებაზე. სხვისი ქონება არასდროს დამითვლია, მაგრამ, ნუცა ძალიან კარგად ცხოვრობდა – მის ქმარს საკმაოდ წარმატებული ბიზნესი ჰქონდა და ცოლშვილს ხელისგულზე ატარებდა, იმ დონეზე, რომ თვეში ერთხელ ხან სად მიემგზავრებოდნენ კრუიზით და ხან – სად. საწყალ მოხუცებს ენატრებოდათ, მაგრამ, ძალიან „დაკავებული იყო“ და მეზობელი კვარტლიდან ვერ ახერხებდა მათ ნახვას, მიუხედავად იმისა, რომ ბინაც და მისი ქმრის ბიზნესის წამოწყებაც, მთლიანად ჩემი სიდედრის დამსახურება გახლდათ: უფროს ქალიშვილს თავისი მშობლების ბინა აჩუქა და სიძეს საკმაოდ დიდი თანხა მისცა საქმის დასაწყებად. რაც შეეხება ძმას, სულ რამდენჯერმე გამოუგზავნა მშობლებს ას-ასი ევრო და ამით ამოწურა შვილის მოვალეობის შესრულება. ისე ვუარეთ მოხუცებს მე და მანჩომ წლების განმავლობაში, ერთხელ არ დაურეკავს არც ერთს და არ უკითხავს, როგორ არიანო. მაგრამ, გარდაიცვალნენ თუ არა, ჯერ ნუცამ აგვიტალახა სახლის კარი, შემდეგ კი ის ვაჟბატონიც ჩამოვიდა და მშობლებისეულ ბინაზე ორივემ პრეტენზია განაცხადა. მთავარი კი ის არის, რომ ნუცას დედ-მამის მიცემული ბინის გარდა, კიდევ სამი ბინა აქვს თბილისის ცენტრში, ვახო კი (ძმა) საერთოდ აღარ აპირებს საქართველოში დაბრუნებას. მაგრამ, წილი მაინც უნდა (თუმცა, ოროთახიანი ბინა მასაც უყიდა მამამისმა თავის დროზე, რომელიც მერე ვალების გამო გაყიდა). მოკლედ, მოვიდნენ ჩვენთან ნუცა და ვახო, დასხდნენ, მოილაპარაკეს და დაადგინეს: ავეჯი (რომელიც არაფრად აღარ ვარგა) – მანჩოს, ბინა კი უნდა გაყიდონ და ფული თვითონ გაიყონ, ან, ორ ერთოთახიან ბინაზე გადაცვალონ.

ყველაზე საოცარი კი ამ ისტორიაში ის არის, რომ, წილის მოთხოვნის დროს ნუცამ განაცხადა, მე ყველაზე მეტი მეკუთვნის, რადგან, თამარა დედაჩემი არ იყო, მე მამაჩემის მოყოლილი შვილი ვარო. მანჩოსაც და ვახოსაც პირი დარჩათ ღია – არც ერთმა არ იცოდა, რომ ნუცა მათთვის ნახევარდა იყო. არადა, საწყალი თამარა ისე ანებივრებდა, მანჩომ თქვა, მთელი ბავშვობა ვეჭვიანობდი, დედაჩემს ნუცა ჩვენზე მეტად უყვარდაო. სწორედ იმ დღეს „გამოგვიტყდა“ ნუცა, რატომაც არ მოდიოდა თამარას სანახავად – დედაჩემი არ იყო და მე რატომ უნდა მიმეხედაო. საწყალი თამარა, დედისგან მიტოვებული ბავშვი საკუთარი შვილივით გაზარდა, ამან კი ერთხელ სანახავად მოსვლაც არ იკადრა; სამაგიეროდ, მისი სამკაულები მთლიანად თვითონ წაიღო და მისი ბინიდან ნახევარი წილი მოითხოვა. მანჩო კი ვითომ არც ყოფილა თავისი მშობლების შვილი, ისიც კი არ უკითხავს, არც დას და არც ძმას, ლოგინად ჩავარდნილი ორი მოხუცის მოვლასა და რჩენას რით ახერხებდითო.

**ნუგზარი, 51 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

---

## როგორ დააბრუნეს თათია შარანგია ყველაზე ძვირფას სამყაროში და რისი გადაწყვეტა დაუჯდა მას ძალიან ძვირად

(მე-14 გვერდიდან)

**– სანდრო შეელია ამერიკულ კარიერას? გადმოიბირეთ თბილისში?**

– სანდრო ძალიან დიდხანს მუშაობდა ამერიკაში. ის სისტემა, რომლითაც მუშაობს ამერიკის ეროვნული სტანდარტების ინსტიტუტი, მთლიანად სანდროს შექმნილია. როდესაც მას გადასცეს ჯილდო ინსტიტუტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, იმ ღონისძიებაზე მივხვდი, რომ სანდროს იქიდან მთლიანად წამოსვლა გუნდისთვის ძალიან მძიმე იქნებოდა. სანდრო კონტრაქტით დარჩა ინსტიტუტში და ზოგჯერ დისტანციურად, თბილისიდან აგვარებს საქმეებს. ფენომენალური გონების ადამიანია, სხვა განზომილების გონება აქვს და ერთდროულად ბევრ რამეს აკეთებს. როცა საჭიროა, რომ ფიზიკურად ესწრებოდეს მნიშვნელოვან შეხვედრებს, ჩვენ ამერიკაში გვიწევს წასვლა. მისთვის არ იყო იოლი ამერიკაში აწყობილი საქმის, ბავშვის, დედის, მეგობრების დატოვება და აქეთ გადმოსვლა, ეს იყო მისი კეთილი ნება და ეს „მსხვერპლი“ გაიღო ჩვენი სიყვარულისთვის. თბილისში აქტიური მუშაობა დაიწყო – ის უძღვება პროექტს, რაც მოიცავს რეფორმებს უმაღლესი სასწავლებლების, პროფესიული სასწავლებლებისა და სხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციებთან დაკავშირებით. ეს საინტერესო და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმეა. იმდენ რამეს აკეთებს ერთდროულად, ბოლო დროს ერთად ყოფნის ხანგრძლივობა გამოზომილი და შეზღუდული გვაქვს, თუმცა, სალამოებს სულ ერთად ვატარებთ. პარასკევი ახლო მეგობრებისთვის გვაქვს და გართობის დღეა ჩვენთვის, შაბათ-კვირა კი მხოლოდ ჩვენია, ეს ორი დღე მარტო ჩვენ გვეკუთვნის ***(იცინის).***

**– კარიერაში ჩართული ცოლ-ქმარი ბავშვის გაჩენას არ გეგმავთ?**

– დიახ, ვგეგმავთ. არ ვფიქრობთ, რომ შვილი შეგვიშლის ხელს კარიერაში ან მე ან – სანდროს. ძალიან გვინდა პატარა გოგო, რადგან, სამი ბიჭი გვყავს. ბავშვებიც უფრო გოგოსკენ იხრებიან, ასე რომ, პატარა პრინცესა ნამდვილად სჭირდება ჩვენს ოჯახს. სანდროს შვილი, დათო იყო ჩვენთან სტუმრად ჩამოსული. ძალიან საყვარელი ბიჭია, ამ ზაფხულსაც გვესტუმრება. სანდროს ფანტასტიკური ურთიერთობა აქვს ედუჩისთან და ალექსანდრესთან. მათ მუდმივად უკითხავს წიგნებს, ერთად თამაშობენ გონების განსავითარებელი კონსტრუქტორებით. ძალიან მწყდებოდა გული, როცა ამბობდნენ, თითქოს ამერიკაში გადასვლას და ბავშვების დატოვებას ვაპირებდი. ეს არასდროს ყოფილა სიმართლე. ორ კვირაზე მეტი ბავშვები არასდროს დამიტოვებია, ახლა კი ის ორი კვირაც ისე ბევრია ჩემთვის, რომ ამდენ ხანსაც ველარ ვტოვებ მათ. სანდრო მიხვდა, რომ ბავშვების გარეშე სრულფასოვანი ვერ ვიქნებოდი, ცხოვრება ძალიან გამიჭირდებოდა და თვითონ გააკეთა ის არჩევანი, რაც უნდა გაეკეთებინა. ამ თემაზე მასთან საუბარიც კი არ აღმოჩნდა საჭირო, ისე მიხვდა ჩემს ტკივილს.

ამბობენ, ოჯახი ტრანსფორმაციას განიცდისო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ჩვენ იმდენ ხანს ვიცხოვრეთ ცალ-ცალკე და იმდენ ხანს გვენატრებოდა ერთმანეთი, რომ ჩვენი სიყვარული ტრანსფორმაციის ეტაპებს არ გადის. ეს ორივეს დამსახურებაა, მაგრამ, ალბათ, უფრო სანდროსი. ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო რომანტიკული ხდება – ახლაც ვაკეთებთ ერთმანეთისთვის საოცარ რამეებს. სულ ერთად ვართ, ყველგან ერთად მივფრინავთ. იმდენი სირთულე გავიარეთ ერთად, მაშინ ვთქვი, რომ ჩვენ არასდროს ვიქნებოდით ცალ-ცალკე და ამას ვახერხებთ კიდეც. რითაც შეგვიძლია, ყველაფრით ვაფერადებთ ჩვენს ურთიერთობას. ბავშვობაში ხშირად ვმარხულობდი, მერე ცოტა გავზარმაცდი. ახლა კი, წლების შემდეგ, პირველად დავიცავი დიდმარხვა. მაშინ გავაცნობიერე, რომ ძალიან მინდა, რომ ჩვენი ოჯახი იყოს შეკრული და ახლოს ვიყოთ ღმერთთან. ოჯახურ პასუხისმგებლობას უფრო მეტად ვგრძნობ. სირთულეებმა, რაც ჩვენ გავიარეთ, გამზარდა და ბევრი რამ დამანახვა სხვანაირად. გავიგე ოჯახური ბედნიერების ფასი და უფრო მეტად დავკანკალებ ამ ურთიერთობას, რომ ყველაფერი იყოს ძალიან კარგად. მაქსიმალურად ვცდილობ, ხელი შევუწყო სანდროს, რომ საქმისგან არ მოცდეს. იმის მიუხედავად, რომ არ მაქვს პრობლემა, სანდროსთვის სადილი იმ ადამიანებმა გააკეთონ, ვინც საოჯახო საქმეში მეხმარებიან, სულ ვცდილობ, რომ მე თვითონ მოვუმზადო რამე. მომწონს, როცა მასზე ვზრუნავ. იმის მიუხედავად, რომ ჩემთვის ადრე ადგომა ტრაგედიაა, დილით, რაც არ უნდა ადრე გადიოდეს სანდრო სახლიდან, მე უნდა მივაცილო კარამდე. ეს, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია, მაგრამ, ესეც კი ოჯახური ბედნიერების „ფასში“ შედის ***(იცინის).***

**თამუნა სამადაშვილი**

**ჩვენი რესპონდენტები, დედა-შვილი – ია და ნინო ნინიძეები არიან. ორი მსახიობი ერთ ოჯახში თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს და ერთმანეთის სწორ შეფასებას სულაც არ არიდებენ თავს. ია ნინიძის პოპულარობა ბავშვობიდანვე დაიწყო. ის ოჯახში პირველი მსახიობი იყო. რაც შეეხება ნინოს, მართალია, მან პროფესიად მსახიობობა აირჩია, თუმცა ამაში დედა არ ჩარეულა და შვილის წარმატებული კარიერისთვის არასდროს უაქტიურია. ნინოს კინოკარიერა 17 წლის ასაკში დაიწყო და დღემდე 7 ფილმშია გადაღებული. რამდენიმე დღით დედასთან ერთად თბილისში იმყოფება და რა თქმა უნდა, ჩვენც, ოჯახური ინტერვიუს ჩაწერა ვამჯობინეთ. შეხვედრის მიზეზი პროექტი „ორი ვარსკვლავი" იყო, რომლის ჟიურის წევრობას ია ნინიძე სიამოვნებით დათანხმდა.**

# რას უმალავდა ია ნინიძე საკუთარ ქალიშვილს და რატომ არ მიუძღვის მას წვლილი ქალიშვილის წარმატებულ კარიერაში

**– ქართველ მაყურებელს უყვარხართ და ყოველთვის უხარია თქვენი გამოჩენა. ამ ეტაპზე საქართველოში თქვენი ვიზიტი პროექტს „ორი ვარსკვლავი" უკავშირდება. ჟიურის წევრი ხართ და შესაბამისად, მონაწილეების შეფასება გიწევთ.**

**ია ნინიძე**: შეიძლება, როგორც ჟიურის წევრი ცოტას ვლაპარაკობ, მაგრამ ხალხის გულის მოსაგებად არასდროს არაფერი მიკეთებია. ვაკეთებ მხოლოდ იმას, რასაც სული და გული მკარნახობს.

**– ნინო, შენ როგორ შეაფასებ დედას, ჟიურის წევრის ამპლუაში?**

**ნინო ნინიძე**: ძალიან კარგად ვიცი, როგორი შეფასების გაკეთებაც შეუძლია დედას, ამიტომაც ვხედავ, როგორ იკავებს თავს. იცის, რომ ყველა კონკურსანტი ძალიან ნერვიულობს და არ უნდა, რომელიმეს გული ატკინოს. ცდილობს, კონკრეტულად და თბილად უთხრას თავისი სათქმელი.

**ია**: ისეთ შოუს გავაკეთებ, რომ მინდოდეს, არც დაესიზმრებათ, მაგრამ ძალიან თავშეკავებული ვარ. ჩემი აზრით, შეურაცხყოფის მიყენება არ შეიძლება, სათქმელი რბილად და იუმორში უნდა იყოს ნათქვამი. ეს ნიჭი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ. სხვას კი არ უნდა მიბაძო, ინდივიდუალური უნდა იყო. არავის კრიტიკა არ მინდა და არც გავაკრიტიკებ.

**– ადვილად დათანხმდით პროექტში მონაწილეობას?**

– ძალიან გამიხარდა, აგერ მყავს მოწმე ნინოს სახით. მოსკოვშიც მთავაზობდნენ ადრე სხვადასხვა პროექტში მონაწილეობას, მაგრამ უარს ვამბობდი, რადგან ფილმებში მიღებდნენ და დრო არ მქონდა. როცა „ორი ვარსკვლავიდან" მივიღე შემოთავაზება, თავისუფალი პერიოდი მქონდა და სიამოვნებით დავთანხმდი. ვიფიქრე, რატომაც არა, ჩემს ხალხს თუ წავადგები-მეთქი.

**– პროექტის ბოლომდე თბილისში იქნებით თუ დროგამოშვებით მოსკოვში წახვალთ?**

– შიგადაშიგ წავალთ ხოლმე. ნინოს გადაღება ჰქონდა, დრო გამოუჩნდა რამდენიმე დღით და ჩამოვიდა, მერე ისევ ფილმის გადაღებებზე ბრუნდება. მეც ვიყავი მოსკოვში წასული, ფილმის გადაღება მქონდა და ერთად ჩამოვედით.

**– ნინო, შენ როდის ბრუნდები უკან?**

**ნინო**: უნდა დამირეკონ და გადაღების ზუსტი თარიღი მითხრან. ფილმის გადაღებებს ბულგარეთში ვაგრძელებთ და ზუსტად არ ვიცი, როდის დაიწყება.

**– ნინო, უკვე ძალიან წარმატებული, პოპულარული მსახიობი ხარ და არაერთ ფილმში გაქვს მონაწილეობა მიღებული. აღსანიშნავია ისიც, რომ პოპულარული გახდი, არა როგორც ია ნინიძის შვილი, არამედ როგორც ნინო ნინიძე.**

**ია**: ერთი რამ მინდა გითხრათ. მე ნინოს პროფესიაში არც ერთი წუთით არ ჩავრეულვარ და დახმარება არ გამიწევია. უფრო მეტიც, ნინო თვითონ არ დაუშვებს ამას. თავიდანვე მითხრა, „ვგიკში" პირველ წელსვე რომც ვერ მოვხვდე, მაინც ვცდი და მერე მაინც ჩავაბარებ აუცილებლადო. იმიტომ კი არა, რომ ჩემი შვილია, მაგრამ ნინო პატარა რომ იყო იქიდანვე ვგრძნობდი, მისგან კარგი მსახიობი რომ გამოვიდოდა.

**ნინო**: მსახიობობა ჩემთვის ძალიან საყვარელი პროფესიაა. ორი დღის წინ პიტერში მქონდა გადაღება. რამდენიმე დღით ჩამოვედი და უკვე მომენატრა გადაღებები. ერთი სული მაქვს, როდის წავალ. ჩემთვის მსახიობის პროფესია ძალიან სერიოზულია. რადგან მსახიობობა ავირჩიე, ბოლომდე უნდა დავიხარჯო და ვიცხოვრო ამით. იმდენად ჰარმონიაში ვარ ჩემს ცხოვრებასთან და პროფესიასთან, რომ თავს ბედნიერად ვგრძნობ.

**– როგორ დაიწყო შენი კინოკარიერა?**

– როცა „ვგიკში" ჩავაბარე, პირველი კურსის ბოლოს, სინჯებზე მიმიწვიეს. ფილმს რეჟისორი მურად იბრაგიმბეგოვი იღებდა. მისი ვინაობა რომ გავიგე, დამაინტერესა და მაშინვე ინტერნეტში შევძვერი. უამრავი



ია: „ისეთ შოუს გავაკეთებ, რომ მინდოდეს, არც დაესიზმრებათ, მაგრამ ძალიან თავშეკავებული ვარ"

ფოტო ვნახე, სადაც ხელში სხვადასხვა ცნობილი ჯილდო ეჭირა. ამ დროს მე ვიყავი 17 წლის, ბრეკეტებით კბილებზე. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასეთი წარმატებული რეჟისორი იმ დროს როლზე დამამტკიცებდა. ძალიან მშვიდად მივედი სინჯებზე და ასევე, მშვიდად წამოვედი. ერთი კვირის შემდეგ, თვითონ რეჟისორმა დამირეკა და მითხრა: აბა, დავიწყოთ ერთად მუშაობაო? ვერც კი წარმოვიდგენდი რომ მთავარ როლზე დამამტკიცებდნენ. მეამაყება, რომ ორ ძალიან კარგ და ცნობილ მსახიობთან ერთად ვთამაშობ ამ ფილმში. ესენი არიან – სერგეი ბუსკიპალისი და ჟენია ციგანოვი. ამ ფილმით ფესტივალზე ორი პრიზი ავიღე – ერთი ქალის საუკეთესო როლის შესრულებისთვის, მეორე კი საუკეთესო დებიუტისთვის. ამის მერე, ეგრევე ამიყვანეს მეორე ფილმზე, მერე მესამეზე და ასე წავიდა და წავიდა.

**ია**: ამ ფილმში მეც მაქვს პატარა როლი, ნინიკოს სიბერეს ვთამაშობ.

**ნინო**: თავიდან მე უნდა მეთამაშა ეს როლიც, მაგრამ მაშინ 17 წლის ვიყავი და ვერანაირი გრიმით ვერ დამაბერეს. დაიწყეს ფიქრი, ვინ აეყვანათ ამ როლზე. ჩემთვის ჩუმად ვიჯექი და ვისმენდი მათ საუბარს. ბოლოს მოკრძალებულად ვუთხარი, მე ხომ დედა მსახიობი მყავს-მეთქი. პირველი კითხვა იყო, რას ამბობ, ითამაშებს ასეთ პატარა როლსო? რა თქმა უნდა, იცოდნენ, ია ნინიძე რომ დედაჩემი იყო, მაგრამ თითქოს ვერ შემომკადრეს მისი კანდიდატურა. დედას რომ დავურეკე და ვკითხე, შეეძლო თუ არა ჩემი სიბერე ეთამაშა, მიპასუხა, რა იყო შვილო, დედას სამსახური უშოვეო?

**– ანუ, ეს ის ფილმია, რომელშიც ორი პრიზი მიიღე?**

– კი.

**ია**: ფესტივალის ორგანიზატორებმა დამირეკეს და საიდუმლოდ მითხრეს, რომ ნინო ქალის საუკეთესო როლის შესრულებისთვის უნდა დაეჯილდოებინათ. თან, მისთვის ეს არ უნდა მეთქვა. დიდად არ უყვარს ნინოს ფესტივალებზე სიარული და ამიტომ, რა არ მოვიგონე, რომ წასვლაზე დამეთანხმებინა.

**ნინო**: სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები დააჯილდოვეს და ჯერი ქალის საუკეთესო როლის დასახელებაზე დადგა. ამ დროს აცხადებენ: ახლა კი სცენაზე ვიწვევთ მსახიობს, რომელიც ჯილდოს გადასცემს ქალის საუკეთესო როლის შემსრულებელსო და ვხედავ, დედა გამოვიდა სცენაზე. დედამ იმღერა. მერე კი იტალიელმა გოგონამ კონვერტი გახსნა და ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადა. მართლა გაოგნებული დავრჩი და სიტყვებს ვერ ვპოულობდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა. კი ვფიქრობდი სიმღერის დროს რატომ აუჩუყდა დედას გული და ასეთი გრძნობით რატომ მღერის-მეთქი. თურმე, რა ხდებოდა.

**ია**: ლამის ცრემლები წამომივიდა სიმღერის დროს.

**– ნინო, ქართული ფილმიდან არასდროს გქონია მოწვევა?**

**ნინო:** ვითამაშე ალეკო ცაბაძის სერიალში, სადაც ჩემი მშობლები არიან ნატო მურვანიძე და ნიკა თავაძე. ფილმი კიევში უკვე გამოვიდა. ახლა კი პირელი არხისთვის ვიღებთ ფილმს „ტრიუკაჩი" სადაც ქართველ გოგონას, ნინოს ვთამაშობ. ფილმი, სავარაუდოდ, ოქტომბერში გამოვა.

**– ეს მერამდენე ფილმია შენი მონაწილეობით?**

– მეშვიდე.

**– ქალბატონო ია, უამრავი გულშემატკივარი გყავთ და როცა ისინი თავის საყვარელ მსახიობს ხვდებიან, თუნდაც ქუჩაში, სითბოსა და სიყვარულს გამოხატავენ.**

**ია**: აქაც მეფერებიან, იქაც მეფერებიან, მაგრამ საქართველოში, მაინც განსაკუთრებით. ხშირად უთქვამთ, ძალიან გვიყვარხარ, ძალიან ტკბილი და საყვარელი ხარო. მადლობა მათ დიდი სიყვარულისთვის. ყველას ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებ. ასევე, ბევრი საინტერესო ფილმის ნახვას, სადაც ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას.

**მარიკა ხიდურელი**

**დინი – ამ ლამაზი სახელის უკან ლამაზი, შარმიანი ქალის და კარგი ჯაზშემსრულებლის თავისებურად საინტერესო ცხოვრების ისტორია დგას. როგორ შემოიჭრა მის ცხოვრებაში მუსიკა, როგორ იღებდნენ ფილმებში, როდის იდგა პოდიუმზე, რა სპორტული გატაცებები აქვს, ვინ იყო მისი ცხოვრების თანამგზავრი და როგორ დაკარგა ის, როგორ უმკლავდება ტკივილიან ემოციებს ინსტრუმენტთან სცენაზე თუ სცენის მიღმა, ამაზე ჩვენი რესპონდენტი თავად ისაუბრებს, რომლის ინტერვიუებითაც არ არის განებივრებული ჩვენი საზოგადოება.**

# როგორ იპოვა და დაკარგა ნამდვილი ბედნიერება დინი ვირსალაძემ

**– დინი, გაიხსენეთ როგორ დაიწყეთ დაკვრა, ვინ, ან რამ იქონია თქვენზე გავლენა?**

– მუსიკა ჩემში ძალიან ბუნებრივად შემოვიდა – დედა, მამა, ბიძა, ოჯახის ყველა წევრი ყოველთვის უსმენდა და უსმენს კარგ მუსიკას. და ამიტომ, ეს პროცესი თავისთავად განვითარდა – ინსტრუმენტთან 5 წლის ასაკში აღმოვჩნდი. ბიძაჩემი, კობა ჯიჯიხია ახალგაზრდობაში საქართველოს კალათბურთის ნაკრებში თამაშობდა, ძალიან მუსიკალური ადამიანი გახლდათ და ჯაზის ფირფიტების საოცარი კოლექცია ჰქონდა. ბებიასთან ხშირად მივდიოდი, სადაც ბიძაჩემი ცხოვრობდა და მან მიმაჩვია კარგი მუსიკის მოსმენას. დედა მუსიკოსია, მამა – ექიმი, მაგრამ მამასაც ძალიან უყვარს მუსიკა, კარგადაც უკრავს. მყავს უმცროსი და, ისიც მუსიკოსია – კომპოზიტორი.

**– თქვენ არა მხოლოდ კარგად უკრავთ, კარგად ხატავთ კიდეც, მისდევთ სპორტს, მსახიობიც ხართ. დარჩა რამე, რაც არ გიტაცებთ?**

– არა, ხატვა საკმაოდ გვიან დავიწყე, კონსერვატორია რომ დავამთავრე მაშინ. 12 პერსონალური გამოფენა მქონდა ფერწერული ნამუშევრების, ფილმებშიც იმ პერიოდში მიღებდნენ. გადაღებული ვარ შაქრო ჯორჯაძის, ნოდარ ომიაძის, სერგო ფარაჯანოვის, ამირან (პაკო) სვიმონიშვილის ფილმებში. რაც შეეხება სპორტს, ის ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაწილია. ცურვის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, ჩემი რეჟიმის აუცილებელი ატრიბუტია. ასევე, ძალიან მიყვარს სამთო-სათხილამურო სპორტი. როცა დრო მაქვს, გუდაურში ავდივარ და ვსრიალებ. მიყვარს სამზარეულოც, ამ ბოლო დროს ხშირად ვაცხობ ხაჭაპურს... შემიძლია, ექსკლუზიურად გითხრათ, რომ რაღაც პერიოდი მოდელად ვმუშაობდი მაკა ნაცვლიშვილის სტუდია „ნოემაში,” ასე რომ, პოდიუმზეც ბევრჯერ გამოვსულვარ. დამაინტერესა იცით? ვფიქრობდი, როგორი ვიქნებოდი ამა თუ იმ კაბაში. ძალიან მომეწონა ეს ყველაფერი, მაგრამ სულ ერთი წელი ვიმუშავე მოდელად.

**– პრინციპში, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, თქვენი აღნაგობიდან გამომდინარე.**

– სხვათა შორის, იმ პერიოდში ვისწავლე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით სიარული. მანამდე არასოდეს ჩამიცვამს. ახლა, 14–15-სანტიმეტრიანი ქუსლებით თავისუფლად შემიძლია ვირბინო. ეს კარგია, ქალს უხდება, მით უმეტეს, სცენაზე. თუმცა, ისედაც ძალიან მაღალი ვარ – 179 სანტიმეტრი. კარგი პერიოდი იყო, მაგრამ ის შეგრძნება არ მტოვებდა, რომ ვცდებოდი, ამით ჩემს სპეციალობას ბევრს ვაკლებდი.

**– მინდა, თქვენი ცხოვრების კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი პერიოდი გაიხსენოთ – ჯარჯი მაღალაშვილი, ასევე ცნობილი და კარგი მუსიკოსი.**

– მე და ჯარჯიმ ერთად 22 წელიწადი ვიცხოვრეთ. ეს ნამდვილად ძვირფასი პერიოდია. საუბედუროდ, ჯარჯი ოთხი წელია, აღარ არის. მოულოდნელად, ძალიან ცუდი დაავადება აღმოაჩნდა. დიაგნოზის დადგენიდან ერთ კვირაში გარდაიცვალა. საერთოდ, ჩემს განცდებზე არასდროს არავისთან ვსაუბრობ. არ მიყვარს პირადზე საუბარი. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ერთმანეთი მუსიკამ შეგვახვედრა. ერთად ვმუშაობდით ხელოვნების სკოლაში, მუსიკალურ თეატრ-სტუდიაში, სადაც საბავშვო მიუზიკლები იდგმებოდა. ჩვენ ორ როიალზე გვიწევდა დაკვრა. ნელ-ნელა დავახლოვდით. ბევრი კარგი მიუზიკლი აქვს დაწერილი. დაწერა მიუზიკლი „თეთრი ცხენი”. ამ სპექტაკლით ამერიკაში წავიდა გასტროლებზე. რამდენიმე სერიალის მუსიკაც აქვს დაწერილი. ლევან ერისთავის სერიალისთვის „თენდება გვიან”, რუსთაველის თეატრისა და სხვა თეატრებისთვის სპექტაკლებს აფორმებდა. ორი ხელოვანის ერთად ყოფნა, როგორც წესი, ძალიან რთულია. ჩვენ შემთხვევაში კი, კარგი თანხვედრა მოხდა, ერთმანეთს ვუგებდით. ის ჩემთვის ნამდვილი მეორე ნახევარი და ყველაზე ახლო მეგობარი იყო. ბევრ რამეზე ერთნაირად ვფიქრობდით. პირველი ჩემი მსმენელი ჯარჯი იყო, მისი კი – მე. ძალიან კულტურული, ბრძენი ადამიანი გახლდათ. საოცარი იუმორი ჰქონდა. ცდილობდა, ყველაფრისთვის იუმორით შეეხედა.



ერთმანეთთან ურთიერთობა ორივეს დიდ კომფორტს გვიქმნიდა

**სცენაზე გამოსვლისას რაღაც მავთულს გამოვედე და კინაღამ წავიქეცი. წონასწორობა ძლივს შევინარჩუნე, რომ არ დავეცი, რის გამოც, ძალიან მაგარი აპლოდისმენტები მივიღე**

**– ექვიანი არ იყო?**

– პირიქით, მეუბნებოდა, უნდა მოსინჯო, მოდელიც უნდა იყო და კინოშიც გადაგიღონო... ყველაფერი მოსწონდა, რასაც ვაკეთებდი და მხარს მიბამდა. ერთმანეთთან ურთიერთობით ორივეს დიდი კომფორტი გვქონდა.

**– მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. როდესაც რაღაც ისეთი ხდება თქვენს ცხოვრებაში, რაიმე პრობლემა იჩენს თავს, ან უბრალოდ ხასიათზე არ ხართ, ეს თუ აისახება თქვენს გამოსვლებზე?**

– მშვიდი ნამდვილად არ ვარ, ასე მხოლოდ გარეგნულად ჩანს, მაგრამ ვცდილობ, ყველა ემოცია ისე გადავიტანო, სხვები არ შეწუხდნენ ამით. თავშეკავებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და არა მხოლოდ, სცენაზე. არ არის საჭირო, ყველაფერი გარეთ გამოუშვა. თუმცა, ასეთი ადამიანებისთვის უფრო ადვილია ცხოვრება – იყვირებენ და მერე მშვიდად არიან. ჩემში კი ყველაფერი შიგნით ჩქეფს და გარეთ არ გამომაქვს. ასე რომ, როგორიც გარეგნულად ვჩანვარ, ასეთი სულაც არ ვარ, რთულად ვიტან ყველაფერს. საერთოდ, ყველა მუსიკოსი მგრძნობიარეა... თავიდანვე ისე გამზარდეს, ნოტი არ უნდა ამეღო ისე, მთელი ემოცია რომ არ გამეტარებინა სხეულში. ინსტრუმენტთან და სცენაზე, აუდიტორიის წინაშე, ხელოვანს სხვადასხვა მდგომარეობაში უწევს გამოსვლა. რა თქმა უნდა, სულ ერთნაირ ხასიათზე ვერ იქნები, მაგრამ, ხელოვანი ვალდებულია, ამ დროს ისე გამოვიდეს სცენაზე, აუდიტორიამ ეს ვერ შეამჩნიოს, პირიქით, არტისტმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მსმენელმა და მაყურებელმა მაქსიმალურად დიდი სიამოვნება მიიღოს ამა თუ იმ შემსრულებლის გამოსვლით. მუსიკა ძალიან მშველის. კარგი მუსიკა ნებისმიერ დროს მსიამოვნებს. მუსიკით ვცხოვრობ და ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. ჩემთვის სამსახურში სიარული მოვალეობა კი არა, დღესასწაულია, რადგან იქ სხვა სამყაროში ვცხოვრობ. თან, ამაში ფულს მიხდიან.

**– ცხადია, ყველა ის კონცერტი, რომელზეც გამოსულხართ მნიშვნელოვანი და ძვირფასია თქვენთვის და იმ მსმენელისთვის, ვინც კარგი მუსიკის ფასი იცის, მაგრამ მინდა გაიხსენოთ კონცერტი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დაგიტოვათ.**

– ყველა კონცერტი თავისებურად კარგია და დიდ გამოცდილებას გაძლევს. მინდა გავიხსენო კონცერტი, სადაც ჩემთან ერთად უკრავდა ალექს ხანი (საქსოფონი), ის მარკუს მილერის ჯგუფის სოლისტია. კონცერტმა ერთი ამოსუნთქვით ჩაიარა და ამიტომ, განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. ასევე დაუვიწყარი იყო ამიტ ჩათარჯისთან და მის ჯგუფთან ერთად ჩატარებული კონცერტი. ამიტ ჩათარჯი გიტარისტია, ის 11 წელი უკრავდა ჯო ზავინულის „სინდიკატში”. ძალიან კარგად დამამახსოვრდა დელის ჯაზ-ფესტივალზე ჩემი და ჩემი ჯგუფის გამოსვლა. სასაცილო ამბავი იყო ბაქოში, სცენაზე გამოსვლისას რაღაც მავთულს გამოვედე და კინაღამ წავიქეცი. წონასწორობა ძლივს შევინარჩუნე, რომ არ დავცემულიყავი, რის გამოც, ძალიან მაგარი აპლოდისმენტები მივიღე.

**– პირადად მე დარწმუნებული ვარ, ყველას ძალიან აინტერესებს ცნობილი ადამიანების რთული პერიოდები... ჯარჯის წასვლით გამოწვეული, ან თუნდაც, ის უშუქობის, უგაზობის, შიმშილის პერიოდი. თქვენ როგორ ცხოვრობდით ამ დროს?**

– დღეში რამდენიმე ადგილას ვუკრავდი, მაგრამ გარკვეულწილად, ეს იმით იყო განპირობებული, რომ მინდოდა, ჩემი ფული მქონოდა. ბავშვობიდან დამოუკიდებელი ვარ. ნიჭიერთა ათწლედში რომ ვსწავლობდი, ვისაც სამიანი არ ჰყავდა, ყველას სტიპენდია ჰქონდა. სტუდენტობის პერიოდშიც მქონდა სტიპენდია, თან, ვმუშაობდი, მოწაფეები მყავდა, კერძოდ ვამეცადინებდი. მერე ხელოვნების სკოლაში საკმაოდ მაღალი ხელფასი მქონდა. პატარა რომ ვიყავი, მაშინაც არ მიყვარდა მშობლებისთვის რაიმეს თხოვნა. სულ მინდოდა, საკუთარი ფული მქონოდა.

**ეკა პატარაია**



# როგორ ღალატობს ზოგიერთი კაცი ცოლს მეგობრების წაქეზებით

**ამბობენ, რომ მამაკაცის პატიოსნება და ერთგულება მხოლოდ სიტუაციაზეა დამოკიდებული. ანუ, თუ სათანადო გარემოება შეექმნა, ყველაზე ერთგული ქმარიც კი ვერ გაუძლებს ცდუნებას და ღალატით სულს დაიმძიმებს. იქნებ ეს მხოლოდ თავის მართლების ორიგინალური ფორმაა და მამაკაცები ამით ცდილობენ, ღალატზე ინდულგენციის მოპოვებას... ყოველ შემთხვევაში, ადამიანი ნამდვილად არის „სიტუაციური“ არსება. თუმცა, ეს მას პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს.**

ავთო *(34 წლის)*: დიდი მექალთანე არასოდეს ვყოფილვარ. იმის თქმა მინდა, რომ ქალთან ურთიერთობა ჩემთვის არასოდეს ყოფილა ტრაბახის, თავის მოწონების თემა, ზოგიერთი ჩემი მეგობრისგან განსხვავებით.

**– თქვენი მეგობრები ტრაბახობდნენ ქალებთან ურთიერთობით?**

– მარტო ჩემი მეგობრები კი არა, ძალიან ბევრი მამაკაცი იწერს ამით „ქულებს“ და მე ეს მართებულად არ მიმაჩნდა. თუმცა, ქალები მეც მყავდა და ამაში გასაოცარი არაფერია. ვცდილობდი, ერთგული ვყოფილიყავი არც ისე სერიოზული ურთიერთობის დროსაც კი. ეტყობა, ბუნებით არ ვარ მოღალატე.

**– ანუ, ბუნებით მოღალატე კაცები ცალკე კატეგორიაა?**

– არ გჯერათ, რომ ღალატი ზოგიერთი ადამიანის ხასიათის ნაწილია? მნიშვნელობა არ აქვს, ქალია თუ კაცი. თუ ღალატი არაფრად მიგაჩნია და მარტივად უყურებ ამ ამბავს, მაშინ ამ საქციელს ღალატს არც ეძახი. ბევრ ქალთან ინტიმური ურთიერთობა, რა გამარჯვებაა – დღესაც არ მესმის. ოღონდ, გულწრფელად გეუბნებით ამას. მელიმებოდა, როცა ჩემი მეგობრები ყვებოდნენ, როგორ „აბამდნენ“ ქალებს.

**– არ გჯერათ?**

– საქმე ამაში არ არის. შეიძლება, მჯეროდა და ისინიც სიმართლეს ყვებოდნენ, მაგრამ ზოგადად, ქალის მიმართ დამოკიდებულება არ მომწონდა. თუ ვინმეს დავშორებივარ, მე უფრო მინერვიულია, ვიდრე იმას.

**– იქნებ თქვენ ფიქრობთ ასე, რეალობა კი სხვაა?**

– არა, რატომ? რეალობაც ესაა. ჩემს ყოფილ შეყვარებულთან დღემდე ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ორივე მივხვდით, რომ ერთმანეთისთვის უცხონი ვიყავით და დავშორდით. იმან სხვა იპოვა და მასთან თავს ბედნიერად გრძნობს.

მერე მეც შევხვდი იმას, ვისაც მთელი ცხოვრება ვეძებდი. ოცდარვა წლის ვიყავი მაშინ და პირველი დანახვისთანავე მივხვდი, რომ ის ჩემი ბედისწერა იყო. მეგობრები დამცინოდნენ – უნახავივით დაფეთდიო. მე ასე არ მიმაჩნდა და საერთოდაც, არასოდეს მიმიქცევია დიდი ყურადღება სხვების ლაპარაკისთვის. მთავარი იყო, მე რას ვგრძნობდი და რას განვიცდიდი. საკუთარ თავს ვუთხარი, ეს არის შენი ცხოვრების ქალი, რომელსაც არასოდეს უღალატებ და გვერდიდან არ მოიცილებ-მეთქი. ჩემი ოცნების ქალი სხვებს არ ჰგავდა. ლამაზი იყო, მაგრამ ძალიან

**ჩემი მაგალითით მტკიცდება, რომ მამაკაცი მაინც „სიტუაციური ცხოველია“**

მგრძნობიარე, გამგები, კეთილი და უბრალო. სანამ ახლოს გავიცნობდი, ცოტათი მეშინოდა მისი. უფრო სწორად, ვერ ვენდობოდი მის სექსუალურობას და მომხიბვლელობას... თუმცა, როცა ცოტა ახლოს მიმიშვა, მივხვდი, რომ საოცარ ადამიანთან მქონდა საქმე. არც მიფიქრია ბევრი – ორ თვეში ცოლად შევირთე... რატომ გიყვებით ამ ყველაფერს, მინდა, თქვენთან ერთად გავარკვიო, რამე სხვა მიზეზი ხომ არ იყო, რამაც საშინელი საქციელი ჩამადენინა. დღესაც ვნანობ, ყველაფერს გეფიცებით. ცოლობა რომ ვთხოვე, სერიოზულად მეშინოდა, რომ უარს მეტყოდა.

**– რა შეიძლება, ყოფილიყო მისი უარის მიზეზი?**

– არ ვიცი. ალბათ ის, რომ ჩემზე ბევრად უკეთესი იყო და მეც არ მჯეროდა, ასეთი ბედნიერების ღირსი თუ ვიყავი. შინაგანად მეშინოდა და ვუფრთხოდი ცოლქმრულ ურთიერთობას. მაგრამ, ჩემმა ცოლმა შეძლო და ქორწინების პირველივე დღეებიდან ბედნიერი გამხადა, საოცარი იყო ოჯახში მისი ფუსფუსი და მზრუნველობა. თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობდი. სამი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გვიჩხუბია სერიოზულად, არ მომხდარა ასეთი რამ. ყოველდღე ვრწმუნდებოდი იმაში, რომ უკეთეს ცოლს ვერასოდეს ვიპოვიდი. ამიტომ, მართლა ვცდილობდი, არ დამეკარგა.

**– რატომ უნდა დაგეკარგათ?**

– იმიტომ, რომ მეც, როგორც ყველა კაცი, სტერეოტიპებისა და კომპლექსების მონა ვიყავი. რატომ არ ვეუბნებოდი ჩემს ცოლს, რომ ვგიჟდებოდი მასზე, რომ ის ჩემი ბედნიერება იყო – ყველაზე ძვირფასი რამ, რაც ცხოვრებაში გამაჩნდა?!

**– ფიქრობთ, რომ ეს აუცილებელია?**

– დიახ. ნამდვილად აუცილებელია. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. იმიტომ რომ, როცა დავაშავე რაღაც და მინდოდა, ცოლისთვის პატიება მეთხოვა, ჩემი სიტყვები ყალბად და არადამაჯერებლად ჟღერდა. ჩვენი ურთიერთობა ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე იყო დამყარებული. ანუ, მე გავაფუჭე მთავარი – რაც ჩვენ გვაერთიანებდა და გვკრავდა. არ მინდა, ისე გამიგოთ, რომ ვინმე უნდა გამოვიყვანო მთავარ დამნაშავედ. ყველამ თავის სისულელეებზე უნდა აგოს პასუხი. თუმცა, ჩემი მაგალითით მტკიცდება, რომ მამაკაცი მაინც სიტუაციური „ცხოველია“. ამას ვაღიარებ. ჩვენ დამოკიდებულები ვართ რაღაც-რაღაცეებზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ შინაგანად, საკუთარი ნების წინააღმდეგ მივდივართ. ყველაფერი ძალიან კარგად გვქონდა და უცებ... ერთ-ერთ მეგობრულ თავყრილობაზეე, რომელზეც მარტო მამაკაცები ვიყავით, ლაპარაკი ქალებზე დაიწყო... ყველა ამბობდა, რომ რამდენიმე ქალი აუცილებლად უნდა ჰყავდეს კაცს, რომ თავდაჯერებული იყოს. ეს თურმე საჭიროა იმ საყვარელი ქალისთვისაც, რომელიც გვერდით გყავს. თავდაჯერებული მამაკაცი მას მეტ სიამოვნებას მიანიჭებს და „გახსნის“ ბოლომდე, როგორც ქალს. მერე ითვლიდნენ, ვის რამდენი ქალი ჰყავდა და უცებ... შემრცხვა. ჩემი ცოლი ჩემთვის მეორე სექსუალური პარტნიორი იყო. მე არც ერთხელ არ ვყოფილვარ ქალთან მხოლოდ ვნებით ანთებული. ვნების ცეცხლი – ერთწუთიანი სურვილი და სხვა არაფერი. უცებ მომინდა, ეს განმეცადა... უცებ ავდექი და წამოვედი მათგან. მნიშვნელოვანი საქმეები მოვიმიზეზე. სინამდვილეში არანაირი საქმე არ მქონდა, მაგრამ საკუთარ თავზე ვიყავი გაბრაზებული.

**– გაბრაზებული იმიტომ, რომ ცოლს არ უღალატეთ?**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი

# გათხრების შედეგად ბრიანსკის მხარეში ნაპოვნი ჯარისკაცის ნათესავებს საქართველოში ეძებენ

***ეძებენ: მეორე მსოფლიო ომის დროს დაკარგული ჯარისკაცის, ბაგრატ ხაშევის ნათესავებს.***

**ისტორია**: მაძიებელთა ჯგუფმა, რომელიც ბრიანსკის მხარეში გათხრებს აწარმოებდა, იპოვა მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული ჯარისკაცის ნეშტი. ჩატანებული ჰქონდა კოვზი, რომელზეც ქართული წარწერაა გაკეთებული და დათარიღებულია 1941 წლით. ვთხოვ ჩვენს მკითხველს, ყურადღებით გაეცნოს სტატიას და, თუკი ვინმეს ეცნობა სტატიაში მოხსენიებული სახელი და გვარი ან იცნობს ჯარისკაცის ნათესავებს, დაგვიკავშირდეს.



**ინტერვიუ მაძიებელთა ჯგუფის წარმომადგენელთან, ვალენტინა ვერბოვსკაიასთან:**

**– როგორც ვიცი, ბრიანსკის მხარეში მაძიებელთა ჯგუფი მეორე მსოფლიო ომის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულ ჯარისკაცთა ცხედრების ამოცნობით და მათი ნათესავების მოძიებით არის დაკავებული.**

– დიახ, უკვე წლებია, რაც ამ პროგრამით მაძიებელთა კლუბის „ბრიანსკის ფრონტის“ ხელმძღვანელი და ძიების ინიციატორი მაქსიმ ვოლკოვი მუშაობს. მაქსიმმა და მისმა ჯგუფმა გარკვეულ შედეგებსაც მიაღწიეს. სამწუხაროდ, მეორე მსოფლიო ომმა უამრავი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს და ჩვენთვის ისინი გმირები არიან. დიდი სურვილი გვაქვს, რითაც შეგვიძლია, პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას. გადავწყვიტეთ, დახმარება თქვენთვის გვეთხოვა, რადგან ამა წლის გასულ თვეში, ბრიანსკის მხარეში გათხრების შედეგად აღმოვაჩინეთ მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული ჯარისკაცის ნეშტი, რომელსაც ჩაყოლებული ჰქონდა რკინის კოვზი, მასზე კი ქართული წარწერაა გაკეთებული: „ბაგრატა ხაშევი. 1941 წელი.“ ვვარაუდობთ, რომ კოვზის პატრონი ჯარისკაცი სწორედ საქართველოდან იყო და, შესაძლებელია, მას იქ დღემდე ჰყავს ნათესავები, რომლებმაც არც კი იციან ამ ჯარისკაცის ბედის შესახებ. შესაძლებელია, გვარი შემოკლებულია. ამ ყველაფერს ჩვენ მხოლოდ ჯარისკაცის ნათესავების პოვნის შემთხვევაში გავიგებთ. ჯერჯერობით კი ჩვენს ხელთ მხოლოდ ის გვაქვს, რომ კოვზზე წარწერა ქართულ ენაზეა გაკეთებული, მაშასადამე, მისი მფლობელი ან ქართველი იყო, ან ქართული კარგად იცოდა და, შესაბამისად, საქართველოდან იყო. გვინდა, ვიპოვოთ მისი ნათესავები და დავეხმაროთ მათ ნეშტის საქართველოში გადმოსვენებაში. ეს იქნება ის მინიმუმი, რაც შეგვიძლია, ჯარისკაცის ხსოვნის პატივსაცემად გავაკეთოთ. პროგრამა, როგორც ხვდებით, საქველმოქმედო ხასიათისაა და კეთილ საქმეს ემსახურება. ჩვენ უკვე შევძელით და ვიპოვეთ უამრავი ადამიანი, რომლებმაც არც კი იცოდნენ, თუ სად ან როგორ დაიღუპნენ მათი წინაპრები მეორე მსოფლიო ომის დროს.



**– თუ არსებობს რამე სხვა მანიშნებელი იმისა, რომ ნაპოვნი ჯარისკაცი ქართველი იყო ან მას საქართველოსთან ჰქონდა კავშირი?**

– ჩვენს ხელთ მხოლოდ ნაპოვნი კოვზია ქართული წარწერით. თავისთავად ცხადია, ეს საკმარისი არ არის იმისთვის, დაზუსტებით ვამტკიცოთ, რომ დაღუპული ჯარისკაცი ქართველი იყო, მაგრამ, სხვა ინფორმაციის უქონლობის გამო, ისღა დაგვრჩენია, ამ ქართულ წარწერას დავეყრდნოთ. არის ორი ვარიანტი: ერთი, რომ კოვზის მფლობელი თავად იყო ქართველი ან საქართველოდან წასული და თავად გააკეთა ეს წარწერა; მეორე ვარიანტია, რომ მისმა მეგობარმა გაუკეთა საჩუქარი და მანვე მიაწერა კოვზს ჯარისკაცის სახელი და გვარი. თუმცა, მეორე ვარიანტის შემთხვევაშიც კი აღსანიშნავია, რომ ბაგრატმა იცოდა ქართული. შესაბამისად, ის ან ქართველი იყო ან – საქართველოდან. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ, ის ხალხი, ვისაც მეორე მსოფლიო ომის დროს დაკარგული ან დაღუპული ჰყავს ახლობელი, ყურადღებით წაიკითხავს ამ სტატიას და გამოგვეხმაურება.

**– რას აპირებს მაძიებელთა ჯგუფი ჯარისკაცის ნათესავების პოვნის შემთხვევაში?**

– სურვილი გვაქვს, დავეხმაროთ ჯარისკაცის ნათესავებს მისი ცხედრის საქართველოში გადმოსვენებაში. ეს საშუალებას მისცემდა მათ, ომში დაღუპული ჯარისკაცი მშობლიური მიწისთვის მიებარებინათ.

**– სულ რამდენი ჯარისკაცი გყავთ ნაპოვნი ბრიანსკის მხარის ტერიტორიაზე?**

– 27 ადამიანის ნეშტი ვიპოვეთ, 15-ის ვინაობა უკვე დადგენილია, 7 მათგანის ნათესავებს კი მივაგენით და ზოგიერთს თავის სამშობლოში გადასვენებაშიც დავეხმარეთ.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

– პრინციპში, ჰო. ადრე არასდროს შემრცხვენია იმის გამო, რომ ერთი ქალის ერთგული ვიყავი და არ მქონდა სურვილი, ცოლისთვის მეღალატა. ჩემი მეგობრების ლაპარაკმა გულში ეჭვის მარცვალი ჩამითესა, რომ სწორად არ ვიქცეოდი.

**– ეს ხომ არალოგიკურია?**

– გეთანხმებით, არ არის ლოგიკური და ჩემი მხრიდან არასრულფასოვნების გამოვლინებას ჰგავს. მაგრამ, ფაქტი ესაა და ველარსად გავექცევი.

## ვცდილობდი, ერთგული არც ისე სერიოზული ურთიერთობის დროსაც კი ვყოფილიყავი

**– ამ ფორმით ხომ არ ცდილობთ თქვენი ღალატის გამართლებას?**

– არა. ჩემი დანაშაული სრულიად მაქვს გაცნობიერებული. უბრალოდ, აკრძალული ხილის გასინჯვის ცდუნება იყო ძალიან დიდი, რომელსაც ვერ მოვერიე და ძალიან მრცხვენია ამის. იმიტომაც, რომ საკუთარ თავთან შემიქმნა პრობლემები. არავითარ შემთხვევაში, არ მინდოდა, გული მეტკინა ჩემი ცოლისთვის. ძალიან მინდა, კარგად გამიგოთ. ვწუხვარ, რომ ყველაფერი ასე გამოვიდა, მაგრამ ფიქრებით უკვე ვღალატობდი ჩემს ცოლს. ვფიქრობდი სხვა ქალთან ინტიმზე და ვეძებდი ამ ურთიერთობას. იდიოტური კითხვებიც მომდიოდა თავში – ერთხელ რომ ვუღალატო, ეს იქნება ღალატი-მეთქი? ვიცი, რომ ამაზე დიდი სისულელე არ არსებობს, მაგრამ... რომ „დავიპროგრამე“ თავი, ლოგიკურ შედეგამდეც მივედი. ვეძებდი და ვიპოვე, თუმცა ამან ვერც თვითკმაყოფილება მომგვარა და ვერც ბედნიერება მომიტანა.

**– არ გქონდათ იმისი შიში, რომ ცოლი გაიგებდა თქვენს ამბავს და მერე რა მოხდებოდა, ამაზე თუ იფიქრეთ?**

– როგორ არ ვიფიქრე და ახლა სწორედ მაგას ვნერვიულობ. თანაც, ვნერვიულობ უკვე ავადმყოფურად. ეს ამბავი თავის ტკივილად მექცა.

**– სამაგიეროდ, თქვენც გაქვთ სატრაბახო მეგობრებთან.**

– ამას უკვე აღარ აქვს აზრი. იმდენად მაწუხებს სინდისი და ისე ცუდად ვგრძნობ თავს. მათი ბრალია, რომ ახლა ამ დღეში ვარ.

**დალი მიქელაძე**

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ზოგადად ბოღმა და ბოროტი არ ვარ, მაგრამ ახლა შურისძიების სურვილით ვარ ანთებული. ოთხი წლის წინ, ჩემმა ქმარმა ერთ არარაობასთან მიღალატა. მასთან იყო წათრეული რამდენიმე თვე. მალე გაუნელდა ჩემს საყვარელ ქმარიკოს სიყვარული და უკანვე მოეთრა ბოდიშებით. მივიღე, მაგრამ წყენა ღრმად ჩამრჩა გულში. ახლა ის გარყვნილი კოლეგად მომევლინა. ჩვენს ოფისში დაიწყო მუშაობა. ვერაფრით ვიკავებ თავს, რომ სკანდალი არ მოვუწყო. ძალიან მინდა, საერთოდ გააგდონ სამსახურიდან. ამის ნიადაგზე ქმარსაც ვახსენებ თავის ცოდვებს და ვჩხუბობ. რა ვქნა?**

**გამოხმაურება**: თქვენში ისევ ცოცხლობს წყენა და ტკივილი. ამიტომ, ბუნებრივი რეაქცია გაქვთ სიტუაციაზე. გირჩევთ, სხვა სამსახური მოძებნოთ, თუკი საკუთარ თავში ვერ ხედავთ ძალას, ნეგატიურ სურვილებს და ემოციებს გაუმკლავდეთ. სკანდალი კიდევ უფრო დაგაზარალებთ.

**ფსიქოლოგი
მაგდა რობაქიძე**

**ბავშვობისას ჯამბაზების მეშინოდაო, – მითხრა ჩემმა რესპონდენტმა თეკლა კვაჭაძემ... თურმე, ეგზოტიკური ცხოველების სიყვარულიც ბავშვობიდან მოსდევს. დღეს, თეკლას ეგზოტიკური ცხოველების საკმაოდ შთამბეჭდავი და მრავალფეროვანი კოლექცია აქვს. მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, მას მიაჩნია, რომ გველები ყველაზე ლამაზი არსებებია.**

# რატომ მიაჩნია თეკლა კვაჭაძეს გველი ყველაზე ლამაზ არსებად და ვინ გამოუგზავნა მას იგუანა უკრაინიდან

**თეკლა კვაჭაძე**: ბავშვობიდან მაინტერესებს ეგზოტიკური ცხოველები და მათი სამყარო, – გველები, ხვლიკები, ობობები, ანუ ისეთი – ბევრ ადამიანს რომ არ უყვარს. არ მქონია ისეთი შეგრძნება, რომ ის ცუდია და უარყოფითია. ცოტა უფრო დიდი რომ გავხდი, დავიწყე ამ არსებების შესწავლა, წიგნების, ინტერნეტის, ყურმოკრული ამბების საშუალებით. 16 წლის ასაკში ზოოპარკში დავიწყე მუშაობა. ამის შემდეგ უფრო განვვითარდი და ცოდნაც გავიღრმავე. ასე დაიყო ეს ყველაფერი.

გველს რომ ვხედავ ტერარიუმში, ძალიან ლამაზია – ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში. ამიტომ, გამიჩნდა სურვილი, ეს სილამაზე სახლშიც გადმომეტანა. ასეც მოვიქეცი. პირველად გველი 6 წლის წინ ვიყიდე. აქედან დაიწყო – პირველ გველს მეორე მოჰყვა, მერე ხვლიკები, ობობები და ასე ნელ-ნელა ვავითარებ ჩემს კოლექციას.



კობრის კბილზე მაქვს გაკაწრული ხელი და ამის გამო, რაღაც პერიოდის განმავლობაში, პრობლემები შემექმნა თირკმელებთან დაკავშირებით. თუმცა, ვიმკურნალე და გადავრჩი

**– დღესდღეობით, რამდენი არსება ბინადრობს შენს სახლში?**

– ახლა, სახლში მყავს: 4 გველი, 3 ობობა, 2 სცინკი (ხვლიკის ნაირსახეობა), 1 გეკონი-ეუბლეფარი (ხვლიკის ნაირსახეობა), 1 იგუანა, თბილსისხლიანებიდან – 1 ზღვის გოჭი და 1 ძაღლი.

**– კიდევ ვინ ცხოვრობს ოჯახში?**

– დედა და ძმა.

**– მათი ინტერესები შენსას ემთხვევა?**

– თავიდან შიშის მომენტი იყო დედაჩემის მხრიდან, მაგრამ მერე ისე შეეჩვია, ახლა თვითონაც დაინტერესებულია. სცინკები რომ ჩამომივიდნენ, ისე გულთბილად მიიღო...

**– საიდან ჩამოგივიდნენ?**

– ჩეხეთიდან. იგუანა – უკრაინიდან ჩამომივიდა.

**– ზუსტად ვიცი, იგუანები უკრაინაში არ ბინადრობენ და იქ როგორ მოხვდნენ?**

– მეგობრები მყავს მსოფლიოს გარშემო.

**– ერთნაირი ინტერესები გაერთიანებთ?**

– ჰო, ჩემნაირი გადარეულები არიან ისინიც და მიგზავნიან.

**– როგორ დამეგობრდით, ბევრს მოგზაურობ, თუ?**



– არა, სამწუხაროდ. ისინი მოგზაურობენ და საქართველოში რომ ჩამოდიოდნენ, მაშინ დავმეგობრდით. მაგალითად, ჩემს უკრაინელ მეგობართან, რომელმაც იგუანა გამომიგზავნა, ძალიან ბევრი გველი და ხვლიკი გამიგზავნია. ისიც მიგზავნის აქეთ ეგზოტიკურ ცხოველებს. საქართველოსთვის ქართული გველები ეგზოტიკური არ არის, ხოლო უკრაინისთვის გამოდის, რომ რაღაც ღირებულება აქვს. აქედან გამომდინარე, გაცვლა ხდება ხოლმე ბარტერული.

**– ქართული გველებიდან რომელია მათთვის ყველაზე საინტერესო?**

– ოთხზოლიანი მცურავი.

**– ამ არსებების გაგზავნა როგორ ხდება?**

– ჩამოდის პიროვნება და მიჰყავს. სერტიფიკატები და საბუთები უკვე მათი პრობლემაა.

**– ამ კოლექციიდან ყველა ცხოველს თავისი სახელი ჰქვია?**

– ყველას არა, მაგალითად: გველს თორი ჰქვია, მეორეს – ძაპა, ობობებს და სცინკებს სახელი არ აქვთ, ეუბლეფარს ეუშკას ვეძახით, ძაღლს კი ოდრი ჰქვია.

**– ოდრი რატომ?**

– ლამაზია, ძალიან ლამაზი თვალები აქვს.

**– ოდრი ჰეპბერნივით?**

– ჰო *(იცინის)*.

**– საქართველოში ცოტა ადამიანი თუა შენნაირი ინტერესების მქონე. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრი კითხვა უჩნდებათ და ემოციურები არიან შენთან ურთიერთობაში.**

– კი. ზოგადად საქართველოში მიჩნეულია, რომ გველი ცუდია და როდესაც იგებენ, სახლში ამდენი გველი და ქვეწარმავალი მყავს, უჩნდებათ კითხვა – რატომ? იმიტომ რომ, არის უზომოდ საინტერესო და ლამაზი. ის ფაქტი, რომ გველი სახლში მყავს, თავიდან ინტერესის მომენტი იყო და მერე უკვე კოლექციაში გადაიზარდა. კითხვები ძალიან ბევრია: შხამიანია? უპირველესად, ამას მეკითხებიან. შხამიან გველს სახლში არ გავაჩერებ. ჯერ ერთი ოჯახთან ერთად ვცხოვრობ და მეორეც არ შევუქმნი იმ საფრთხეს, რასაც შხამიანი გველი ჰქვია. რადგან ყველაფერი შეიძლება მოხდეს. კიდევ მეკითხებიან: არ გეშინია? არა, არ მეშინია. რომ მეშინოდეს, არ ვიყოლიებდი.

**– არის ისეთი სახეობა, რომლის ყოლასაც გეგმავ და ოცნობებ?**

– ძალიან ბევრი ცხოველია, რომელიც მინდა, მყავდეს. თუ ოცნებას მივყვები, მაშინ ჟირაფი მინდა მყავდეს *(იცინის)*. სახლის პირობებში გველის ბევრი ისეთი სახეობაა, რომელსაც სიამოვნებით ვიყოლიებდი. ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოვცდი ამ ბედნიერებას. ერთ-ერთი ასეთია მწვანე პითონი, რომელიც ულამაზესია და ხასიათდება იმით, რომ ძალიან ლამაზი, ხასხასა მწვანე ფერისაა.

**– იგუანას ფერია?**

– იგუანაზე ხასხასაა, უფრო ელექტრიკი ფერის. აგრეთვე, დიდი სიამოვნებით ვიყოლიებდი ამაზონიდან ხის ბაყაყებს. ისინი ხეზე ბინადრობენ, არიან წითელი და ლურჯი ფერის და იზრდებიან დაახლოებით 3-4 სანტიმეტრი სიგრძის. ეფექტური გარეგნობა აქვთ ძალიან.

**– თევზები არ გიყვარს?**

– იცი, რა, როცა გველები გყავს სახლში, მათ გვერდით თევზები ნაკლებად ლამაზად გეჩვენება. მე ასე ვფიქრობ.

**– რა პროფესიის ხარ?**

– ჯერჯერობით სტუდენტი ვარ. ზოოვეტში ვეტერინარიის ფაკულტეტზე ვსწავლობ. მომავალში ვგეგმავ, რომ ჰერპეტოლოგიის შესწავლა გავაგრძელო.

**– როგორ ფიქრობ, ასეთი ჰობი შენი თაყვანისმცემლების გაზრდაზე უფრო მოქმედებს, თუ – შემცირებაზე?**

– არ ვიცი... *(იცინის)* დამაბნეველი კითხვაა. ვერ გეტყვი, ალბათ, გაზრდაზე მოქმედებს. ხალხი რომ გიცნობს, ხვდება, რომ საინტერესო ადამიანი ხარ და გაქვს მოწოდება, რასაც აკეთებ, ალბათ, ეს რაღაცაზე მეტყველებს და შემცირებისკენ, არა მგონია... პირიქით.

**– ეს კოლექცია, ლამაზია, კარგია, მესმის, მაგრამ მისი მოვლა-შენახვა, ალბათ, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული.**

– მოვლა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ იმავდროულად, ძალიან ადვილი. ბევრს ჰგონია, რომ გველი სახლში თავის ტკივილი და უბედურებაა. ამ დროს ძალიან იოლი მოსავლელია. კვირაში ერთხელ აჭმევ, ერთხელ ასუფთავებ და ერთხელ ან ორჯერ წყალს უცვლი. სულ ეს არის.

**– საკვებს რაც შეხება?**

– იკვებებიან, მხოლოდ და მხოლოდ ცოცხალი საკვებით, ესენია თაგვები და ვირთხები. რომ ჩაუგდებ, იჭერენ, გუდავენ და მერე ყლაპავენ.

**– სად შოულობ თაგვებსა და ვირთხებს გველების გამოსკვებად?**

– სამედიცინო ინტიტუტში არის ვივარიუმი და იქ ვყიდულობ.

**– დიდი თანხა სჭირდება ამ კოლექციის გამოკვებას?**

– ყველა ცხოველის გამოსაკვებად კვირაში 12 ლარს ვხარჯავ.

**– ამ კოლეექციის დანარჩენი ბინადრები რას მიირთმევენ?**



– გველების გარდა, ობობებიც ახალშობილი თაგვებით იკვებებიან, ან მწერებით – ჭრიჭინებით, კალიებით, ტარაკნებით, ასეთი რაღაცეებით.

**– ამასაც იქ ყიდულობ, სადაც ვირთხებს?**

– კი. კალიები არა, მხოლოდ ჭრიჭინები და ტარაკნები იყიდება.

**– კალიებს ზაფხულში იჭერ ხოლმე?**

– გასულ ზაფხულს, რუსთაველზე შემოსევა იყო. ვიჭერდი შუაგულ რუსთაველზე კალიებს და ვაჭმევდი. დავასუქე, დავზარდე.

**– რა ზომისანი არიან ეს გველები?**

– ჩვეულებრივი მახრჩობელა, რომელიც უკვე 6 წლისაა, ახლა ორმეტრამდეა, და იზრდება 4 მეტრამდე. სიმინდის მცურავი, უკვე ზრდასრულია, დაახლოებით 120 სანტიმერია. ეს პატარა გველები – ნარინჯისფერი მცურავები, იზრდებიან ორ მეტრამდე და ახლა ოც სანტიმეტრამდე არიან, ჯერ მხოლოდ რამდენიმე თვისანი არიან. ობობები, დიდები არიან, უკვე 10 სანტიმეტრს მიაღწიეს. ესენი ჩიტიჭამია ობობები არიან. ისინი ხასიათდებიან იმით, რომ გამრავლების მომენტში დედალი ჭამს მამალს.

**– გველის ხორცი გაგისინჯავს?**

– არა, მაგრამ სიამოვნებით დავაგემოვნებდი. ჩინეთში, ინდოეთში, ვიეტნამში ამზადებენ მწერებისგან საჭმელს, დიდი სიამოვნებით გავსინჯავდი, ასევე, ბაყაყსაც.

**(გაგრძელება 31-ე გვერდზე)**

**პროფესიით მომავალ ექიმს, გიორგი აფხაზავას, მაყურებელი უკვე კარგად იცნობს. მისი გმირი – კოტიკო, „TV 11-ზე" პროექტ „სე ლა ვიდან", დიასახლისებს დიდი ხანია, მიწასთან ჰყავთ გასწორებული, მამაკაცები სხვა დამოკიდებულებით გამოირჩევიან, მოზარდები კი „ბლატაობაში" ამხელენ... მოკლედ, გიორგის „კოტიკოს" ყველა იცნობს. ჩვენც, სანამ გიორგი აფხაზავას ცხოვრებისეული დეტალებით დავინტერესდებოდით, მასთან საუბარი კოტიკოთი და მისი საქციელის შეფასებით დავიწყეთ.**

# რას ეუბნებიან კოტიკოზე გაბრაზებულები გიორგი აფხაზავას და როგორია ის რეალურ ცხოვრებაში

**– უკრაინა მოიარე, ეს გოგო ასე გააუბედურე... თავს როგორ გრძნობ?**

– უკრაინაში გულის გადასაყოლებლად ვიყავი.

**– მანამდეც ოცნებობდი იქ მოხვედრაზე, სანამ გული გექნებოდა „გადასაყოლებელი"! ის პონტია, ბათუმში ჩახვიდე და აჭარული ხაჭაპური არ გასინჯოო, ჯერ კიდევ როდის ამბობდი.**

– კონსტანტინ... უკრაინა.. ჰო *(იცინის)*... სულ სხვანაირი წარმოდგენა აქვს კოტიკოს ამ ყველაფერზე.

**– საერთოდ, იცის, რა არის სიყვარული?**

– უფრო არ იცის და, ალბათ, მარტო გაგონილი, ყურმოკრული ფრაზებით ცხოვრობს თვითონაც, როგორც სიყვარულში, ისე ყველაფერში საერთოდ.

**– არც ისე მაგარი ტიპია; უფრო მეტიც, კარგი დედიკოს ბიჭია.**

– პირდაპირ გეტყვით, საერთოდ არ არის კოტიკო მაგარი ტიპი. რაღაც შირმას არის ამოფარებული, საუბრის სტილითა და მანერებით უნდა, რომ გადაფაროს თავისი რეალური სახე, რომელიც, პრინციპში, პრიმიტიული და არაფრის მთქმელია.

**– ... და, რომლის მსგავსიც, სამწუხაროდ, ძალიან ბევრი შეგხვდება დღეს თბილისის ქუჩებში.**

– თბილისში რომ ბევრი დადის კოტიკოსნაირი, ალბათ, სწორედ მაგიტომ გახდა ეს პერსონაჟი პოპულარული. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ყველანაირი გამოხმაურება ჰქონდა ამ გმირს; ბევრი დადებითად აფასებს, უფრო ბევრი – არა. ჩემი აზრით, კოტიკოსადმი დამოკიდებულება, ყველაზე მეტად კომენტარებში იგრძნობა, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საერთოდ სხვა ფორმით გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებას მისადმი. პირდაპირ იღებს ძირითადი მასა ამ ყველაფერს, თითქოს ეს ადამიანი მართლა არსებობს. რეალურ კოტიკოს ელაპარაკებიან და არ უფიქრდებიან, რომ კოტიკო არის დღევანდელობიდან აღებული და გაშარჟებული პერსონაჟი; რომ ამით ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ასეთი ადამიანი არ ვარგა.

**– როგორ კომენტარებს გწერენ?**

– იყო ასეთი კომენტარი – ამის შემხედვარე მე საერთოდ არ გავთხოვდებიო, თითქოს, რომ გათხოვდეს, ზუსტად კოტიკოსნაირი შეხვდება.

**– ალბათ, ასე იმიტომ ფიქრობს, რომ ბევრი დადის დღეს კოტიკოსნაირი.**

– ჰო, ალბათ. ვიღაცეები წერენ: ამან ჭკუა როგორ უნდა მასწავლოსო და კიდევ სამი სიტყვა მოჰყვებოდა, რომელსაც ინტერვიუში არ ვახსენებ, – ჭკუის სასწავლებლადაც კი აღიქვეს, თითქოს, კი არ ვაშარჟებდეთ, არამედ, პროპაგანდას ვუწევდეთ. ამაზე ძალიან ბევრი ვიცინე.

**– იმდენად რეალურად აღიქვეს შენ მიერ განსახიერებული კოტიკო, რომ გიორგის დაახვიეს ემოციების კორიანტელი.**

– ეს მახარებს... იყო კიდევ ჩართულობის გამომხატველი კომენტარები.

**– ეს როგორ?**

– მაგალითად: „დროზე გააშორეთ ეს გოგო, ვაიმე, რა ცოდოა!"

**– ეცოდებოდათ კოტიკოს ცოლი დედამთილის ხელში?**

– ჰო. ფილოლოგი ქალია და, რა ქნას *(იცინის)*, გადაგვაყოლა თავის ფილოლოგობას ყველა.

**– ტელეფონში ლარის ჩარიცხვას ამადლის, აგინებს, სცემს... ცხადია, არ უყვარს. საერთოდ, რატომ მოიყვანა კოტიკომ „ეს გოგო" ცოლად? გარეგნობით ვარკვლავებს არ წყვეტს, ოჯახიშვილობითაც არ გამოირჩევა...**

– ქალიშვილი იყო და იმიტომ *(იცინის)* – კოტიკოსთვის ეს იყო მთავარი, სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია მისთვის.

**– გიორგი, გაიხსენე, როგორ აგირჩიეს კოტიკოდ?**

– მანამდეც ვიყავი და ახლაც ვარ ღამის შოუს პროექტში – „რომ გადახვალ გააჩერე", რომელიც ახლა „მაესტროზე" გადის და ჰქვია „თქვენი გადახდილია". მერე, როცა პროექტი „სე ლა ვი" დაიწყო, ქასთინგი გავიარე, რის შემდეგაც დამამტკიცეს კოტიკოს როლზე.

**– ზუსტად ვიცი, კოტიკოს არ ჰგავხარ არც ოჯახში და არც ურთიერთობებში.**

– ეს, ალბათ, ის ერთადერთი თემაა, რომელზეც მართლა შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ აბსოლუტურად განვსხვავდები კოტიკოსგან. მყავს მეუღლე – ნენე ხუჭუა და ერთი შვილი – ნუცა აფხაზავა. ხუთი წელია, დაქორწინებული ვარ.



**იყო ასეთი კომენტარი – ამის შემხედვარე, მე საერთოდ არ გავთხოვდებიო; თითქოს, რომ გათხოვდეს, ზუსტად კოტიკოსნაირი შეხვდება**

**– დარწმუნებული ვარ, ოჯახში მხოლოდ პამპერსისა და პურის ყიდვით არ შემოიფარგლება გიორგი აფხაზავა.**

– ცოტა მიჭირს საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ, როგორც ამბობენ, მშვენივრად ვართმევ თავს ოჯახს როგორც საყიდლების კუთხით, ისე ბავშვის მოვლა-აღზრდაში დახმარების მხრივაც. რაც მთავარია, სწავლას, მეგობრებს, ოჯახს – ყველაფერს თავისი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში.

**– მკაცრი ხარ?**

– ვერ ვიტყოდი ასე. თავიდან ბოლომდე ჰარმონიულია ჩემი და ჩემი ცოლის ურთიერთობა. ასე დავიწყეთ და დღემდე ასე მივდივართ. საერთოდ, ჩვენს ოჯახში გენდერული თანასწორობა დაცულია *(იცინის)*. ჯერჯერობით ასეა, ვნახოთ, მომავალში რა იქნება.

**– ტელემაყურებლების საყვარელ მსახიობთა რიცხვში შედიხარ. პროფესიული არჩევანით კმაყოფილი ხარ?**

– მე პროფესიით მსახიობი არ ვარ, მე ვარ ექიმი. სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული „მანსანკანში", ანუ „კავეენში" და ძალიან მიყვარდა.

**– ესე იგი, ამ პერიოდში შეისუნთქე სცენის მტვერი?**

– ჰო. პირველ კურსზე გავიხედ-გამოვიხედე, რა ხდებოდა და მეორე კურსიდან უკვე ჩავერთე. მერე მოხდა ისე, რომ, ანეკდოტების პროექტს რომ იწყებდა „ღამის შოუ სტუდია", ქასთინგი გავიარე და იქიდან მოვედი აქამდე.

**– მუშაობ, ან, გიმუშავია შენი ძირითადი პროფესიით?**

– არა, რადგან, ჯერ ბოლომდე არ დამიმთავრებია სწავლა. ახლა ვამთავრებ, ახლო მომავალში რადიოლოგი ვიქნები. ერთი წლის შემდეგ სალიცენზიო გამოცდაზე უნდა გავიდე, მერე უკვე ვნახოთ.

**– მაშასადამე, არ აპირებ, რომ დიპლომი შემოდო თაროზე და მხოლოდ მსახიობი იყო.**

– არ ვაპირებ. თუმცა, ის საქმიანობა მომწონს და მიყვარს, რითაც „ტვ 11-ში" და პროექტ „რომ გადახვალ, გააჩერეში" ვარ დაკავებული; აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. იმდენად თბილი, მეგობრული და ოჯახური გარემოა, რომ სამსახურს ვერც ვეძახით იქ მუშაობას. თან, ვაკეთებთ იმას, რაც ძალიან მიყვარს და მთელი ცხოვრება მიყვარდა.

**– ეს გასაგებია, მაგრამ, ექიმობა რატომ მოინდომე?**

– დედაჩემიც და მამაჩემიც ექიმები არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემი პირველი კურსის დახურვამდეც წინააღმდეგები იყვნენ ჩემი ექიმობის, იმიტომ, რომ მათ ძალიან რთული პერიოდი გამოიარეს. არ იყო დაფასებული ეს პროფესია საქართველოში; ვერც ახლაა ბოლომდე დაფასებული, მაგრამ, მაშინ, ოთხმოცდაათიანებში – საერთოდ. ამიტომ, მირჩევდნენ, უფრო მარტივი ან გამოსადეგი, პერსპექტიული პროფესია ამერჩია, ვთქვათ, საბანკო საქმე, მენეჯერი და ასე შემდეგ. თუმცა, რატომღაც, ავიჩემე და ჩავაბარე სამედიცინო უნივერსიტეტში.

**– მეუღლე რა პროფესიისა გყავს?**

– მეუღლე იურისტია. „საქართველოს ბანკში" მუშაობს.

**– ბავშვი რამხელაა? მისი რეაქცია მაინტერესებს ეკრანზე რომ გხედავს?**

– 4-ის არის ნუცა, ოქტომბერში 5 წლის გახდება. მისი რეაქციებიდან განსაკუთრებულად ერთი დამამახსოვრდა: ჩემი სატელევიზიო მეუღლე ორსულად რომ იყო, ხომ გადაწყდა, რომ ბუხუტიკო უნდა დაგვერქმია ბავშვისთვის, ჰოდა, ნუცამ ტელევიზორს უყურა, მერე მივიდა დედამისთან და ჰკითხა: დედა, მართლა უნდა მოგვიყვანოს მამამ სახლში ბუხუტიკოო?

**– თქვენს ოჯახში როგორ აფასებენ კოტიკოს?**

– იუმორით, როგორც იყო გათვლილი. აღნიშნავენ, კარგია, საჯაროდ რომ ითქვა – ასეთი ადამიანები არ გვინდა, გვარცხვენენო *(იცინის.)*

**– ქუჩაში გცნობენ?**

– დიახ. განსაკუთრებით ბავშვები გამოხატავენ ხოლმე, რომ მიცნეს. ამას წინათ ორმა ბავშვმა ჩამიარა და ჩემს დანახვაზე ერთმა მეორეს გადაულაპარაკა: „ეს ის ბიჭი არ არის, ტელევიზორში რომ ბლატაობს?"

**ეკა სალაღაია**


ვამზადებ პროფესიონალ და პერსპექტიულ კონდიტერებს, შეგასწავლით უახლესი რეცეპტებით ევროპული ტორტებისა და ნამცხვრების ცხობას, გაფორმებით.

მიღებული ცოდნით შექმნით შედევრებს.

**შეფ-კონდიტერი ნიკა.**

**ტელ: 595-404-183; 555-295-491.**



**წლების განმავლობაში, ქართველები ბევრ საეკლესიო დღესასწაულს მონასტრებში ცხვრებისა და ქათმების შეწირვით აღნიშნავდნენ, განსაკუთრებით კი ისეთ დღესასწაულს, როგორიც გიორგობაა. ეს ტრადიცია დღესაც არსებობს, თუმცა, არა ისეთი სიხშირით, როგორც ეს ადრე ხდებოდა. როგორია ეკლესიის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რატომ აღნიშნავენ ქართველები დღესასწაულებს წარმართული ტრადიციებით და რა მსხვერპლის შეწირვას ითხოვს ღმერთი ადამიანებისგან

– სანამ უშუალოდ ამ თემას შევეხები, მინდა გითხრათ, რომ, როდესაც ხატი იქმნება, ის არის მსგავსი, ანარეკლი პირველი საწყისისა. მაგალითად, იესო ქრისტეს ხატი არის ანარეკლი, ღვთის ხორციელი ბუნების გადმოცემა. როდესაც ამბობენ, რომ ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატად, ეს ნიშნავს იმას, რომ ღმერთი არის უკვდავი, მარადიული, მას გააჩნია სიცოცხლე და თავისუფალი ნება და, ასევე, ადამიანიც არის მარადიული, თავისუფალი და გონიერი არსება. ეს ყველაზე ძვირფასი რამ არის, რაც უფალმა აჩუქა ადამიანს – გონიერება, თავისუფალი ნება, მარადისობა. ადამიანი შეიქმნა მარადისობისთვის, მარადიული ცხოვრებისთვის, ხოლო ხატება მოწოდებული იყო იმისთვის, რომ ბოლომდე მიმსგავსებოდა ღმერთს. ხატება გვაჩუქა, ლანგრით მოგვართვა უფალმა, მაგრამ, ეს ხატება მას უნდა მიმსგავსებოდა სიკეთეში, სიყვარულში, სრულყოფილებაში. ადამიანმა უნდა იმოღვაწოს და საკუთარი თავისუფალი ნება მიმსგავსებით უნდა მიაახლოვოს ღმერთს. როდესაც ადამიანი ეცემა, ცოდვილად იწყებს ცხოვრებას, მას ღვთის ხატება უნარჩუნდება, მაგრამ, მსგავსება ეკარგება. როგორი ბოროტი, ცოდვილიც არ უნდა იყოს ადამიანი, მას მაინც აქვს თავისუფალი ნება, მაინც მარადისობისთვის არის, მაინც ხატებაა ღმერთის, ოღონდ, ჭუჭყში ამოსვრილი და გათელილი. ასეთი ადამიანი, შეიძლება, მივამსგავსოთ ტალახში ამოსვრილ მარგალიტს და თუ მას ტალახს მოვაშორებთ, ის იგივე ხატება იქნება, რომელიც დაიწყებს განღმრთობას და დაუბრუნდება ღმერთს. ამიტომ გვასწავლის ეკლესია, რომ, რაც დავკარგეთ, ანუ – მსგავსება, ეს ჩვენში უნდა აღდგეს ეკლესიური, მისტიკური ცხოვრებით, უფალთან ურთიერთობით. თუ ადამიანში ღმერთის მსგავსება არ აღდგება, სხვანაირად ის ბედნიერი ვერ იქნება და მისი მარადისობა იქნება უკუნეთში, სიბნელეში, სადაც არის „კბილთა ღრჭენა“.

**– დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ ადამიანის დანიშნულების, მისი ცხონების შესახებ, თუმცა, ძალიან ცოტა ადამიანმა იცის, სინამდვილეში რას ნიშნავს ეს და რაში მდგომარეობს ადამიანის განღმრთობის საიდუმლო.**

– ღმერთი ხუთ დღეში შექმნის მთელ კაცობრიობას, ყოველივე არსებულს, ხილულსა და უხილავს და მეექვსე დღეს კი შექმნის ყველა ქმნილებაზე აღმატებულს – ადამიანს. იოანე ოქროპირი და სხვა წმიდა მამები სვამენ კითხვას: რატომ შექმნა ღმერთმა ადამიანი მეექვსე დღეს, მთელი ხილული სამყაროს შექმნის შემდეგ და არა პირველ დღეს? ვფიქრობ, ამის მიხვედრა არ არის რთული. როდესაც ოჯახში ველოდებით ბავშვის დაბადებას, ბუნებრივია, მას ყველაფერს ვუყიდით, წინასწარ მოვემზადებით. შეგვიძლია, ასეთ მდგომარეობას შევადაროთ ადამიანის შექმნაც. ანუ, ღმერთმა ადამიანს ყველაფერი გაუმზადა და დაადგინა ხილული სამყაროს მეუფედ, მისცა ხელმწიფება, კურთხევა, რომ ის იყოს გვირგვინი სამყაროს შექმნისა და მან უნდა იმეფოს უფლის სახელით ხილულ სამყაროზე. როდესაც იქმნება სამყარო, წერია: თქვა ღმერთმა და შეიქმნა, თქვა ღმერთმა და აღმოცენდა. მაგრამ, როდესაც მივდივართ მეექვსე დღემდე, აქ წერია, რომ უფალი ბჭობს და ამბობს მრავლობითში: „ვქმნათ კაცი ხატებისაებრ და მსგავსებისაებრ ჩვენდა“. აქ არის ებრაული სიტყვა „ელოჰიმი“ – „ღმერთები,” მაგრამ, აქ საუბარია არა მრავალ ღმერთზე, არამედ, ერთარსება, სამპიროვანი ღმერთის – მამის, ძისა და სულიწმიდის ბჭობაზე საკუთარ თავში, როგორ შექმნან ადამიანი ხატებისაებრ და მსგავსებისაებრ თვისისა.

**– მამაო, მინდა, ერთ ტრადიციას შევეხო, რომელიც დღემდე გრძელდება. ხშირად ქრისტიანები ეკლესიას, ღმერთს სწირავენ ცხვრებს, ქათმებს... რამდენად მიზანშეწონილია ეს?**

– ქართველები ერთადერთი ერია, რომელმაც წარმართული ტრადიციები კარგად შეუხამა ქრისტიანობას და დღეს ხშირად ქვეცნობიერად, გაუაზრებლად ვზეიმობთ დღესასწაულებს წარმართული ტრადიციებით, რაც ნამდვილად არ არის უფლისთვის მოსაწონი, მაგალითად, გიორგობის დღესასწაული. სვანეთში წმიდა გიორგის სახელი შერწყმულია გუდანის, ხახმატის ჯვართან, მთვარის კულტთან. სვანებისთვის, მთიულებისთვის წმიდა გიორგი უფრო მეტია, ვიდრე ყოვლადწმიდა სამება, იესო ქრისტე. ასეთი ცნობიერება არ არის ღვთისათვის მოსაწონი. ქრისტიანმა უნდა გაარჩიოს, ვის ადიდებს და როგორ ადიდებს. ძველ აღთქმაში ღმერთი ესაია წინასწარმეტყველის პირით ამხელს ებრაელებს: მომწყინდა თქვენი დღესასწაულები, თქვენი ზვარაკები, ვაცები; მოდიხართ და თელავთ ჩემი ეზოს საზღვრებს. ვინ დაგავალათ ამ ზვარაკების ჩემთან მოყვანა? მოგეხსენებათ, რომ ძველ აღთქმაში ღმერთი ცოდვებისგან განშორებასა და მიტევებას ზვარაკებისა და ვაცების სისხლით მოითხოვდა. თუ ადამიანი შესცოდავდა, როგორი სიმძიმის ცოდვასაც ჩაიდენდა, იმის მიხედვით უნდა შეეწირა ზვარაკი – ფრინველები ან ცხოველები. მაგრამ, ასეთმა მსხვერპლმა ვერ განაღმრთო, ვერ მიიყვანა ადამიანი უფალთან, ვერ განაშორა ცოდვას, ამიტომ, ახალ აღთქმაში თავად განკაცდა ღმერთი; როგორც ტარიგი, ისე დაიკლა ჩვენი ცოდვებისთვის და დაგვიდგინა უსისხლო მსხვერპლი. ანუ, ახალი აღთქმა სისხლიან მსხვერპლს არ ცნობს, ამიტომ, ცხვრის დაკვლა იმ მოტივით, რომ ღმერთი მოგვიტევებს ცოდვებს, ყოვლად დაუშვებელია და, შეიძლება, მკრეხელობადაც მივიჩნიოთ. ცხვრის დაკვლას, ბუნებრივია, ეკლესია არ კრძალავს, მაგრამ, თუ გვგონია, რომ ღმერთს ამით ვაამებთ, ცოდვები მოგვეტევება, ეს უკვე გაუგონარი უმეცრებაა, ამით ჩვენ ზიანს ვაყენებთ, შეურაცხვყოფთ ჩვენს სარწმუნოებას და უფლის წინაშე გარკვეულწილად უმეცრები და უგუნურები წარვდგებით. გული მიკვდება, როდესაც ეკლესიის ეზოში ვხედავ დაღვრილ სისხლს, ცხვრის თავს, ნასუფრალს. თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაში სალოცავი საქეიფო ადგილად არის გააზრებული. მასზე თვალის დახუჭვა უწყინარი ცოდვა კი არა, კატასტროფა, მძიმე ცოდვაა, რის გამოც სამარცხვინო მდგომარეობაში ვიმყოფებით და ეს ყოვლად დაუშვებელია. ქართველი კაცის ცნობიერებაში დღესასწაული დაკავშირებულია დროსტარებასთან, ქეიფთან, მოლხენასთან. როგორც წმიდა მამები გვეუბნებიან, ქრისტიანმა ზეიმი უნდა აღნიშნოს გალობით, სახარების კითხვითა და წმიდა ზიარების მიღებით. 6 მაისს გიორგობა იყო. ეს არის მსოფლიო დღესასწაული, მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლურ სამყაროში აღინიშნება და, თუ მიადევნებთ თვალს, ნახავთ, როგორ აღნიშნავენ მას სხვა ქვეყნებში. საუკუნეებია, ამ დღეს საქართველოში საკლავებით, ქათმებით, დიდი რაოდენობის სანთლებით აღვნიშნავთ. სამწუხაროა, რომ ხშირად ამ ყველაფერს ბავშვებიც ესწრებიან და მათაც ასწავლიან უფროსები ამ მავნე ტრადიციას. ამით ჩვენ ეშმაკს ვწირავთ მსხვერპლს და განვარისხებთ ღმერთს. უფალი დავით მეფსალმუნის პირით ამბობს: „განა მე ვაცებისა და კუროების სისხლს ვსვამ? განა ეს მთა და მდელო ჩემი არ არის? მე რომ მომინდეს, შენ გთხოვ მის მსხვერპლად მოტანას?“ ღმერთი ადამიანისგან საკუთარი გულის შეწირვას ითხოვს: მე მინდა შენი გული, მე მოვალ შენთან, დავაკაკუნებ გულის კარზე და, თუ გამიღებ, შენთან ვივახშმებო. ღმერთი ჩვენს გულზე აკაკუნებს ქადაგებით, ლოცვით, ზარების რეკვით. როგორც იცით, ოდითგანვე, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ეკლესიაში აღესრულებოდა. როცა მტერზე გამარჯვება გვინდოდა, ეკლესიაში მივდიოდით, ვაკურთხებდით იარაღს და მერე მღვდელი მიგვიძღოდა დროშით. დღესაც ეკლესიამ უნდა ითავოს შემრიგებლური, მამაშვილური როლი და არავინ არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, გადარჩენისთვის რამდენი ცხვარი, ქათამი ან სანთელი შესწიროს ღმერთს. მაცხოვარი იოანეს სახარებაში ბრძანებს: „სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაგათავისუფლებთ თქვენ“. თუ ადამიანი ჭეშმარიტ სარწმუნოებაში, უფალთან არ არის, ის, მისდაუნებურად, ეშმაკთან იკავებს ადგილს. როდესაც ადამიანს ღმერთი ამხილებს, რომ მას ასეთი მსხვერპლი არ სჭირდება და გარკვეულ მინიშნებას განსაცდელის სახით მოუვლენს, მაგრამ, ის მაინც ისევ ყიდულობს ცხვარს და იმავეს აკეთებს – ჰგონია, რომ პირველი არ შეიწირა ღმერთმა და მას თავიდან სწირავს სისხლიან მსხვერპლს.



ახალი აღთქმა სისხლიან მსხვერპლს არ ცნობს, ამიტომ, ცხვრის დაკვლა იმ მოტივით, რომ ღმერთი მოგვიტევებს ცოდვებს, ყოვლად დაუშვებელია და, შეიძლება, მკრეხელობადაც მივიჩნიოთ

**– ბევრი თავს იმით იმართლებს, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.**

– როდესაც მრევლს ვეუბნებით, ეს არ გააკეთოო, ისინი გვპასუხობენ: მე ვიცი, რომ ეს ასეა, მაგრამ, ჩემი ახლობლები რას იტყვიან? ჩვენ ასე ვცხოვრობდით და, გვინდა, რომ ასე ვიყოთო. თუ ასე გავაგრძელებთ, შორს ვერ წავალთ. თუ გვინდა, დღესასწაული ვიზეიმოთ, უფალთან სამადლობელი ძღვენი მივიტანოთ, მის მიმართ მადლიერება გამოვხატოთ, უპირველეს ყოვლისა, ღვთისმსახურებას უნდა დავესწროთ. ქრისტიანი ზეიმს უნდა აღნიშნავდეს საღვთო ლიტურგიაზე დასწრებით, აღსარებითა და ზიარებით, რამეთუ მან ღმერთი უნდა ადიდოს და მსხვერპლად მიიტანოს სული შემუსვრილი, ანუ, განწმენდილი სული, დამდაბლებული გული, რომელსაც ღმერთი შეეიწირავს, არ განაძევებს მას საღვთო წიაღიდან. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ქრისტიანი, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში, მიდის დიდებულ ტაძრებში, საკლავით ხელში არტყამს მას რამდენიმე წრეს, ლოცვებს კითხულობს და მერე მთელ დღეს მოლხენით ატარებს, რაც ბოლოს, ძირითადად, მთავრდება ბილწსიტყვაობით, აყალმაყალითა და გაწევ-გამოწევით. ამიტომ, აღდგომას, გიორგობას და სხვა დიდ დღესასწულებზე ხშირია უბედური შემთხვევები. თქვენ როგორ ფიქრობთ, ღმერთს რაში უნდა სჭირდებოდეს დღესასწაულების ასეთი აღნიშვნა?! დღეს იმის თქმა, რომ არცოდნა არ ცოდვაა, უფრო დიდი ცოდვაა.

**ნათია უტიაშვილი**

# მანდამადოსის მთავარანგელოზის აღსრულებული სასწაული – მუცლადღება

მანდამადოსის მთავარანგელოზის სასწაულებრივი ჩარევის შესახებ გვიამბობს ქალბატონი მიხაილარი ქალაქ ელევსინიდან. ის და მისი და უშვილოები იყვნენ. დრო გადიოდა და შვილის ყოლის სურვილი სულ უფრო ძლიერდებოდა. ქალებს მედიცინის აღარ სჯეროდათ და გულმხურვალე ლოცვით მიმართავდნენ უფალსა და მის წმიდა მთავარანგელოზს შემწეობისთვის. მთავარანგელოზ მიქაელის პატივისცემით ღამისთევისას ქალბატონმა მიხაილარიმ მთელი სული ჩააქსოვა ლოცვაში და მხედართმთავარს სთხოვა, ეხსნა იგი ამ აუტანელი მწუხარებისგან. გამთენიისას მლოცველ ქალს ძილი მოერია. მას დაესიზმრა, რომ დასთან ერთად მთავარანგელოზის სახელობის მანდამადოსის ტაძარში იყვნენ და მათ თვითონ მთვარანგელოზი გამოეცხადათ მთელი თავისი დიდებით. ქალებმა მუხლი მოიყარეს და ზეციურ მფარველს შესთხოვდნენ, ორივე გაეხადა დედობის სიხარულის ღირსი. მხედართმთავარმა ხელი გაიწოდა, დაამშვიდა ისინი და უთხრა:

– ნუ დარდობთ, ორივეს გეყოლებათ შვილი. ღმერთს ჰმადლობდეთ მისი წყალობისთვის!

ოთხი წლის შემდეგ ქალბატონ მიხაილარის დამ იმშობიარა, მან კი არა. გავიდა ცხრა წელი. ქალმა ზეციური დახმარების იმედი დაკარგა და კვლავ მედიცინას მიმართა, მაგრამ იქაც ყოველივე უშედეგო აღმოჩნდა. მან შეიტყო, რომ ინგლისში არის ექიმი, რომელსაც ოპერაციის საშუალებით შეეძლო მისი განკურნება უშვილობისგან. ქალმა გადაწყვიტა, გაერისკა. მიუხედავად იმისა, რომ წარმატების იმედი ძალიან მცირე იყო, იგი გასამგზავრებლად მოემზადა, მაგრამ ამ დროს ქალბატონ მიხაილარს სინდისის ქენჯნა დაეწყო. უკანასკნელ წუთს მას ეჭვი შეეპარა თვისი საქციელის მართებულობაში და გადაწყვიტა, კვლავ მთვარანგელოზისთვის მიემართა, რათა გონება გაენათებინა მისთვის და ამ გასაჭირიდან გამოეყვანა. იგი მანდამადოსისაკენ გაემართა, ზეციური მხედართმთავრის ტაძარში და მისი ხატის წინ მხურვალედ ილოცა. საღამოს ლოცვის დროს ქალმა დაინახა, როგორ გადმოვიდა მთავარანგელოზი ხატიდან და მას შეხედა. ანგელოზის მზერაში ვედრება ჩანდა, თითქოს ეუბნებოდა: „რატომ ხარ სულმოკლე? რატომ დაკარგე რწმენა და ღვთის იმედი? რატომ არ დაგარწმუნა შენი დის მაგალითმა?" ქალმა შეინანა და მიწაზე დაემხო, ცრემლად დაიღვარა და ციურ მხედართმთავარს შენდობას სთხოვდა.

– გამგზავრება საჭირო არ არის. შენ აქ გააჩენ ბავშვს, ეს აქ მოხდება, – კეთილმაუწყებლად მოახსენა მას წმიდა ანგელოზმა.

ერთი თვის შემდეგ ქალბატონი მიხაილარი დაორსულდა და მალე გოგონა გააჩინა, რომელსაც ბარბარა დაარქვა. როდესაც გოგონა 6 წლის გახდა, ქალმა კვლავ მოინახულა მანდამადოსის მონასტერი, რათა სამადლობელი ლოცვა აღევლინა. დედამ ბავშვი ერთ სენაკში დატოვა, თვითონ კი ღამისთევაზე წავიდა. დაბრუნებულს არაჩვეულებრივი სიახლე ელოდა.

– სანამ შენ ტაძარში იყავი, ჩემთან ანგელოზი იყო, – უთხრა გოგონამ, როგორც კი მან სენაკის კარი შეაღო.

მოგვიანებით კეთილმორწმუნე ქალმა კიდევ ერთი სასწაულებრივი გამოცხადება და მფარველობა იხილა მანდამადოსის მთავარანგელოზისა. 1998 წელს, უხორცო ზეციურ ძალთა დღეს, ქალბატონ მიხაილარის მუცლის ქვემოთ ძლიერი ტკივილები დაეწყო. გარკვეული დროის შემდეგ მისი მდგომარეობა გაუარესდა. აუცილებელი ანალიზების ჩატარების შემდეგ ექიმებმა მას ურჩიეს, ოპერაცია გაეკეთებინა. ქალმა კატეგორიული უარი განაცხადა და პატარა ბავშვივით ტირილი დაიწყო. იგი დაჟინებითა და რწმენით სთხოვდა მთავარანგელოზს სასწაულებრივ განკურნებას. ხანგრძლივი ლოცვის შემდეგ ქალი დაწყნარდა და ჩაეძინა. ძილში მან იხილა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, როგორც ტახტზე მჯდომარე დედოფალი, მის გვერდით კი – მთავარანგელოზი. ისინი მას უღიმოდნენ. მეორე დილით ქალი საავადმყოფოში წავიდა და ხელმეორედ გაიკეთა ანალიზი. როდესაც შედეგები მზად იყო, ექიმებმა იგი მიიწვიეს და უთხრეს:

– თქვენ არაფერი არ გჭირთ, ქალბატონო მიხაილარი, აბსოლუტურად ჯანმრთელი ხართ და, შეგიძლიათ, სახლში წახვიდეთ.

მას შემდეგ იგი აღარ ავადმყოფობდა და დღემდე ადიდებს უფალსა და მის წმიდა მთავარანგელოზს.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ბევრისგან გამიგია გაბრაზებულ გულზე ნათქვამი ფრაზა: „ღმერთი გადაუხდის სამაგიეროს!" შეიძლება თუ არა, ღმერთს ვთხოვოთ, რომ დასაჯოს ჩვენი შეურაცხმყოფელები?**

**პასუხი**: ნუ სთხოვთ ღმერთს შეურაცხმყოფლის დასჯას, ნუ ისურვებთ სხვათათვის იმას, რასაც საკუთარი თავისთვის არ ისურვებდით. თუ ვინმემ გაწყენინათ, მიენდეთ უფლის ბრძნულ განგებულებას – მან უკეთ უწყის ყველაფერი.

**კითხვა: ჩემს შვილს აქვს გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემები და გადავწყვიტეთ მისი ფსიქოლოგთან მიყვანა. როგორ უყურებს ამ ნაბიჯს ეკლესია?**

**პასუხი**: ფსიქოლოგთან შვილის მიყვანა, რასაკვირველია, შეგიძლიათ, ოღონდ მიმართეთ გამოცდილ პროფესიონალს, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს ქრისტიანული, ზნეობრივი პრიცაპებით.

**კითხვა: ვარ ცაცია. ცოდვად ხომ არ ჩამეთვლება თუ პირჯვარს მარცხენა ხელით გადავიწერ?**

**პასუხი**: მარცხენა ხელით პირჯვრის გადაწერა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მარჯვენა ხელი დაზიანებული გაქვთ და ვერ ხმარობთ. ასეთ დროს კი პირჯვრის გადაწერის მიმართულება უნდა დაემთხვეს მარჯვენა ხელით პირჯვრის წერას.



**კითხვა: როგორ შევძლო, რომ რამე განსაცდელის შემდეგ არ ჩავვარდე სასოწარკვეთილებაში?**

**პასუხი**: სასოწარკვეთილებაში ყოფნა უდიდესი ცოდვაა, რადგან ეს ღვთის გმობის ტოლფასია. ქრისტიან ადამიანს მუდმივად უნდა ჰქონდეს ღვთის იმედი და სასოება. შეინარჩუნეთ სულის სიმშვიდე და იფიქრეთ იმაზე, რომ ეს განსაცდელი თქვენზე დაეშვა თქვენი ცოდვების გამო.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## როგორ ჩააქრო ყმაწვილკაცის ავხორცული ვნების ცეცხლი გამოცდილმა ბერმა

ალექსანდრიაში ერთი ბერძენი ყმაწვილკაცი ცხოვრობდა, რომელსაც ავხორცული ვნება-სურვილის ცეცხლი წვავდა. როცა ამ ახალგაზრდის მდგომარეობის შესახებ ერთ-ერთმა მოღვაწე ბერმა შეიტყო, მის გადასარჩენად ასეთ ხერხს მიმართა: მან ერთ ძმას, რომელსაც მკაცრ და ზვიად პიროვნებად იცნობდნენ, უბრძანა, ვნებააშლილი ახალგაზრდისთვის ჩხუბი აეტეხა, გაემწარებინა და იმ ზომამდე მიეყვანა, რომ ბერთან საჩივლელად მისულიყო. ძმამ შეასრულა ეს თხოვნა და ამავე დროს, „მოწმეებიც გამოძებნა", რომლებმაც მის სასარგებლოდ მისცეს ჩვენება, რამაც მომჩივანი სასოწარკვეთაში ჩააგდო. მოტყუებული ყმაწვილი სიმწრისაგან ატირდა. ძმებზე გაბრაზებული, სულ მუდამ განმარტოებით იმყოფებოდა, აღარავის კაცთაგან იმედი აღარ გააჩნდა და მაცხოვრის ჯვარცმასთან დამხობილი ტიროდა. ასეთ მდგომარეობაში მთელი წელიწადი გაატარა. ერთი წლის შემდეგ ბერმა ყმაწვილს ჰკითხა: ვნებას, რომელსაც ადრე შეპყრობილი ჰყავდა, კიდევ განიცდიდა თუ არა? ახალგაზრდა კაცმა მიუგო: „მამაო, მრუშობისთვის აღარ მცალია, ცხოვრება წამებად გადამექცა". ტიროდა და მოსთქვამდა უსამართლობით შეწუხებული ადამიანი. ამრიგად, სულიერი მამის წყალობით, ყმაწვილმა ავხორცულ ვნებას სძლია და გადარჩა.

## სატანური ლიტერატურის წაკითხვამაც კი შეიძლება, დიდი ზიანი მიაყენოს ადამიანს

ერთხელ ერთი ბერი შემთხვევით სამკითხაო წიგნს გადააწყდა და ცნობისმოყვარეობით გატაცებულმა უნებლიედ იწყო სატანური მკითხაობის საიდუმლოებებში წვდომა. მომდევნო ღამეს, უზარმაზარი ეთიოპი გამოეცხადა და უთხრა: „შენ მომიწოდე, აი, მეც აქ ვარ, რაც გინდა, ყველანაირ სურვილს აგისრულებ, ოღონდ ერთი პირობით – თაყვანი უნდა მცე". „ღმერთსა ჩემსა თაყვანის ვჰსცე და მას მხოლოსა ვმსახურო" (მათე 4,10), – მიუგო ბერმა. „მაშ გამოდის, რომ არ გინდა დამემორჩილო? თუ ასეა, რატომ უკირკიტებდი ჩემს სამკითხაო საიდუმლოებებს?" სატანამ ბერს სილა გააწნა და გაქრა. ტკივილის და შიშის შეგრძნებამ ბერი გამოაფხიზლა. მას ლოყა დაუსივდა და ისე გაუშავდა, რომ საშინელი შესახედავი იყო. დღითი დღე ტკივილი უძლიერდებოდა და სახე უფრო და უფრო უმახინჯდებოდა. სიმსივნემ თვალებამდე მიაღწია. ძმებმა, როდესაც უძლურებაში მყოფი ბერის ავადმყოფების მიზეზი შეიტყვეს, ყველაფერი ღირს მამა დიონისეს მოახსენეს, რომელიც დაუყოვნებლივ მივიდა ბერთან სენაკში. მან ლოცვით შეჰღაღადა უფალსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს და დასნეულებულ ბერს ზეთი სცხო. ბერი იმწამსვე გამოჯანმრთელდა და უფალი განადიდა.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# არასაფეხბურთო ქვეყნებში წასული ფეხბურთის ვარსკვლავები

*2013-2014 წლების სეზონის დასრულების შემდეგ, ტრადიციულად, უამრავი ტრანსფერი განხორციელდება და უკვე ცნობილია რამდენიმე სავარაუდო ვარიანტის შესახებ, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს „ბარსელონის" ლიდერის – ჩავის შესაძლო გადაბარგება ოკეანეს გაღმა, ჩრდილოეთ ამერიკაში, კერძოდ კი – „ნიუ-იორკ რედ ბულში", სადაც ამჟამად ირიცხება ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი – ტიერი ანრი. კარიერის დასასრულებლად არასაფეხბურთო ქვეყნებში წასული ვარსკვლავების რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს და მათ შორის ყველაზე ცნობილი ტრანსფერების შესახებ მოგითხრობთ.*

### დევიდ ბექჰემი – „რეალიდან" „ლოს-ანჯელეს გელექსიში"

ბექჰემის გამოჩენამ ამერიკის ჩემპიონატში უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია ამერიკელ ქომაგებსა და ჟურნალსიტებს შორის. ინგლისელმა ვარსკვლავმა უმალ ასწია MLS-ის, იგივე ამერიკის საფეხბურთო ლიგის პრესტიჟი მსოფლიოში. ბექჰემმა ხუთი სეზონი გაატარა ამერიკაში, თუმცა, ევროპული ფეხბურთი მისთვის მაინც მშობლიურად დარჩა: ორჯერ იჯარის წესით „მილანში" ითამაშა, ხოლო 2013 წელს კარიერა პარიზულ „პარი სენ-ჟერმენში" დაასრულა. ბექჰემი ერთადერთი ინგლისელი ფეხბურთელია, რომელსაც ოთხი ქვეყნის ჩემპიონატი აქვს მოგებული: ინგლისის, ესპანეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის.

### რაული „შალკედან" „ალ სადში"

„რეალ მადრიდის" ლეგენდა და საუკეთესო ბომბარდირი, რაული, ექვსჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი სამეფო კლუბთან ერთად და 16-წლიანი მადრიდული კარიერის შემდეგ ბედის საძიებლად გელზენკირჰენის „შალკეში" გადავიდა, სადაც არანაკლები წარმატებით იასპარეზა ორი სეზონის განმავლობაში. 2012 წელს 35 წლის ვეტერანი მიხვდა, რომ კონკურენციას ველარ გაუწევდა ახალ თაობას და ყატარში წავიდა, სადაც მას ზღაპრული კონტრაქტი შესთავაზეს არაბმა შეიხებმა. რაული ჯერაც „ალ სადის" ფეხბურთელია და კარიერის დასრულებას არ ჩქარობს.

### ალესანდრო დელ პიერო – „იუვენტუსიდან" „სიდნეიში"

იტალიელი ტიფოზებისთვის ალესანდრო დელ პიერო საკულტო ფეხბურთელია. „იუვენტუსის" ლეგენდამ 20 წელი გაატარა ტურინულ გრანდში და, მას შემდეგ, რაც მას კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს, შორეულ ავსტრალიაში გაემგზავრა ადგილობრივ „სიდნეიში" სათამაშოდ, სადაც ლიდერად და ბომბარდირად იქცა. წელს დელ პიერო 40 წლის გახდება, თუმცა კარიერის დასრულებას არ ჩქარობს და, გავრცელებული ცნობის თანახმად, „სიდნეი" მის კარიერაში ბოლო კლუბი არ იქნება.

### ალესანდრო ნესტა – „მილანიდან" „მონრეალ იმპაქტში"

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ალესანდრო ნესტამ, თავისი კარიერის საუკეთესო პერიოდი ორ იტალიურ გრანდში – „ლაციოსა" და „მილანში" გაატარა, სადაც ჩამოყალიბდა კიდეც მსოფლიო დონის ცენტრალურ მცველად. ნესტასა და ფაბიო კანავაროს დუეტი ერთ დროს მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა და სწორედ მათ განაპირობეს „სკუადრა აძურას" წარმატება 2006 წელს. 2012 წელს ნესტამ ევროპული კარიერის დასრულება გადაწყვიტა და ამ მიზნით კანადაში გაემგზავრა – მონრეალის „იმპაქტში", სადაც თანამემამულეები – მატეო ფერარი და მარკო დი ვაიოც ჩაიყვანა. 2013 წელს ნესტამ კარიერა დაასრულა, მაგრამ, მავანთა აზრით, მან ნაადრევად გადადგა ეს ნაბიჯი, რადგან კიდევ შეეძლო სარგებლის მოტანა კანადური კლუბისთვის.

## 250 ათას დოლარად ღირებული რობოტი-მწველავი ადამიანზე ეფექტური აღმოჩნდა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფერმერები ძროხების მოწველის რობოტულ მეთოდზე გადადიან. ძროხები თვითონ წყვეტენ, როდისაა ჭამისა და მოწველის დრო და აპარატთან რიგში დგებიან. მანქანა არა მარტო წველის ძროხას, არამედ, განსაზღვრავს რძის რაოდენობასა და ხარისხს.

მიუხედავად ასეთი მაღალი ფასისა, რძის პროდუქტების მწარმოებელი მსხვილი კომპანიები ცდილობენ, ადამიანები მთლიანად შეცვალონ ამ მოწყობილობებით. ერთ-ერთი პირველი იყო 1837 წელს დაარსებული Borden @ Sons, რომელმაც ამ სიახლეში 1,2 მილიონი დოლარი გადაიხადა. კომპანიის ხელმძღვანელები დარწმუნებულები არიან, რომ დანახარჯს 7-8 წელიწადში აინაზღაურებენ წარმოების ეფექტურობის ზრდით. ძროხები ძალიან სწრაფად შეეგუენ ახალ მეთოდს – ინოვაციური ტექნოლოგიის წყალობით ისინი წველის დროს ნაკლებად იზღუდებიან და, ამიტომ, თანამედროვე „მწველავი" ტრადიციულზე მეტადაც კი მოსწონთ. ნიუ-იორკის ფერმებში უკვე 100 რობოტია „დასაქმებული".

ფერმების ავტომატიზება სწრაფად ხდება სხვა ქვეყნებშიც. სიახლის დანერგვა ირლანდიაში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს. ახალი ტექნოლოგიის წყალობით, ქვეყანაში 2020 წლისთვის რძის წარმოების ერთნახევარჯერ გაზრდას ვარაუდობენ.

## იშვიათი ცხოველების შეჭმა 10-წლიანი პატიმრობით ისჯება

ჩინეთში აპრილის ბოლოს ძალაში შევიდა კანონი, რომლის მიხედვითაც, გადაშენების პირას მდგარი ცხოველების საკვებად გამოყენება მძიმე დანაშაულად ითვლება და, შესაბამისად, ისჯება კიდეც. ვინაიდან იშვიათი ცხოველების ხორცის ჭამა ჩინეთში მაღალი სოციალური სტატუსის მაჩვენებელია, ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა მათზე არალეგალური ნადირობა. ამავე მიზეზის გამო, ჩინეთი მიმზიდველი ქვეყანაა ამ სახის პროდუქტის კონტრაბანდისტებისთვისაც. მიუხედავად მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებებისა, აქამდე ბრაკონიერები მაინც განაგრძობდნენ ცხოველების განადგურებას. ახალი კანონით კი, სისხლის სამართლის კოდექსში პატიმრობა გათვალისწინებული იქნება არა მარტო იშვიათ ცხოველებზე ნადირობის, ტრანსპორტირებისა და ვაჭრობის, არამედ, მათი ხორცისგან რაიმე კერძის დამზადების გამოც. იმედოვნებენ, რომ ამ ღონისძიებით გადაშენებისგან იხსნიან გიგანტურ სალამანდრებს, იშვიათ გველებსა და ფაუნის სხვა იშვიათ წარმომადგენლებს, რომლებიც ჩინურ რესტორნებში დელიკატესად ითვლება. სულ ქვეყანაში ცხოველთა 420 სახეობაა გადაშენების პირას მისული.

## საავტორო უფლებების დამრღვევი ანდერსონი

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი, ბრაზილიელი ანდერსონი, რომელიც ამჟამად იჯარის წესით ფლორენციის „ფიორენტინაში" ასპარეზობს, სკანდალის მონაწილე გახდა. იტალიის თასის ფინალური მატჩის დაწყებამდე, ტრადიციის თანახმად, ფინალისტი გუნდების ფეხბურთელები რომის პაპმა ფრანცისკმა მიიღო ვატიკანში და შეხვედრის დროს ანდერსონმა რომის პაპს საკუთარი სმარტფონით ფოტო გადაუღო, რომელიც უმალ ატვირთა სოციალურ ქსელში. 2009 წლიდან მოქმედებს კანონი, რომელიც კრძალავს რომის პაპთან დაკავშირებული სიმბოლოებისა და ფოტოების გამოქვეყნებას და ამას საავტორო უფლებების დარღვევად აფასებს. უცნობია, თუ რა სახის ჯარიმა დაეკისრება საავტორო უფლების დამრღვევ ბრაზილიელ ფეხბურთელს.

## Gatorade-ს ახალი სარეკლამო რგოლი

სპორტსმენებისთვის განკუთვნილი სპეციალური სასმლის მწარმოებელმა, კომპანია „Gatorade"-მა, ახალი სარეკლამო რგოლის პრეზენტაცია მოაწყო. რეკლამაში „ბარსელონელი" ლიონელ მესი, დავიდ ლუიზი „ჩელსიდან", მადრიდელი სერხიო რამოსე და „ლოს-ანჯელეს გელექსის" ვარსკვლავი ლენდონ დონოვანი მონაწილეობენ. პოპულარული მუსიკალური კომპოზიციის ფონზე ფეხბურთის ვარსკვლავები ყველაზე ცნობილ სპორტულ სასმელს საფეხბურთო ილეთების ჩვენებით უკეთებენ რეკლამას.

## ნოვაკი და ელენა შვილს ელოდებიან

სერბი ჩოგბურთელის, ნოვაკ ჯოკოვიჩისა და მისი საცოლის, ელენა რისტიჩის ამ წლის ბოლომდე დაგეგმილი ქორწილი, შესაძლოა, რამდენიმე ხნით გადაიწიოს. საქმე ისაა, რომ „ტვიტერის" საშუალებით ნოვაკ ჯოკოვიჩმა მსოფლიოს აცნობა, რომ სულ მალე მამა გახდება. მსოფლიო ჩოგბურთის პრაქტიკიდან გამომდინარე, ვარსკვლავები ქორწილებს კარიერის დასრულების, ან, ზაფხულში, უიმბლდონის ტურნირის დასრულების შემდეგ იხდიან, თუმცა, ნოვაკის შემთხვევაში საქმე სხვაგვარად არის – იგი არც კარიერის დასრულებას ჩქარობს და უიმბდლონის ტურნირიც სულ მალე იქნება, ასე რომ, მომავალ მამას ქორწილის გადადება 2015 წლამდე მოუწევს.

## ირინა შეიკის პიკანტური ფოტოები



კრიშტიანუ რონალდუს საცოლემ, სექსუალურმა ირინა შეიკმა „ინსტაგრამის" საკუთარ გვერდზე პიკანტური ფოტოების ახალი პარტია გამოაქვეყნა. ფოტოებზე ირინა საცურაო კოსტიუმში პოზირებს და თავისი უნაკლო სხეულის დემონსტრირებას ახდენს. ფოტოსესია „სპორტს ილუსტრეიტედის" 2015 წლის კალენდრისთვის მოეწყო და შემოდგომაზე ფოტოებს პრიალა ქაღალდზე დაბეჭდილს იხილავენ ირინას თაყვანისმცემლები.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# მილიარდერები, რომლებსაც კანონთან პრობლემები აქვთ

*„ფორბსის" 2014 წლის მილიარდერთა რეიტინგი, წესით, წარმატებულ და ფინანსურად მყარ ნიადაგზე მდგარ ადამიანებს უნდა აერთიანებდეს, თუმცა, რამდენიმე მათგანს კანონის წინაშე გარკვეული დანაშაული მიუძღვით. გთავაზობთ 2014 წლის კანონდამრღვევ მილიარდერებს.*

### ვონ კვონ იუ – 1,55 მილიარდი დოლარი

რამდენიმე წარმატებული კომპანიის მფლობელი ჩინელი ბიზნესმენი 2006 წლამდე ჩინეთის უმდიდრეს ადამიანად ითვლებოდა. ამჟამად მას რამდენიმე საქმეზე უწევს პეკინის სასამართლოში სიარული – ვონ კვონ იუს პოლიციელებისთვის ქრთამის მიცემა და, ასევე, შანხაის საფონდო ბირჟაზე უკანონო, ინსაიდერული ოპერაციების განხორციელება ედება ბრალად.

### ჩეი ტე ვონი – 2,5 მილიარდი დოლარი



ჩეი ტე ვონი სამხრეთ კორეაში ძმასთან ერთად მართავდა ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო კონგლომერატს, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო. ბიზნესმენი, ასევე, ფლობს წილებს ტელეკომუნიკაციასა და ენერგეტიკაში. ჩეი ტე ვონს ამჟამად სასამართლოში აქვს საქმე – მას ბრალად ედება კომპანიის ფონდიდან 50 მილიონი დოლარის მითვისება.

### ჯიმ ირსეი – 1,6 მილიარდი დოლარი

ამერიკელი მილიარდერი ჯიმ ირსეი 2014 წლის 17 მარტს გამოვიდა ციხიდან. „ინდიანაპოლის კოლტსის" მფლობელი ავტომობილის ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მართვის გამო დააკავეს; გარდა ამისა, მის ავტომობილში ფსიქოტროპული წამლების დიდი რაოდენობა აღმოაჩინეს. ციხიდან თავის დახსნა მილიარდერს 22 500 დოლარი დაუჯდა.

### ჯოზეფ ლაუ – 8,4 მილიარდი დოლარი

ჰონკონგელ მილიარდერ ჯოზეფ ლაუს ქრთამის მიცემა დაუმტკიცდა – მან 20 მილიონი ჰონკონგური დოლარი გადაუხადა ჩინოვნიკებს, რათა მაკაოში მიწის ფართების შეძენისას კონკურენტებთან უკეთეს პირობებში ყოფილიყო. ლაუს ხუთწლიანი სასჯელი შეეფარდა, ხოლო კომპანიის სათავეში იგი მისმა შვილმა შეცვალა.

### გლებ ფეტისოვი – 1,4 მილიარდი დოლარი

რუსი ბიზნესმენი და „მოი ბანკის" მფლობელი გლებ ფეტისოვი ბანკის თანხების უკანონო მითვისებაშია ბრალდებული. გამოძიების ვერსიით, მან 555 მილიონი რუბლი მიითვისა. ფეტისოვი თებერვალში დააკავეს და ამჟამად საქმე სასამართლოშია. ცნობისთვის, ფეტისოვი წარსულში პოლიტიკაში მოღვაწეობდა – ის სენატორის თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა, ბიზნესში წასვლა არჩია.

# ლენა ჰედი – „300 სპარტელისა" და „სამეფო კარის თამაშების" ვარსკვლავი

*ინგლისელი კინომსახიობი ლენა ჰედი ცნობილია ბრუტალური როლებით მძაფრსიუჟეტიან ფილმებში, მათ შორის, 300 სპარტელზე გადაღებული ეპიკური ბლოკბასტერის „300" და ფილმის მეორე ნაწილით – „300: იმპერიის აღზევებაში" შესრულებული დედოფალი გორგოს როლით. მსახიობს საინტერესო ბიოგრაფია აქვს.*



* ლენა ჰედი დაიბადა 1973 წლის 3 ოქტომბერს, ბერმუდის კუნძულებზე. მამა, ჯონ ჰედი, იორკშირის პოლიციის ოფიცერი, სამსახურიდან კუნძულებზე გაგზავნეს და, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ოჯახი ბერმუდებზე ცხოვრობდა, სადაც დაიბადა მომავალი მსახიობი.

* ბავშვობაში ლენა არ ინტერესდებოდა კინოთი, არ დადიოდა დრამატულ წრეზე და მხოლოდ პარიკმახერის პროფესიაზე ოცნებობდა.

* 17 წლის ასაკში ლენა ჰედი ქუჩაში აგენტმა შეამჩნია და ქასტინგზე მოიწვია. ასე მოხვდა ლენა ჰედი ფილმის – „წყალთან" გადასაღებ მოედანზე. ეს იყო ლენას დებიუტი კინოში, რომელმაც აღიარება მოუტანა. ამას მოჰყვა როლები გახმაურებულ ფილმებში: „ჯუნგლების წიგნი;" ტარზანზე გადაღებული ბლოკბასტერი, „ძმები გრიმები", „მოსამართლე დრედი", „წითელი ბარონი" და სხვა.

* თავისუფალ დროს ლენა ჰედი კრივით არის დაკავებული. ის ვეგეტარიანელია და იოგათი არის გატაცებული.

* 1994 წელს ფილმ „ჯუნგლების წიგნის" გადასაღებ მოედანზე ლენა ჰედიმ მსახიობი ჯეისონ ფლემინგი გაიცნო, რომელსაც შემდეგ 9 წელი ხვდებოდა. ლენას ხელზე ტაილანდურ ენაზე ტატუირებაც კი აქვს გაკეთებული – მას „ჯეისონი" უწერია. გარდა ამისა, ლენას სხეულს ათამდე სხვადასხვა ფორმის ტატუ ამშვენებს.

* 2007 წელს ლენა ჰედი ცოლად გაჰყვა პიტერ პოლ ლოუგრენს. 2010 წელს წყვილს ვაჟი – უაილ ელიოტი ეყოლა, ხოლო 2012 წელს ლენა და პიტერი ოფიციალურად განქორწინდნენ.

* სერიალ „სამეფო კარის თამაშების" გადაღებების დროს, პარტნიორი, ბრიტანელი მსახიობი შონ ბინი ლენას ბუტერბროდებს ჰპარავდა.

* „ძმებ გრიმებში" გადაღებების დროს, როლიდან გამომდინარე, ლენა ჰედის ბოცვერისთვის ტყავის გაცლა და გაფატვრის სწავლა მოუწია.

* ლენა ჰედი, კინემატოგრაფის პარალელურად, ტელევიზიაშიც აქტიურად არის დაკავებული, მის სახელს ორი პოპულარული ტელესერიალი უკავშირდება: „ტერმინატორი: სარა კონორის ქრონიკები", სადაც ის სარა კონორს ანსახიერებდა და, ასევე, მეგაპოპულარული სერიალი – „სამეფო კარის თამაშები", სადაც იგი უარყოფით პერსონაჟს, სერსეი ლანისტერს თამაშობს.

* მსახიობი დიდ დროს ატარებს გადაფრენებში: ლენას ორი სახლი აქვს – ლოს-ანჯელესსა და ლონდონში; გარდა ამისა, „სამეფო კარის თამაშების" გადაღებები ბელფასტში მიმდინარეობს და მსახიობს ხშირად უწევს თვითმფრინავით გადაადგილება.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# მხოლოდ ფაქტები

* დრუიდები, ძველი კელტების ქურუმები ახალ წელს ოქტომბრის ბოლო კვირას აღნიშნავდნენ. ახლა ამ დღეს ჰელოუინი აღინიშნება.

* მეცხრამეტე საუკუნეში ლონდონის ჰაიდ-პარკში უზარმაზარი სკულპტურა აღმართეს, რომელიც აქილევსს გამოსახავდა, თუმცა, რადგან ძეგლი ბრიტანეთის სახმელეთო ჯარების მეთაურს, ვატერლოოს ბრძოლის გმირს ართურ ველსლი ველინგტონს მიეძღვნა, აქილევსის თავი მისი სკულპტურული პორტრეტი იყო.

* აპარტეიდი ერთ-ერთ აფრიკულ ენაზე „გაყოფილად ცხოვრებას" ნიშნავს.

* 1972 წლის დეკემბერში იტალიურ ქალაქ ბოლცანოში უნდა ჩატარებულიყო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ბრონქოპულმონარული გართულებები გრიპის შემდეგ", მაგრამ ბოლო მომენტში გადაიდო, რადგან კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობა გრიპით დაავადდა.

* გასული საუკუნის ბოლოს ორნიტოლოგებმა, როდესაც კოლუმბიის მთიან, ძნელად მისადგომ ადგილებს იკვლევდნენ, ნახევარი მილიონი დოლარი აღმოაჩინეს... თუთიყუშებთან. ეს ფრინველები თურმე ნარკომაფიოზებისთვის მოპარული დოლარებით ბუდეებს იშენებდნენ.

* ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი ბერტრან რასელი დიდად ერუდირებული ადამიანი იყო. მაგალითად, მან კარგად იცოდა საზღვაო სიგნალების ალმების ანბანი. ამბობენ, რომ სწორედ ამ ანბანის გამოყენებით შექმნა „ბირთვული განიარაღების" სიმბოლო. აილო მისი პირველი ასოების სიგნალების სილუეტები და სილამაზისთვის წრეში ჩასვა.

* 1817 წელს გერმანიის ქალაქ ბადენში მთავარმა მეტყევემ, სხვათა შორის, ტიტულით ბარონმა, კარლ ფრიდრიხ ფონ დრეზერმა ხის ოთხთვალათი 14 კილომეტრი გაიარა და საყოველთაო აღტაცებაც გამოიწვია. ეს იყო ველოსიპედის პირველი კონსტრუქცია.

* General Motors-ის სპეციალისტებმა შექმნეს უნიკალური მოწყობილობა, რომელიც უდიდესი ძალით ისვრის ჰაერში ფრინველების გვამებს... და თვითმფრინავების გამოსაცდელად გამოიყენება.

* ინდიელები კუნძულ იამაიკას „წყაროს კუნძულს" უწოდებდნენ. ამბობენ, სწორედ ამ კუნძულზე დაამზადეს პირველად სასმელი „რომი".



## თუ გსურთ წონაში არ მოიმატოთ ჭამეთ უცხიმო ხორცი, თაფლი და სვით წითელი ღვინო

ნორმალური წონის ადამიანებში ქოლესტერინის მაღალი დონე თავისთავად ზრდის კილოგრამების მომატების რისკს. ქოლესტერინის გამოყენებაზე პასუხისმგებელია ღვიძლი. სწორედ მასში გარდაიქმნება ჭარბი ქოლესტერინი ნაღვლის მჟავად, რომელიც, ნაწლავებში მოხვედრის შემდეგ, ბუნებრივი გზით, გარეთ გამოიყოფა. ეს მექანიზმი ფერხდება, თუ ღვიძლში ქოლესტერინის გადამუშავებაზე პასუხისმგებელი ძირითადი გენი დაზიანებულია. ამ დროს ქოლესტერინის ჭარბი რაოდენობა სისხლის შრატში მიმოიქცევა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ცხიმიან საკვებს აღარ მიირთმევს. აღნიშნული გენის დაზიანებისას, ირღვევა ცუდი ქოლესტერინის განდევნა, კარგი კი ორგანიზმს შეუფერხებლად ტოვებს. ქოლესტერინის გენის მუშაობის შეფერხება ძირითადად ქალებში აღინიშნება. სისხლში ქოლესტერინის მომატებული დონე მოზარდ გოგონებში დაახლოებით 10 წლის ასაკიდან ხდება გასუქების მიზეზი. რაც უფრო დაბალია გოგონა, მით მეტია რისკი. ამიტომ, ტანმორჩილ ბავშვებს მშობლებმა ხშირად უნდა შეუმოწმონ სისხლში ქოლესტერინის დონე. თუმცა, ქოლესტერინის გაკონტროლება ნებისმიერ ასაკშია საჭირო.

ხშირად ქოლესტერინის მომატების მიზეზი კვების რაციონის არასწორი შერჩევაა. ქოლესტერინის დონეზე გავლენას ახდენს ცხიმები. ნაჯერი ცხიმები ამაღლებს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობას. ასეთია ცხიმებით მდიდარია ხორცი, ნაღების კარაქი და ყველი; ნახევრად უჯერი ცხიმები კი ამცირებს ქოლესტერინის დონეს. მას შეიცავს სოიის, მზესუმზირის, სიმინდის ზეთი, თევზი, ფრინველის მჭლე ხორცი, ზღვის პროდუქტი, უცხიმო რძის პროდუქტები. ასევე, სისხლში ქოლესტერინის დონეს ამცირებს მონო-უჯერი ცხიმები. მათ შეიცავს ზეითუნისა და არაქისის ზეთი, ნიგოზი და ავოკადო. ამ პროდუქტებით მდიდარი დიეტა ძალიან სასარგებლოა.

მცენარეული საკვები ქოლესტერინს არ შეიცავს. ერთ კვერცხში კი დაახლოებით 260-270 მილიგრამი ქოლესტერინია, რაც ადამიანის დღიური ნორმაა.

უცხიმო ხორცის ჭამა სასურველია მათთვის, ვისაც ქოლესტერინისგან გათავისუფლება სურს. ხილი და ბოსტნეული კი ქოლესტერინის ნამდვილი მტერია. ამ მხრივ ყველაზე კარგია ვაშლი. თაფლიც ქოლესტერინთან მებრძოლ იმდენივე ანტიმჟანგავს შეიცავს, რამდენსაც ვაშლი. 1 ჭიქა წყალში გახსენით 2 სადილის კოვზი თაფლი და სვით ყოველ დილით. მოერიდეთ ყავის ხშირად სმას, რადგან მასში დუღილის დროს წარმოიქმნება ნივთიერება, რომელიც ქოლესტერინის დონეს ამაღლებს.

ასევე, კარგია, თუ მთელი დღის განმავლობაში 1 ჭიქა წითელ ღვინოს მიირთმევთ. ფიზიკური დატვირთვის დროს კი, სისხლი ინტენსიურად გაივლის ღვიძლს და ცუდი ქოლესტერინი ნაღვლის მჟავად გარდაიქმნება. ამიტომ, ფიზიკური ვარჯიშები ამ მხრივ ძალიან სასარგებლოა.

## ჯანმრთელობის გაუმჯობესება სწორად შერჩეული საკვებითაც შეგიძლიათ

თუ ადვილად იღლებით, ესე იგი, თქვენი საკვები არაბალანსირებულია, თანაც – ვიტამინებითა და მინერალებით ღარიბი. ჯანმრთელობის გაუმჯობესება საკვებითაც შეგიძლიათ:

**ნიორი** – აძლიერებს იმუნურ სისტემას. მასში შემავალი ცილა ასტიმულირებს ორგანიზმს, რაც გარემოს დამღუპველი ზემოქმედებისგან საიმედო დაცვას უზრუნველყოფს.

**პომიდორი** – ეს მცირეკალორიული ბოსტნეული მდიდარია კალიუმით, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია გულისა და სისხლძარღვებისთვის.

**ნიგოზი** – თუ ნერვები მოშლილი გაქვთ, მიირთვით ნიგოზი. მასში დიდი რაოდენობით შემავალი B ჯგუფის ვიტამინები ნერვულ სისტემას აძლიერებს, ააქტიურებს გონების მუშაობას, აფერხებს გაღიზიანების გამოვლენას და კონცენტრაციის უნარის დაქვეითებას.

**ბანანი** – ენერგიის წყაროა. ეს ხილი ყველაზე დიდი ხნით ავსებს ორგანიზმს სიმხნევით. ის რეკომენდებულია გონებრივი და ფიზიკური დატვირთვისას. მასში შედის ბევრი ნახშირწყალი და ამიტომაც, მალე ანაყრებს. ბანანი მდიდარია A, C და B ჯგუფის ვიტამინებით. მას ორგანიზმიდან გამოაქვს ნალექები, აცხრობს კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებას, ამცირებს ქოლესტერინის რაოდენობას, აძლიერებს იმუნიტეტს, აღადგენს ძილს და ამშვიდებს ნერვებს. მასში შემავალი კალიუმი კი ინფარქტისა და ინსულტისგან დაგიცავთ.

**სტაფილო** – მდიდარია A ვიტამინით, რომელიც უჯრედების გაახალგაზრდავების წყაროა. ის სტიმულს აძლევს უჯრედებს და მათ განახლებაზე „ზრუნავს". ასევე, იცავს კანს გარემოს მავნე ზემოქმედებისგან და ელასტიკურს ხდის მას. გარდა ამისა, სტაფილო შეიცავს ბეტა-კაროტინს, რომელიც ორგანიზმს ნაწლავების კიბოს გაჩენისგან აზღვევს.

**რძის ცილა** – შეიცავს ბევრ ტიროზინს. ეს ამინომჟავა ხელს უწყობს თავის ტვინში „ბედნიერების ჰორმონის" – სეროტონინის გამომუშავებას. რძეში შემავალი B ჯგუფის ვიტამინები კანს წმენდს გამონაყარისგან. ასევე, ამაგრებს თავის კანს, რაც თმის ხარისხზე სასიკეთოდ მოქმედებს.

**ხახვი** – ამ ბოსტნეულში აღმოჩენილია ნივთიერება, რომელიც შემადგენლობითა და მოქმედებით ძალიან ჰგავს ადამიანის ჰორმონებს. ის სტიმულს აძლევს ორგანიზმს და ნაადრევი დაბერებისგან იცავს. ეს ნივთიერება ყველაზე დიდი რაოდენობით შედის ვარდისფერი ჯიშის ხახვში.

## რა სიმპტომები ახასიათებს კუჭის წყლულს

ადამიანის ორგანიზმს სისტემატურად ესაჭიროება საკვები ნივთიერებების, წყლის, მინერალური მარილების, ვიტამინების მიღება-მიწოდება. ეს ფუნქცია საჭმლის მომნელებელ სისტემას ეკისრება და, საკმარისია, რომელიმე ნივთიერების ნაკლებობა გაჩნდეს, თავს იჩენს ბევრი პრობლემა, რომელთაგან ყველაზე სერიოზული წყლულოვანი დაავადებაა.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებებს საფუძვლად უდევს კუჭის ლორწოვან გარსში, უფრო ხშირად კი, თორმეტგოჯა ნაწლავის დასაწყის ნაწილში, წყლულის გაჩენა, რაც ძნელად ხორცდება. ამ დაავადების დროს გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფსიქოემოციურ გადაძაბვას, კვების არეულ რეჟიმს, უხეშ, გამაღიზიანებელ საკვებ პროდუქტებს და ასე შემდეგ.

დაავადების ძირითადი ნიშნებია: გულძმარვა, ტკივილი კუჭის არეში, ასევე, ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ და გულთან. ადამიანს ეს მოვლენები ეწყება კვებიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, ზოგჯერ კი, დილით, უზმოზე. საერთოდ, წყლულოვანი დაავადების მიმდინარეობა პერიოდული გამწვავებით ხასიათდება. ამ დროს საჭიროა კუჭის წვენის გამოკვლევა, რადგან წყლულოვან დაავადებას ხშირად თან ახლავს კუჭის წვენის სიმჟავის მომატება. ამ დროს ავადმყოფმა ისეთი საჭმელი უნდა მიიღოს, რომელიც კუჭის ლორწოვან გარსს არ გააღიზიანებს, არ გამოიწვევს მაღალი მჟავიანობის მქონე კუჭის წვენის დიდი რაოდენობით გამოყოფას.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გართულების შემთხვევაში, აუცილებელია მკაცრი დიეტის დაცვა.

გულძმარვისა და კუჭის ტკივილის დროს ეფექტურია წყალში გახსნილი სოდის მიღება, კერძოდ, ნახევარი ჩაის კოვზი სოდა გახსენით ერთ ჩაის ჭიქა თბილ წყალში და დალიეთ.

წყლულის მკურნალობისას, ავადმყოფს კატეგორიულად ეკრძალება თამბაქო და ალკოჰოლიანი სასმელები. საკვებიდან უნდა გამოირიცხოს ხორცის ბულიონი, შემწვარი და მოხრაკული ხორცი, ძეხვეული, მჟავე, ცხარე, მლაშე საჭმელი. ასევე, მაგარი ჩაი, ყავა, შოკოლადი, გაზიანი სასმელები. ავა-

დმყოფმა უნდა ჭამოს გახუხული პური, კარაქი, ხაჭო, უმარილო ყველი, გაწურული მაწონი, მოხარშული თევზი, ქათმის ან საქონლის მოხარშული ხორცი, კარტოფილის და სტაფილოს პიურე, უხორცო სუპი, ფაფები. შეუძლია, ასევე, მიირთვას თოხლო კვერცხი.

საკვები მდიდარი უნდა იყოს ვიტამინებითა და მიკროელემენტებით. გაითვალისწინეთ, რომ სასურველია, ხილი და ბოსტნეული ჭამოთ მოხარშული ან მისგან გამოწურული წვენი დალიოთ.

### თუ გონებრივად დატვირთული სამუშაო გაქვთ, ჭამეთ ნიგოზი და თევზი

ბევრი ადამიანი უჩივის ქრონიკულ დაღლილობას. შრომამ რომ ძალიან არ გადაგღალოთ და თავი მხნედ და ჯანმრთელად იგრძნოთ მთელი დღის განმავლობაში გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები. კერძოდ:

* ყოველ საღამოს დაიზილეთ ტანი ცივ წყალში დასველებული პირსახოცით და მიიღეთ B ვიტამინი. ძილის წინ კი გაიკეთეთ ფეხების აბაზანა;

* დიდი რაოდენობით მიირთვით კალციით მდიდარი საკვები, მაგალითად: ნედლი ბოსტნეული, ხილი, რძე, კვერცხის გული;

* თუ გონებრივად დატვირთული სამუშაო გაქვთ, ჭამეთ ნიგოზი, ნუში და თევზი;

* თუ საღამოს ფეხებში ტკივილი იგრძენით, ესე იგი, სისხლძარღვების სპაზმი გაქვთ. ეს ძირითადად იმათ აწუხებთ, ვისაც დიდი ხნით უწევს სამსახურში ფეხზე დგომა. სახლში დაბრუნებისას, დაახლოებით ნახევარი საათით, დაჯექით სკამზე და ფეხები მეორე სკამზე შემოაწყვეთ;

* ყოველ დილით დალიეთ ერთი ჩაის ჭიქა რძე, რომელშიც ერთი ჩაის კოვზი თაფლი იქნება გარეული. კარგია, პიტნის ჩაიც;

* დალიეთ დღეში ერთი ჩაის ჭიქა, წყალში გაზავებული ყურძნის ნატურალური წვენი ან ერთი ჭიქა წითელი ღვინო.

* ინტელექტუალური შრომით გამოწვეული თავის ტკივილის მოსახსნელად კარგია, სადილად ქაშაყის ჭამა.

* სისხლძარღვების გასამაგრებლად სასურველია, ორი კვირის განმავლობაში ჭამოთ დღეში ერთი კბილი ნიორი. ეს უზმოზე უნდა მოახერხოთ. სისხლძარღვების გამაგრებით ტვინთან და გულთან დაკავშირებული პრობლემებიც მოგეხსნებათ. ასევე, სისხლძარღვების გასამაგრებლად და ნერვული სტრესის დროს, თბილ რძეში გახსენით კვერცხის გული, დაუმატეთ ცოტა თაფლი და დალიეთ დღეში ორჯერ.

### ჰიპერტონიის დროს ჭამეთ კანიანად შემწვარი კარტოფილი

მენიუში კარტოფილის ჩართვით, თქვენს ორგანიზმს აუცილებელი და შეუცვლელი ამინომჟავებით ამარაგებთ, განსაკუთრებით კი, ლიზინით, ნახშირწყლებით, მინერალური ნივთიერებებითა და ვიტამინებით.

სრულფასოვანი კვებისთვის საკმარისია, მიირთვათ დღეში 100-120 გრამი კარტოფილი. ძველი, ხალხური მედიცინის რეცეპტით, მის წვენს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის განსაკურნებლად იყენებდნენ.

კიდურების შეშუპების დროს, გაფცქვენით უმი კარტოფილი და გახეხეთ. მიღებული მასა დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში დაიდეთ შესიებულ ადგილზე და შეიხვიეთ.

თუ ჰიპერტონია გაწუხებთ, ხშირად მიირთვით აირღუმელში კანიანად შემწვარი კარტოფილი.

ოსტეოქონდროზის დროს კარგია გახეხილი კარტოფილისა და თაფლის ნარევის კომპრესი, რომელსაც ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი აქვს. კომპრესი დაახლოებით საათ-ნახევარი უნდა გაიჩეროთ.

თუ თავი გტკივათ და გული გერევათ, დალიეთ უმი კარტოფილის წვენი, დღეში ორჯერ, ნახევარი ჭიქა. თუ კარტოფილის წვენს სტაფილოსა და ნიახურის წვენსაც შეურევთ, ორგანიზმს წიდებისგანაც გაწმენდთ.



სამკურნალოდ კარტოფილის სახამებელიც გამოიყენება. კუჭ-ნაწლავის დაავადებების დროს მას ანთების საწინააღმდეგო საშუალებად იყენებენ.

მძიმე ფორმის მოწამვლისას კი, მხოლოდ მოხარშული კარტოფილის ჭამა წამლად შეგერგებათ.

**გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: 18 წლის გოგონა ორი დღეა, დილაობით ამჩნევს, რომ ნერწყვს მოჰყვება მცირე რაოდენობით შერეული სისხლი. რა შეიძლება იყოს ამის გამომწვევი მიზეზი? ეს კბილის გახეხვამდე შეიმჩნევა და არ არის ღრძილებიდან წამოსული სისხლი.**

**პასუხი:** თუ პირის ღრუ ჯანმრთელი აქვს (ღრძილები, კბილები), მაშინ, შესაძლოა, ეს იყოს ცხვირიდან გადადინებული სისხლი, მაგრამ, დასაზუსტებლად ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს მიმართეთ.

**კითხვა: ძალიან მაწუხებს თმის ცვენა და ფრჩხილებიც მეფცქვნება. ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ, რომელია უკეთესი საშუალება თმის ცვენის შესაჩერებლად – მეგაშელკალი თუ პერფექტალი? ამასთანავე, მაქვს ჩიყვიც და ვსვამ ელთიროქსინსა და იოდოფოლს...**

**პასუხი:** თმის ცვენისა და ფრჩხილების მტვრევის მიზეზი იქნება ჰიპოთირეოზი, რომელიც თქვენ გაქვთ. მიმართეთ ენდოკრინოლოგს და გადაამოწმეთ ფარისებრი ჯირკვლის მდგომარეობა. ჩვენ გირჩევთ პრეფექტალის მიღებას, მაგრამ, მხოლოდ ეს საშუალება თქვენს პრობლემას ვერ მოაგვარებს, მთავარია, მოწესრიგდეს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირება.

**კითხვა: რას ნიშნავს ტერმინი „ხარის გული“?**

**პასუხი:** „ხარის გულის" (კორ ბოვინუმ) – ბუკარდიის დროს, კუნთოვანი ქსოვილის ჰიპერტროფიის გამო, გული ძალიან არის გადიდებული და შესახედავად ხარის გულს წააგავს. ასეთი გულის წონა, შეიძლება, 1 კილოგრამს აღწევდეს, იშვიათ შემთხვევაში კი – უფრო მეტს. „ხარის გული" გვხვდება თანდაყოლილი მანკების, აორტის სარქვლების უკმარისობის, რევმატიზმისა და ზოგიერთი სხვა დაავადების შემთხვევაში.

**კითხვა: ლუდის დალევის შემდეგ მემართება ფაღარათი, სხვა ალკოჰოლის მიღებისას კი არანაირი პრობლემა არ მაქვს. რატომ, მაინცდამაინც ლუდი, რა შეიძლება იყოს მიზეზი?**

**პასუხი:** მსგავსი ჩივილი იშვიათი არ არის და აიხსნება ლუდში კონსერვანტების, საღებავების, არომატიზატორებისა და არასასურველი დანამატების სიჭარბით (ასეთ დანამატებს შეუძლია კუჭ-ნაწლავის გაღიზიანება და ისეთი გვერდითი ეფექტის გამოწვევა, როგორიცაა დიარეა); ასევე, ლუდში ალკოჰოლის დოზით (ადრე ალკოჰოლის მაჩვენებელი 2 პროცენტი იყო, ბოლო პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 6-7 პროცენტამდე გაიზარდა).

**კითხვა: ვსვამდი ანტიბიოტიკებს, რამაც ჩემი აზრით გამოიწვია ფაღარათი და ეს პრობლემა ერთი თვეა მაწუხებს. ვიღებ ბისეპტოლს, ლევომიცეტინს, ნახშირს, მაგრამ ამ წამლებით ეს პრობლემა ვერაფრით ვერ მოვაგვარე. ძალიან გთხოვთ, იქნებ მირჩიოთ რამე.**

**პასუხი:** სავარაუდოდ, ანტიბიოტიკებმა დისბაქტერიოზი გამოიწვია, ხოლო თქვენ ისევ ანტიბიოტიკებით ცდილობთ პრობლემის მოგვარებას. დაანებეთ მათ თავი და მიმართეთ გასტროენტეროლოგს, რომელიც ადეკვატურ მკურნალობას დაგინიშნავთ.

**კითხვა: ჩემს 8 წლის ბიჭს დაუსვეს ჰიპოპიტუიტარიზმის დიაგნოზი. რა დაავადებაა ჰიპოპიტუიტარიზმი და რა ახასიათებს მას?**

**პასუხი:** ჰიპოპიტუიტარიზმი არის დაავადება, რომელიც ხასიათდება ჰიპოფიზის წინა წილის ფუნქციის ნაწილობრივი ან სრული დაკარგვით. ბავშვებში დაავადება უფრო ხშირად გამოიხატება ფიზიკური და სქესობრივი განვითარების შეფერხებით, შესაძლებელია მეორადი ჰიპოთირეოზი.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია ნუცუბიძე**

# როგორ გახსნა ვახტანგ რაზმაძემ ცნობილი „შამპანურის ბოთლებისა" და „თაგვების" საქმეები

*„...საერთოდ მკაცრი ვარ, მაგრამ არაჩვეულებრივად ლმობიერი, როცა სიმკაცრე გამივლის. მომენტალურად მიყვარს რეაგირება დარღვევაზე. შეიძლება, რეაქცია გადაჭარბებული იყოს, მაგრამ არა მრცხვენია, რომ ჩემ მიერ შერისხული ადამიანი რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიყვანო, მოვეფერო და მასთან ადამიანური ურთიერთობა გავაგრძელო... ის, რასაც ჩემზე ლაპარაკობენ, თითქოს ვიღაც ძალიან მკაცრად დავსაჯე, რაზმაძე სადისტია და სხვა, ეს ყველაფერი ჭორია... დესპოტი არა ვარ!.. პროკურატურის ორგანოებში 33 წელი ვიმუშავე და პროფესიონალიზმისთვის არასოდეს მიღალატია!.."*



ვახტანგ რაზმაძე, ნუგზარ შოშიაშვილი, თამაზ კოდუა, თამაზ ტულუში

*ყველა დროის საუკეთესო პროკურორი, პროკურატურის პატრიარქი... ასეთად მოიხსენიებს ვახტანგ რაზმაძეს საზოგადოების, ძვე-*



თენგიზ მახარაძე, ნუგზარ გაბრიჭიძე, ვახტანგ რაზმაძე

*ლი პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკების ერთი ნაწილი, როცა კი ლაპარაკი მასზე ჩამოვარდება, ხოლო მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ის ყველაზე უხეში, საბჭოთა კავშირის უბეში გამოწვრთნილი, ბერიას ანალოგი გენპროკურორი იყო – მან ქვეყნისა თუ ცალკეული პიროვნებების ცხოვრებაში ძალიან ცუდი როლი ითამაშა და უსამართლო გადაწყვეტილებები მიიღო. ასეა თუ ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ადამიანის ცხოვრება, როგორც პროკურორის, უდავოდ საინტერესო ეპიზოდებით არის სავსე და ჩვენც ამ დღიურებს აქედან ვიწყებთ. მაშ ასე, „რაც მითქვამს და დამიწერია"*

## „თუ რაიმე შეცდომას უშვებდნენ მართლმსაჯულების ორგანოები, ყველაფერს პროკურატურას აბრალებდნენ"

...დავიწყოთ რეფორმით, რომელიც გატარდა პროკურატურის ორგანოებში. ჩემის აზრით, ეს რეფორმა (მისი ნაწილი მაინც) აუცილებლად გასატარებელი იყო, რომ პროკურატურა გათავისუფლებულიყო იმ ზედმეტი ტვირთისა და მოვალეობისგან, რომელიც პოლიციასა და სასამართლოს საშუალებას აძლევდა, თავიანთი ყველა ცოდვა პროკურატურისთვის გადაებრალებინათ... მაგალითისთვის: იყო ერთი ცნობილი ბანდიტი, არაადამიანური ძალის მქონე დურუ ხურცილავა. მას ჩადენილი ჰქონდა მრავალი ძარცვა, მკვლელობა, ყაჩაღობა. გამოძიების პროცესში ის მოთავსებული იყო თბილისის იზოლატორში, მაგრამ იზოლატორის ადმინისტრაციამ და შს სამინისტროს ხელმძღვანელობამ ვერ მოუარეს. ხან კამერის კარებს ჩამოხსნიდა, ხან ონკანებს მოუშვებდა და კამერებს წყლით აავსებდა, დაბადების დღე გადაიხადა ციხეში და შემწვარი გოჭები და ნაძვის ხე მიართვეს. ერთხელაც თავისი სხეულის ერთი უხერხული ადგილი მაგიდაზე ლურსმნით მიაჭედა. შს სამინისტრომ სხვა გამოსავალი რომ ვერ ნახა, ფოთის ციხეში გადაიყვანა, სადაც ციხის ადმინისტრაციამ, მისი გული რომ მოეგოთ, ყველა კამერის გასაღები ჩააბარა და რასაც უნდოდა იმას აკეთებდა. როცა სურვილი ჰქონდა, ქალაქში გამოდიოდა სასეირნოდ და საქეიფოდ. ერთ მშვენიერ დღეს რამდენიმე პატიმარი ქალი გააუპატიურა. ციხის უფროსს ტაბელური „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი წაართვა და წავიდა ციხიდან... შს სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის თითქმის არაფერი უთქვამთ იმ უმწეობისთვის, რასაც მის მიმართ ციხეებში იჩენდნენ. რესპუბლიკის პროკურორი ტაკიძე და მისი მოადგილე ჯიბლაძე კი დასაჯეს იმისთვის, რომ მისი საქმის გამოძიება გაჭიანურდა...



წყნეთში აგარაკზე, 90-იანი წლები

***

...ფაქტები ასეთია და დაინტერესებულ პირ-



ვახტანგ რაზმაძე, მამუკა და ანზორ ლაცუზბაიები

ებს მისი სინამდვილის გადამოწმება ყოველთვის შეუძლიათ. მე არ ვარ ის კაცი, რომ თავის მართლება დავიწყო, თუ შეცდომა მაქვს დაშვებული. მაგრამ, არც ისეთი ვარ, ვინმეს რაიმე ვაპატიო თუ დაუმსახურებლად შეეცდება ჩემი სახელის გატეხვას!..

...ჩემი მუშაობის პერიოდში არასოდეს მიცდია, ვინმესთვის ფეხი ამეწყო. ვიყავი კანონიერების განხორციელებაზე ზედამხედველი-პროკურორი, ვიცავდი კანონის მოთხოვნას და ეს რამდენად აწყობდათ ხელმძღვანელებს, მათი გადასაწყვეტი იყო... პრობლემები, როგორც პროკურორს, ხელმძღვანელობის მხრიდან, კომუნისტების დროს, გამსახურიდას დროს და მის შემდეგაც ერთნაირი მქონდა. კანონი და მისი დაცვა არც ერთ ხელმძღვანელს არ უყვარს... ამიტომ, ჩემი როლი ძალიან მძიმე გახლდათ. ხშირად იყო იმის მცდელობა, უდანაშაულო ადამიანები დაეპატიმრებინათ, ამიტომაც მიძნელდებოდა მუშაობა. ყოველთვის მზად ვიყავი, თუ ჩემს პრინიცპებს ვერ გავიტანდი, უარი მეთქვა თანამდებობაზე, მაგრამ ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და 99 პროცენტი ყოველთვის გამქონდა. როცა ველარ შევძელი ჩემი პრინციპების გატანა, მუშაობასაც თავი დავანებე. გამსახურდია თავის მოწოდებით, ყველაზე უფრო მეტად უნდა ყოფილიყო ადამიანის უფლებების დამცველი. ხელისუფლებაში მისი მოსვლით იმიტომ იყო აღფრთოვანებული ხალხი, რომ დარწმუნებულნი იყვნენ, სამართლიანობა გაიმარჯვებდა... მას არავის აზრის გაზიარება არ სურდა და რასაც თვითონ აკეთებდა, მხოლოდ ის მიაჩნდა სიმართლედ... როცა კომუნისტების დროს პროკურორი ვიყავი, ის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ხელმძღვანელობდა. გვქონდა შეხვედრები და მან იცოდა ჩემი დამოკიდებულება კანონის დაცვისადმი... ჩემი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო, თითქმის ყოველდღიური შეხვედრები მქონდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან და მის აქტიურ მონაწილეებთან... ეს ის პერიოდია, როცა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამართლადამცავი ორგანოები უდიდეს ზეწოლას განვიცდიდით ამ პირებისგან...

...საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა მიხეილ ოსაძემ მთხოვა გადამეცა მისთვის იმ პირთა სია, ვის დაპატიმრებასაც ითხოვდა ჩემგან გამსახურდია, თუ ასეთი გამაჩნდა. ეს სია ჩემთან იყო და გადავეცი ბატონ მიხეილს. გაზეთმა „საქართველომ" 1997 წლის 2-5 აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა ეს სია, ხოლო ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნდა ნოდარ ნათაძის კომენტარი ამ სიასთან დაკავშირებით, სადაც ის წერს: „მე ამ სიის შესახებ დამატებითი მასალა მაქვს. ეს სიყალბე შეთხზულია საქართველოს პროკურატურაში ან გადაცემულია საქართველოს პროკურატურისთვის იმ მიზნით, რომ იმდროინდელი ხელისუფლების არადემოკრატიული ბუნება დაამტკიცოს... რაზმაძე, მართალია, პრეზიდენტ გამსახურდიას ხელქვეითი იყო, როგორც გენერალური პროკურორი, მაგრამ როგორც გაირკვა შემდგომ, მალულად მუშაობდა მის წინააღმდეგ..." საკუთარი ღირსების დამცირებად მიმაჩნია ვამტკიცო, რომ ეს სია ნამდვილად მიკარნახა გამსახურდიამ... ამას აკეთებს კაცი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდან ოპოზიციაში ედგა მას. მათ შორის დაძაბული ურთიერთობა იქამდე მივიდა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სამკურნალოდ წასვლას ურჩევდნენ ერთმანეთს... გარკვეული დროის განმავლობაში უზენაესი საბჭოს სხდომაზე არ უშვებდნენ, ხოლო რამდენჯერმე, როცა ის მაინც ცდილობდა, შესულიყო მთავრობის სასახლეში სესიის სდომაზე მონაწილეობის მისაღებად, ეზოში, შესასვლელ ჭიშკართან ზვიადისტი ქალები შეეცადნენ გასალახად წასწვდომოდნენ... ქალები ცდილობდნენ, სხეულის დაზიანება მიეყენებინათ ერთობ უხერხულ ადგილებში... შევედი პრეზიდენტთან და მოვახსენე, რომ კიტოვანის და სიგუას დაკითხვა ვერ ხერხდება. დაკითხვის შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, ხოლო დანარჩენი პირების მიმართ არც ერთ სამართალდამცავ ორგანოში არავითარი მასალა არ

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

არსებობს და ამიტომ სანქციას ვერავიზე ვერ გავცემ-მეთქი... მან აგდებულად მითხრა: მე შენი კანონი არ ვიცი, მაგ სიას უნდა დაემატოს შევარდნაძე, მგელაძე და ფოფხაძე... და გადავიდა მუქარაზე: თუ ამას დაუყოვნებლივ არ გააკეთებ, მაშინ ჩვენ გვექნება სხვანაირი საუბარიო...


გიორგი თარგამაძე და ვახტანგ რაზმაძე

### „როცა თვითმფრინავის გატაცებაზე ლაპარაკობენ, მე არავითარ უხერხულობას არ განვიცდი, რადგან თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გამოძიებულია მაღალკვალიფიციურად"

გამოძიებით ფარდა აეხადა მათ ავანტურისტულ განწყობას – სამშობლო დაეტოვებინათ პოპულისტური გზით, რათა საზოგადოების ყურადღება მიეპყროთ. ამასთან, არაფრად ჩააგდეს 57 მგზავრის სიცოცხლე, რომლებიც თვითმფრინავში იმყოფებოდნენ და ყველაფერი ეს ხდება იმ დროს, როცა მათ თავისი ქვეყნის დატოვება, თუ ამის სურვილი ჰქონდათ, შეეძლოთ სრულიად უმტკივნეულოდ, ისე რომ, სხვისი და საკუთარი სიცოცხლისათვის საფრთხე არ შეექმნათ...


ზურაბ წერეთელი, რამაზ გოგალაძე, ვახტანგ რაზმაძე

***

რადგან ჩემს ოპონენტებს აინტერესებთ ჩემი როლი ამ საქმეში, მათი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად აღვნიშნავ, რომ 18 მაისს საკუთარ თავზე ავიღე პასუხისმგებლობა და ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გიორგი ჭანტურია და ირაკლი წერეთელი გავათავისუფლე პატიმრობიდან, მაგრამ მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება არც ისე ადვილი საქმე იყო.

აპრილის დასაწყისში თბილისში არ ვიყავი, ამიტომ იმ პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე დეტალურად ვერაფერს გეტყვით. საავადმყოფოდან გამოვეწერე და თბილისში დავბრუნდი 8 აპრილის საღამოს. მეორე დილით კი 9 აპრილს, ეს ტრაგედია მოხდა. საქმე იმავე დღეს აღძრა გენერალურმა პროკურატურამ – საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის დავაპატიმრეთ მთავრობის სახლის წინ მოწყობილი არასანქცირებული მიტინგის ხელმძღვანელები – ზვიად გამსახურდია, გია ჭანტურია, მერაბ კოსტავა და ირაკლი წერეთელი. დავიწყეთ საქმის გამოძიება. ვსაწვლობდით როგორც საბჭოთა ჯარების, ისე მიტინგის ორგანიზატორების მიერ დაშვებულ შეცდომებს... 9 აპრილის საქმე მოსკოვისთვის რომ გადაგვეგზავნა, ეს ნიშნავდა მომხდარი დანაშაულის საქართველოსთვის დაბრალებას. ამიტომ, უზარმაზარი წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიხდა, რათა გამოძიების უფლება ჩვენთვის მოეცათ. დავიწყეთ, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა უკვე მივადექით ჯარის ნაწილების სამხედრო მოქმედებებს, მოსკოვმა მთლიანი საქმე მოითხოვა. სხვა გზა აღარ გვქონდა, მასალები უნდა გადაგვეგზავნა... ბოლოს, საქმე გავყავი ორად და გადავაგზავნე მხოლოდ სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე მოკვლეული მასალები... საქმის ძიება თბილისში სხვადასხვა მიზეზის გამო გაჭიანურდა. ამასობაში მოვიდა 1990 წელიც. გაიმართა არჩევნები და საქართველოს ხელისუფლების სათავეში ზვიად გამსახურდია მოვიდა. როგორ გაგვეგრძელებინა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოძიება? საქმე გარემოების შეცვლის მოტივით შევწყვიტეთ. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიამ მოიკითხა ეს საქმე და მე ვუპასუხე, საიმედოდ მაქვს შენახულიმეთქი. მას სურდა, საქმე შეწყვეტილიყო უდანაშაულობის მოტივით.


ვახტანგ რაზმაძე ამერიკელ იურისტებთან

### „იმ დროისთვის რუსეთის იმპერიაში შემავალ არც ერთ რესპუბლიკაში დამნაშავეთაგან ასეთი რაოდენობის ფული და ქონება, არც ერთ ორგანოს არ ამოუღია"

ვის არ ახსოვს შამპანურის ღვინის ცარიელი ბოთლების კომბინაციებით მილიონობით მანეთის დატაცების საქმე. ეს საქმე ქალაქის პროკურატურამ გახსნა... ამ საქმის გამოძიებაში ჩაბმული იყო დედაქალაქის ყველა რაიონის პროკურატურის მუშაკი... სოფელ ნორიოში ერთ-ერთი ოჯახიდან ამოღებული იქნა დამნაშავეთა მიერ მითვისებული და გადამალული 762 ათასი მანეთი და 565 ათასი მანეთის ოქროსა და ბრილიანტის ნაკეთობანი. ეს იყო მაშინ რეკორდული თანხა... რამდენიმე ათეული კაცი იქნა ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემული და დაისაჯა სასამართლოს მიერ... საქართველოში მჟაუნმჟავის გამოყენებით ხილის წვენებს ამზადებდნენ და ასეთი წვენებით პენზასა და რუსეთის სხვა ქალაქებში რამდენიმე ათეული მოქალაქე დაიღუპა. ეს საქმეც ქალაქის პროკურატურამ გახსნა და თბილისში რამდენიმე ცნობილი პიროვნება დააპატიმრა... რამდენი საქმის ჩამოთვლა შეიძლება, თუნდაც თბილისის სანეპიდსადგურის ეგრეთ წოდებული „თაგვების საქმე" და სხვა... მე ამით სრულებითაც არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ნაკლი არ გვქონდა. რა თქმა უნდა, ჩვენი საქმიანობა შორს იყო იდეალურისაგან, მაგრამ სხვა ორგანოების საქმიანობის ფონზე, საკმაოდ სოლიდურად გამოვიყურებოდით...

### „საქმეზე ჩატარებული გამოძიებით, ეს ფაქტი უდავოდ დადგენილია და არც არავითარ ეჭვს არ იწვევს"

...არავითარი მასალა არ მოიპოვება და არც არავითარი სიგნალი არ შემოსულა, რომ მერაბ კოსტავას სიკვდილის მიზეზი სხვა რამ იყო, ან ვინმეს მის მკვლელობაში ამხელდეს. გამოძიებით დადგენილია, რომ ავტომანქანა „ნივა", რომელსაც თამარ ჩხეიძე მართავდა, ხარაგაულის რაიონის სოფელ ბორითში ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოძრაობდა გადაჭარბებული სიჩქარით. მძღოლმა გამოიჩინა უყურადღებობა, მანქანის სავალ ნაწილზე ცხოველის მოულოდნელი გამოვარდნის გამო, ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა, მანქანა მოცურდა, გადავიდა საპირისპირო მოძრაობის ზოლში და ნახევრად გადაბრუნდა, რის შემდეგ შემხვედრი მხრიდან მომავალ ავტომანქანას შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად კოსტავა ადგილზე გარდაიცვალა... თამარ ჩხეიძე პასუხისგებაში იყო მიცემული, რადგან მისი გაუფრთხილებლობის გამო მოხდა დანაშაული, როგორც ქალი, ის არ ყოფილა აყვანილი წინასწარ პატიმრობაში და საბოლოოდ, სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ შეწყდა სასამართლოს მიერ ამნისტიის გამო...

**ეკა პატარაია**

**(მასალა წიგნისთვის შეკრიბა ირაკლი დვალმა)**

---

(22-ე გვერდიდან)

## რატომ მიაჩნია თეკლა კვაჭაძეს გველი ყველაზე ლამაზ არსებად და ვინ გამოუგზავნა მას იგუანა უკრაინიდან

**– ცოცხალი მაიმუნის ტვინსაც ხომ მიირთმევენ.**

– ცოცხალი მაიმუნის ტვინსაც დავაგემოვნებდი.

**– გველს უკბენია შენთვის?**

– კი, ძალიან ბევრჯერ.

**– მერე?**

– არაფერი, ცოცხალი ვარ ***(იცინის)***. კობრის კბილზე მაქვს გაკაწრული ხელი და ამის გამო რაღაც პერიოდის განმავლობაში, თირკმელებთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა. თუმცა, ვიმკურნალე და გადავრჩი

**– როგორ მოხდა ეს ინციდენტი?**

– გველის ფიტულს ვაკეთებდი და შემთხვევით ხელი შხამიან კბილზე გავიკაწრე. ეტყობა, შხამი ჰქონდა კბილს შერჩენილი და ცუდად გავხდი, მაგრამ გადავრჩი. ერთხელ ცხვირრქოსანმა გველგესლამ მიკბინა. ამის გამო რამდენიმე დღის განმავლობაში მქონდა მაღალი სიცხეები, გულისრევა, თავბრუხვევა და ეს ყველაფერი ერთდროულად. მერე გამოვკეთდი. ეს შხამი ისეთი არ იყო, რომ მოვეკალი. ჩიტიჭამია ობობებიც შხამიანები არიან და უკბენია კიდეც, მაგრამ ისეთი ტოქსიური შხამი არ აქვთ, რომ ადამიანის ორგანიზმს მოერიოს. ბავშვს მოერევა, მაგრამ უკვე ზრდასრულს – ვერა. მორიელსაც დავუგესლივარ, მოკლედ, ძალიან ხიფათიანი ვარ ***(იცინის).***

**– როგორი წარმოგიდგენია შენი კოლექცია 10 წლის შემდეგ?**

– 10 წლის შემდეგ, მე მექნება საკუთარი სახლი, მეყოლება უამრავი ცხოველი და არა მარტო ცივსისხლიანი. მექნება ძალიან დიდი კოლექცია.

**ეკა სალაღაია**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.

**წინასწარმეტყველების უნარი და გამძაფრებული ინტუიცია, ზოგადად, ყველა ადამიანს გააჩნია. თუმცა, ეს ორივე, გარკვეულ დღეებში იმატებს და თუ კარგად დააკვირდებით საკუთარ თავს, მიხვდებით, როგორ გადადგათ მისი წყალობით სწორი ნაბიჯები. ასე რომ, ინტუიციასა და წინასწარმეტყველებაზე ორიენტირება ჩვენთვის ერთგვარი წარმატების გარანტია. როგორც ეზოთერიკოსი ქალბატონი ნია ამბობს, არ არის გამორიცხული, ადამიანმა ერთ დღეს შეამჩნიოს, რომ განსაკუთრებულად უმართლებს, გამორჩეული ნიჭი აქვს და წინასწარ ხვდება რა მოელის ცხოვრებაში. ამაში კი საკუთარი იმიჯიც გეხმარებათ და თუ მას სწორად შერჩეულ დროში შეიცვლით, ჩათვალეთ, გამართლების წინაშე დგახართ.**

# მოქმედებს თუ არა ბედზე უარყოფითად არასწორ დროს შეცვლილი იმიჯი და რაზე აგებს პასუხს ადამიანის თმის ვარცხნილობა

**ნია**: სამწუხაროდ, ადამიანები ვერ ერკვევიან საკუთარ შესაძლებლობებში. არადა, მთავარია, ყველაფერს კარგად დააკვირდეთ, ყველა მოვლენა გააანალიზოთ, გარემოებებზე მეტად იყოთ ორიენტირებული და მიხვდებით, იმაზე მეტი შეგიძლიათ გააკეთოთ, ვიდრე დღეს აკეთებთ.

**– ის, რომ ნებისმიერ ჩვენგანს აქვს წინასწარმეტყველების უნარი და ამის წყალობით, შეგვიძლია, წინასწარ განვჭვრიტოთ შესაძლო მოვლენები ცხოვრებაში, რეალობაა?**

– დიახ, დამიჯერეთ, წინასწარმეტყველების უნარი ყველას აქვს, რასაკვირველია, ზოგს გამძაფრებულად, ზოგს კი – შედარებით ნაკლებად. ზემოდან, ანუ სამყაროს ზედა ფენიდან, ადამიანი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაციას წინასწარ იღებს. თუ დაკვირვებული თვალი გაქვთ და შეგრძნებებსაც ყურს დაუგდებთ, მეტად დაძაბავთ გონებას, მაშინ მოსალოდნელი საფრთხის წინასწარგანჭვრეტა, ნამდვილად არ გაგიჭირდებათ. შესაბამისად, ამ დროს უფრო ფრთხილად იქნებით და ასე, ბევრ უსიამოვნებასაც აირიდებთ თავიდან.

**– გავრცელებული მოსაზრების თანახმად, წინასწარმეტყველური შეგრძნებები და გამძაფრებული ინტუიცია ადამიანს გენეტიკურად დაჰყვება. რეალურია ეს მოსაზრება, თქვენი აზრით?**

– გამძაფრებული ინტუიცია თუ წინასწარმეტყველური შეგრძნებები, სწორედაც რომ, გენეტიკურად გადაეცემა ადამიანს. თუ თქვენს რომელიმე წინაპარს წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა, არ არის გამორიცხული, გენეტიკური კოდის წყალობით, ის თქვენშიც ამოქმედდეს და ერთ დღესაც ეს ნიჭი საკუთარ თავშიც აღმოაჩინოთ. ასევე, მოსალოდნელი საშიშროების დროს, დედას შვილის მიმართ უმძაფრდება ინტუიცია და წინასწარ გრძნობს საფრთხის მოახლოებას. გამძაფრებული დედობრივი ინტუიცია ისეთი ფენომენია, რომელზე საუბარიც კი, ზედმეტია. ანუ, როცა შვილს საფრთხე ელის, ამას დედა ქვეცნობიერად გრძნობს, ორგანიზმი მინიშნებებს აძლევს. შეიძლება, უეცრად გული აუჩქარდეს, წნევა დაეცეს, თავის საშინელი ტკივილი დაეწყოს და ასე შემდეგ. არ არის გამორიცხული, დედამ შვილის შესაძლო საფრთხე არა ტკივილით, არამედ მოუსვენრობით იგრძნოს – აფორიაქდეს, ან რომ იტყვიან, ადგილი ვერ იპოვოს.

**– დადგა გაზაფხული, დათბა და ყველა ცდილობს, ფორმაში იყოს, შეიცვალოს იმიჯი, თმის ვარცხნილობა. თუმცა, არსებობს დღეები, როცა იმიჯის შეცვლა სარისკოა. მიუხედავად ამისა, არასდროს ვაკვირდებით – რა დღე, რომელი საათი და დღის რომელი მონაკვეთია. ეს თუ მოქმედებს ადამიანის ბედზე და მართალია, რომ ამბობენ, იმიჯის შეცვლა შესაფერის დროს უნდა დაამთხვიოო?**

– დიახ, უნდა მოერიდოთ თმის შეჭრას არასასურველ პერიოდში, რადგან ამას ზიანის მოყენება მართლაც შეუძლია. თუ გალამაზება გადაწყვიტეთ და ეს საქმე ვარცხნილობით დაიწყეთ, აუცილებლად ის დღე უნდა შეარჩიოთ, როცა სტილისტთან წასვლა თქვენთვის საშიში არ არის. მაგალითად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, პარასკევს სილამაზის სალონში ვიზიტის დაგეგმვა და რაიმეს შეცვლა ვარცხნილობაში. ასევე, არც კვირას ვარგა თმის შეჭრა. პარასკევსა და კვირა დღეს თმის შეჭრა იმიტომ არ ვარგა, ამით საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე, ბედ-იღბალსა და კარიერას უქმნით გარკვეულ საფრთხეს. ამ დროს, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელობა აქვს მთვარის ფაზებსაც. თუ თმას მზარდი მთვარის პერიოდში შეიჭრით, ის მალევე გაიზრდება, ხოლო თუ კლებადი მთვარის ფაზაში – მაშინ შედარებით გვიან. მაგალითად, თუ თმას შეიჭრით ორშაბათს, დეპრესიისგან, დარდისა და უსიამოვნო მოგონებებისგან გათავისუფლდებით. კვირის ამ დღეს შეჭრილ



თმას თან გაჰყვება უარყოფითი ემოციები. თუ ვარცხნილობის შეცვლას სამშაბათს გადაწყვეტთ, მაშინ თავს შესაძლო უსიამოვნო ამბების, ჭორებისა და გაურკვეველი სიტუაციებისგან დაიცავთ. ოთხშაბათს შეჭრილი თმა და შეცვლილი ვარცხნილობა დაგეხმარებათ, ადვილად მოაგვაროთ პრობლემები სამსახურსა თუ ოჯახში, ასევე, შეგიწყობთ ხელს, ადვილად დაარეგულიროთ დაძაბული ურთიერთობები გარშემო მყოფებთან და საქმიან პარტნიორებთან. ხუთშაბათს შეჭრი-

## უნდა მოერიდოთ თმის შეჭრას არასასურველ პერიოდში, რადგან ამას ზიანის მოყენება მართლაც შეუძლია

ლი თმა და შეცვლილი იმიჯი დაგეხმარებათ, წამოწყებული საქმეების ადვილად და წარმატებით დასრულებაში. ასევე, აამაღლებს თქვენს ავტორიტეტს და ფრიად მომხიბვლელს გაგხდით. პარასკევს სილამაზის სალონში ვიზიტსა და ვარცხნილობის შეცვლაზე კი უარი უნდა თქვათ. სწორედ ამ დღეს, ადამიანის ორგანიზმში ბიოქიმიური პროცესები შედარებით შენელებულია და თმის შეჭრა თქვენს სასიცოცხლო პოტენციალს დაასუსტებს. თანაც, ამ დღეს შეჭრილი თმა ნელა იზრდება და სტრუქტურულ შემადგენლობასაც იცვლის. კვირის დღეებიდან კარგია თმის შეჭრა შაბათს. ამ დღეს შეცვლილი იმიჯი დაგეხმარებათ, ადვილად დაძლიოთ მარტოობა, დეპრესია და გაიჩინოთ თანამოაზრეები. შაბათს შეჭრილი თმა საკუთარი ძალების რწმენასაც აღგიდგენთ და სასიყვარულო გრძნობების თამამად გამოვლენაშიც დაგეხმარებათ, გათავისუფლდებით უარყოფითი ემოციებისგან და ადვილად შეძლებთ საყოფაცხოვრებო თუ პირადული პრობლემების უმტკივნეულოდ გადალახვას. თუ დამიჯერებთ და კვირას არ შეიჭრით თმას, მაშინ უახლოეს მომავალში აცდებით მთელ რიგ უსიამოვნებებს. კვირა დღეს თქვენი და თქვენი მფარველი ანგელოზის კავშირი მაქსიმალურ ზღვარს აღწევს. ამის განწყვეტა და შესუსტება თმის მოჭრით, სწორედ კვირას ხდება და ამას კატეგორიულად არ გირჩევთ. მაგრამ, თუ არ გაითვალისწინებთ და კვირას მაინც შეიჭრით თმას, შეიცვლით ვარცხნილობას, მაშინ იცოდეთ, ამით კოსმიურ ძალებთან დაარღვევთ კავშირს და ეს თქვენზე უარყოფითად აისახება. ასე რომ, თუ ზედმეტი პრობლემა და ბარიერი არ გსურთ ცხოვრებაში, კვირა დღეს არ უნდა დაგეგმოთ თმის შეჭრა.

**– მსმენია, თითქოს, საკუთარი ხელით მოჭრილ თმას უბედურება მოაქვს. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

– თმის საკუთარი ხელით შეჭრა არ შეიძლება, რადგან, მას უბედობა და პრობლემები ახლავს თან. ეს სიცოცხლის შემოკლებასაც კი უწყობს ხელს და საგრძნობლად ამცირებს ადამიანის სასიცოცხლო პოტენციალს. არც მზის ჩასვლის შემდეგ ვარგა თმისა და ფრჩხილის მოჭრა-დამოკლება. ასევე, კვირა დღეს არ ვარგა ფრჩხილის მოჭრა და არც იმ დღეს, როცა ამ ქვეყანას მოევლინეთ.

**– რომელ დღესაც დავიბადეთ, იმ დღეს რატომ არ ღირს ფრჩხილის მოჭრა?**

– ამით თქვენსავე ბედნიერებას შეებრძოლებით და ხელს შეუშლით საკუთარ კეთილდღეობას. სხვათა შორის, კონკრეტული თმის ვარცხნილობაც აგებს პასუხს ადამიანის წარმატება-წარუმატებლობაზე. მაგალითად, უკან გადაწეული და შეკრული თმა აძლიერებს ენერგეტიკულ კავშირს გარე სამყაროსთან, მარცხნივ და უკან გადავარცხნილი – ლოგიკურ აზროვნებაში გვეხმარება, გაშლილი – უდარდელობის ნიშანია და გოგონა ან ქალბატონი საპირისპირო სქესის მეტ დაინტერესებას იწვევს. ხვეული და გაშლილი თმა ადამიანს წარმატებას ჰპირდება საქმიან სფეროში. ზოგადად, თმა ადამიანის ენერგეტიკაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს და ის ცხოვრების სწორად დაგეგმვასა და მოწესრიგებაში გვეხმარება. თმა კოსმოსიდან იღებს საჭირო ინფორმაციას და ინახავს ჩვენს წარსულსა და აწმყოს. ეს ყოველივე კი ჩვენს ენერგეტიკაზე ახდენს უდიდეს ზეგავლენას.

**ნონა დათეშიძე**

## მესამე ზედმეტია!

არავინ არ უნდა ჩაერიოს წყვილის ურთიერთობაში. ზოგიერთების მოსაზრება, რომ – მესამე არ ანგრევს ოჯახს, მცდარია. ჯერ ერთი, ღალატი ღალატია. მნიშვნელობა არა აქვს, რა ხდება ცოლ-ქმარს შორის. შეიძლება, კაცს ჰგონია, რომ ხანმოკლე, არასერიოზული რომანი არაფერს აშავებს, მაგრამ რეალურად, ცოლი ადრე თუ გვიან მაინც იგებს ასეთ „ცელქობებს“ და სკანდალი გარდაუვალია. ჩვეულებრივ, საქმე არც მხოლოდ სკანდალით მთავრდება ხოლმე. რამდენიმედღიანი კოშმარი ცოლსა და ქმარს ერთნაირად აზარალებს. თუმცა, ქალებს კიდევ უფრო მეტად, იმიტომ, რომ ის ვერ წარმოიდგენდა ასეთ შედეგებს, მაგრამ ეს ტყუილია. მაშინ, რატომ ცდილობდა ის ყველაფრის საგულდაგულოდ დამალვას?! ანუ, სჯობს, მამაკაცმა თავიდანვე გააცნობიეროს ის პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა ჰქონდეს სერიოზულ, დაოჯახებულ კაცს. მაშინ, რატომ შექმნა მან ოჯახი?

დადანაშაულება მესამე პირისა მომხდარში საკმაოდ ულირსი საქციელია. თუმცა, ის „მესამეც“ არ არის უდანაშაულო და გარემოებათა მსხვერპლი. „მათ შორის ურთიერთობა ისედაც დაძაბული იყო“ – ეს სირაქლემას პოზაში ყოფნაა და ვერაფრით გაამართლებს. მას აუცილებლად მიეწერება „გამშორებლის“ იარლიყი და არის კიდეც „გამშორებელი“. შეიძლება, ცოლ-ქმარმა იჩხუბოს, იკამათოს, დაეძაბოთ ურთიერთობა, მაგრამ, როცა კაცს შორიახლოს თავზე ხელის გადამსმელი არ ეგულება, ეს პრობლემები მოგვარებადია.

## სახლშიც და სამსახურშიც...

დიდი ხანია, ოფიციალურად გამოცხადებულია სქესთა გენდერული თანასწორობა და ძალიან სერიოზულმა სახელმწიფო სტრუქტურებმა კანონით დაადგინეს, რომ ქალი მამაკაცის თანასწორია. თუმცა, რეალურად, მამაკაცების უმრავლესობა მაინც დარწმუნებულია, რომ ქალის ადგილი სამზარეულოშია. მან უნდა მოუაროს ქმარს და გაზარდოს ბავშვები. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ქალებიც უწყობენ ხელს ამ სტერეოტიპის გამყარებას, მაშინაც კი, როცა სამსახური და წარმატებული კარიერა აქვთ. ასე ხდება, როცა გვერევა პრიორიტეტები. ზუსტად უნდა იცოდეთ, რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი ცხოვრების თითოეულ და კონკრეტულ ეტაპზე. რა იყო თქვენი ცხოვრების მიზანი. რა გააკეთეთ ამ მიმართულებით და კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგებით, რომელსაც მიაღწიეთ.

სამწუხაროდ, ქალი ძალიან ხშირად დგას არჩევნის წინაშე – სამსახური ან ოჯახი და ეს საშინელებაა. ინგრევა მისი პიროვნება, მახინჯდება ფსიქიკა და უარესდება ხასიათი. შედეგად, ქალი ვეღარც ოჯახში „ბრწყინავს“ და ვერც სამსახურში. ბუნებრივიც არის, რომ საკუთარი თავის რწმენა დაკარგოს. გინდათ, ხალისიანი, მხიარული, ღიმილიანი და აქტიური მეუღლე გყავდეთ? – მაშინ შეაქეთ ხშირად და მიეცით საშუალება, აკეთოს საყვარელი საქმე. ამით მხოლოდ კმაყოფილი დარჩებით.

## სიჩუმე თუ სიმართლე?!

ქალებმა ცუდი მეგობრობა იციანო... ასე ამბობენ, თუმცა, ვინ იცის – იქნებ მართალიც იყოს, რადგან ზოგჯერ საერთოდ არ გვესმის ჭეშმარიტი მეგობრობის არსი. მაგალითად, როცა შემთხვევით ვიგებთ იმას, რაც არ უნდა გვცოდნოდა და რასაც თქვენს საყვარელ მეგობარსაც საგულდაგულოდ უმალავენ: უცებ დაინახეთ თქვენი მეგობრის ქმარი ვიღაც მომხიბვლელ ქალბატონთან ერთად და ინფორმაციაც მიიღეთ, რომ მათ შორის რაღაც ხდება. თქვენი თვალით ნანახიც საკმარისი იქნებოდა იმის მისახვედრად, რომ თქვენს მეგობარს ატყუებენ. მზად ხართ, მთავარი როლი შეასრულოთ სხვისი ოჯახის დრამაში? აუცილებლად კარგად დაფიქრდით ამაზე. საკმარისია, მეგობარი საქმის კურსში ჩააყენოთ, რომ დრამა აუცილებლად დატრიალდება. რთული ბრძოლა მოგიწევთ საკუთარ თავთან და სინდისთან, რომ ორივე დაარწმუნოთ იმაში, – ეს ყველაფერი მოგელანდათ ან ისეთი არაფერი ყოფილა...

მართლაც, რთული არჩევნის წინაშე დგახართ. დუმილი თუ სიმართლის თქმა? პრინციპში, რატომ უნდა იყოს მოტყუებული თქვენი საყვარელი მეგობარი, რომელზეც გული შეგტკივათ, მაგრამ სიმართლის თქმასაც აქვს უკუჩვენებები...

როგორ მოიქცეთ?

აჯობებს, პირდაპირ მთავარ დამნაშავეს დაელაპარაკოთ, ანუ, მოღალატე ქმარს და უთხრათ, რომ ყველაფერი იცით... მერე უკვე გამოჩნდება, როგორ მოიქცეთ.

## ხმოვანი კავშირი

ოჯახი რთული მექანიზმია. ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. თქვენ წარმოიდგინეთ, ხმასაც კი. ასე მაგალითად, მამაკაცის გულის მოსაგებად, თურმე ქალმა უნდა ისაუბროს გარკვევით, მოკლედ და რაც მთავარია, იშვიათად. ეს შეყვარებულობის პერიოდშიც ასეა და ოჯახში – მით უმეტეს.

იქნებ ფიქრობთ, რომ ვხუმრობთ – სულაც არა! მაგალითად, ქალებსაც ურჩევნიათ პარტნიორებად სიტყვაძუნწი ადამიანები. ურჩევნიათ, თვითონ ილაპარაკონ. თანაც, ზოგჯერ სრულიად გაუგებრად.

მამაკაცების უმრავლესობა კი ეძებს ქალს, რომელიც აღფრთოვანებული იქნება დროულად გაჩუმების და მოსმენის უნიკალური უნარით. სხვათა შორის, პარტნიორებიდან არც ერთს არ აწყენდა, ესწავლათ ერთმანეთის მოსმენა. მხოლოდ წაადგებოდა ურთიერთობას. პრინციპში, ლაპარაკი უფრო ხშირად აფუჭებს საქმეს, ვიდრე ხელს უწყობს ურთიერთობის გაღრმავებას. სხვა შემთხვევაა, როცა პარტნიორს დიდხანს და ყურადღებით უსმენ. ჯერ ერთი, უკეთესად გესმის მისი, უახლოვდები როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. ცდილობ, ჩასწვდე მის ხასიათს და სურვილებს, რათა ნაკლებად და იშვიათად აწყენინო. მნიშვნელოვანია ხმის ტემბრიც, რომელსაც უსიტყვოდ შეუძლია, გამოგიყვანოს წყობიდან და დაგაკარგვინოს მოთმინება. ან, პირიქით, დაგამშვიდოს, შენში სენტიმენტალური სიმები შეარხიოს და კეთილგანწყობით შემოგაბრუნოს მისკენ, ვინც ცოტა ხნის წინ გაწყენინა.

## მარტივი... რთული გადაწყვეტილება

ყოველთვის, რა საქმესაც არ უნდა აკეთებდეთ, წინასწარ განაწყვეთ საკუთარი თავი წარმატებისთვის. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ფაქტობრივად, ერთი დიდი, წინგადადგმული ნაბიჯია. აუცილებელი პირობა იმისა, რომ იყოთ წარმატებული, არის ის, რომ შეიყვაროთ საკუთარი თავი. დაქვეითებულ თვითშეფასებას მეტად სავალალო შედეგამდე, კერძოდ კი, პიროვნულ დეგრადაციამდე მივყავართ. საკუთარ თავს მხოლოდ თქვენ თუ დაეხმარებით. ნუ უფრთხით იმას, რომ დაელაპარაკოთ საკუთარ „მეს“. ამის გაკეთება აუცილებელია, თუკი ხვდებით, რომ წარმატების იმედი არ გაქვთ. თანდათან სითამამეც მოგემატებათ, გამოცდილებით კი იმასაც მიხვდებით, რომ დრო შიშში ან წვრილმან ნერვიულობაში არ უნდა გაფლანგოთ.

მალევე მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ საკუთარ ცხოვრებას უკეთესობისკენ ცვლით. ცხოვრება მეტად მშვენიერია, მაგრამ, მისი ხიბლი რომ შეიგრძნოთ, უფრო თამამი უნდა იყოთ.

ვინც არ რისკავს, ის არც შამპანურს სვამს – გახსოვდეთ ეს!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რძის ნაწარმის დიეტა

ყველაზე სასარგებლო პროდუქტების რეიტინგში რძის ნაწარმი უპირობოდ იკავებს ერთ-ერთ პირველ ადგილს. ამიტომ, ხშირად ჩართეთ მენიუში რძე, ყველი, მაწონი, იოგურტი და ხაჭო, მით უფრო, თუ მკაცრად იცავდით მარხვას.



ყველი აბსოლუტური რეკორდსმენია კალციუმის შემცველობის თვალსაზრისით. ამ მინერალის სადღეღამისო ნორმა 150 გრამია. კალციუმის გარდა, ყველი შეიცავს: A, B, E, PP ვიტამინებს; ამინომჟავებს, ცხიმმჟავებს, ფოსფორს, კალიუმს, სელენსა და თუთიას. ცილები კი მასში გაცილებით მეტია, ვიდრე ხორცსა და თევზში – დაახლოებით 20 პროცენტი. ამასთან ცილებს ორგანიზმი გაცილებით უკეთ ითვისებს ყველიდან, ვიდრე უშუალოდ რძიდან. ოღონდ, უნდა გახსოვდეთ, რომ მოუხდელი ყველი საკმაოდ კალორიული პროდუქტია – 100 გრამში 300-400 კილოკალორიაა. ამიტომ, დიეტის დროს მიირთვით უცხიმო და უმარილო ყველი.

ექიმებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ორგანიზმისთვის კალციუმის სადღეღამისო ნორმა 1 200 მილიგრამია. ამ რაოდენობით მისი მიღება კი შესაძლებელია, თუ ყოველდღე შემდეგი რაოდენობით მიირთმევთ რძის პროდუქტებს დილით, საუზმეზე – 1 ნაჭერი ყველი; სადილზე – 1 ჩაის ჭიქა რძე ან მაწონი (უცხიმო კეფირი), ვახშამზე კი 1 ჩაის ჭიქა იოგურტი.

ცნობისთვის, დღეში 1 ჩაის ჭიქა რძის მიღება 37 პროცენტით ამცირებს ინფარქტისა და ინსულტის რისკს.

იოგურტი შეუცვლელი პროდუქტია მათთვის, ვისი ორგანიზმიც ვერ იტანს ლაქტოზას. იოგურტის ფერმანტაციის პროცესში ლაქტოზის რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება, ამიტომ, შედეგების ნუ შეგეშინდებათ. იოგურტში შემავალი აქტიური კულტურები აძლიერებენ იმუნურ სისტემას, დადებითად მოქმედებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებაზე, ანელებენ დაბერების პროცესს, ამცირებენ მსხვილი ნაწლავის კიბოს განვითარების რისკს.

ალბათ, ბევრს აინტერესებს, როგორ შეარჩიოს ყველაზე სასარგებლო იოგურტი. გახსოვდეთ, რომ შეფუთვაზე ხაზგასმით უნდა იყოს მითითებელი ბიფიდო და ლაქტობაქტერიების შემცველობის რაოდენობა. ყურადღება მიაქციეთ შენახვის ვადას: რაც უფრო ხანგრძლივია ის, მით ნაკლებია მასში სასარგებლო აქტიური მიკროფლორა. იდეალური ვარიანტია, თუ პროდუქტზე მითითებული შენახვის ვადა 5-7 დღეა, მაგრამ, ვარგისიანობის ასეთი ხანგრძლივობის მქონე იოგურტს, შესაძლოა, იშვიათად წააწყდეთ. ამიტომ, არ შეიძინოთ ის, თუ ეს ვადა 30 დღეს აღემატება. ძვლების გასამაგრებლად და იმუნიტეტის ასამაღლებლად ხილიანი იოგურტი ასევე სასარგებლოა, როგორც ჩვეულებრივი.

თუ შენახვის ხანგრძლივობა გარკვეულ უნდობლობას იწვევს თქვენში, შეგიძლიათ, იოგურტიც და კეფირიც ჩვეულებრივი შინაური მაწვნით ჩაანაცვლოთ, ოღონდ, ნაღები აუცილებლად მოხადეთ. კარგი ვარიანტია, თუ მაწონში ჩაყრით თქვენთვის სასურველ ხილს ან კენკრას და დააბლენდერებთ ან აუთქვეფავს მიირთმევთ (ცხადია, უშაქროდ).

ხაჭოც, ასევე, დიეტური და ძალიან სასარგებლო პროდუქტია. გარდა იმისა, რომ სავსეა უამრავი ვიტამინითა და მიკროელემენტრით, ხაჭო აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, ამაგრებს ძვლებს და კბილებს, აუმჯობესებს თმის ხარისხს და აახალგაზრდავებს ორგანიზმს.

რძის პროდუქტის შემადგენლობაში შედის 250 სასარგებლო ელემენტი. რძის ნაწარმი ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას ტვინის უჯრედებში. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ, მათ, ვინც რეგულარულად მიირთმევს რძეს (მაწონს, კეფირს, იოგურტს), შესამჩნევად უუმჯობესდებათ მეხსიერება და ლოგიკური აზროვნება.

ამიტომ, გარდა იმისა, რომ აუცილებელია რძის ნაწარმის თუნდაც მცირე რაოდენობით მიღება, გირჩევთ, შეარჩიოთ რძის პროდუქტებიდან თქვენთვის ყველაზე სასურველი და კვირაში ერთხელ მოაწყოთ განტვირთვის დღე. სასურველია, თუ ყოველ მომდევნო კვირას ჩანაცვლების პრინციპს გამოიყენებთ, მაგალითად, თუ ამ კვირაში განტვირთვის დღეს მხოლოდ რძე სვით, შემდეგ კვირას ის მაწვნით შეცვალეთ, მომდევნო კვირას – ხაჭოთი, შემდეგ – იოგურტით ან კეფირით და ასე შემდეგ.

# ლამაზი ფეხები – ყველა ქალის ოცნება

პრაქტიკულად, ზაფხული დაიწყო. ბევრმა თქვენგანმა შარშანდელი თხელი კაბები, სარაფნები, მაისურები, ბრიჯები და შორტები გამოალაგა კარადიდან, ბევრმაც, ალბათ, ახალი ტანსაცმლით გადაახალისა გარდერობი.

ყველა ქალს უყვარს, როცა მუხლსქვემოთ მაინც უჩანს ფეხები, მით უფრო, როცა აქვს ის, რითაც შეუძლია, მოიწონოს თავი – ანუ ლამაზი ფეხები. მაგრამ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სქელ კოლგოტებში, შარვლებსა თუ გრძელ ქვედაბოლოებში ჩათბუნებულებს, ნაკლებად გვიფიქრია იმაზე, რომ ფეხებს მთელი წლის განმავლობაში სჭირდება სისტემატური მოვლა. ხშირად მხოლოდ გაზაფხულის დადგომისას გვახსენდება, რომ მალე ღია ფეხსაცმლის ჩაცმის დრო მოვა და მხოლოდ მაშინ ვიწყებთ ფეხების მოწესრიგებას და ზრუნვას მათ სილამაზეზე, მაგრამ, ვინაიდან მთელი ზამთრის განმავლობაში „მიშვებული" გვქონდა ეს საქმე, სასურველ შედეგს ვერ ვიღებთ.



სამწუხაროდ, ცხოვრების თანამედროვე რიტმი თავის შეზღუდვებს გვიწესებს და როგორც არ უნდა ვოცნებობდეთ სპასალონებში სიარულზე, მასაჟებსა და ვარჯიშზე, ხშირ შემთხვევაში ისეთი რეჟიმი გვაქვს, რომ მთელი დღის განმავლობაში ან ერთ ადგილზე ვსხედვართ, ან შეუსვენებლად დავრბივართ საქმეებზე, ამიტომ, აღარ უნდა გაგიკვირდეთ, თუ საღამოს, სახლში მისვლისას, შეგაწუხებთ შეშუპება, სიმძიმისა და დაღლილობის შეგრძნება.

იმისათვის, რომ ფეხები წლის ნებისმიერ სეზონზე ფორმაში გქონდეთ, და ნებისმიერ დროს შეგეძლოთ მოკლე კაბის ან წვრილქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა, გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები:

ა) თუ თქვენ ისეთი სამსახური გაქვთ, რომ მთელი დღე გაუნძრევლად ჯდომა გიწევთ, დღეში რამდენჯერმე ჩაატარეთ შემდეგი ვარჯიშები:

* სკამზე ჯდომისას ფეხები დადგით ვერტიკალურად. ქუსლები დააყრდენით იატაკს და ტერფების წინა ნაწილი 10-ჯერ ასწიეთ და დაუბრუნეთ საწყის მდგომარეობას.

* ააცილეთ ტერფი იატაკს (ჯერ ერთი ფეხის, მერე – მეორის) და 10-ჯერ დაატრიალეთ ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა მიმართულებით.

ბ) თუ თქვენი სამუშაო დღე ძირითადად „სირბილისგან" შედგება, მოგიხდებათ ვარჯიშების შემდეგი კომპლექსი:.

* დადექით იატაკზე და რამდენიმე წამით დააფიქსირეთ სხეულის მდგომარეობა (5-ჯერ).

* დადექით სწორად და სხეულის სიმძიმე მონაცვლეობით გადაიტანეთ ჯერ ტერფების გარეთა, შემდეგ კი შიგნითა ნაპირებზე (5-ჯერ).

* დადექით სწორად და ნელ-ნელა წამოიწიეთ ფეხის წვერებზე და ასევე, ნელ-ნელა დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას (10-ჯერ).

გარდა ვარჯიშებისა, კვირაში ორჯერ გაიკეთეთ ზღვის მარილიანი წყლის თბილი აბაზანები, შემდეგ კი წაისვით ფეხის კრემი და მთელი ტერფი მსუბუქად დაიმასაჟეთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: შეიძლება თუ არა გახეხილი უმი კარტოფილის ნიღბის გაკეთება სახესა და ხელებზე?**

**პასუხი**: გაიკეთეთ კანიანად მოხარშული თბილი კარტოფილის ნიღაბი, ოღონდ, წინასწარ შეაზილეთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი. გაიჩერეთ 20 წუთი, ჩამოიბანეთ ნელთბილი წყლით და წაისვით მკვებავი. გახეხილი უმი კარტოფილის მასა სახის კანს გაგიშავებთ.

**კითხვა: ვარ საკმაოდ შავგვრემანი (ყველას ჰგონია, რომ სოლარიუმში დავდივარ) და მაქვს სწორი, გრძელი თმა (მუქი ფერის). რამდენიმე დღეში წასვლა მომიწევს საქმიან შეხვედრაზე სოლიდურ ადამიანებთან, ოღონდ ეს შეხვედრა უნდა შედგეს რესტორანში. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორი მაკიაჟი და ვარცხნილობა გავიკეთო, რომ ერთდროულად ელეგანტურად და მიმზიდველად გამოვიყურებოდე (ვარ 30 წლის, საშუალო სიმაღლის და ოდნავ პუტკუნა).**

**პასუხი**: საქმიან შეხვედრაზე წასასვლელად არანაკლებ მნიშვნელოვანია ტანსაცმლის შერჩევა: თქვენი ფიზიკური მონაცემების, შეხვედრის ადგილისა და დანიშნულების გათვალისწინებით, სასურველია, ჩაიცვათ ღია ნაცრისფერი თხელი ქსოვილისგან შეკერილი სწორი ქვედაბოლო (თუ კარგი ფეხები გაქვთ – მუხლებამდე სიგრძის, თუ არა – შუა წვივამდე. ასეთ საღამოს უხდება წელში გამოყვანილი, ყელთან ოვალურად ამოჭრილი ზედატანი, პატარა „ლიპებით". თმა უკან გადაივარცხნეთ და კეფაზე რგოლად დაიხვიეთ. სახეზე გაიკეთეთ მსუბუქი მაკიაჟი, ტუჩებზე კი წაისვით მუქი შინდისფერი პომადა. სასურველია, ჩანთა და ფეხსაცმელი ერთი ფერისა და მასალის იყოს (მაგალითად, შავი ლაკის). ძალიან მნიშვნელოვანია სამკაული და სუნამო. ბევრი ბეჭედი და სამკაული არ აისხათ, არც ჭალისხელა საყურეებია საჭირო. თუ სამაჯურები ძალიან გიყვართ, გაიკეთეთ ოქროსფერი, საშუალო სისქის ძეწკვისამაჯური, პატარა ზომის, ასევე ოქროსფერი საყურეები და წვრილი ოქროსფერი ძეწკვი ყელზე (პაწაწინა კულონიც დასაშვებია),



ბეჭედი კი ერთიც საკმარისია, ოღონდ, ისიც ოქროსფერი უნდა იყოს (ამ შემთხვევაში იაფფასიანი ბიჟუტერია არ გამოგადგებათ). რაც შეეხება სუნამოს, რა თქმა უნდა, გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ, უნდა ჰქონდეს ცივი და ნაზი სურნელი და ამდენი უნდა მიისხუროთ, რომ ეს სურნელი ოდნავ იგრძნობოდეს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რატომ გადაწყვიტა სტალინმა საქართველოში მცხოვრები ირანელების გასახლება



საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პირადად იოსებ სტალინი მეორე მსოფლიო ომის დასასრულს სერიოზულად დაინტერესდა ფერეიდანში მცხოვრები ქართველებით. ამ თემაზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიაქროს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

სტალინის მითითებით, ლავრენტი ბერიამ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაავალა ნარკვევის დაწერა ფერეიდნელი ქართველების ისტორიის შესახებ. ჯანაშიამ დავალება შეასრულა და მალე რუსულ ენაზე დაწერილი ნაშრომი სათაურით: „ირანის ისპაჰანის პროვინციის ქართველების შესახებ," საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალუტრი კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს, კანდიდ ჩარკვიანს წარუდგინა. კანდიდ ჩარკვიანს სიმონ ჯანაშიას ნაშრომი მიუღია 1944 წლის 26 მარტს.

ნაშრომის შესავალში სიმონ ჯანაშია აღნიშნავს: ისპაჰანის პროვინციაში (ფერეიდანში) ცხოვრობს საქართველოდან გადასახლებული 16 ათასი ქართველი. შემდეგ ავტორი გადმოსცემს კახეთიდან შაჰ-აბას პირველის მიერ ქართველთა გადასახლების ისტორიას და აღნიშნავს, რომ ეს გადასახლება არ მომხდარა ერთბაშად, სულ ადგილი ჰქონდა 7 გადასახლებას. სხვადასხვა ისტორიული წყაროების შეჯერებით, ფერეიდანში ქართველთა ეს გადასახლება უნდა განხორციელებულიყო 1603-1608 წლებში. სიმონ ჯანაშია წერს, რომ გადასახლება ხდებოდა აუტანელ პირობებში. ადამიანთა უზარმაზარი მასის გადაადგილება მიმდინარეობდა სრულიად მოუმზადებლად. განსაკუთრებით მძიმე იყო გადასახლებულთა გადასვლა სომხეთის ტერიტორიაზე, მდინარე არაქსზე. ირანელებს არ გააჩნდათ მდინარის გადასაცურად აუცილებელი საშუალებები, ამიტომ გადასახლებულებს აიძულებდნენ, მდინარე ნავების გარეშე გადაეცურათ. დაქანცულმა, მშიერმა და დაავადებულმა ქართველების ნაწილმა მდინარე ვერ გადაცურა და დაიხრჩო. საქართველოდან გადასახლებული ქართველები, თავდაპირველად, ირანის დედაქალაქის, ისპაჰანის შემოგარენში და თვითონ ისპაჰანის ტერიტორიაზე დაასახლეს. შაჰ-აბას პირველის გადრდაცვალებიდან 51 წლის შემდეგ, 1657-1658 წლებში, ირანის ხელისუფლებამ დაიწყო ქრისტიანების სასტიკი დევნა. გადასახლებულებს ერეკებოდნენ ქალაქ ახალ ჯულფისკენ. ახალი ჯულფის სასაფლაოზე მეოცე საუკუნეშიც კი შემორჩენილი იყო გადასახლებულ ქართველთა საფლავის ქვები. ქვებზე ამოკვეთილი წარწერებიდან ყველაზე გვიანი 1700 წელსაა შესრულებული.

ირანში გადასახლებულმა ქართველებმა კიდევ ერთი ძლიერი დევნა განიცადეს 1694-1697 წლებში. ქართველთა დევნას თან სდევდა ისლამის რჯულზე გადასვლის მოთხოვნა (გამაჰმადიანება). ამავე დროს ირანელები ანგრევდნენ გადასახლებულთა მიერ აგებულ ეკლესიებს. აღსანიშნავია, რომ ქართველებს დაუმტვრიეს და მდინარეში გადაყარეს საქართველოდან წაღებული ემბაზები, რომელშიც ახალშობილებს ნათლავდნენ. სიმონ ჯანაშია 1944 წელს დაწერილ ზემოხსენებულ ნაშრომში აღნიშნავს, რომ ირანში გადასახლებულ ქართველთა გამაჰმადიანება დაიწყო 246 წლის წინ, ესე იგი, 1697-1698 წლებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველებს თითქმის 90 წლის განმავლობაში შეუნარჩუნებიათ ქრისტიანობა.

საინტერესოა სიმონ ჯანაშიას ნაშრომის ბოლო ნაწილი. მასში ავტორი აღნიშნავს, რომ ფერეიდნელმა ქართველებმა იციან თავისი ისტორიული სამშობლოს, საქართველოს შესახებ. აქვთ ნოსტალგია, თავიანთი ლეგენდარული სამშობლოსი, აგროვებენ ყოველგვარ ცნობას საქართველოზე, დიდის მოწიწებით ეპყრობიან ყველას, ვინც კი თუნდაც რამდენიმე სიტყვა იცის ქართულად. როგორც სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, ფერეიდნელმა ქართველებმა იციან, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ლიდერია ქართველი, იოსებ სტალინი და იმასაც აღნიშნავენ, რომ მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას. როგორ და რა გზით უნდა მომხდარიყო ფერეიდნელ ქართველთა მდგომარეობის გაუმჯობესება, ამას არ აკონკრეტებენ და ალბათ, არც იციანო, ასკვნის სიმონ ჯანაშია.

1945 წლის 15 იანვარს, ირანში საბჭოთა კავშირის ელჩმა მაქსიმოვმა წერილი გაუგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კანდიდ ჩარკვიანს. ელჩი ჩარკვიანს სთხოვდა, ფერეიდნელ ქართველთა შორის პროპაგანდისთვის გაეგზავნათ წიგნები, სტატიები, ფოტოები და სხვა მასალა. ელჩი განსაკუთრებით გამოჰყოფდა ისეთი მასალის მიწოდების აუცილებლობას, რომელშიც იქნებოდა სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალა. უპირველესად კი: „ი.ბ. სტალინის მოკლე ბიოგრაფია", „ამიერკავკასიის უხუცესი მუშების მონათხრობს დიდი სტალინის შესახებ" და კრებულ „შეხვედრები ამხანაგ სტალინთან". 1945 წლის 26 ოქტომბერს საბჭოთა საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი (მინისტრი) გიორგი კიკნაძე კანდიდ ჩარკვიანს მოახსენებდა, რომ მოსკოვში ვიზიტის დროს ვიაჩესლავ მოლოტოვს მან გადასცა სხვადასხვა ხასიათის მასალა, მათ შორის დოკუმენტი: „ირანის ქართველი მოსახლეობის საკითხის შესახებ". კიკნაძის მიერ მოლოტოვისთვის წარდგენილი დოკუმენტი ფერეიდანში მცხოვრები ქართველების შესახებ, განსხვავდება სიმონ ჯანაშიას ზემოთ ხსენებული ნაშრომისგან. ირანში ქართველთა გადასახლების თარიღად აქ დასახელებულია 1614-1616 წლები, ხოლო გადასახლებულთა რაოდენობა 100 ათას კაცს შეადგენდაო. რაც მთავარია, გიორგი კიკნაძე აღნიშნავს, რომ 1945 წლისთვის ფერეიდანში 20 ათასი ქართველი ცხოვრობსო.

**სტალინის მითითების თანახმად, ლავრენტი ბერიამ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაავალა ფერეიდნელი ქართველების ისტორიის შესახებ ნარკვევი დაეწერა**

გიორგი კიკნაძის წერილი შეიცავდა რამდენიმე თხოვნას: 1) ირანში უნდა გაგზავნილიყო კომპლექსური ექსპედიცია, რომელიც ადგილზე გაეცნობოდა ფერეიდნელ ქართველთა მდგომარეობას. 2) ფერეიდანში მცხოვრები ქართველების შესახებ ინფორმაციის სისტემატურად მისაღებად და ფერეიდნელ ქართველთა შორის მუშაობის მიზნით, ირანში, საბჭოთა კავშირის საელჩოში უნდა გაგზავნილიყო საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ერთი თანამშრომელი, რომელიც შეიძლებოდა, დანიშნულიყო ვიცე კონსულის ან საელჩოს პირველი მდივნის თანამდებობაზე.

1947 წლის 24 ივლისს თეირანში ჩავიდა საბჭოთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი – ასლანიკაშვილი. მას შეთანხმების თანახმად, ირანში საბჭოთა საელჩოში უნდა ემუშავა. თავდაპირველად, მუშაობა თითქოს აეწყო, მაგრამ შემდეგ შეფერხდა. იმხანად უკვე, ოფიციალური თუ არაოფიციალური წყაროებიდან, ვრცელდებოდა ხმები იმის თაობაზე, რომ იოსებ სტალინი აპირებდა ფერეიდნელი ქართველების საქართველოში გადმოსახლებას. ეს ხმები მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზეც ვრცელდებოდა, მაგრამ მაშინ ირანის ხელისუფლებას არ შეეძლო ამის წინააღმდეგ პროტესტი გამოეთქვა. 1947-1948 წლებისთვის კი, ვითარება უკვე შეცვლილი იყო. ყოფილ მოკავშირეებს (საბჭოთა კავშირი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები) შორის ურთიერთობა დაიძაბა. ამით კარგად ისარგებლა ირანმა და ასლანიკაშვილის მოღვაწეობა შეზღუდა. 1948 წლის 25 მაისს გიორგი კიკნაძე კანდიდ ჩარკვიანს წერდა, რომ 1947 წლის ზაფხულში ირანში საგანგებო მისიით ჩასულ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს, ასლანიკაშვილს მოსკოვიდან, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, რომ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში მისი ჩასვლა ფერეიდანში მიზანშეწონილი არ იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ის დროა, როცა მოკავშირეებს შორის შექმნილი დაძაბული ვითარების გამო, სტალინმა უარი თქვა ფერეიდნელი ქართველების სამშობლოში გადმოსახლებაზე. სტალინი ხვდებოდა, რომ ინგლისი და ამერიკა მას მხარს არ დაუჭერდა, ხოლო ირანი კარგად გამოიყენებდა მოკავშირეებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას.

იოსებ სტალინი საგარეო პოლიტიკაში დროდადრო დათმობაზე კი მიდიოდა, მაგრამ შურისძიების შანსს ხელიდან არასდროს უშვებდა. ასე მოხდა ამჯერადაც. 1949 წლის 28 აგვისტოთი დათარიღებულ საიდუმლო ცნობაში, რომელსაც ხელს აწერს საბჭოთა საქართველოს უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძე, აღნიშნულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს 2 336 ირანელი, რომელთაც ადრე ჰქონდათ ირანის მოქალაქეობა. იმავდროულად, საქართველოში ცხოვრობდა 608 ირანელი, რომელთაც არც საბჭოთა კავშირის და არც ირანის მოქალაქეობა არ ჰქონდათ. 2 697 ირანელს უკვე მიღებული ჰქონდა საბჭოთა მოქალაქეობა. როგორც რუხაძის ცნობიდან ჩანს, სტატისტიკური მასალა ეხებოდა მხოლოდ სრულწლოვან ირანელებს. თუ ამას გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ირანელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ცხოვრობდა. 1949 წლის 11 ოქტომბერს კანდიდ ჩარკვიანი იოსებ სტალინს სთხოვდა ნებართვას, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ძალებით, საქართველოდან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში გადაესახლებინათ ირანელთა 1 400 ოჯახი, სულ 45 ათასი ადამიანი. 1951 წლის 22 სექტემბერს თბილისში მიიღეს სრულიად საიდუმლო დოკუმენტი – საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 10 აგვისტოს განკარგულება, რომელსაც ხელს აწერდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იოსებ სტალინი. მასში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიეცა დავალება, 1951 წლის აგვისტოში საქართველოდან გაასახლოს ირანელები. გასასახლებელთა პერსონალური სიები უნდა შეთანხმებულიყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, კანდიდ ჩარკვიანთან.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძე**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

# როგორ დავიყოლიოთ ადამიანები ადვილად მათი დაბადების სტიქიის მახასიათებლების ცოდნით

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

*ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანები განსხვავებულად კამათობენ. თუ გეცოდინებათ თქვენი საყვარელი ადამიანის ტაქტიკა, მაშინ მასთან კონფლიქტის არიდებასაც შეძლებთ. ასე რომ, დაადგინეთ მისი დაბადების სტიქია და შემდეგ შეარჩიეთ მასთან საუბრის ტონი.*

**სტიქია – მიწა**: ამ სტიქიას განეკუთვნებიან ის ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ კუროს, ქალწულისა და თხის რქის ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ. მათთან ურთიერთობაში გაითვალისწინეთ, რომ მათ უყვართ პირდაპირობა, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, სტაბილურობა და საიმედოობა. უნდა მოუყვეთ ყველაფერი გულწრფელად და ბოლომდე. არ უყვართ სიურპრიზები. იყავით რაც შეიძლება ბუნებრივი, რომ მათი გულის მონადირება ადვილად შეძლოთ. ნუ იქნებით მათ წინაშე ყალბი.

**სტიქია – ჰაერი**: ამ სტიქიის ქვეშ დაიბადნენ ის ადამიანები, რომელთა ზოდიაქოებია: სასწორი, ტყუპები და მერწყული. ისინი მუდამ მოქმედების პროცესში არიან, უყვართ ცვლილებები და ექსპერიმენტები. ადვილად ეწყობიან გარშემო მყოფებს. მათთან ურთიერთობის წამოწყება ადვილია, მაგრამ, ამ ურთიერთობის შენარჩუნებაა რთული. მოთმინების დიდი უნარი უნდა გქონდეთ, თუ მათ გვერდით აპირებთ ყოფნას. არ უყვართ, როცა მაღალი ტონით ესაუბრებით – ასე მხოლოდ ურთიერთობას გაიფუჭებთ. ამას ჰაერის სტიქიის ქვეშ დაბადებულ ადამიანებთან არ გირჩევთ, რადგან შემდეგ მათი გულის მოლბობა და შემორიგება ძალიან გაგიჭირდებათ.

**სტიქია – წყალი**: თევზების, მორიელისა და კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებულები წყლის სტიქიის წარმომადგენლები არიან. გამოირჩევიან ოცნებებისა და ფანტაზიის სიყვარულით. გახსოვდეთ, რომ ყოველი თქვენი სიტყვა მათი ოცნების საკვებად გამოიყენება, ფანტაზიების კი მტკიცედ სჯერათ. მათი გახარება და გაბედნიერება ადვილია ლამაზი და თბილი სიტყვებით. მათთვის არარეალური დაპირებებიც კი საკმარისია ნდობის მოსაპოვებლად, თუმცა, მათი გალიზიანება ნამდვილად არ ღირს! იშვიათად კამათობენ და გამოდიან წყობიდან, მაგრამ, ნამდვილად არ გირჩევთ, რომ ამ იშვიათობის მომსწრე გახდეთ.

**სტიქია – ცეცხლი**: ვერძის, ლომისა და მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშნების ქვეშ დაბადებული ადამიანები ცეცხლის სტიქიას განეკუთვნებიან. ისინი ბუნებით ლიდერები არიან და მუდამ საკუთარი თავის წარმოჩენისკენ ისწრაფვიან. ამასთანავე, მუდამ სურთ მხარდაჭერა. არ შეეკამათოთ, რადგან, ძალიან ჯიუტები არიან და ვერ ხედავენ საკუთარ შეცდომებს. უთხარით ის, რისი მოსმენაც მათ სურთ – სხვაგვარად მათი დაყოლიება გაგიჭირდებათ. მთავარია, მისცეთ თქვენს რჩეულს დრო, რომ მიხვდეს, თუ რა ძვირფასი ადამიანი ხართ მისთვის და რომ თქვენთან კამათი მას კარგს არაფერს მოუტანს. მთავარია, მას არ აჰყვეთ და აცადოთ, თავისი ყოველი სიტყვა და მოქმედება გაიაზროს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 29 ოქტომბერს. რომელი ქვეყნებია ჩემთვის მისაღები და რომელ პროფესიაში მელის მეტი წარმატებები ბარიერების გარეშე?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, ზოგადად, ის საშუალოა. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: გერმანია, იაპონია, ხორვატია, ინდოეთის დასავლეთი მხარე; ლიტვა, საბერძნეთი, ესპანეთის ანდალუზიის მხარე, შვედეთის ჩრდილოეთი ნაწილი; ამერიკის შეერთებული შტატებიდან – ვირჯინია; თურქეთის დასავლეთი ნაწილი და ბელორუსია. პროფესიებიდან კი წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმე, პედაგოგიური სფერო, ლინგვისტიკა, უცხო ენები, მთარგმნელობითი საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მედიცინა, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე. მაინტერესებს, რა არის ჩემი კარმული მისია დედამიწაზე?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, გამოავლინოთ ხასიათში საუკეთესო თვისებები. რაც მეტად აქტიური, ენერგიული, მიზანსწრაფული, მებრძოლი და უშიშარი იქნებით, მით უკეთ შეძლებთ საკუთარ თავზე ინიციატივის აღებას, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებების გამოვლენას; ამავდროულად, თუ გამოავლენთ კეთილშობილებასა და ოპტიმიზმს და დაეყრდნობით ცოდნის ბაზას, მით უკეთ შეასრულებთ თქვენს კარმულ მისიას და მიაღწევთ წარმატებას. ასევე, იყავით მაქსიმალისტი, მიუდექით საქმეს მეტი სერიოზულობით, გამოავლინეთ პასუხისმგებლობა, ხარჯეთ ფული ყაირათიანად და გახადეთ ურთიერთობები სტაბილური.

**კითხვა: დავიბადე 1998 წლის 11 ნოემბერს. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელ პროფესიებში ვიქნები წარმატებული?**

**პასუხი**: თქვენთვის წარმატებების მომტანია შემდეგი პროფესიები: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, საავიაციო ბიზნესი, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საქველმოქმედო საქმე, სასტუმროების ბიზნესი.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 16 აპრილს, დილის 6 საათზე. რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი იქნება ჩემთვის მისაღები სასიყვარულო კუთხით?**

**პასუხი**: თქვენთვის კარგია ურთიერთობა ვერძთან, ქალწულთან, ტყუპებთან, ლომთან ან მშვილდოსანთან. არ არის სასურველი სასიყვარულო-საოჯახო ურთიერთობა მორიელთან, კირჩხიბთან და თხის რქასთან.

**კითხვა: დავიბადე 1986 წლის 22 სექტემბერს. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ სამშობლოს პატრიოტი, კარგად ერკვეოდეთ ადათ-წესებში, ისტორიაში, ტრადიციებში. უნდა შეინარჩუნოთ სტაბილური საოჯახო, პარტნიორული ურთიერთობები. უფრო მეტად დაეყრდნოთ ინტუიციას, იყოთ ფრთხილი და წინდახედული, ისწავლოთ საიდუმლოს დაცვა. ასევე, უნდა იყოთ ორგანიზებული და ერთგული და ირგვლივაც ერთგული ადამიანები უნდა შემოიკრიბოთ. გახდეთ ნებისყოფიანი, მომთმენი, შრომისუნარიანი, ბრძოლისუნარიანი, ხარჯოთ ფული ყაირათიანად – ყოველივე ეს თქვენთვის გამარჯვების მომტანი ფაქტორებია.

**კითხვა: დავიბადე 1987 წლის 4 იანვარს, დილის 8 საათზე. რომელ სფეროში მელის წარმატება და რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მექნება სასურველი სასიყვარულო-საოჯახო კავშირი?**

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ხრიკაძე

ესაა სიტყვა **ხრიკიდან** ნაწარმოები გვარი.

**ხრიკი** ნიშნავს ხერხს რამის მისაღწევად; ასევე, შესაკრავ კავს, დუგმას. **ხრიკას** კუთხურად ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელსაც უძახიან.

ვარაუდით, **ხრიკაძეთა** წინაპრები ოსტატი ხელოსნები იყვნენ და სწორედ ამის მიხედვით გაუგვარდათ სიტყვა **ხრიკა**. სახელი **ხრიკა** ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ მთიანეთში.

**ხრიკაძეები** მეცხრამეტე საუკუნეში ჩანან თეთრი წყაროს რაიონში.

საქართველოში 283 **ხრიკაძე** ცხოვრობს: ბორჯომში – 105, თბილისში – 65, ახალციხეში – 24. არიან სხვაგანაც.

### ალელიშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **ალელი**, რომელიც საკუთარ სახელად ქცეული სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა.

გადმოცემის მიხედვით, **ალელიშვილების** ადრინდელი გვარი ნოზაძე ყოფილა. ისინი სოფელ **ალიდან** მესხეთში გადასახლებულან. ახალციხელ **ალელიშვილებს** არდელანის უწოდებენ, ამიტომ, სავარაუდოა, რომ ისინი სოფელ **არალიდან** არიან, ადიგენის რაიონიდან. **ალელიშვილი** მოიხსენიება 1713-1838 წლებში, დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის შვილიშვილის, დავითის მიერ ბეჟანა ნაზარაშვილის სახელზე გაცემული ყმის, სახლ-კარისა და მამულის ნასყიდობის წიგნში.

საქართველოში 298 **ალელიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 111, გარდაბანში – 63, ახალქალაქში – 28. არიან სხვაგანაც.

### ჩხაიძე

გვარის ფუძეს – **ჩხა**-ს, ვაზს უკავშირებენ. მიჩნეულია, რომ, ვაზის ისეთი ჯიშები, როგორიცაა **ჩხავერი** და **ჩხაბერძულა**, ამ გვარის წევრებმა გადაარჩინეს და ამის მიხედვით მათ **ჩხაიძეობა** გაიგვარეს. **ჩხა** ძირით რამდენიმე ქართული გვარი გვაქვს: **ჩხაბელია, ჩხაბერიძე, ჩხაპელია, ჩხატარაშვილი, ჩხატარაიშვილი, ჩხარჩალია** და სხვა.

**ჩხაიძეთა** გვარის თიკუნებია: თავპაიჭა, კიტოვანი, ჯვარისა, პეტრეშვილი, ალალვიშვილი, გიორგჩხაიშვილი, თვალყიშვილი და სხვა. **ჩხაიძეებს** ერთმანეთისგან ასხვავებენ მეტსახელებით: კურდღელა, მჭედელა, კოხომირა, თავპაიჭა, მარგალიტა და ასე შემდეგ.

**ჩხაიძეთა** სოციალური მდგომარეობის მიმანიშნებელი მასალა ძალიან მწირია. არის მინიშნებები, რომ **ჩხაიძეები** მეფის განსაკუთრებულ სამსახურში არიან ჩართული; შუალედი (თავისუფალი) ფენებიდან დაწინაურებულნი და ზოგჯერ ყველაზე მაღლა აღზევებულნიც ყოფილან.

„მსახურიონთა" ჯგუფის ძირითადი ბირთვი – „მეფის მდევარი" – საყრდენი სამეფოს ძლიერი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკოსი სამეფო კარზევე იყო უფროსი ძმა ესე **ჩხაიძისა** – მანასე ხუცესი, ფრიად პატივცემული ადამიანი, მწიგნობარი, განათლებული..."




ლეგენდის მიხედვით, **ჩხაიძეები** ქვემო ქართლელ ორბელთა საგვარეულოდან მოდიან, კერძოდ, დიდთავადი ბარამისგან. ბარამისგან ქალს მოწიფული ქალ-ვაჟი დარჩა. ეს ქვრივი გაიტაცა ბარამმა და გადაიხვეწა გურიაში. თავისუფალ ახალ სოფლად. „ესე **ჩხაიძის** ნაგრამი გურიაში დღესაც სახლობს" და მათი სახელია მსახურიშვილები. ესეს ნაგრამი პირველი ცოლიდან იმერეთს გამრავლდა და წარმოჩნდნენ უმეტესად სასულიერო და მწიგნობრულ ასპარეზზე".

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარში, რაოდენობის მიხედვით **ჩხაიძეები** 35-ე ადგილზე არიან.

სულ საქართველოში 6 977 **ჩხაიძე** ცხოვრობს: ლანჩხუთში – 2 025, თბილისში – 1 443, ოზურგეთში – 1 176. არიან სხვაგანაც.

### ნაცარიშვილი

გვარის ფუძეა სიტყვა **ნაცარი**. ონის რაიონის სოფელ გლოლაში დაფიქსირებულია საკუთარი სახელი – **ნაცარა**. ამ ფუძიდანაა წარმოშობილი გვარი – **ნაცარაშვილი**.

გვარმოდენილობით ამ ორ გვარს – **ნაცარაშვილსა** და **ნაცარიშვილს** საერთო არაფერი აქვს.

**ნაცარიშვილი**, ცხოვრებისეული პირობების გამო, ხელოვნურადაა გამოგონილი და ამ გვარს დადიანების ცნობილ ფეოდალურ საგვარეულოსთან მივყავართ.

აჭარის მიდამოებში, კერძოდ, ქობულეთის მაღალმთიან სოფელ ხინოში, საუკუნეების წინათ სამეგრელოდან მოსული დადიანები დასახლებულან. გვარში დღემდეა შემორჩენილი გადმოცემა: ჯემალ დადიანმა ხუნდებით წამებას ვერ გაუძლო, ტყეში გადაიკარგა და სოფელ ხინოდან 80 კილომეტრზე იპოვეს ნაცარში ამოგანგლული. მას ალამბარელებმა (სოფელია) ჯერ **ნაცარა** შეარქვეს, ხოლო, როცა ოჯახი შექმნა, „დადიანის ნაცარიშვილად" მონათლეს. ასე რომ, სწორედ დადიანის გვარმა დაუდო სათავე **ნაცარიშვილის** გვარს – ამ მცირერიცხოვანი გვარის წინაპრები დადიანები იყვნენ.

საქართველოში 37 **ნაცარიშვილი** ცხოვრობს: ქობულეთში – 22, თბილისში – 10, ბათუმში – 5.

### ხიზაძე

გვარის ფუძით – **ხიზანა-ხიზანი** – ნაწარმოებია ქართული გვარები: **ხიზანაიძე, ხიზანიშვილი, ხიზანაშვილი, ხიზანეიშვილი, ხიზაძე.**

**ხიზაძეთა** ადრინდელ საცხოვრებელ ადგილად იხსენიება სოფელი კუნცა (ასპინძის რაიონი). იმავე რაიონში **ხიზაძეები** დღეს სხვაგანაც ცხოვრობენ, კერძოდ, სოფელ აწყვიტაში.

საქართველოში 66 **ხიზაძე** ცხოვრობს: ასპინძაში – 32, თბილისში – 7, ახალციხეში – 6. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

---

(მე-12 გვერდიდან)

# რა ბედი ეწიათ ცნობილ ქართველ მამაკაცებს გრიგოლ ფერაძეზე მასალების მოძიებისას და რა განსაცდელი მოუვლინა უფალმა ამის გამო მაკა ბურდულს

– სხვათა შორის, ვინც კი დაიწყო ამ თემაზე მუშაობა, ყველას რაღაც დაემართა: ზურა ჭავჭავაძე პატრიარქის პირადი მდივანი რომ იყო, იცით; მერე ეროვნულ მოძრაობაში ჩაება. ჩავიდა კახეთში, დაიწყო ფერაძეზე მასალების მოძიება და მალე დაიღუპა. მერე რეზო თაბუკაშვილმა გადაწყვიტა ფილმის გაკეთება და ისიც გარდაიცვალა. მეც მითხრეს, ძალიან დიდი ბრძოლები გელისო. მართლაც, ორჯერ მოვყევი ავარიაში და შარშან ძალიან სერიოზული ოპერაცია გამიკეთეს. მაინც ამ თემაში ვარ და, საიდან ვიკრებ ძალას, არ ვიცი.

**– თქვენ იღებთ ფილმებს ყოველგვარი ფინანსების გარეშე, არადა, ფილმის გადასაღებად სწორედ ეს არის მთავარი. როგორ ახერხებთ ამას?**

– ამ ფილმზე მხოლოდ ერთი ქართველი ემიგრანტი დამეხმარა – 5 ათასი რუბლი მომცა, რითაც კოსტიუმი გამოვიტანეთ. 500 დოლარი მომცეს რუსებმა, დანარჩენი – მამამ. თავის პენსიას მე მინაწილებს ეს თვითონ უმუშევარი კაცი. არ ვიცი, უცებ საიდანღაც რაღაცეები ჩნდება უფლის წყალობით. გადავიღეთ ერთ დღეში.  თქვენ არ იცით, რა რთული გასაკეთებელი საქმეა ფირზე.

**– კიდევ რა პროექტები გაქვთ?**

– წელიწადში რამდენიმე პროექტს ვაკეთებ ხოლმე, ასე, მეგობრობით, ახლობლობით, ძმაკაცობით. ახლა ვაკეთებ ახალ პროექტს – „ქართული კინო 100 წლისაა". ჩემს მეორე ფილმშიც მამა თამაშობს – ინგლისელს, რომელმაც კინოაპარატი გამოიგონა. ძალიან საინტერესო როლი ექნება.

**ეკა პატარაია**

**თეა ცუცქირიძე წლების განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. ჯერ კიდევ პატარა იყო, ნიუ-იორკში ცხოვრებაზე რომ ოცნებობდა. ეს ოცნება მან მოგვიანებით აისრულა. რაც მთავარია, მან ამერიკაში კულინარიული ნიჭი გამოავლინა და ცნობილ კულინარიულ რეალითი შოუში 25 ათასი მონაწილედან 4 საუკეთესოში მოხვდა. სულ მალე, ის ძალებს ფინალურ შოუში მოსინჯავს. რაც მთავარია, თეა კერძების მომზადებისას აუცილებლად იყენებს ქართულ რეცეპტს, ქართულ სულს დებს მათში და ამიტომაცაა, რომ მისი მომზადებული კერძები ცნობილ შეფებს განსაკუთრებულად მოსწონთ. გარდა ამისა, თეა მაყურებელშიც დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს. რადგან თეა დღეს ძალიან დაკავებულია და საფინალო შოუსთვის ემზადება, ამიტომ მის შესახებ საუბარი თეას მეგობარს, ხათუნა აბაშიძეს ვთხოვეთ.**

# როგორ გახდა ამერიკაში ერთ-ერთ პოპულარულ რეალითი შოუში 25 ათას კონკურსანტს შორის გამარჯვებული თეა ცუცქირიძე და რატომ დადიან მისი კერძების გასასინჯად ამერიკელი კონგრესმენები

**ხათუნა აბაშიძე**: თეა იმერეთში დაიბადა და გაიზარდა, იქ დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა უცხო ენების ინსტიტუტში გააგრძელა. 7 წლის იყო, დედას რომ ეხმარებოდა საჭმელების მომზადებაში. თან, ინგრედიენტებსაც თვითონ არჩევდა, იგონებდა, ამატებდა და სხვანაირად ამზადებდა. პატარაობიდან უყვარდა ფუსფუსი სამზარეულოში, როგორც ჩანს, ეს ნიჭი ბავშვობიდან დაჰყვა. თან, ისე ლამაზად აფორმებდა კერძებს... ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ჯერ კიდევ 10 წლის ბავშვს ოთახში ნიუ-იორკის ფოტო ეკიდა, მამას აჩვენებდა და ეუბნებოდა: მე აუცილებლად წავალ ნიუ-იორკშიო. მაშინ ამერიკაში წასვლა არ იყო ასეთი მარტივი, მაგრამ თეას მიზნად ჰქონდა დასახული. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ამერიკაში წავიდა, რომ ენა უკეთესად შეესწავლა. მანჰეტენზე არის ინტერნაციონალური კოლეჯი, სადაც ის სწავლობდა ინგლისურ ლიტერატურას და ისტორიას. რადგან სტუდენტი იყო, თავის გატანა სჭირდებოდა, ამიტომ თავიდან ერთ-ერთ ოჯახში მზარეულად დაიწყო მუშაობა. ერთი წლის ჩასული იყო ამერიკაში, ავტობუსის გაჩერებაზე ერთი ბიჭი რომ დაინახა და როგორც თავად ამბობს: მაშინვე მივხვდი, ის „ის“ იყო და ის მიხვდა, რომ მე „მე“ ვიყავიო. გაიცნეს ერთმანეთი, 6 თვის განმავლობაში ჯოზეფმა ისეთი რაღაცეები გააკეთა, საბოლოოდ, მოხიბლა თეა. შემდეგ დაქორწინდნენ.

**– ამერიკელია თეას ქმარი?**

– თეას მეუღლე ჯოზეფ ევანსი ნიუ-ჯერსიში ცხოვრობს, თუმცა დედა ჰყავს იტალიელი, მამა – ბრიტანელი. ძალიან კარგი პიროვნებაა, ყურადღებიანი. დღემდე ყოველ კვირა უგზავნის თეას ყვავილებს. რაც დრო გადის, მით უფრო მეტად უყვარს მეუღლე. თეა რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ ახერხებდა საქართველოში ჩამოსვლას, დედა ჰყავდა ცუდად და ამას ძალიან განიცდიდა. ამიტომ, ჯოზეფი თეას გარეშე ჩამოვიდა საქართველოში. ისე მოეწონა, რომ თეას გარეშე მეორედაც ჩამოვიდა. შემდეგ მცხეთაში ჯვარი დაიწერეს, მანამდე კი ჯოზეფი, რომელიც კათოლიკეა, მართლმადიდებლურად მოინათლა. მას იმდენად მოსწონს საქართველო და უყვარს, რომ გადაწყვიტა, საქართველოში სხვა მისიით ჩამოვიდეს. ამიტომ, დაიწყო მეცადინეობა კონსულის გამოცდების ჩასაბარებლად. თუმცა, ერთი რამ უკვე გადაწყვეტილი აქვთ: პენსიაზე რომ გავლენ, უნდათ, საქართველოში იცხოვრონ. ამერიკაშიც, თავის სახლში, თეას ყველაფერი ქართულად აქვს გაკეთებული – საკუთარი ხელით გააკეთა რემონტი, ფარდები შეკერა – ქართული სული ტრიალებს მათ ბინაში. ახლა ორი შვილი ჰყავს – ემლი და სოფია. რადგან თეას ძალიან უნდოდა და ოცნებად ჰქონდა გადაქცეული კულინარიის სკოლაში ჩაბარება, ამიტომ ჩააბარა მანჰეტენზე კულინარიულ სკოლაში. 2 წლის განმავლობაში სწავლობდა. მას ასწავლიდნენ საფრანგეთსა და ნიუ-იორკში ცნობილი შეფ-მზარეულები. გარდა ამისა, ამ ხნის განმავლობაში ის არაერთ ცნობილ შეფ-მზარეულს შეხვდა.

**– სულ ახალხან, თეა ძალიან ცნობილ სატელევიზიო რეალითი შოუში მონაწილეობდა, რომელიც ძალიან პოპულარული და წარმატებულია ამერიკაში.**

– ამერიკაში არის ასეთი არხი Food Channel, სადაც გადის ცნობილი რეალითი შოუ Chopped, უკვე რამდენიმე სეზონი იყო. თეა ამ რეალითი შოუში მონაწილეობდა. ჯოზეფმა გაგზავნა მისი მონაცემები და მიიწვიეს. საბოლოოდ, გასაუბრებაზე 25 ათასი კონკურენტიდან 150 აარჩიეს და მათ შორის იყო თეა. მას ისეთ შეფ-მზარეულებთან ერთად გამოსვლა მოუწია, რომლებიც ცნობილ რესტორნებში მუშაობენ. თეამ ყველა ეტაპი წარმატებულად გადალახა და საბოლოოდ, გაიმარჯვა – ფინალში გავიდა. პირველი დავალება იყო „აპეტაიზერის“ მომზადება. გამოაცხო ქართული ლავაში, რომელშიც ჩადო მომზადებული ღვიძლი, რაც ძალიან მოეწონათ. მათთვის უცხო იყო. ამის შემდეგ 4 მონაწილედან, სამი დარჩა. შემდეგ შეწვეს იხვის ჭუკები – თეამ ქართულად შეწვა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სუნელები არ ჰქონდა, ისე აურია ყველაფერი, რომ ჟიურის გაოცებაც გამოიწვია. მათ აღნიშნეს – აშკარად გეტყობათ, განსხვავებული და სპეციფიური ქვეყნიდან რომ ხართო. ამის შემდეგ, უკვე ორი მონაწილე დატოვეს, რომლებსაც მესამე რაუნდში ნამცხვარი უნდა გამოეცხოთ და საბოლოოდ, თეამ გაიმარჯვა. ყოველ კვირა ტარდება შეჯიბრება და ირჩევენ გამარჯვებულ შეფებს, საბოლოოდ, მათი რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. ფინალისთვის 200-დან უნდა აერჩიათ 4 გამარჯვებული და სწორედ მათ შორის მოხვდა თეა. მასზე მოთხოვნა ძალიან დიდი იყო. მისი განსახვავებული რეცეპტით მომზადებული კერძები ძალიან მოეწონათ. აღნიშნეს, რომ ძალიან გემრიელი იყო და სწრაფი ხელიც ჰქონდა. პლუს – ხალხის მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა. იმდენად მოთხოვნადი გახდა, რომ რეიტინგებში პირველი ადგილი დაიკავა და შანსი არავის დაუტოვა. გარდა ამისა, თეას 26 აპრილს ჰქონდა წინასაფინალო კონკურსი, გასაუბრება ჟიურის წევრებთან, სადაც 5 რჩეული მზარეული ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ინდივიდუალურად ხდებოდა გასაუბრება და თითოეული ჟიურის მიერ დავალებულ კერძს ამზადებდა, თან კითხვებს პასუხობდა. თეამ წარმატებულად გაართვა თავი. ახლა ფინალისთვის ემზადება, სადაც ძალიან ძლიერი კონკურენტები ეყოლება. მაგრამ, იმედს ვიტოვებ, რომ იქაც გვასახელებს ჩვენი თეა. საპრიზო ფონდიც ძალიან დიდია, გამარჯვებული სერიოზულ თანხას იგებს. თეას ძალიან უნდა, საკუთარი, პატარა რესტორნის გახსნა და იმედია, ამ ოცნებას აისრულებს. თან, ფინალში რა კერძის მომზადებას დაავალებენ, ჯერ არ იცის. მანამდეც ასე ხდებოდა: შოუს დაწყებამდე ყველას აძლევენ ერთი და იგივე ინგრედიენტებს და უნდა მოამზადონ კერძი. ასე იქნება ფინალშიც – ეს სიურპრიზია ყველასთვის. სხვათა შორის, ამ შოუს შემდეგ თეა ძალიან პოპულარული გახდა. სხვა შოუშიც მიიწვიეს და მუშაობა დაიწყო ხუთვარსკვლავიან რესტორანში Fire Fly – „ციცინათელაში“. რესტორანში ხალხის ნაკადი არ წყდება, თეას მომზადებულ კერძებს აგემოვნებენ, წინასწარ ეწერებიან და გარდა ამისა, თეასთან ერთად იღებენ ფოტოებს, ავტოგრაფებს ართმევენ. ეს გადაცემა ამერიკაში ძალიან პოპულარულია, ამიტომ რესტორნის წინ დიდი რეკლამაც იყო თეას ფოტოთი. რაც მთავარია, ამ რესტორანში თეამ ბევრი ქართული კერძი შეიტანა, მათ შორის, ისპანახი, ჭარხალი, ხაჭაპური, ვაზის ფოთოლში გახვეული ტოლმა, ხორციანი ბლინები. თან, ამ ყველაფერს ძალიან ლამაზად აფორმებს და ეს განსაკუთრებულად მოსწონთ. ზოგჯერ ხინკალსაც აკეთებს, თხის მაწონს, ყველს, სახლში ქართულ პურსაც აცხობს. ყველამ იცის, რომ რესტორნის შეფ-მზარეული ქართველია და ეს განსაკუთრებულად მოსწონთ, აინტერესებთ. მენიუშიც ყოველთვის მითითებულია რაღაც კერძი ქართულად. ყოველთვის ცვლის მენიუს, თან თავიდან ბოლომდე. სხვათა შორის, ამბობს, თუ ვინმე საქართველოში შემომთავაზებს თანამშრომლობას, აუცილებლად ჩავალ და ჩემს გამოცდილებას გავუზიარებო. რესტორანში, ძირითადად, ქალაქის მერი, კონგრესმენები, ბევრი ცნობილი პიროვნება დადის. მათ ძალიან მოსწონთ ქართული კერძები, განსაკუთრებით ისპანახი, ხინკალიც გასინჯეს. აგვისტოს ომის დროს, თეას შვილები საქართველოში იყვნენ ჩამოსულები, ჩარჩნენ იმერეთში და ვეღარ ბრუნდებოდნენ ამერიკაში. ბავშვები ამერიკლები არიან, ამიტომ მათ ჩამოსაყვანად ამერიკიდან ჩამოვიდა კონგრესმენი, ქრის სმიტი და დაეხმარა ბავშვების ამერიკაში ჩაყვანაში. შემდეგ ჯოზეფიც ჩამოვიდა და ბავშვები ჩაიყვანეს ამერიკაში მშვიდობიანად. სოფია ქართულად ძალიან კარგად საუბრობდა, მაგრამ მას შემდეგ საერთოდ აღარ ლაპარაკობს ქართულად. როგორც ჩანს, მასზე ომის ამბებმა ძალიან იმოქმედა.



**ერთი წლის ჩასული იყო ამერიკაში, როცა ავტობუსის გაჩერებაზე ერთი ბიჭი დაინახა. როგორც თავად ამბობს: მაშინვე მივხვდი, რომ ის „ის“ იყო და ის მიხვდა, რომ მე „მე“ ვიყავიო**

**– თეა რესტორნის გარდა, კერძო ივენთებზეც თუ მუშაობს?**

– ზოგადად, თეა იმდენად მიზანდასახულია, რომ ამით არ კმაყოფილდება, უნდა, წინ წავიდეს. თუმცა, ის პირველი ქართველია, რომელიც ასეთ ცნობილ კულინარიულ შოუში მონაწილეობდა და თან, ამდენ ამერიკელში გაიმარჯვა სწორედ თავისი ქართული სულით, ხასიათით. რა თქმა უნდა, როდესაც რესტორანში რაღაც კერძი მოსწონთ, მერე სთხოვენ: ქორწილი მაქვს, დაბადების დღე და თუ მოგვიმზადებ ამ კერძს, ან გამოგვიცხობ ტორტსო. თეაც არ ამბობს უარს, იღებს შეკვეთებს. ტორტსაც კი ქართული რეცეპტით აცხობს და ესეც ძალიან მოსწონთ. თეა დღემდე მიიჩნევს, რომ მის წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებს მიუძღვის, რადგან მათი გვერდში დგომით გახდა ასეთი და აიხდინა ოცნება.

**ნათია უტიაშვილი**

# სოლოლაკის რომელი სახლის სარდაფში აღმოაჩინა „კაგებემ“ დახვრეტილი კულაკის ქონება

**დივერსანტი**

1942 წლის 22 ივნისს, ანუ, დიდი სამამულო ომის დაწყებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე, თბილისში, სოლოლაკში, ღამის 3 საათზე, სამხედრო კომენდატურის პატრულმა ოცდახუთიოდე წლის მამაკაცი დააკავა. ის ვიწრო ჩიხში იმ დროს აიყვანეს, როდესაც პატრულის დანახვაზე გაქცევა სცადა. მას კარლო ჯელიძის სახელზე დამზადებული ყალბი საბუთი აღმოაჩნდა. ყველაზე საეჭვო კი ის იყო, რომ დაკავებულს ძველი თბილისის რაიონის რუკა უპოვეს. რუკა უმაღლესი სიზუსტით იყო შესრულებული, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ ის პროფესიონალის მიერ იყო დამზადებული. თავის ახსნა-განმარტებაში დაკავებულმა დაწერა, რომ არ ახსოვდა, საიდან და როგორ ჩამოვიდა თბილისში, რუკა კი ქუჩაში იპოვა. საეჭვო მამაკაცი „ენკავედეში“ გადაიყვანეს. იქ ის სათანადოდ დაამუშავეს, რის შემდეგაც აღიარა, რომ წარმოშობით ქუთაისიდან იყო და თბილისში ფაშისტური გერმანიის დაზვერვის დავალებით გამოგზავნეს, რათა სტრატეგიული ობიექტები აეფეთქებინა. დაკავებულის თქმით, სინამდვილეში ის ივანე ჩხეიძე იყო, თავად ბეკინა ჩხეიძის ძმისშვილი, რომელიც საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჯერ საფრანგეთში გაიქცა, შემდეგ კი – გერმანიაში. ეს ვერსია უფრო დამაჯერებელი ჩანდა, მაგრამ, დიდ ნდობას არც ის იმსახურებდა. ამიტომ, ის შინაგან ციხეში მოათავსეს, მისი მონათხრობის გადამოწმებას შეუდგნენ და სისხლის სამართლის საქმე დივერსიის მუხლით აღძრეს. ამ საქმეს კაპიტანი იური მუმლაძე იძიებდა. ის თითქმის ყოველდღე აკითხავდა პატიმარს ციხეში და საათობით ესაუბრებოდა.

1942 წლის 6 ივლისს კაპიტანი მუმლაძე დაკავებულს საკანში ღამის პირველ საათზე ეწვია. ერთი საათის შემდეგ კი უკან გაბრუნდა. დილით, როდესაც ბადრაგი შეიცვალა, დაკავებული დივერსანტის საკანში გაკოჭილი ზედამხედველი აღმოაჩინეს, თავად პატიმარი კი არსად ჩანდა. მოიკითხეს კაპიტანი მუმლაძეც, რომელიც ვერსად იპოვეს და დაასკვნეს, რომ ივანე ჩხეიძე მან გააქცია ციხიდან და თვითონაც მასთან ერთად გაუჩინარდა. მუმლაძის კოლეგებს ძალიან უკვირდათ, რამ აიძულა ის, ასეთი ნაბიჯი გადაედგა. აღიძრა საქმე მუმლაძის წინააღმდეგაც, თუმცა ის მალევე დახურეს და საქმე არქივში გაგზავნეს.

**განახლებული საქმე**

მეორე მსოფლიო ომი რომ დასრულდა, ოკუპირებული გერმანიის ტერიტორიიდან საბჭოთა უშიშროებამ უამრავი საიდუმლო დოკუმენტი გამოიტანა. მათ შორის იყო საბჭოთის ტერიტორიაზე შეგზავნილ აგენტთა სია და მათთვის მიცემული დავალების აღწერა, რომლებსაც აგენტების ფოტოებიც თან ერთვოდა, რომელთა შორის ვინმე ანტონ ვასაძის ფოტოც იყო. იქვე ეწერა, რომ კულაკ ვასილ ვასაძის შვილი, ანტონი, საქართველოში იქნა გამოგზავნილი, ეგრეთ წოდებული 31-ე ქარხნის მოსაძებნად და მასზე ინფორმაციის მოსაპოვებლად. ფაშისტებს სმენოდათ, რომ თბილისში 31-ე ქარხანა ფუნქციონირებდა და, სურდათ, გაეგოთ, თუ რა სამხედრო დანიშნულება ჰქონდა ამ ობიექტს. ეს საქმე თბილისში გადმოგზავნეს და „ენკავედეს“ დავალება მიეცა, რომ გაუჩინარებული კაპიტან მუმლაძისა და ჯელიძე-ჩხეიძის, სინამდვილეში კი, ანტონ ვასაძის საქმის გამოძიება განეახლებინათ. ეს საქმე არქივიდან ამოიღეს, მაიორ ნოე გუმბერიძეს გადასცეს და 1945 წლის 19 ნოემბერს საქმის წარმოება განახლდა.

მიუხედავად იმისა, რომ გუმბერიძე გამოცდილი ჩეკისტი იყო და არაერთი სერიოზული საქმე ჰქონდა გახსნილი, დივერსანტის საქმეში დიდი ვერაფერი პროგრესი ჰქონდა. მან მისხალ-მისხალ შეისწავლა როგორც გერმანული დაზვერვის საბუთები, ისე დივერსანტის საქმე და დაასკვნა, რომ ვასაძე თბილისში სულ სხვა მიზნით იყო ჩამოსული, რაც გერმანიის დაზვერვამაც კი არ იცოდა და რომ ის პირადი მოსაზრებებით მოქმედებდა. გუმბერიძემ შესაბამისი პატაკი დაუწერა თავის უფროსს, გენერალ მოხინს, რომელმაც ის გამოიძახა და ჰკითხა:

## მუმლაძე და დივერსანტი გაუჩინარდნენ, საკანში კი გაკოჭილი ზედამხედველი დატოვეს

– ნოე პეტროვიჩ, მაინც, რას ფიქრობთ, რა პირადი მიზნებისთვის ჩამოვიდა ვასაძე თბილისში 1942 წელს?

– ამხანაგო გენერალო, მე ამ საკითხზე რამდენიმე ვერსია მაქვს, რომლებიც უნდა გადამოწმდეს. ყველაზე სწორი კი, ჩემი აზრით, ისაა, რომ ვასაძე თბილისში რაღაც დამალულ ნივთს ეძებდა.

– დამალულს?

– დიახ, ამხანაგო გენერალო და, ვფიქრობ, რომ ეს ქონება უნდა იყოს. მან, უბრალოდ, გერმანელები თავისი მიზნებისთვის გამოიყენა და, რადგან ასე გარისკა და თავის სამშობლოში დივერსანტად დაბრუნდა, ამის სერიოზული მიზეზიც გააჩნდა. მას ძველი თბილისის რუკა აღმოაჩნდა, რომელიც სრულიად უსარგებლო იყო მისი დავალების შესასრულებლად, რაც 31-ე ქარხნის აღმოჩენას ითვალისწინებდა, თანაც, ყურადღება მიაქციეთ, რომ ის შინაგანი ციხიდან კაპიტანმა მუმლაძემ გამოიყვანა, კაპიტანი კი შემოწმებული თანამშრომელი იყო. როგორც ჩანს, ვასაძე მას დიდ ქონებას დაჰპირდა და ისინი გამდიდრების მიზნით გაიქცნენ.

– ჭკვიანურია. იმოქმედეთ!



ნოე გუმბერიძემ „კულაკ“ ვასილ ვასაძის საქმე შეისწავლა, რომელიც 1934 წელს დახვრიტეს და დაადგინა, რომ მას „ენკავედე“ საგვარეულო ძვირფასეულობასა და მოგვიანებით შეძენილ ალმასებს სთხოვდა, ვასილი კი ამას უარყოფდა და ამიტომაც დახვრიტეს.

საბუთების მიხედვით, კულაკი ვასაძე სოლოლაკში ცხოვრობდა, თუმცა, საცხოვრებლის მისამართი საქმეში არ იყო აღნიშნული.

– აი, რას ეძებდა ანტონ ვასაძე თბილისში და რატომ ჰქონდა მას ძველი ქალაქის რუკა, – თქვა გუმბერიძემ და დივერსანტის საქმიდან ამოღებულ რუკას დახედა, რომელზეც არანაირი საგანგებო აღნიშვნები არ იყო...

**ოცი წლის შემდეგ**

„დივერსანტის საქმე“ უკვე მეორედ გაგზავნეს არქივში, რადგან, ვერ მოხერხდა მისი ბოლომდე გამოძიება, თუმცა, გაქცეულ ვასაძესა და მუმლაძეზე გამოცხადებული ძებნა ძალაში იყო... 1965 წლის 2 დეკემბერს, თბილისში, კალინინის (მთაწმინდის) რაიონის მილიციაში მაწანწალა მოიყვანეს, რომელიც სოლოლაკში, მაჩაბლისა და ენგელსის ქუჩების კუთხეში დააკავა მილიციამ. „ბასიაკობა“ იმ პერიოდში არავის უკვირდა და თუკი არაფერს აშავებდნენ, მათ ხელს არავინ ახლებდა. ყველა უბანს თავისი მაწანწალა ჰყავდა, მათ უბნის მილიციელები კარგად იცნობდნენ და მწვანეპალტოიანი მაწანწალა სწორედ იმიტომ დააკავეს, რომ ის უცნობი იყო. უბნის ინსპექტორმა ჯონდო კირვალიძემ თმა და წვერგაბურძგნილი უცნობი „ბომჟი“ მილიციის სამორიგეოში მიიყვანა. როცა გაჩხრიკეს, მას მათემატიკის რვეულის ფურცელზე დახატული რუკა აღმოუჩინეს, რომელზეც მთაწმინდისა და სოლოლაკის ქუჩები იყო აღნიშნული. მილიციელებმა „ბომჟის“ გაშვება დააპირეს, მაგრამ, კუსტარულმა რუკამ ისინი დააეჭვა, ამიტომ, დაკავებული დაკითხეს. მან თქვა, რომ ფურცელი ქუჩაში იპოვა და იმიტომ აიღო, რომ ტუალეტის ქაღალდად გამოეყენებინა. დაკავებული სამორიგეოში გააჩერეს, რუკა კი შეინახეს, შემდეგ მას სურათი გადაუღეს და მისი ფოტო უშიშროების კომიტეტში გაგზავნეს. მაშინ ასეთი წესი იყო: თუ ნებისმიერ დაკავებულს რამე ტოპოგრაფიულ ან აღნიშვნის მქონე ნივთს უპოვნიდნენ, მისი მონაცემები „კაგებეში“ მოწმდებოდა.

მეორე დილით კალინინის მილიციის განყოფილებაში „კაგებეს“ მაიორი მერაბ კორომშინაძე მოვიდა და მორიგე ლობჟანიძეს წინა დღით დაკავებული „ბომჟის“ წარდგენა მოსთხოვა. ლობჟანიძე გაფითრდა და მაიორს ენის ბორძიკით მიუგო:

– ის გავუშვი. ისე ყარდა, კინაღამ გავიგუდე.

მორიგე ლობჟანიძე გამოუცდელი მილიციელი იყო, თავის ცხოვრებაში მესამე მორიგეობას იმ დილით შეუდგა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, „ბომჟმა“ მას თავი შეაცოდა...

– კრეტინო! – აღშფოთებას ვერ მალავდა კორომშინაძე, – ის ხომ ძებნილი ჯაშუში-დივერსანტი იყო!

„კაგებეში“ წინა დღით გაგზავნილმა სურათმა შედეგი გამოიღო – „ბომჟი“ ძებნილი ვასაძე ამოიცნეს.

იმავე დღეს ფეხზე დადგა მილიციისა და „კაგებეს“ მთელი ოპერატიული შემადგენლობა და, 3 დეკემბერს, დილით, ძებნილი ანტონ ვასაძე თბილისში, მთაწმინდის ტყეში დააკავეს. მას „ბომჟის“ სამოსი აღარ ეცვა, სუფთა ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და წვერიც გაპარსული ჰქონდა. ის „კაგებეში“ მიიყვანეს და ვასაძემ აღიარა, რომ მამამისის ქონებას ეძებდა, რომელიც სოლოლაკში, ერთ-ერთი სახლის სარდაფში იყო გადამალული. ვასაძესთან ერთად ძებნაში „კაგებეც“ ჩაერთო და, ჭონქაძის ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის ქვეშ, დაჟანგული რკინის კასრში კულაკ ვასილ ვასაძის საგვარეულო ძვირფასეულობა და 15 კილოგრამი ოქრო აღმოაჩინეს.

ანტონ ვასაძემ აღიარა, რომ კაპიტანი მუმლაძე მან მოკლა და ავლაბარში, ერთ-ერთ ეზოში დამარხა, სადაც ისინი დროებით ცხოვრობდნენ. ვასაძე დახვრიტეს, მამამისის ქონება კი სახელმწიფო ბანკს ჩაბარეს.

**ნიკა ლაშაური**

# როგორ დააყაჩაღა კრიმინალმა ტაქსის მძღოლმა მარტოხელა მხატვარი და როგორ შეაღწია მის სახლში

57 წლის მარინა ჭ-ძის დასახიჩრებული სხეული მეზობლებმა მისსავე საცხოვრებელ სახლში აღმოაჩინეს. ქალის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, მას მთელ სხეულზე აღენიშნებოდა მძიმე დაზიანებები, რომლებიც ბლაგვი საგნის დარტყმით უნდა ყოფილიყო მიყენებული, ხოლო ყელის არეში აღენიშნებოდა ნაჭდევი, რაც მისი გაგუდვის მცდელობის კვალი უნდა ყოფილიყო.

მომხადრ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ცხადი გახდა, რომ მარტოხელა ქალზე მოხდა ყაჩაღური თავდასხმა. მოგვიანებით გამოძიებით დადგინდა, რომ მხატვარი ქალბატონის ბინიდან რამდენიმე ანტიკვარული ნივთი, ხუთი ათასი დოლარის ღირებულების ოქროს სამკაული და სამი ათასი დოლარი იყო გატაცებული.

სამართალდამცველებმა დაზარალებულის დაკითხვა მას შემდეგ შეძლეს, რაც ის რამდენიმედღიანი შოკური მდგომარეობიდან გამოვიდა. მანამდე დაიკითხა მისი ბიძაშვილი, მარეხ ჭ-ძე, რომელმაც სამართალდამცველებს მომხადრის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

ამონაწერი მარეხ ჭ-ძის ჩვენებიდან: „მარინა გაუთხოვარი ქალია და, ბინაში, რომელიც ბიძაჩემისგან ერგო მემკვიდრეობით, მარტო ცხოვრობს. ადრე მასთან მისი დისშვილები იზრდებოდნენ, მაგრამ, მათ შორის უსიამოვნება მოხდა და სახლში მარტო დარჩა. წლების წინ ამერიკაში წავიდა სამუშაოდ, სადაც ექვსი წელი დარჩა, მერე ჯანმრთელობა შეერყა და უკან დაბრუნდა, მაგრამ, იმდენი ფული ჩამოიტანა, რომ საკუთარ თავს კარგად უზრუნველყოფდა. საკმაოდ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, მასთან მხოლოდ მე და ჩვენი ერთი ნათესავი დავდიოდით სტუმრად. იმ დღეს დღის 12 საათზე მელოდა სახლში. დილიდან ვცადე ტელეფონზე დარეკვა, მაგრამ, არ მიპასუხა. ვიფიქრე, ჩაეძინა-მეთქი და პირდაპირ მივადექი სახლში. კარი დაკეტილი დამხვდა. ხან ზარი ვრეკე, ხან ტელეფონზე ვურეკე, თუმცა, ვერ გავაგონე – კარი არ გამიღო. ვიფიქრე, ცუდად ხომ არ გახდა-მეთქი და მეზობელ ბიჭს აივნიდან გადაძრომა ვთხოვე. ბიჭი თავისი აივნიდან მის აივანზე გადაძვრა, ბინაში იქიდან შევიდა და სახლის კარი მან გამიღო. შიგნით საშინელი სიტუაცია დამხვდა: ყველაფერი თავდაყირა ეყარა, მარინა სასტუმრო ოთახში სავარძელზე იყო მიბმული თოკით, სახე და ტანი დასისხლიანებული ჰქონდა, გონება – დაკარგული. გარდაცვლილი მეგონა, მაგრამ, პულსი გავუსინჯე თუ არა, მივხვდი, რომ ცოცხალი იყო. მაშინვე სასწრაფო გამოვიძახე, მოვიდა პოლიციაც. საავადმწყოფოში ექიმებმა გვითხრეს, რამდენიმე საათიც რომ დაგეგვიანათ, მისი გადარჩენა ველარ მოხერხდებოდა. ტვინში უკვე შეშუპება იყო დაწყებული, ისეთი დაბეჟილი ჰქონდა თავის არე."

გამოძიებას ძალიან ბევრი შეკითხვა ჰქონდა, დაიკითხა ყველა, ვისაც კი დაზარალებულთან შეხება ჰქონდა და მათ შორის იყო მარინა ჭ-ძის ნაცნობი ტაქსის მძღოლი ოლეგიც, რომელიც ქალს საკუთარი ავტომანქანით რამდენიმე თვის განმავლობაში ემსახურებოდა. როგორც მისი დაკითხვის შემდეგ გახდა ცნობილი, პირადი მიზეზების გამო, მან ქალთან საქმიანი ურთიერთობა ინციდენტამდე ორი თვით ადრე შეწყვიტა და, ამიტომ, დაზარალებული ქალბატონი ორი თვის განმავლობაში არ ჰყავდა ნანახი. ტაქსის მძღოლის დაკითხვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში მარინა ჭ-ძეს საკუთარი ავტომობილით ვინმე მალხაზი ემსახურებოდა, რომელიც მას ტაქსის მძღოლმა ოლეგმა დააკავშირა. გამოძიებამ მალხაზის ვინაობის დადგენა დაიწყო და სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, რომ ის წარსულში ყაჩაღობისთვის ორჯერ ნასამართლევი, 40 წლის მალხაზ დ-ევი აღმოჩნდა. საქმის მასალებით, ის ოჯერვე მძიმე დანაშაულის ბრალდებით იყო გასამართლებული.

სამართალდამცველებმა მალხაზ დ-ევის ძებნა დაიწყეს, რომელიც სახლიდან სწორედ იმ დღეს იყო გაუჩინარებული, როდესაც პოლიციაში ყაჩაღური თავდასხმის შესახებ ინფორმაცია შევიდა. კიდევ ერთი უცნაური მომენტი, რაც გამოძიებისთვის ასევე საეჭვო გარემოებად იქცა – მალხაზ დ-ევის ოჯახში არ იცოდნენ, რომ ის ტაქსის მძღოლად მუშაობდა; თუ სად გაქრა წარსულში ორჯერ ნასამართლევი მამაკაცი, ამას გამოძიებისთვის ცოტა მოგვიანებით გაეცა პასუხი. დაზარალებულმა ქალბატონმა, რომელიც სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, სამართალდამცველებთან განაცხადა, რომ, ნიღბის მიუხედავად, რომელიც თავდამსხმელს ეკეთა, მან ტაქსის მძღოლი ამოიცნო. დაკავებული მალხაზ დ-ევი არ აღიარებდა, რომ დანაშაული მან ჩაიდინა, თუმცა, გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით მას დაუმტკიცდა ბრალდება და სასამართლო პროცესზე განსასჯელმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. როგორც საქმის მასალებით გახდა ცნობილი, ოლეგმა მარინა ჭ-ძეს მალხაზ დ-ევზე რეკომენდაცია ისე გაუწია, რომ მისი წარსულის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა, ანუ, არ იცოდა, რომ წარსულში ის ორჯერ იყო ნასამართლევი. მალხაზ დ-ევმა, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ქალს სახლში ანტიკვარული ნივთები და, შესაძლოა, ამერიკიდან ჩამოტანილი ფულის ნაწილიც ჰქონდა, საკუთარი „მერსედესი" უცებ აქცია კერძო ტაქსიდ. ერთი თვის განმავლობაში ის ქალის ნდობის მოპოვებას ცდილობდა, ერთი თვის შემდეგ, კი ის მარინა ჭ-ძის ბინაშიც მოხვდა. მალხაზ დ-ევი მთელი ორი თვე „სწავლობდა" მარტოხელა ქალის ცხოვრებას, ფინანსურ შესაძლებლობას. მოგვიანებით დაზარალებულმა განაცხადა, რომ, მას შემდეგ, რაც მალხაზის სანდოობაში დარწმუნდა, რამდენჯერმე ის სახლშიც აიყვანა: ერთხელ მალხაზი მას მძიმე ნივთების ატანაში დაეხმარა, მეორედ – გაფუჭებული სარკე წაალებინა ხელოსანთან, მესამედ კი მალხაზ დ-ევი ქალის ბინაში სწორედ იმ საღამოს მოხვდა, როცა მან ქალზე ყაჩაღური თავდასხმა განახორციელა. მამაკაცი ისე შეუმჩნევლად გავიდა ქალის ბინის აივანზე, ისე გახსნა ჩარაზული აივნის კარი, და დარაბები, რომ მარინა ჭ-ძეს ეჭვი არ აუღია. სწორედ ამ გზით მოხვდა გამოცდილი კრიმინალი გვიან ღამით ბინაში მარტოხელა ქალთან, რომელიც სკამზე მიაბა და სასტიკად აწამა.

**ორჯერ ნასამართლევი კრიმინალი გულწასულ მსხვერპლს ასულიერებდა და მერე მის წამებას ისევ განაგრძობდა**

ამონაწერი დაზარალებული მარინა ჭ-ძის ჩვენებიდან: „სულ თავში მირტყამდა, ორჯერ თითქმის დავკარგე გონება. წყალი შემოიტანა და სახეში მომასხა. დროზე, ფული და ოქრო მომეციო, – დამყვიროდა. მერე თოკი აიღო და ყელში ისე წამიჭირა, ლამის დამახრჩო. სახეზე ნიღაბი ეკეთა, თუმცა, მაინც ვიცანი. მე არ ვთქვი, რომ მის ვინაობას მივხვდი, თორემ, ცოცხალს არ დამტოვებდა. როცა ყველაფერი მივეცი, რაც მთხოვა და რაც სახლში მქონდა, ოთახები ისე მიანგრმოანგრია, ვითომ რამეს ეძებდა. მისი წასვლის შემდეგ თავის ახსნა ვცადე, მაგრამ, გონება დავკარგე და მხოლოდ დილით მოვედი გონს, როცა ჩემს სახლში ჩემი ბიძაშვილი შემოვიდა."

პროკურატურამ მალხაზ დ-ევისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, თუმცა, სასამართლომ ორჯერ ნასამართლევ მამაკაცს ათი წლით პატიმრობა მიუსაჯა. გამოძიებამ განსასჯელის მიერ მითითებული ადგილიდან ამოიღო ის ნივთები, რაც მან ქალის ბინიდან გაიტაცა. ნივთებიც და ფულიც, ისე, რომ მათთვის ჯერ არაფერი მოეკლო, მალხაზ დ-ევს მიწაში ჰქონდა ჩაფლული.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**12 მაისი**

1551 – დაარსდა ლიმის უნივერსიტეტი – პირველი უნივერსიტეტი ამერიკის კონტინენტზე.

1871 – ოტო ფონ ბისმარკი დაინიშნა გერმანიის კანცლერის თანამდებობაზე.

1926 – პოლონეთში დამყარდა მარშალ უზეფ პლისუდსკის დიქტატურა.

1940 – ფაშისტური გერმანიის ჯარები შეიჭრნენ საფრანგეთში.

**13 მაისი**

1637 – კარდინალ რიშელიეს ბრძანებით, მის სასახლეში არსებულ ყველა იმ დანას, რომელსაც ჭამისას იყენებდნენ, მოუმრგვალეს წაწვეტებული თავები – ასე შეიქმნა სუფრის დანა.

1733 – შვედმა მეცნიერმა ვასენიუსმა აღმოაჩინა მზის პროტუბერანცები – ამოფრქვევები.

1888 – ბრაზილიაში გაუქმდა მონობა.

1930 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტეხასში მოსულმა მსხვილმა სეტყვამ 10 ადამიანი შეიწირა.

1981 – თბილისის „დინამომ" აიღო „თასების მფლობელთა თასი."

**14 მაისი**

1643 – საფრანგეთის მეფე გახდა ლუი მეთოთხმეტე. მან 72 წელი იმეფა.

1796 – ედუარდ ჯენერიმ გამოიგონა ინფექციური დაავადების – „ყვავილის" საწინააღმდეგო აცრა.

1862 – შვეიცარიელმა მესაათემ ადოლფ ნიკოლმა შექმნა პირველი წამმზომი.

1931 – ბოლონიაში ბრბომ სასტიკად სცემა დირიჟორი არტურო ტოსკანინი და მისი ცოლი, მიზეზი იყო ის, რომ მუსიკოსმა უარი თქვა, ედირიჟორა ფაშისტური ჰიმნისთვის.

1948 – გამოცხადდა ისრაელის დამოუკიდებლობა.

**15 მაისი**

1730 – დიდ ბრიტანეთში შემოიღეს პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, პირველი პრემიერი გახდა რობერტ უოლპოლი.

1770 – შედგა 14 წლის ავსტრიელი პრინცესას მარია ანტუანეტას და 15 წლის საფრანგეთის მომავალი მეფის – ლუდოვიკოს ქორწინება.

1871 – რომი გახდა გაერთიანებული იტალიის სამეფოს დედაქალაქი.

1905 – დაარსდა ქალაქი ლას-ვეგასი.

1928 – ეკრანებზე პირველად გამოჩნდა უოლტ დისნეის ანიმაციური გმირი – მიკი მაუსი.

**16 მაისი**

1920 – კათოლიკურმა ეკლესიამ ჟანა დარკი წმიდანად შერაცხა.

1928 – ზაირში (აფრიკა) მოინადირეს დღემდე ცნობილი ყველაზე დიდი გორილა (სიმაღლით 195 სანტიმეტრი).

1961 – მოხდა სამხედრო გადატრიალება სამხრეთ კორეაში.

1975 – იაპონელი იუნკო ტაბეი გახდა პირველი ქალი, რომელმაც დალაშქრა ჯომოლუნგმა.

**17 მაისი**

1814 – ნორვეგია ოფიციალურად გამოეყო დანიას და გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1846 – ბელგიელმა ადოლფ საქსმა დააპატენტა ახალი სასულე ინსტრუმენტი – საქსოფონი.

**18 მაისი**

1291 – ეგვიპტის მამლუქებმა აიღეს ჯვაროსანთა უკანასკნელი დასაყრდენი წმინდა მიწაზე – ციხესიმაგრე აკრა.

1642 – დაარსდა ქალაქი მონრეალი.

1721 – მარია კირილიო გახდა ინკვიზიციის უხუცესი მსხვერპლი – ის კოცონზე დაწვეს 96 წლის ასაკში.

1896 – პეტერბურგში გაიხსნა რუსეთში პირველი კინოთეატრი.

1923 – ფრანგმა არტურ ბარნაიმ მიიღო პატენტი ტელეფონზე ნომრის დისკოსებრი ასაკრეფით.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა**: **რა ტემპერატურა და სინათლე სჭირდება პატარძალას?**

**პასუხი:** პატარძალას ანუ იმპატიენსს კაშკაშა სინათლე არ უნდა მოაკლოთ, მხოლოდ შუადღის მზეს მოარიდეთ. მას უყვარს სიგრილე, მაგრამ, ოთახის ტემპერატურაზეც ძლებს. ზამთარში მინიმუმ 13-14 გრადუსი სჭირდება. კარგი იქნება, თუ მცენარეს დაჩრდილულ სასტუმრო ოთახში დადგამთ.

**კითხვა**: **რა ზომის იზრდება ჟასმინი?**

**პასუხი:** ჟასმინი სიმაღლეში 2-3 მეტრიც იზრდება, თუმცა, შეგიძლიათ, გასხლათ და ღეროები კარკასს შემოახვიოთ (სასურველია, გასხლათ დაყვავილების შემდეგ). დიდი მცენარე, საჭიროების შემთხვევაში, გადაჭრასაც იტანს. შეგიძლიათ, ის საკიდი კალათიდანაც გადმოუშვათ და ნაკლებად დაიკავებს დიდ ტერიტორიას.

**კითხვა**: **ჩემი მონსტერას ფოთლებმა მოიწყინა, როგორ გამოვაჯანმრთელო?**

**პასუხი:** მონსტერას დიდ, ჯანსაღ ფოთლებს კაშკაშა სინათლე სჭირდება, ოღონდ ზაფხულში თაკარა მზე არ მოსწონს. სასურველია, თუ ფოთლებს რეგულარულად გაუწმენდთ სველი ნაჭრით. თბილ ამინდში ტენიანობის გასაზრდელად ხშირად დანამეთ. გაზაფხულზე უშიშრად გადაჭერით, რათა ძალიან არ გაიზარდოს – მალე გვერდითი ყლორტებიც ამოუვა.

**კითხვა**: **ჩემი უზამბარული ია თითქოს ლპობას იწყებს, ხომ ვერ მეტყვით, რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** ალბათ, მორწყვისას ფოთლები დაუსველეთ. ამ შემთხვევაში, შეიძლება, მცენარე დალპეს ან დაავადდეს. ჩამოცვენილი ყვავილები და დაზიანებული ფოთლები მალევე მოაშორეთ. მორწყვისას ქოთანი ლამბაქზე დადგით და წყალი პირდაპირ მიწაზე დაუსხით, შემდეგ კი დაწრიტეთ. თუ მიწა ზედმეტად დასველდა, შეიძლება, ფესვებიც დაულპეს, ამიტომ, მორწყვიდან მორწყვამდე მიწა შეაშრეთ. რაც უფრო გრილა, მიწა მით უფრო მშრალი უნდა იყოს.

**კითხვა**: **როგორ უნდა მოვუარო ქრიზანთემას, რომ არ დაავადდეს?**

**პასუხი:** ქრიზანთემა ქოთანში დიდხანს ვერ ცოცხლობს, ამიტომ, მიწის განოყიერება არ სჭირდება. მოაშორეთ გამხმარი ყვავილები – ასე მცენარე არ დაავადდება და მეტ კოკორს გაშლის. კოკრების გასაშლელად კაშკაშა სინათლე სჭირდება, ოღონდ, არა მწველი მზე.

**კითხვა**: **რა ზომის იზრდება ლავანდა და შეიძლება თუ არა, რომ ის კომპაქტური გავხადოთ?**

**პასუხი:** ლავანდა სწრაფად მზარდი მცენარეა და დიდი ადგილი სჭირდება, მაგრამ, თუ დაყვავილების შემდეგ ან ზაფხულის ბოლოს გაკრეჭთ, მცირე ზომის დარჩება. ის მშვენივრად გამოიზამთრებს სიგრილეშიც, თუმცა სიცივე შეამცირებს ყვავილობის პერიოდს. მართალია, ის ეზოს მცენარედ ითვლება, მაგრამ, შეგიძლიათ, ოთახშიც გაზარდოთ, გაზაფხულზე კი აივანზე გაიტანეთ ან ეზოში გადარგეთ. დანაკვთული, ვერცხლისფერი ფოთლებითა და მოცისფრო-მოიისფრო ყვავილებით დამშვენებული ლავანდის ბუჩქი სიმაღლეში შეიძლება ერთ მეტრამდე გაიზარდოს, მაგრამ, თუ გაკრეჭთ, კომპაქტური გახდება.

**კითხვა**: **როგორი მოვლის პირობები სჭირდება სედუმს?**

**პასუხი:** ამ მცენარეს ზამთარში კარგი განათება სჭირდება, მზის გულზე კომპაქტურობას ინარჩუნებს. მოსწონს ოთახის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში. იტანს გრილ ზამთარს, ოღონდ, არანაკლებ 10 გრადუსისა. ზაფხულში წყალი რეგულარულად სჭირდება, მორწყვიდან მორწყვამდე კი მიწას შეშრობა აცადეთ. ზამთარში წყალი იშვიათად დაუსხით – მაშინ, როცა მიწა თითქმის სულ გამოუშრება. ზრდის პერიოდში თვეში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. მისი ხორციანი ფოთლები დაფესვიანდება და ახალ მცენარედ განვითარდება, თუკი ძირით ტენიანი მიწის ზედაპირს შეეხება. მზეზე ნუ დადგამთ. ჩარგეთ ფხვიერ, კარგი დრენაჟის მქონე ნეიტრალურ ნიადაგში.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, დეპუტატთა რა ოდენობის ხმა ესაჭიროება პარლამენტში კანონპროექტის დამტკიცებას?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ პარლამენტში კანონპროექტი მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ, პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის მიღების სხვა წესი.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, დეპუტატთა რა ოდენობის ხმა ესაჭიროება პარლამენტში ორგანული კანონის პროექტის დამტკიცებას?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის აქვს საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შესვლის უფლება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს და არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ხდება საკუთრების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე და რა სახით ხორციელდება ამგვარი გარიგებები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყო. ამ შემთხვევაში, ძველი მფლობელი ვალდებულია, ახალ მფლობელს გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ყველა საბუთი, რომლებიც ეხება მოთხოვნებსა და უფლებებს და ყველა ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია ამ მოთხოვნებისა და უფლებების გამოყენებისთვის. ძველი მფლობელი, ასევე, ვალდებულია მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს შემძენს სათანადოდ დამოწმებული საბუთი ამ უფლებისა და მოთხოვნის დათმობის შესახებ. ამ საბუთის დამოწმების ხარჯები დაეკისრება ახალ მფლობელს.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რას ნიშნავს მოთხოვნის დათმობა და როგორ ხორციელდება, რა სამართლებრივ შედეგებს იწვევს მოთხოვნის დათმობა მოვალისთვის?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ მოთხოვნის მფლობელს, ანუ კრედიტორს, შეუძლია, მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს, რასაც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ეწოდება „მოთხოვნის დათმობა.” მოთხოვნის დათმობით ხდება საკუთრების შეძენა ამ უფლებაზე. მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსადები ინტერესი. მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით და, ასეთ შემთხვევებში, თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა უფლებებით სარგებლობს მოვალე მოთხოვნის დათმობისას?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ, სანამ მოვალეს ეცნობებოდეს მოთხოვნის დათმობის შესახებ, მას უფლება აქვს, შეასრულოს ვალდებულება მოთხოვნის თავდაპირველი მფლობელის წინაშე, ანუ, გადაიხადოს ვალი.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: ვარ ქალი მძღოლი და ხშირად ვაწყდები პრობლემას, კერძოდ, ავტომობილი დილით არ იქოქება. რა უნდა იყოს მიზეზი?**

**პასუხი:** იმ შემთხვევაში, თუ დილით მიხვედით ავტომობილთან გადანიეთ გასაღები და ძრავამ თითქოს დაიწყო მუშაობა, მაგრამ, ძალიან ნელა და დაქოქვას ვერ ახერხებს, ამ შემთხვევაში, შეიძლება, აკუმულატორი დასუსტდა და იმდენად ნელა ახერხებს ძრავას დატრიალებას, რომ მას დაქოქვა უჭირს. მაგრამ, მეორე მიზეზი შეიძლება სტარტერიც იყოს, თუკი მისი მბრუნავი ღერძი რომელიმე კედელს ედება და მის მუშაობას აფერხებს. ეს დეტალი ძრავას სწრაფად ვერ ატრიალებს და ავტომობილი ამის გამო არ იქოქება. ნუ შეგეშინდებათ, ნუ იფიქრებთ, რომ თქვენს ძრავას რამე კატასტროფული პრობლემა აქვს და მისი რემონტი ან გამოცვლა მოგიწევთ. აქ საშიში არაფერია.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
**მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: საჭე მარჯვნიდან მარცხნივ გადავიტანე და მიჭირს მისი მართვა, განსაკუთრებით – ღამით, თან, მიზეზს ვერ ვხსნი, რადგან, თითქოს ყველაფერი წესრიგშია. რამდენად უსაფრთხოა საჭის გადატანა და რა შეიძლება ამან გამოიწვიოს?**

**პასუხი:** საჭის მუშაობა იმავენაირად გრძელდება, თუ, რა თქმა უნდა, ის კარგმა ხელოსანმა გადაიტანა. მისი უსაფრთხოდ და გამართულად მუშაობა ან მართვის დაკარგვა სავალ ნაწილზეა დამოკიდებული, რომელსაც გადატანის დროს არავინ ეხება. მაგრამ დღეს იმაზე მინდა ვისაუბროთ, რომ საჭის გადატანა-არგადატანა არ არის მარჯვენასაჭიანი ავტომობილის პრობლემა. იმ ქვეყანაში, სადაც მანქანების უმრავლესობა მაინც მარცხენასაჭიანია, გასწრება მარცხნიდან ხორციელდება (იაპონიაში კი – პირიქით) და სხვა. ქუჩაში მოძრაობისას ის არა მარტო საკუთარ თავს, გარშემო მოძრავ ობიექტებსაც პრობლემებს უქმნის. პირველი მიზეზი ის არის, რომ მარჯვენა საჭიანი ავტომობილით გასწრება ძალიან რთულია. თავიდან მძღოლები ფრთხილობენ, მაგრამ, შეჩვევის შემდეგ ნაკლებ სიფრთხილეს იჩენენ გასწრების დროს. მაშინ, როცა გასწრებისთვის მათ სჭირდებათ ნახევარი ავტომობილით საპირისპირო მხარეს გადმოსვლა იმისთვის, რომ სავალი ნაწილი შეაფასოს და გადაწყვიტოს, ღირს თუ არა გასწრება. განსაკუთრებით ეს პრობლემური ხდება ტრასაზე და მაღალი სიჩქარით მოძრაობისას. მეორე პრობლემა, რაზეც ძალიან ცოტა თუ ფიქრობს და, პრინციპში, ერთი შეხედვით, პირდაპირი დაბრკოლებაც არ არის. თუმცა, თუ ტექდათვალიერება ისევ დაბრუნდა, მაშინ უკვე მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მძღოლებს მოუწევთ მისი გათვალისწინება და პრობლემის აღმოფხვრა. მათ აბსოლუტურად განსხვავებული აქვთ შუქები და განათების დახრის კუთხეები. თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ მათ მარცხენა მხარე უფრო მოკლედ უნათებთ, მარჯვენა კი – უფრო გრძლად. მარჯვენასაჭიანი ავტომობილი, როდესაც მას ახლო მაშუქი ფარები აქვს ჩართული, უკვე ძალიან სერიოზულ პრობლემას უქმნის მოპირდაპირე მხრიდან მომავალ ავტომობილს. მას ჰგონია, რომ შორი მაშუქები გაქვს ჩართული, გინთებს ფარებს და, თუ მარჯვენასაჭიანმაც ჩართო ფარები, მხოლოდ მაშინ მიხვდება, რომ ახლო მაშუქები ჰქონდა ჩართული. ვითომ ეს ძალიან მარტივი პრობლემაა, მაგრამ, რეალურად, ღამით ტრასაზე მომხდარი ავარიების უმრავლესობა არასწორი განათების ბრალია. საპირისპირო მხრიდან მომავალი ავტომობილი იბნევა, სავალ ზოლს კვეთს და ამის გამო ხდება საშინელი ავარიები. გარდა ამისა, ეს თავად მარჯვენასაჭიანი ავტომობილის მძღოლსაც უქმნის პრობლემებს, რადგან, სრულიად არ ანათებს გზის მარჯვენა მხარეს. არადა, სწორედ განაპირა ზოლი ან ტროტუარი უნდა ავილოთ ნიშნულად მაშინ, როდესაც ვილაც თვალებში გვანათებს და გზას საერთოდ ველარ ვხედავთ.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
* *დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
* *ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
* *ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
* *მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**გვერდი მოამზადა სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

**კითხვა: თუ შეიძლება, მომაწოდეთ ინფორმაცია ტრიქოფიტოზის შესახებ?**

**პასუხი:** ტრიქოფიტოზი ძაღლებში ხასიათდება კანზე მკვეთრად შემოსაზღვრული ლაქების გაჩენით, სადაც საერთოდ არაა თმის საფარველი, ან არის ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით. კლინიკური ნიშნებიდან, მიკროსპოროზისგან განმასხვავებელი ისაა, რომ ხასიათდება განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩირქოვანი ექსუდაციით, რისგანაც წარმოიშვება ფუფხის საკმაოდ სქელი შრე, რის გამოც ღრმად ზიანდება კანის საფარველი, გამოჯანმრთელების შემდეგ კი საერთოდ არ ამოდის ბეწვი ან რჩება დეპიგმენტირებული კანის ლაქები. აღნიშნული სიმპტომების გამოვლინების დროს აუცილებლად უნდა მიიყვანოთ თქვენი ძაღლი ვეტერინართან, რომელიც კლინიკური ნიშნების მიხედვით და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დასვამს ზუსტ დიაგნოზს და დანიშნავს შესაბამის მკურნალობას. სამკურნალოდ გამოიყენება: დერმატოფიტოზების სამკურნალო და პროფილაქტიკური ვაქცინები, სოკოს საწინააღმდეგო ანტიბიოტიკები, იმუნოსტიმულატორები და ვიტამინები. მკურნალობის სქემა აუცილებლად ექიმმა უნდა დანიშნოს და პროცესი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მიმდინარეობდეს, რადგან აღნიშნული პრეპარატები გამოირჩევა მაღალი ტოქსიკურობით და ახასიათებს მთელი რიგი უკუჩვენებები. დერმატომიკოზების პროფილაქტიკისთვის სასურველია, ძაღლს ყოველწლიურად ჩაუტაროთ დერმატომიკოზების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია; გარდა ამისა, უზრუნველყოთ სრულფასოვანი, დაბალანსებული საკვებით, რომელიც მდიდარი იქნება ვიტამინებით; ასევე, მკაცრად უნდა დაიცვათ სანიტარული და ზოოჰიგიენური წესები მოვლა-შენახვისას და მოარიდოთ თქვენი ძაღლი ქუჩის მაწანწალა ძაღლებთან და კატებთან კონტაქტს.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ბეწვი არ უბზინავს. მაინტერესებს, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** შეიძლება, ბევრისთვის წარმოუდგენელია, მაგრამ, ცხოველის ბეწვის ბზინვარება პირდაპირ კავშირშია მის ჯანმრთელობასთან. ამიტომ, თუ ძაღლის ბეწვი არ ბზინავს, ეს ფაქტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოთ უყურადღებოდ. გარდა ამისა, ცხოველის ბეწვის და თმიანი საფარველის მდგომარეობა დამოკიდებულია დაბალანსებულ კვებაზე. რაციონში რომელიმე საკვები ინგრედიენტის უკმარისობა, იქნება ეს მიკრო თუ მაკროელემენტები, ვიტამინები, პროტეინები და ასე შემდეგ, ადრე თუ გვიან, თავისებურ ზეგავლენას ახდენს ბეწვის საფარველის საერთო მდგომარეობაზე. ჯანმრთელ და სწორად ნაკვებ ცხოველს ყოველთვის უბზინავს ბეწვი. ძაღლის ბეწვის მდგომარეობის შეფასების ნიშნებია: ბზინვა, სიფაფუკე, მოქნილობა და ცხიმოვანი ნადების რაოდენობა.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ძაღლის დაბანა ადამიანისთვის განკუთვნილი შამპუნით?**

**პასუხი:** დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა სიხშირით და რა საშუალებებით ხდება ცხოველის დაბანა, გაწმენდა და დავარცხნა. დღევანდელ პირობებში არსებობს ბეწვის მოვლისა და დამუშავების ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ მათგან უნდა შეირჩეს ისეთი, რომელიც ხარისხიანია და არ გამოიწვევს ალერგიულ რეაქციებს, კანის გამოშრობასა და ბეწვის დაზიანებას. გახსოვდეთ და არასდროს დაივიწყოთ, რომ ძაღლის დასაბანად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ადამიანის შამპუნის გამოყენება.

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
**ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა მარიკა ხიდურელმა**



ერთადერთი ანუ?
იმერეთის მდინარე
რა არის „პრესი“ ქართულად?
განიერი
იხილე ფოტო
ძველი საცხენოსნო თამაში
ჩვენი მდინარე
სწრაფმავალი ცხენი
სამსონის მითოლოგიური სატრფო
ფილმი „დიდი მწვანე....“
ნუსხა
ცირკის მოედანი
კაზაკების სოფელი
კანფეტის სახეობა
ქალაქი უზბეკეთში
ხევისბერი
ფეხბურთის მეფე
“დაისი“
მწერალი (.....) ჩიანელი
ავტობუსს აქვს
ციცა
ტალახი ანუ?
დაჯგუფების სახეობა
რუსული ესტრადის მომღერალი
სუნდუკიანის პიესა
ლაპარაკი სიმღერით
თავდაცვის საშუალება
მსახიობ აჯანის ჰქვია
მახლობელი აღმოსავლეთის ისტორ.რეგიონი
ლილიპუტიის მეზობელ. ქვეყანა
ძველი ჰოლივუდელი გრეის....
„კუზიანი კვიცის“ ავტორი
ძველსპარსელი მეფე
სანთლის მასალა
ძველი კიეველი ფეხბურთელი
ბუვიეს რომანი
ონის სოფელი
ქალაქი თურქეთში
დაჯგუფების სახეობა
თავხედი ფოტოგრაფი
ეპოქა
აზიელ-აფრიკელი
შანტაჟი
ძველბერძენი დრამატურგი
ინგლისური თანხმობა
დათვის ნაშიერი
ესპანელი აზნაური
რამინის სატრფო
ინდოელი მოჭადრაკე
ქალაქ ასტანას ძველი სახელი
ბანქოს ქალი
ყვავილი
მადრიდის გუნდი
აღმოსავლური საკრავი
ადიგენის რაიონის სოფელი
კინოწარწერა
ცხელი სასმელი
პაუზა
(........) კვერენჩხილაძე
რუსების გმირი ალექსანდრე...
ნაკლოვანი მზერის მქონე
დაბა სოხუმთან
ჩაკეტილი ქუჩა
მეტყველების ნაწილი
სპარტაკის მშობლ. მხარე
ალმასხანის ვაჟი კინოში
მეფე აიეტის ასული
სითხის სადენი
ხალხი ანუ?
დასავლურ-ქართული ღვინო
ორსული პირუტყვი
ძაღლის სახეობა
ზღაპრის ცხენი
საცხენოსნო შეჯიბრი
ანი, ამჟამად
(........) გარსია
ბენზინგასამართი ქსელი
მიდამო, პანორამა
ფეხბურთელი
გამოუწვავი აგური
რელიეფის ნაწილი
სახის ნაწილი
საფუძველი
ჩვენი სცენი ქურთი გოგონა
ბევრი ძროხა ერთად
სამტრედიის სოფელი
მალაზია (.......) პარი
დიდი რელიგია

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | |
| | | | | | | | 4 | 4 | | | 4 | | | | 7 | | | | | | 1 | | | | | | | | |
| | | | | | 6 | 5 | 1 | 1 | 4 | 6 | 1 | 4 | 5 | | 1 | | | | | | 2 | 6 | 3 | | | | | 6 | |
| 1 | | | | | 6 | 5 | 4 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 5 | 16 | 6 | 8 | 9 | 10 | 4 | | 2 | 9 | 3 | | | | 7 | 8 | |
| 1 | 16 | 16 | 16 | 16 | 1 | 4 | 3 | 6 | 5 | 11 | 5 | 7 | 3 | 3 | 1 | 6 | 6 | 5 | 1 | 5 | 1 | 2 | 16 | 24 | 19 | 24 | 16 | 2 | 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 1 |
| | | | 1 | 7 |
| | | | 19 | 8 |
| | | | 18 | 7 |
| | | 18 | 1 | 5 |
| | | | 18 | 8 |
| | | 6 | 6 | 7 |
| | | 5 | 5 | 5 |
| 4 | 1 | 1 | 6 | 3 |
| | | 4 | 1 | 12 |
| | | 4 | 2 | 12 |
| 4 | 6 | 1 | 3 | 7 |
| | 5 | 4 | 4 | 9 |
| | | | 6 | 16 |
| | | | 18 | 7 |
| | | | 18 | 7 |
| | | | 18 | 7 |
| | | | 19 | 7 |
| | | | 5 | 5 |
| 2 | 1 | 1 | 2 | 2 |
| 1 | 1 | 2 | 2 | 2 |
| 2 | 1 | 1 | 2 | 2 |
| 1 | 1 | 2 | 2 | 2 |
| 1 | 1 | 1 | 3 | 3 |
| 2 | 1 | 2 | 4 | 4 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 7 | | 3 | | 1 | | 2 |
| | 3 | | 8 | | 9 | | 7 | |
| | 2 | | 7 | | 1 | | 5 | 9 |
| 7 | | 4 | 2 | | 3 | | 9 | |
| | 8 | | | 6 | | 4 | | 5 |
| | 9 | 5 | | 8 | | 2 | | 7 |
| | 7 | | 5 | | 6 | 9 | | 3 |
| 2 | | 3 | | 9 | | | 1 | |
| 6 | | 9 | | 7 | 2 | | 4 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 9 | | 7 | | | | |
| | 3 | | 6 | | | | 8 | |
| | 8 | | 2 | | 5 | | 7 | |
| | | | 3 | | 9 | | 5 | |
| | 7 | | | 1 | | 4 | | |
| | 4 | | | 5 | | 2 | | 8 |
| | 1 | | | | | 6 | | 5 |
| 3 | | | | 2 | | | 1 | |
| 8 | | 5 | | 6 | | | 2 | |

# შეგეფერებათ სამუშაო?!

*ადამიანები, რომლებიც დიდხანს მუშაობენ ერთ ადგილას, გაცილებით სანდონი არიან. მათზე კარგს ფიქრობენ და ხალისით ემეგობრებიან. თქვენ როგორი ხართ?! გამოიყენეთ, ტესტი ამის გასაგებად.*

**1. რამდენი წელია, მუშაობთ უკანასკნელ სამუშაო ადგილზე?**

ა) ერთ წელზე მეტია;

ბ) სამ წელზე მეტია;

გ) ათ წელზე მეტია;

დ) რამდენიმე თვეა.



**2. გჭირდებათ კიდევ ცოდნის გაღრმავება, რამე ღირებული რომ შექმნათ?**

ა) არა. საკუთარი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ;

ბ) კარიერის გარეშე კარგად არ ვიქნები;

გ) რა თქმა უნდა, ეს პრესტიჟის საქმეა;

დ) მხოლოდ მაშინ, თუ ეს მომგებიანი იქნება.

**3. მიგაჩნიათ, რომ თქვენი შესაძლებლობის და შრომის შესაბამისად გიხდიან?**

ა) დიახ. თუმცა, დღეს ეს მაინც ცოტაა;

ბ) არა. მაგრამ ვერაფერს ვიზამ;

გ) ბევრად მეტს ვიმსახურებ, მაგრამ...

დ) საყვარელი პროფესია, მცირე ხელფასითაც საყვარელია.

**4. როგორი განწყობით მიდიხართ სამსახურში?**

ა) აჩქარებული პულსით, მაღალი წნევით, ხელების კანკალით;

ბ) ისეთივე განწყობით, როგორითაც სალამოს სახლში ვბრუნდები;

გ) ვოცნებობ, დროზე გავიდე პენსიაში;

დ) ძალიან ხალისიანად.

**5. ხშირად განიხილავთ ახლობლებთან სამსახურებრივ პრობლემებს?**

ა) კი. ანეკდოტებს ვყვები ჩემს უფროსებზე;

ბ) ვამბობ მხოლოდ იმას, რასაც სარგებლობის მოტანა შეუძლია;

გ) არა. ეს თემა ხელშეუხებელია;

დ) არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი.

**6. შვებულების დროსაც ხშირად ფიქრობთ სამსახურზე?**

ა) არამც და არამც. ეს რაღა დასვენებაა?!

ბ) დიახ და მიხარია, რომ ვისვენებ, კოლეგებისგან განსხვავებით;

გ) კი. ერთი სული მაქვს, შვებულება მალე დასრულდეს;

დ) რატომაც არა. ფიქრი რა პრობლემაა.

**7. როდესმე წარმოიდგენდით, რომ ამ სფეროში იმუშავებდით;**

ა) არა. ვერც ვიოცნებებდი ამაზე;

ბ) ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს საჩემო საქმე იყო;

გ) თითქოს იმედი გამიცრუვდა;

დ) რა ვიცი, სადღაც ხომ უნდა იმუშაოს ადამიანმა.

**დაითვალეთ ქულები**

1) ა-დ – 1 ქულა; ბ-გ – 2 ქულა.
2. ა – 0; ბ – 2; გ – 1; დ – 4.
3. ა – 2; დ – 0; ბ-გ – 1.
4. ა – 0; ბ – 4; გ – 1; დ – 2.
5. ა-დ – 2; ბ-გ – 1.
6. ა-დ – 3; ბ – 2; გ – 1.
7. ა – 5; ბ – 3; გ – 2; დ – 1.

***6 ქულაზე ნაკლები:** ნამდვილი წამებული ხარ. საქმე, რომელსაც ახლა აკეთებთ, არ გაინტერესებთ. უმჯობესია, მიატოვოთ ეს სამსახური, სანამ საკუთარი თავის რწმენა არ დაგიკარგავთ.*

***7-14 ქულა:** შესანიშნავად ართმევთ თავს სამუშაოს, თუმცა, რაღაც ისე მაინც ვერ არის. აშკარად უფრო მეტი შეგიძლიათ. შესამჩნევი წარმატება გჭირდებათ, რათა სამუშაოსგან სიამოვნება მიიღოთ.*

***15-22 ქულა:** იშვიათი თვისება გაქვთ – არ შეიმჩნიოთ საკუთარი ღირსებები და მუდმივად ისწრაფოდეთ სრულყოფილებისკენ. ამიტომ, ნებისმიერ საქმეში ავლენთ პიროვნულ პლუსებს. შეუძლებელია, თქვენნაირი კადრი არ დააფასონ.*



## საბედისწერო ქალი

იულიუს ცეზარი კლეოპატრას ბრძანებით მოკლეს. დიდებული კეისრის ცხოვრებაში მრავლად იყო გაუთვალისწინებელი „გადახვევები". ის რამდენჯერმე რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. თუმცა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 44 წლის 15 მარტს, მისი აღსასრული მაინც დადგა. მთავარი და ყველაზე საბედისწერო როლი კეისრის წინააღმდეგ შეთქმულებაში ითამაშა ქალმა, რომელიც მას ძალიან უყვარდა.

ფილმებსა და ნაწარმოებებში ცეზარისა და კლეოპატრას სიყვარული გაზვიადებული და რომანტიზმის გარსშია შეფუთული. სინამდვილეში, ამ ურთიერთობაში საკმაოდ იყო პოლიტიკური გათვლა, მით უმეტეს, კლეოპატრას მხრიდან.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 48 წლის ივნისში, ეგვიპტის მმართველთან, პტოლემეუს მეცამეტესთან, რომელიც კლეოპატრას უმცროსი ძმა იყო, ჩავიდა რომის სენატორის, გნეუს პომპეუსის ვაჟი და კეისრის წინააღმდეგ ბრძოლაში მამისთვის დახმარება სთხოვა. მათ ეს დახმარება მიიღეს, მაგრამ პომპეუსი მაინც დამარცხდა და ეგვიპტეში გაიქცა. ეგონა, თავშესაფარს მისცემდნენ, მაგრამ, ფარაონის ბრძანებით, მას თავი მოჰკვეთეს. როცა ცეზარი ეგვიპტეში ჩავიდა, მას მტრის თავი მიართვეს. ცეზარი არ აპირებდა ეგვიპტეში დიდხანს დარჩენას, მაგრამ კლეოპატრას გაცნობის სურვილმა და მისი ძმისგან დაპირებულმა ოქრომ შეაყოვნა. კლეოპატრა ძმასთან ნაჩხუბარი იყო და ალექსანდრიაში, სიცილიელი აპოლოდოსის დახმარებით, ჩუმად შეიპარა. ქალი მივიდა ცეზართან, მუხლებში ჩაუვარდა და ტირილით შესჩივლა ძმა-ქმრის საშინელებების შესახებ. ცეზარმა ვერ გაუძლო კლეოპატრას მომხიბვლელობას და მის ინტიმურ ალერსს (ამას ვერც ერთი კაცი ვერ უძლებდა) პტოლემეუსი ტახტიდან ჩამოაგდო და კლეოპატრა გაამეფა. პტოლემეუსი ჯარით შემობრუნდა ეგვიპტეში, მაგრამ დამარცხდა და გაქცევისას ნილოსში დაიხრჩო. ცეზარი რომში დაბრუნდა ისე, რომ არ დაელოდა მისი და კლეოპატრას შვილის, ცეზარიონის დაბადებას. მალე კლეოპატრა ერთი წლის შვილთან და ფორმალურ ძმასთან, პტოლემეოს მეთოთხმეტესთან ერთად, რომში ჩავიდა. ცეზარმა საყვარელი ქალი თავის მოსასვენებელში დააბინავა. ვენერას ახალ ტაძარში ოქროს ქანდაკებაც კი დაუდგა, მაგრამ კლეოპატრას გაცილებით მეტი უნდოდა – ცეზარზე გათხოვება. რომის დიქტატორის მეუღლეობა ხიბლავდა, ცეზარიც არ იყო ამის წინააღმდეგი. მან გადაწყვიტა, გაყროდა უშვილო ცოლს, წარჩინებულ რომაელ ქალს – კალპურნიეს. მაგრამ, რომაელი დიდებულები ასე არ ფიქრობდნენ. ისინი ვერ იტანდნენ კლეოპატრას. ცეზარს ეუბნებოდნენ, საყვარელი ბევრი შეიძლება გყავდეს, მაგრამ ცოლი ერთიაო... მისდა საუბედუროდ, ცეზარმა კლეოპატრას უთხრა, რომ მზად იყო, ბავშვი თავის შვილად და მემკვიდრედ ელიარებინა. კლეოპატრამ გადაწყვიტა, დაეჩქარებინა მამიდან შვილზე ძალაუფლების გადაცემის პროცესი. საუკეთესო თანამზრახველი ამ საქმეში პრეტორი მარკ ბრუტუსი აღმოჩნდა, რომელსაც კლეოპატრა უყვარდა. თანაც, ცეზარი ბრუტუსის დედის, სერვილას საყვარელიც იყო... კლეოპატრა, ასევე, დაპირდა ბრუტუსს, რომ პატარა ცეზარიონის რეგენტად დანიშნავდა. ძველი წელთაღრიცხვის 44 წლის15 მარტს ბრუტუსმა შეთქმულთა ჯგუფთან ერთად მოკლა ცეზარი. მაგრამ კლეოპატრას ოცნებას ახდენა არ ეწერა. რომაელებმა ცეზარის შვილიშვილი ოქტავიანე გაამეფეს. ხალხმაც ეს მოინდომა. კლეოპატრა ბავშვთან ერთად ეგვიპტეში გაიქცა. ორი წლის შემდეგ ბრუტუსმა თავი მოიკლა, როცა მარკუს ანტონიუსის ლეგიონერებთან დამარცხდა.

კლეოპატრამ რომანი მარკუს ანტონიუსთანაც გააჩაღა. სამი შვილიც კი გაუჩინა, მაგრამ, როცა 30 წლის მარკუს ანტონიუსმა ბრძოლა წააგო ოქტავიანესთან, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე კლეოპატრამაც. ცეზარიონი კი ოქტავიანემ მოაკვლევინა.

**გვერდი მოამზადა
ელენე წულუკიძემ**



# საშინელი უსამართლობა

## ედ ლეისი

შერიფი პოლ პოლო შოკში იყო. ხმისამოუღებლად იჯდა მაგიდასთან და საჭმელს პირს არ აკარებდა. ცხრა წელიწადი შეალია იმას, რომ სამუდამო პატიმრობამისჯილი, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჰარი მორისი ციხიდან გამოეყვანა. როგორც იქნა, მისი უდანაშაულობა დაამტკიცა და, როგორც კი ყოფილი პატიმარი მშობლიურ ქალაქ კერინგტონში ჩავიდა, თითქმის ცხვირწინ მოუკლეს. მაშინ კერინგტონი პატარა დაბა უფრო იყო, ვიდრე თანამედროვე ქალაქი... ცხრანახევარი წლის წინ, ჰარი მორისი, იმედისმომცემი მხატვარ-დიზაინერი, მკვლელობისთვის სწორედ პოლ პოლომ დააპატიმრა. მაშინ ის უბრალო ინსპექტორი იყო და თავიდანვე არ სჯეროდა, რომ მკვლელობა მორისმა ჩაიდინა.

ეფექტური, ქერა ლამაზმანი ლუსი მური, რომლის ქმარმაც, მისტერ მურმა, ძვირფასი საზაფხულო კოტეჯი შეიძინა კერინგტონში, თავის სახლში მოკლული იპოვეს. ყველა ლაპარაკობდა, რომ ქალს რომანი ჰქონდა სიმპათიურ მხატვართან და ცოცხალიც ბოლოს მან ნახა – მკვლელობის საღამოს ქალთან იყო მისული კოტეჯში და უთხრა, რომ ერთმანეთს შორდებოდნენ. მორისი არ უარყოფდა, რომ ნამდვილად ჰქონდა ასეთი საუბარი ლუსისთან, თუმცა, ირწმუნებოდა, ერთმანეთს მეგობრებად დავცილდით და არანაირი მიზეზი არ მქონია, მომეკლაო. მაინც დააკავეს და სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. მისტერ მურს მყარზე მყარი ალიბი ჰქონდა და მისი ბრალეულობა გამოირიცხა. სასამართლოზე პროკურორმა განაცხადა, რომ ურთიერთობის დასრულება ქალს უნდოდა და არა მორისს, ამიტომ ის მისის მურს შანტაჟით დაემუქრა, რომ ყველაფერს ქმარს ეტყოდა, რის გამოც მათ შორის სერიოზული ჩხუბი მოხდა და მხატვარმა ქალი მოკლაო. მკვლელობის იარაღს ვერსად მიაკვლიეს, მაგრამ ამან მხატვარს ვერ უშველა... პოლოს მაშინვე არ სჯეროდა, რომ მკვლელი მხატვარი იყო. ძალიან აეჭვებდა მოტივი – საოცრად არადამაჯერებელი იყო შანტაჟის თემა. გადაწყვიტა, საკუთარი სახსრებით გაეგრძელებინა ძიება. იმდენი ქექა, რომ გაარკვია: ის ვინმე მური სულაც არ იყო ლუსის ქმარი. სინამდვილეში ლუსი მისის ჯეკსონი იყო, რომელიც ქმარს გამოექცა და მურს გაეკიდა. შერიფი პოლო ისევ თავისი ფულით გაემგზავრა კოლორადოში, სადაც საავადმყოფოში მოინახულა ჯეკსონი. ეს შერიფმა ექვსთვიანი ძებნის შედეგად მოახერხა. ჯეკსონი მძიმედ იყო ავად და, როცა პოლო „მიაწვა“, შენი დანაშაულის გამო წესიერი კაცი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იჯდესო, აღიარა დანაშაული. აღიარებითი ჩვენება შერიფმა ზარ-ზეიმით ჩამოიტანა კერინგტონში და ჰარი მორისი ციხიდან გამოიყვანა. მაგრამ, რა მოხდა? ბედნიერი მორისი ფეხით მიაბიჯებდა ქალაქის ქუჩებში, ღარიბულად ჩაცმული, პატარა ჩანთით ხელში... მის გვერდით მანქანა გაჩერდა, საიდანაც პირდაპირ და მიჯრით ესროლეს ორი ტყვია... ვიღაც ახალგაზრდა მანქანიდან გადმოხტა, მორისის ჩანთა აიღო და მანქანა გაუჩინარდა. შერიფი შოკში იყო. დანა პირს არ უხსნიდა. ვის უნდა მოეკლა საწყალი მხატვარი, რომელსაც ბედი აშკარად არ სწყალობდა? სიტუაცია, ერთი შეხედვით, უიმედო ჩანდა, მაგრამ, შერიფმა მკვლელის პოვნა ღირსების საქმედ მიიჩნია. უპირველესად, ყოფილი პატიმრის მკვლელობის მოტივი უნდა გაერკვია. ამიტომ, ჩავიდა იმ ციხეში, სადაც მხატვარმა ცხრა წელზე მეტი გაატარა და გაიგო, რომ ჰარი მორისი შესანიშნავად აკეთებდა გრავიურებს და ეჭვი გაუჩნდა, რომ, შეიძლებოდა, მხატვარს ყალბ ფულისმჭრელებთან ჰქონდა კავშირი, მაგრამ, მსგავსი ვერაფერი დაადგინა იმ პატიმრებთან საუბრისას, რომლებიც საკანში მორისთან ერთად ისხდნენ. სამაგიეროდ, ერთი მეტად საყურადღებო დეტალი გაარკვია – როგორც ჩანს, მორისს ჰქონდა ანაბარი ბანკში, რომელზეც თავისი გაყიდული სურათების თანხას ინახავდა და ცხრა წლის განმავლობაში მორისის ანაბარი ორმოცათას დოლარზე ავიდა. მას, თურმე, მაინც ჰქონდა ციხიდან გასვლის იმედი, იმედი ხომ ბოლოს კვდება და, მხატვარი სამომავლო გეგმებსაც აწყობდა: როგორ იყიდდა ამ ფულით პატარა სახლს და მოაწყობდა ოცნების სახელოსნოს, სადაც თავის იშვიათ გრავიურებს გააკეთებდა. ეს ის ძაფი იყო, რომელსაც შერიფი უნდა მოსჭიდებოდა. ცხრა წლის წინ მათ ქალაქში მხოლოდ ერთი – ნაციონალური ბანკი არსებობდა. ამიტომ პოლო პირველად მის პრეზიდენტს, ედი ჯონსს ეწვია.

– მორისი, მორისი... – გაახსენდა სკანდალური მკვლელობის ამბავი... – არა, პოლო, ჩემს ბანკში მას ანგარიში არასდროს ჰქონია. მახსენდება, რომ ხშირად მოჰქონდა რომელიღაც სხვა შტატში მდებარე ბანკის ჩეკები და მანაღდებინებდა, მაგრამ, კონკრეტულად რომელი ბანკი იყო, ამის თქმა არ შემიძლია. იმდენი წელი გავიდა... თუმცა, მოდი, მაინც გადავამოწმებ დოკუმენტაციას, – ედი ჯონსი თავისი ძვირფასი სავარძლიდან ადგა და კაბინეტიდან გავიდა. მისმა მდივანმა, ლამაზმა გოგონამ, შერიფს ჩაი შემოუტანა და გაოცებით გახედა თავის უფროსს.

– რა იყო, კეტ? რამ გაგაკვირვა?

– ჰო, ცოტა უცნაურია... ყველა უმნიშვნელო წვრილმანზე მე დამარბენინებს აქეთ-იქით. ახლა კი, დოკუმენტაციის სანახავად თავად წავიდა...

შერიფმა ჩაინიშნა გოგონას ნათქვამი. ორმოცი წუთის შემდეგ ედი ჯონსიც დაბრუნდა.

– არა, პოლო, სამწუხაროდ, არაფერია, ვერაფრით დაგეხმარე. ჩემი ახალი იახტა ნახე? არ გინდა, უქმეებზე სათევზაოდ წავიდეთ? მოგეწონება.

შერიფმა მადლობა გადაუხადა და ბანკის შენობიდან გამოვიდა. მთელი საღამო მოღუშული იჯდა და ფიქრობდა. ბანკის პრეზიდენტის საქციელში რაღაც აეჭვებდა. ადგა და კანონებს ჩაუჯდა. გამთენიისას ერთი საყურადღებო ფაქტი აღმოაჩინა: შტატის კანონის მიხედვით, თუ კონკრეტული პირის ანაბარზე ხუთი წლის განმავლობაში თანხა უძრავად იდო, ანუ, არც ემატებოდა და არც აკლდებოდა, ეს ფული შტატის ან ბანკის სარეზერვო სეიფში გადადიოდა. თუ ანაბარს პატრონი გამოუჩნდებოდა, ბანკი ვალდებული იყო, თანხა დაუბრკოლებლად გაეცა. შერიფი მიხვდა, რომ სწორ გზას დაადგა, თუმცა, საკითხი მეტად ფაქიზი იყო. ზუსტად იცოდა, რომ სასამართლოში ბანკის დოკუმენტაციის გადახედვის ნებართვას ძნელად მისცემდნენ და ამას სერიოზული ბრძოლა და დრო დასჭირდებოდა. ამიტომ, მესამე დღეს ეშმაკობას მიმართა – ჭორი გაავრცელა, რომ სასამართლოდან ასეთი ნებართვა მიიღო და დაელოდა მოვლენების განვითარებას. ღამით ორი პოლიციელი წაიყვანა და იახტების ნავსადგომზე ჩასაფრდა. აღლომ არ უმტყუნა: გამთენიისას, როცა მთელ ქალაქს ღრმა ძილით ეძინა, ნავსადგურს ბანკის პრეზიდენტის ძვირფასი მანქანა მიადგა. იქიდან თვით ედი ჯონსი გადმობრძანდა ორ ახალგაზრდასთან ერთად, რომლებმაც საბარგულიდან რაღაც ტომარა გადმოათრიეს. შერიფმა თავისი მანქანის ფარები ჩართო და მიანათა. ეს საკმარისი აღმოჩნდა ედის პანიკაში ჩასაგდებად. ისიც და მისი დამხმარეებიც იახტისკენ გაიქცნენ. მაგრამ შერიფმა და პოლიციელებმა გზა გადაულობეს.

შერიფი მართალი აღმოჩნდა თავის ეჭვებში – ედი ჯონსმა საწყალი მხატვრის ფული მიითვისა. ის ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ საცოდავს გაამართლებდნენ. მან იცოდა, რომ ციხიდან გამოსული მორისი აუცილებლად მივიდოდა ბანკში და თავის ფულს მოითხოვდა და ამით ჯონსის თაღლითური სქემაც გამოაშკარავდებოდა. ამიტომ, დაიქირავა მკვლელი, მისთვის არასასურველი პიროვნება მოაკვლევინა და მისი ჩანთაც გაატაცებინა – მორისს ჩანთაში სწორედ თავისი ანგარიშების დოკუმენტაცია ედო...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


## დავეხმაროთ 3 წლის ლიზი ყაველაშვილს შემდეგი სენის დამარცხებაში!



3 წლის ლიზი ყაველაშვილს ექიმებმა მცირე მენჯის ღრუს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც მის ჯამრთელობასა და სიცოცხლეს უდიდეს საფრთხეს უქმნის.

ლიზის სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია ისრაელში.

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლიზის მძიმე გასაჭირი და ერთად ვიზრუნოთ მისი ლამაზი სიცოცხლის გადასარჩენად.

„მაგთი," „ბილაინი," „ჯეოსელი": 0901 70 00 84.
„საქართველოს ბანკი" GE40BG0000000774324900.

# ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №1-18(697)

***

გიორგი კარგ ხასიათზე დაბრუნდა სახლში. ძალიან კმაყოფილი იყო საკუთარი თავით, უფრო სწორად, საკუთარი საქციელით. დიდი ხანია, ასეთი ბედნიერების შეგრძნება არ ჰქონია. მხოლოდ მაშინ, როცა



ფული გადარიცხა და გამომძიებლისგან გაიგო, რომ გუგას ერთ-ორ დღეში გამოუშვებდნენ, ისეთმა სიხარულმა შეიპყრო, მიხვდა, რა დიდი ძალა ჰქონია სიკეთეს. განსაკუთრებით გამომძიებლის სიტყვებმა ააღელვა – როდესაც გიორგიმ თანხის გადახდის სურვილი გამოთქვა და ამ საკითხში დაკვალიანება სთხოვა, გამომძიებელმა გაკვირვებულმა შეხედა უცნობ მამაკაცს და უთხრა:

– სიმართლე გითხრათ, რაც გუგა სანებლიძის საქმე გადმომეცა, უკვე სათვალავი ამერია, რამდენჯერ დავრჩი გაოცებული, დაწყებული ეჭვმიტანილის ახლოს გაცნობით, დამთავრებული მისი უცნაური გულშემატკივრების დაუჯერებელი თანადგომით.

– სხვათა შორის, ბატონო გამომძიებელო, მეც ვერ წარმოვიდგენდი, ჩვენს სამართალდამცველებს ასეთი ჰუმანურობის გამოჩენა თუ შეეძლოთ და, სიმართლე გითხრათ, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი.

– რას გულისხმობთ?

– სანებლიძესთან საპროცესო შეთანხმებას. როგორც ვიცი, მსგავსი შემთხვევები ყოველთვის სხვა შედეგით მთავრდება ხოლმე. ჩანს, თქვენც ერთ-ერთი იმ „უცნაური გულშემატკივართაგანი" აღმოჩნდით, წეღან რომ ახსენეთ.

– დიახ, ვერ დაგიმალავთ, რომ მის მიმართ საოცარი თანაგრძნობით განვეწყვე. უფრო მეტსაც გეტყვით – არა მარტო თანაგრძნობით, არამედ, პატივისცემითაც, მიუხედავად იმისა, რომ ანგელოზი ნამდვილად არ უნდა იყოს. თანაც, მისი ყოველი სიტყვის მჯერა. რაც შეეხება ჩვენი სისტემის ჰუმანურობას, აქაც ადამიანები მუშაობენ და...

– ბატონო გამომძიებელო, რაც არ უნდა თქვათ, ზუსტად ვიცი, რომ ეს პირადად თქვენი დამსახურებაა.

– არა მარტო ჩემი.

– შესაძლოა, მაგრამ თქვენ გადაწონეთ სასწორი სანებლიძის სასარგებლოდ. ამიტომ, მის თუნდაც უცნაურ, მაგრამ მთავარ გულშემატკივრად მაინც თქვენ ითვლებით და ძალიან მიხარია, რომ თქვენს სისტემაშიც შეიძლება აღმოჩნდეს ნამდვილი ადამიანი.

გამომძიებელს გაეცინა:

– სიმართლე გითხრათ, ვერ მივხვდი, გვლანძღავთ თუ გვაქებთ.

გიორგიმ იუხერხულა და ნათქვამის გამოსწორებას შეეცადა:

– მე მხოლოდ ფაქტის კონსტანტაცია მოვახდინე.

– მაინც გმადლობთ, მაგრამ, იმის შემდეგ, რაც ირაკლი ქებაძემ და თქვენ გააკეთეთ, ჩვენი სისტემის ჰუმანურობა აღარ უნდა გაგკვირვებოდათ.

– მე და ქებაძემ?! – ვერ მიხვდა გიორგი.

– დიახ.

– რას გულისხმობთ?

– თქვენ მიერ სანებლიძის სასარგებლოდ გადახდილ თანხას. არ იცოდით, რომ სამი ათასი პროფესორმა გადარიცხა?

– პირველად მესმის...

– იცით, რა მიკვირს? კარგი, ქებაძე ექიმია და, შეიძლება, სხვანაირად აზროვნებს, მაგრამ, თქვენ რამ გაიძულათ ასეთი ნაბიჯის გადადგმა თქვენი ძმის ინტერესების საწინააღმდეგოდ? მით უმეტეს, რომ დღეს გადასაყრელი ფული არავის აქვს.

– ჩემი ძმის ინტერესები არაფერ შუაშია. უფრო სწორად, ჩემი საქციელით, შეიძლება, ცოტათი მაინც გამოვისყიდე მისი ცოდვები. თანაც, ძალიან დიდი აღმოჩენა გავაკეთე – სიკეთის ჩადენა მართლაც გადამდები ყოფილა.

– დიახ, ნამდვილად ასეა, – დაეთანხმა გამომძიებელი, – ეს მხოლოდ წაკითხული მქონდა და ბოლომდე არ მჯეროდა, მაგრამ, ახლა თავად გავხდი ამის მოწმე. მიხარია, ბატონო გიორგი, თქვენნაირი ადამიანები კიდევ რომ არსებობენ.

– მეც იგივე მინდა გითხრათ, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ამ ნაბიჯამდე ირაკლი ქებაძემ მიმიყვანა, ოღონდ, სრულიად შემთხვევით. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო გამომძიებელო, მოხარული ვარ, რომ გაგიცანით.

– მეც ასევე. კარგად ბრძანდებოდეთ.

მიუხედავად ასეთი ამაღლებული განწყობისა, გიორგი შეეცადა, ემოციები შეეკავებინა და არ გაემხილა მზიასთვის და დიმიტრისთვის, რაც გააკეთა, მაგრამ მათ მაინც შენიშნეს, რომ თვალები სხვანაირად უბრწყინავდა და მიზეზი ჰკითხეს, უფრო სწორად, დიმიტრი დააინტირიგა ძმის მოღიმარმა სახემ და გამოკითხვა დაუწყო:

– რამე განსაკუთრებული მოხდა?

– პრინციპში, ჰო, – დაეთანხმა გიორგი და შეეცადა, გრძნობები მოეთოკა.

– ეტყობა, რაღაც ძალიან კარგი ამბავი გაიგე, – არ მოეშვა დიმიტრი.

– მართლაც ასეა, – ისევ დაეთანხმა გიორგი და სავარძელში მოკალათდა, – ძალიან გახარებული დავბრუნდი სახლში.

– ჩვენ არ გვეტყვი? იქნებ, ჩვენც გაგვიხარდეს, – ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო დიმიტრი.

– როგორ არა, გეტყვით, ოღონდ, ცოტა სული მომათქმევინეთ. თუმცა, ეჭვი მეპარება, რომ შენც გაგიხარდეს.

– ბატონო გიორგი, ცივი მინერალური ხომ არ გნებავთ? – შესთავაზა მზიამ.

– რა მიხვედრილი და ყურადღებიანი




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.......................

მარიკა 599 24 28 31

გოგო ხარ. მართლაც სიამოვნებით დავლევ ერთ ჭიქას, მადლობის ტონით უთხრა გიორგიმ.

მზიამ ცივი „ბორჯომით“ სავსე, დაორთქლილი ჭიქა მიუტანა, დაუცადა, სანამ დალევდა და მორიდებით ჰკითხა:

– ხომ არ ისაუზმებთ? ყველაფერი მზად მაქვს. თან, დილას ისე გახვედით სახლიდან, თითქმის არაფერი გიჭამიათ.

– საუზმე არა, მაგრამ, ერთ ფინჯან მაგარ, უშაქრო ყავაში ნახევარ სამეფოს ვიძლევი, – უპასუხა ყურადღებით ნასიამოვნებმა მასპინძელმა და ექთანს ღიმილით შეხედა. მზია მაშინვე სამზარეულოში გაიქცა და ხუთ წუთში ქაფქაფა ყავა და შავი შოკოლადის ფილა შემოიტანა პატარა სინით.

გიორგიმ კმაყოფილმა მოსვა ცხელი ყავა და შოკოლადის პატარა ნატეხი მიაყოლა. დიმიტრი უცდიდა, როდის დაამთავრებდა მისი ძმა ამ რიტუალს და თან თვალებში შეჰყურებდა.

გიორგის რაღაცნაირად სიამოვნებდა, ძმის მოუთმენლობას რომ ხედავდა და, ცდილობდა, ეს სიამოვნება გაეხანგრძლივებინა – მზიას ცარიელი ფინჯანი მიაწოდა, ყავა შეუქო და მადლობის ნიშნად ხელზე აკოცა. მზია არ იყო მიჩვეული ასეთ მოპყრობას, გაწითლდა და ჭიქა კინაღამ ხელიდან გაუვარდა. უხერხულობიდან რომ გამოეყვანა თავი, ჭურჭელი სამზარეულოში გაიტანა და მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა ოთახში.

გიორგიმ ისევ ღიმილით შეხედა ექთანს და ხუმრობით უთხრა:

– ძალიანაც ნუ მიმაჩვევ ასეთ ზრუნვას, თორემ, შევეჩვევი და, საერთოდაც, ზედმეტად ნუ იტვირთავ თავს, რაც გევალება, მხოლოდ ის გააკეთე.

– არ ვიტყვირთავ, უბრალოდ, მსიამოვნებს ამის გაკეთება, – ისევ გაწითლდა მზია.

– ბოლოს და ბოლოს, როდის დაანებებ თავს ამ გოგოსთან არშიყს და როდის მეტყვი, რატომ მოხვედი ასეთი გახარებული?

სიტყვა „არშიყის“ გაგონებაზე მზია შეკრთა და უსიამოვნოდ შეიშმუშნა, გიორგის კი დიდად არ სწყენია, დინჯად გახედა ძმას და უთხრა:

– როგორ არ გეტყვი. გახარებული იმიტომ მოვედი, რომ, როგორც ამ დილით გამომძიებელმა მითხრა, გუგას ხვალ-ზეგ გამოუშვებენ.

– შენ რა საქმე გქონდა გამომძიებელთან?

– მინდოდა, ზუსტად გამეგო, როდის უშვებენ და მასთან მზიას შეხვედრა დამეგეგმა, – იცრუა გიორგიმ და ძმას თვალი აარიდა.

– შენ რაღაცას ბოლომდე არ მეუბნები, – დაეჭვდა დიმიტრი, – მინდა, ყველაფერი ვიცოდე, მე მგონი, მაქვს ამის უფლება.

გიორგი დაფიქრდა. არ იცოდა, როგორ მიიღებდა დიმიტრი იმას, რაც მოხდა. ამიტომ, გადაწყვიტა, ეთქვა სიმართლე, ოღონდ, ისეთი ფორმით, რომ ავადმყოფისთვის ნაკლებად გამაღიზიანებელი ყოფილიყო. ამიტომ, ცოტა შორიდან დაიწყო:

– ყურადღებით მომისმინე, რასაც ახლა გეტყვი და ყველაფერი კარგად გააანალიზე. მინდა, სწორად გაიგო ჩემი საქციელი, საღი გონებით და ზედმეტი ემოციების გარეშე შეხედო.



– ეს გუგას ეხება? – მიხვდა დიმიტრი.

– ჰო, გუგასაც, მაგრამ, სინამდვილეში, შენ უფრო მეტად. მზად ხარ მოსასმენად?

– განაგრძე, – მოკლედ უთხრა დიმიტრიმ და საწოლში მოხერხებულად მოთავსდა.

– მოკლედ, იმ თანხის დიდი ნაწილი, რაც გუგას საპროცესოზე დააკისრეს, ირაკლი ქებაძემ გადაიხადა.

– ირაკლი ექიმმა? – სახე გაუბრწყინდა მზიას, – ყოველთვის ვგრძნობდი, რომ განსაკუთრებული ადამიანი იყო.

– ძალიან გაგიხარდა? – დაიბოღმა დიმიტრი, – გადასარევი ამბავია: ჩემი მკურნალი ექიმი ჩემი მოსისხლე მტრის გამოსახსნელად უამრავ ფულს იხდის... მაინც, რამდენი გაიმეტა?

– აქ გამეტებაში არ არის საქმე, საქმე ადამიანობაშია, – თავი ვერ შეიკავა მზიამ.

– მერე? – დიმიტრიმ ყურადღება არ მიაქცია მზიას რეპლიკას და ძმას გამომცდელად შეხედა, – როგორც ვხვდები, მთავარი სათქმელი არ გითქვამს.

– ჰო, ასეა, – გამოტყდა გიორგი, – მთავარს ახლა გეტყვი: ჩანს, როგორც შენ გუშინ თქვი, სულელები კიდევ არსებობენ ამქვეყნად. ბოდიში ვიხდი პროფესორის წინაშე და, ერთი „სულელი“ ის აღმოჩნდა...

– მეორე სულელი კი შენ ხარ, ასეა? – მიუხვდა დიმიტრი.

– ჰო, ასეა და, ცოდვა გამხელილი ჯობს, ვამაყობ ჩემი სისულელით. რომ მცოდნოდა, ასეთ სისულელეს ამხელა ბედნიერების შეგრძნება მოჰყვებოდა, აქამდეც არაერთხელ ჩავიდენდი, მით უფრო, რომ ამით, შეიძლება ითქვას, ორი კურდღელი ერთად დავიჭირე – ერთი საცოდავი ადამიანი ფიზიკურ დაღუპვას გადავარჩინე, მეორეს კი ცოდვები შევუმსუბუქე.

– ის მეორე მე ვარ? – გიორგის გასაკვირად, მშვიდად იკითხა დიმიტრიმ.

– ჰო, შენ ხარ. რომ არა შენ, გუგა არც ნარკომანი გახდებოდა და, შესაბამისად, არც ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდებოდა.

– გამოდის, რომ ერთი ძმა სამყაროს დამაქცევარია, მეორე კი – კაცობრიობის მხსნელი, – ირონიულად თქვა დიმიტრიმ და მწარედ ჩაეცინა, – კარგი, იყოს ასე, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ მე ამას არასდროს გავაკეთებდი.

გიორგის ნამდვილად არ ეგონა, ასე ადვილად თუ გადაიტანდა დიმიტრი ამ ინფორმაციას და კმაყოფილმა გაიფიქრა, რომ მისი ძმის გულსა და ტვინში, მართალია, ძალიან მცირე დოზით და ნელი ტემპით, მაგრამ, უკვე დაწყებული იყო კათარზისის მაგვარი პროცესი.

მომხდარით გახარებულმა მზიამ, დაძაბულობის განსამუხტავად, გადაწყვიტა, რაღაც მოემოქმედებინა და, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, სადილი სამზარეულოში გააწყო, მერე კაცები სუფრასთან მიიწვია და უთხრა:

– გვეყოფა ემოციები. ახლა ვისადილოთ, ცოტა განვიმუხტოთ და საქმეზე დავილაპარაკოთ.

– რა საქმეზე? – ამრეზით ჰკითხა დიმიტრიმ.

– შენი წერილის საქმეზე.

– ჩემი ადგომა არ შეიძლება, თან, საერთოდ არ მშია.

– ძალიან კარგადაც შეიძლება. წელან რამდენ ხანს იარე ოთახებში, დაგავიწყდა? მე მოგეხმარები, ნუ გეშინია. სადილი კი აუცილებლად უნდა მიირთვა, ბატონო დიმიტრი, წამლები გაქვს დასალევი.

დიმიტრი ოხვრით დაეთანხმა და საწოლზე წამოჯდა, მერე თვითონვე მივიდა მაგიდასთან, დაჯდა და ძმას შეხედა:

– ახლა რა უნდა ვქნა, განსხვავებული სასმისი მოვითხოვო და ამით შევსვა ჩემი ჰუმანისტი ძმის სადღეგრძელო?!

– არ გინდა ირონიები, დიმიტრი. მე მოვიქეცი ისე, როგორც სინდისმა მიკარნახა და ამით დამთავრდა ყველაფერი. სიმართლე გითხრა, არც კი ვაპირებდი, შენთვის მომეყოლა ეს ყველაფერი, მაგრამ, არ გამომივიდა.

– რატომ არ უნდა მოგეყოლა?

– რა ვიცი, შემეშინდა, ტრაბახში არ ჩამომართვას-მეთქი.

– არა, ტრაბახად არ ჩაგითვლი, ეს შენი სტილი ნამდვილად არ არის. მაგრამ, შენ ორი კურდღელი კი არა, სამი კურდღელი დაიჭირე ერთად.

– მესამე რომელია? – ვერ მიუხვდა გიორგი.

– შეხედე ჩვენს დიასახლისს, როგორი გაბრწყინებული სახით შემოგცქცინებს და მიხვდები, – გაეღიმა დიმიტრის, მერე კი ვითომ ხუმრობით თქვა: – ამანაც მიღალატა.

– პირიქით, ყველანი შენზე ვზრუნავთ, – დაყვავებით უთხრა გიორგიმ.

– ჰო, ალბათ, ასეა, მაგრამ, რაღა დაგიმალოთ და, ცოტა მიჭირს ამის ბოლომდე გაცნობიერება.

– არა უშავს, მთავარია, რომ ეს გაცნ-



ობიერება დაწყებულია.

– კარგი, გეყოფათ ამ თემაზე ლაპარაკი, ვისადილოთ და საქმეს მივხედოთ, – ჩაერია მზია და მამაკაცებს წინიანი დაუსხა.

ემოციების მიუხედავად, ან, შესაძლოა, სწორედ ემოციების გამო, სამივემ გემრიელად მიირთვა მზიას მომზადებული კერძი, მერე დესერტიც დააყოლეს და სავარძლებში გადაინაცვლეს, რომ საქმეზე საუბარი უფრო კომფორტულად განეგრძოთ.

– ესე იგი, – დაიწყო მზიამ, – რადგან გუგასთან ჩემი შეხვედრა მინიმუმ ერთ კვირაზე ადრე ვერ მოხერხდება, ან თორნიკეს უნდა შევხვდე, ან ნუცას, ან – ქალბატონ ნანიტას.

– ერთი კვირა რა ამბავია, აკი ერთ-ორ დღეში უშვებენო? – გააპროტესტა დიმიტრიმ.

– ორ დღეში თუ გამოუშვებენ, მაშინვე ხომ არ ვეცემი, გონზე მოსვლა და ამოსუნთქვა ხომ უნდა ვაცადო? – თქვა მზიამ და დიმიტრის წამალი მიაწოდა, – დალიე, ბატონო დიმიტრი, თორემ, ამ ლაპარაკში კინაღამ დაგვავიწყდა.

დიმიტრიმ აბი გადაყლაპა, ერთი ყლუპი წყალი დააყოლა და ძმას შეხედა:

– მართალია. შენ რას იტყვი, გიორგი, ჯერ რომლის ნახვა ჯობია?

– სიმართლე გითხრა, არ ვიცი. თუმცა, ალბათ, ჯერ ნანიტასთან დალაპარაკება მეჩვენება უმჯობესი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ, რაც იმ წერილში წერია, ასე პირდაპირ ვერ ვაჯახებთ შენს შვილებს. ჯერ ერთი, ახალგაზრდები არიან და, კაცმა არ იცის, როგორი რეაქცია ექნებათ, როცა იმ წერილის შინაარს გაიგებენ. განსაკუთრებით წინააღმდეგი ვარ, თორნიკემ გაიგოს ეს. როგორია ახალგაზრდა კაცისთვის იმის მოსმენა, რომ დედამ ის სხვა კაცისგან გააჩინა, თუნდაც ეს მტკნარი სიცრუე იყოს?!

– ჰო, მართალი ხარ, ბავშვებმა ეს არ უნდა გაიგონ. მაგრამ, ნანიტასთან დალაპარაკება რა შედეგს მოგვიტანს? რა, აღიარებს, რომ თავიდანვე მღალატობდა და მთელი ცხოვრება თვალში ნაცარს მაყრიდა? – დიმიტრი ამის გაფიქრებაზეც კი ისე აღელდა, რომ სახე წამოუჭარხლდა.

– ერთი რამე მაინტერესებს და გულწრფელად გვიპასუხე: შენ თვითონ, თეორიულად მაინც თუ უშვებ იმ ფაქტს, რომ ნანიტას ღალატი შეეძლო?

– ღალატი ყველა ქალს შეუძლია, ყველაზე წესიერსა და პატიოსანსაც კი, – ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

– მე „ჩვეულებრივ“ ღალატს არ ვგულისხმობ.

– რას ნიშნავს „ჩვეულებრივი“ ან „არაჩვეულებრივი“ ღალატი? – ხელები გაშალა დიმიტრიმ, – ღალატი – ღალატია.

– არა, ღალატსაც აქვს კატეგორიები. არსებობს „რიგითი“, შედარებით მარტივი სახის ღალატი და არსებობს მძიმე, ცხოვრების დამანგრეველი ღალატი.

– და, ყველა ეს კატეგორია, ცხადია, ქალის მხრიდან ღალატის შემთხვევაში განიხილება, – ირონიით შენიშნა მზიამ.

– დიახ, – დაეთანხმა გიორგი, – სამწუხაროდ, ასეა.

– მაშინ, თუ არ შეწუხდებით, დაგვიკონკრეტეთ, ბატონო გიორგი, – გათამამდა ექთანი, – ეს თეორია არასდროს მომისმენია და ძალიან მაინტერესებს.

მზიას თამამმა ცნობისმოყვარეობამ გიორგის შემწყნარებლური ღიმილი მოჰგვარა:

– კი ბატონო, არ დაგზარდებით, რადგან, ამ თემის განხილვამ, შესაძლოა, უფრო მალე მიგვიყვანოს ჭეშმარიტებამდე. მოკლედ, ჩემი აზრით, „რიგითი“, ანუ, შედარებით მარტივ ღალატად გათხოვილ ქალს უთვლიან სხვა მამაკაცთან ფლირტს, ვნებიან მზერას ან კოცნას. გაცილებით უფრო მძიმე კატეგორიაა სხვა კაცთან სექსი, ღალატის „მწვერვალი“ კი, რასაც, სექსთან ერთად, ახლავს თავხედობა, ამაზრზენი სიცრუე და ვერაგობა, არის ის, როცა ქალი ბავშვს აჩენს სხვა კაცისგან, ქმარს კი მთელი ცხოვრება ატყუებს, ანუ, კაცს ეჭვიც კი არ ეპარება, რომ თავისი შვილია. ასეთი საქციელი არის მეძავობა, მრუშობა და უნამუსობა – ერთად აღებული.

– რა გინდა ჩემგან, რატომ მიშლი ნერვებს და რატომ მიხეთქავ გულს? – გაბრაზდა დიმიტრი.

– პირიქით, მინდა ბოლომდე გავაშიშვლო სიტუაცია და ამის შემდეგ გკითხო: შენ ნანიტასთან ერთად დაახლოებით თხუთმეტი წელი ცხოვრობდი და, წესით, კარგად უნდა იცნობდე შენს ყოფილ ცოლს. იყო ის ოდესმე ასეთი რამის ჩამდენი? ოღონდ, კარგად დაფიქრდი და ისე მიპასუხე, უფრო სწორად, მართალი მიპასუხე, ანუ, რასაც სინამდვილეში ფიქრობ. შენს პასუხზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

დიმიტრი მართლაც დააფიქრა ძმის სი-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ჭ | ი | რ | ი | | რ | ე | გ | ი | ო | ნ | ი |
| | | | | | მ | უ | ს | ი | ე | | | ტ | ა | | ტ |
| | | | | | პ | | ი | | ი | ს | ნ | ა | მ | ო | რ |
| | | | | ტ | ა | ნ | კ | ა | | ი | ე | მ | | | ა |
| | | | | | ლ | | ს | | ი | ნ | ო | ი | ლ | ი | მ |
| | | | | მ | ა | რ | ი | ა | მ | ი | | ვ | ი | ვ | ა |
| | | | | კ | | ძ | კ | | ა | | ი | კ | ე | ხ | |
| ი | ს | ა | კ | ა | ძ | ე | | ო | მ | ი | | ა | ლ | ა | ჭ |
| ა | | უ | | | ა | | ი | ჯ | ი | ბ | ა | ნ | | ი | |
| ჩ | ა | რ | გ | ა | ლ | ი | | | | ე | რ | ე | კ | ლ | ე |
| | დ | უ | | ბ | ა | დ | ი | ა | უ | რ | ი | | ვ | | ძ |
| კ | უ | რ | ი | ე | | ე | რ | ი | | კ | ა | მ | ა | | ა |
| | ლ | | ტ | რ | ი | ლ | ო | გ | ი | ა | | ი | რ | ე | ლ |
| | ა | მ | ი | ე | რ | ი | | ო | | ნ | ი | ს | ტ | რ | უ |
| თ | | ა | მ | დ | ო | მ | ა | გ | | | წ | | ე | | ბ |
| ე | ძ | ი | ს | ო | მ | | გ | | | ი | ნ | ი | ტ | ს | ო |
| რ | | ო | | მ | | ო | ნ | შ | | ვ | ი | ს | ი | | ქ |
| მ | ე | რ | ი | ლ | ი | ნ | ი | | ე | | რ | | | მ | |
| ო | ბ | ი | ლ | ე | | ე | | ა | რ | ა | ხ | ა | მ | ი | ა |
| | ო | | ე | ყ | ი | რ | | მ | ო | რ | | რ | ა | ტ | ი |
| ი | ნ | უ | ს | | დ | | | ო | დ | ა | მ | ა | თ | ა | ს |
| | ი | | რ | ო | ი | ა | ლ | ი | | გ | | ბ | ე | რ | |
| ე | ტ | ნ | ა | | ე | | | დ | უ | ვ | რ | ი | | ბ | |
| | ი | უ | მ | ო | რ | ი | | ი | კ | ი | ნ | ა | ტ | ი | ტ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 7 | 4 | 6 | 9 | 2 | 3 | 1 |
| 6 | 2 | 1 | 3 | 7 | 8 | 5 | 9 | 4 |
| 4 | 9 | 3 | 1 | 2 | 5 | 7 | 6 | 8 |
| 3 | 1 | 9 | 2 | 8 | 7 | 4 | 5 | 6 |
| 5 | 6 | 2 | 9 | 4 | 1 | 8 | 7 | 3 |
| 7 | 8 | 4 | 6 | 5 | 3 | 1 | 2 | 9 |
| 1 | 4 | 6 | 7 | 9 | 2 | 3 | 8 | 5 |
| 2 | 3 | 8 | 5 | 1 | 6 | 9 | 4 | 7 |
| 9 | 7 | 5 | 8 | 3 | 4 | 6 | 1 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 8 | 6 | 3 | 2 | 5 | 4 | 9 | 1 |
| 5 | 2 | 4 | 9 | 1 | 7 | 3 | 6 | 8 |
| 9 | 1 | 3 | 6 | 8 | 4 | 2 | 5 | 7 |
| 6 | 3 | 8 | 1 | 5 | 2 | 9 | 7 | 4 |
| 4 | 9 | 1 | 7 | 3 | 6 | 8 | 2 | 5 |
| 2 | 7 | 5 | 4 | 9 | 8 | 1 | 3 | 6 |
| 8 | 6 | 9 | 5 | 4 | 3 | 7 | 1 | 2 |
| 1 | 5 | 2 | 8 | 7 | 9 | 6 | 4 | 3 |
| 3 | 4 | 7 | 2 | 6 | 1 | 5 | 8 | 9 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. დარსი – მოკლე ისრების ნიშანში სროლა. 2. ზარებს. 3. გამოიწვია ანტისემიტიზმის ტალღის აგორება და ებრაელთა ისრაელში ემიგრაცია, რასაც მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა მოჰყვა. 4. ისინი ზიარებას ღვინის ნაცვლად წყლით იღებდნენ, სუნით რომ არ გამოერჩიათ. 5. უსახელო ვარსკვლავები, რომლებსაც სახელებს გამარჯვებულები არქმევდნენ. 6. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები. 7. საწარმოები არ მუშაობენ და სითბო, თუნდაც გამონაბოლქვის სახით, არ გამოიყოფა. 8. კანონები. 9. მისი სახელი ამერიკელებისა და ევროპელების დამამცირებელ მეტსახელად გამოიყენეს – „გრინგო“. 10. 20 წუთის შემდეგ ხარი იგებს, რომ მოსასხამის ფრიალს კი არა, ადამიანს უნდა მისდიოს და ტორეადორის გადარჩენის შანსი მინიმალური ხდება.**

ტყვებმა. შეძლებისდაგვარად გაიხსენა ცოლთან დაკავშირებული ყველა ეპიზოდი, მაგრამ, ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, რაც მის მორალში ეჭვის გაჩენის საბაბი შეიძლებოდა გამხდარიყო. თვალდახუჭული იჯდა და კარგა ხანს ფიქრობდა, ბოლოს, როგორც იქნა, თვალი გაახილა და თქვა:

– ვერაფერი აღმოვაჩინე.

– არასდროს გიეჭვიანია ცოლზე? – ჩაეკითხა ძმა.

– კონკრეტულად არასდროს. მხოლოდ სიმთვრალეში მახსენდებოდა ხოლმე გუგას არსებობა და მაშინ გამკრავდა ხოლმე გულში, ისევ თავის ყოფილ საქმროზე ხომ არ ფიქრობს-მეთქი.

– ფიქრს ვერავის აუკრძალავ, – აღშფოთდა მზია, – თვითონ ლამის ყოველდღე ღალატობდი ვიღაც ქუჩის ქალებთან და იმაზე ბრაზდებოდი, ყოფილ საქმროზე ხომ არ ფიქრობსო?

– მზია, დაწყნარდი, – შენიშვნა მისცა გიორგიმ, – ჩვენ აქ ქალთა უფლებებს კი არ ვიცავთ, სერიოზულ საკითხს განვიხილავთ.

– ბოდიშს ვიხდი, – გაწითლდა მზია და გაჩუმდა, მაგრამ, ძლივს იკავებდა თავს მწარე კომენტარებისგან.

– მერე, რა დასკვნა გამოგქონდა, ფიქრობდა მასზე? ან, რა „დოზით" ფიქრობდა? – განაგრძო კითხვების დასმა გიორგიმ.

– არანაირი დასკვნის გამოტანა არ დამჭირვებია. ერთხელ პირდაპირ ვკითხე, ფიქრობ თუ არა გუგაზე და ნანობ თუ არა, მე რომ გამომყევი-მეთქი.

– მერე?

– მშვიდად მიპასუხა, გუგაზე ხანდახან ვფიქრობ და ვწუხვარ, რომ ჩემ გამო გაუბედურდა, მაგრამ, არაფერს ვნანობო.

– დაიჯერე მისი სიტყვები?

– მაშინვე.

– თორნიკე დაქორწინებიდან რამდენ ხანში გაგიჩნდათ?

– გიორგი, არ მინდა ინტიმურ წვრილმანებზე სხვების და, თუნდაც, შენი თანდასწრებით ლაპარაკი. ნესით, თორნიკე ჩემი შვილია, მაგრამ, ის წერილიც არ მასვენებს...

– საქმე საქმეზე თუ მიდგა, დნმ-ის ანალიზით მარტივად გადაიჭრება ეს საკითხი.

– მართალია, მაგრამ, თორნიკეს რა უნდა ვუთხრა, რატომ მჭირდება ამ ანალიზის გაკეთება-მეთქი?

– ჰო, მართალია, ვერ ვიტყვით, ყოველ შემთხვევაში – ჯერჯერობით.

– თან, აფანატებს დედამისზე და, ნანიტაზე ოდნავ გადახრილ სიტყვასაც ვერ ვეტყვი.

– კარგი, ეგ სამომავლოდ გადავდოთ, ისიც, იმ შემთხვევაში, თუ ამის გაკეთება გარდაუვალი გახდება. ახლა სხვა მხრიდან შევხედოთ ამ საკითხს.

– რა მხრიდან? – ვერ მიხვდა დიმიტრი.

– დავუშვათ, ზუსტად იცი, რომ თორნიკე შენი შვილია. ვის უნდა დასჭირვებოდა ასეთი საშინელი ტყუილის თქმა?

– წარმოდგენა არ მაქვს... უფრო სწორად, მე მაინც მგონია, რომ ამაში გუგას ხელი ურევია, – დაფიქრებით თქვა დიმიტრიმ.

– გამორიცხულია, ის წერილი ქალის დაწერილია და ამას მალე დავამტკიცებ, – ჩაერია საუბარში მზია, – ხომ გითხარი, ბატონო დიმიტრი, რომ კაცი ამისთანა ტექსტს არ დაწერდა.

– მაგრამ, ხომ შეიძლება, გუგამ ვინმე ქალს გაანდო თავისი სურვილი და იმანაც „მეგობრული" დახმარება გაუწია? – თავისას „აწვებოდა" დიმიტრი.

– მეც ეჭვი მეპარება, რომ იმ წერილის გამოგზავნის თუნდაც ინიციატორი გუგა იყოს, – დაეთანხმა გიორგი მზიას.

– რატომ, გვარიშვილობა შეუშლიდა ხელს? – გაბრაზდა დიმიტრი.

– არა, სხვა რამეშია საქმე.

– მაინც, რაში, რა გამამართლებელი მიზეზი აღმოაჩინე?

– ჯერ ერთი, როგორც გავიგე, გუგა ყველა თვალსაზრისით მარტოხელა და მარტოსული კაცია, ამიტომ, ძალიან საეჭვოა, ჰყავდეს თუნდაც ერთი ისეთი ერთგული ადამიანი, რომელსაც ასეთ რამეს გაანდობდა და, მით უმეტეს – ანდობდა. მეორეც... – გიორგიმ თვალები მოჭუტა და გაჩუმდა.

– რა – „მეორეც"? კიდევ რა „საპატიო მიზეზი" გამოძებნე?

– კი არ გამოვძებნე, ეს მიზეზი ნამდვილად არსებობს.

– თქვი, მერე, რას გადაგვაყოლე ამ გუგას გამართლებას! – ვეღარ მოითმინა დიმიტრიმ.

– საქმე ისაა, რომ, როგორც ირაკლი ქებაძემ მიამბო, დაკითხვაზე გუგა კატეგორიულ უარს ამბობდა, ეხსენებინა ქალი, ვის გამოც მას შენთან, მსუბუქად რომ ვთქვათ, ურთიერთობა გაუფუჭდა.

– მერე, რა არის ამაში განსაკუთრებული?

– მაცადე. გარდა იმისა, რომ თვითონ თქვა უარი, თუნდაც თავის გასამართლებლად ეხსენებინა ეს ქალი, გამოძიებასაც კატეგორიულად აუკრძალა მასზე ხმის ამოღება და ეს ისეთი ფორმით გააკეთა, რომ მართლაც ვეღარავინ გაბედა მასთან ქალის თემის წამოჭრა.

– ამით რისი თქმა გინდა? რომ გუგა კარგი ტიპია? თუ, მის რაინდობას უსვამ ხაზს? გამაგებინე, რატომ იცავ, ის არის შენი ძმა თუ მე?

– ნუ მეიაზვები და მომისმინე! – შეუტია გიორგიმ, – არავის არ ვიცავ, უბრალოდ, მომხდარი ფაქტებიდან მინდა დასკვნების გამოტანა.

– მერე, რა დასკვნა გამოიტანე? – ისევ ირონია გაურია ხმაში დიმიტრიმ.

– ის დასკვნა გამოვიტანე, რომ, ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცი, რომელიც ასე იცავს ქალს, მეეჭვება... მეეჭვება კი არა, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ იმავე ქალს ჩირქს არ მოსცხებდა, მით უფრო – სხვის გასაგონად.



– ვინ – სხვის?

– თუნდაც შენი, ან, იმ არარსებული „ახლობლის", ვისაც, ვითომდაც, იმ წერილის დაწერა დაავალა.

ძმის სიტყვებმა დიმიტრი ჩააფიქრა, კარგა ხნის დუმილის შემდეგ კი მზიას მიუბრუნდა და ჰკითხა:

– შენც ეთანხმები გიორგის?

– მე ასეთი ანალიზი არ გამიკეთებია, მაგრამ, თავიდანვე უარვყავი ეგ მოსაზრება, თუმცა...

– რა – „თუმცა"? – ჩაეჭიდა ბოლო სიტყვას დიმიტრი.

– ის, რომ, შენს დასაწყნარებლად, ბატონო დიმიტრი, გუგასაც და ქალბატონ ნანიტასაც ისეთ კითხვებს დავუსვამ, რომ, უნდათ თუ არ უნდათ, სიმართლეს მეტყვიან.

– ამას როგორ მოახერხებ?

– ეს უკვე ჩემი საიდუმლოა, ამას ვერც ერთს ვერ გეტყვით, – ამაყად თქვა მზიამ.

კაცებს გაეცინათ, მაგრამ მზია არ აჰყვა სიცილში და საქმიანი ხმით იკითხა:

– ანუ, რა გადაწყდა, პირველად ვის ვხვდები?

ძმები გაჩუმდნენ, ვერ გადაეწყვიტათ, ვისზე გაეკეთებინათ არჩევანი.

– შენ როგორ ფიქრობ, რას გკარნახობს ქალური ალღო, ჯერ ვისთან შეხვედრა ჯობია?

– საერთოდ, ჯობდა, ჯერ გუგას შევხვედროდი, მაგრამ, ერთი კვირის დაკარგვა მენანება, თან, ასე რომ ვისხდეთ, შეიძლება, ერთმანეთს შევასკდეთ ნერვიულობით. ამიტომ, დედა-შვილებს შორის, უმჯობესია, პირველს ქალბატონ ნანიტას შევხვდე.

– მეც ასე მგონია, – დაეთანხმა გიორგი.

– მეც, – თქვა დიმიტრიმ და ძმას ნაძალადევად გაუღიმა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №12-18(697)**

**ერთხელ, საღამოს**

ნინი ხვდებოდა, რომ ბიჭი მის პასუხს ელოდა. იმასაც ხვდებოდა, ეს პასუხი ლოგიკური და გაწონასწორებული უნდა ყოფილიყო, დამატებითი შეკითხვები რომ არ გასჩენოდა, მაგრამ თავისი შინაგანი მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევდა. თომაც ისეთი შესაბრალისი ღიმილით შესცქეროდა, რომ გული შეეკუმშა.

– მოდი, საღამო მხიარულად და მშვიდად გავატაროთ. ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც არც ერთს არ გვესიამოვნება.

– ეჰ, ნინი... მაწუხებს ის ამბავი, რომ, არ გინდა, ჩემთან გახსნილი იყო. ურთიერთობა, რომელიც ნდობაზე არ არის აგებული, დიდხანს ვერ ქაჩავს.

– შენ მე არ მენდობი? – ეშმაკურად შეუბრუნა შეკითხვა ნინიმ და საკუთარი თავის გაუკვირდა, ეს როგორ მოვახერხეო.

თომას გაეღიმა:

– მე როგორ არ გენდობი...

– აბა, რა გინდა?

– შენ არ მენდობი...

– საიდან მოიტანე?

– არ მეუბნები, რატომ ხარ გაბრაზებული. რა მიზეზია.

– თომა, უმიზეზოდაც შეიძლება, ადამიანი უგუნებოდ იყოს. თუ უარესად ჩამაცივდები, გავბრაზდები, ავდგები, წავალ და ის იქნება. გინდა ეს?

– არა, არ მინდა... – ბიჭი კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ გადაიფიქრა და ღიმილით გაუწოდა მენიუ, – მოდი, ვჭამოთ. მადა ცოტათი მაინც არ გაგეხსნა?

– არა, მაგრამ, შევუკვეთოთ. „ცეზარი" მოატანინე, ცოტას შევჭამ, – იძულებული გახდა ნინი, დათანხმებოდა. თომამ სასწრაფოდ მოიხმო ოფიციანტი.

ნინი ჩაფიქრდა. ისევ ის სურათი ედგა თვალწინ, როგორ გულიანად იცინოდნენ გიგი და ის ვიღაც გოგო – ეს კადრი ვერაფრით ვერ ამოიგდო თავიდან და ეს აცოფებდა. ეგონა, უფრო ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა, მაგრამ, ფაქტს ვერსად გაექცეოდა. უცხო ქალის საზოგადოებაში გიგის ნახვა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ეჭვებს დაეტანჯა და მის გვერდით ყოფნის სურვილი გამძაფრებოდა. თომას ხმამ გამოარკვია.

– არ მისმენ? – წყენით ჰკითხა ბიჭმა.

– ჰო, ცოტა ფიქრებში წავედი. რას მეუბნებოდი?

– გკითხე, ის წვეულება ხომ ამ შაბათს არის-მეთქი.

– ჰო. ლიზასთვის კი აღარ მიკითხავს, მაგრამ რამე პრობლემა რომ იყოს, თვითონაც მეტყოდა.

– ჩემთან ერთად წასვლა ხომ არ გადაიფიქრე?

– არა, – ნინი ერთბაშად გამოცოცხლდა და ბიჭი თავიდან ფეხებამდე ისეთი ყურადღებით შეათვალიერა, რომ თომამ უხერხულობა იგრძნო:

– რა იყო?



– არაფერი. უბრალოდ, ახლა შევამჩნიე, როგორ გაცვია.

– რას ნიშნავს – „როგორ მაცვია?" – დაიძაბა ბიჭი, – ანუ, იმის თქმა გინდა, რომ შეუფერებლად ვიცვამ?

– არა, თუმცა, პატარა კორექტივები ურიგო არ იქნებოდა.

– სტილი უნდა შემიცვალო? ოღონდ, ჰალსტუხის გაკეთება არ მაიძულო, ვერ ვიტან, – შეწუხდა თომა.

– საიდან მოიტანე, რატომ უნდა გაიძულო? თუ არ გინდა, რამე გითხრა, საერთოდ გავჩუმდები. რამ დაგაფრთხო, არ მესმის. ჩემ გვერდით იქნები და, მინდა, განსაკუთრებულად გამოიყურებოდე.

– მე რომ ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ვარ?! – სევდიანად ჩაილაპარაკა თომამ, – აშკარად ვერ ვამართლებ, ნინი, შენს იმედებს. მოდი, მარტო წადი იმ წვეულებაზე, კარგი?

ნინი მიხვდა, რომ ბიჭს სერიოზულად აწყენინა.

– ასე რატომ ლაპარაკობ? შენ არ გინდა, რომ მე განსაკუთრებულად გამოვიყურებოდე? – სცადა სიტუაციის გამოსწორება.

– არა, იმიტომ, რომ ჩემთვის ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში განსაკუთრებული ხარ, – მოწყენით ჩაილაპარაკა ბიჭმა, – გინდა, ის დღე გავიხსენო, როცა ბანკში პირველად მოხვედი? ისიც კი მახსოვს, რა გეცვა და სად იჯექი... ფანჯარასთან... თმის ფერი უფრო ღია გქონდა და ძალიან საყვარელი, მაქმანებიანი პერანგი გეცვა... სულ სხვანაირი იყავი, მაგრამ, მაშინვე შემიყვარდი.

– არ გინდა, ნუღარ გააგრძელებ... – ნინი განცვიფრებული მისჩერებოდა ბიჭს... თვითონ აშკარად არ ახსოვდა არც ეს დღე და არც ასეთი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალები. თომას მიმართ თბილი, თითქოს მშობლიური განცდა გაუჩნდა. გულიც კი აუჩუყდა, ხელზე ხელი დაადო და გაუღიმა.

– არ ვიცოდი, ასე რომანტიკული და სენტიმენტალური თუ იყავი.

– იმიტომ, რომ მაინც ვერ გამიცანი. არა, შენ არ გადანაშაულებ, ეტყობა, მე ვერ წარმოგიდგინე თავი, როგორც საჭირო იყო, რასაც ვნანობ. დროს თუ მომცემ, ყველაფერს გამოვასწორებ.

– რა უნდა გამოასწორო? ამაზე ნუ იფიქრებ. არ მინდა, გაწყენინო. გინდა, კინოშიც წავიდეთ.

– ახლა? – გაიცინა თომამ, – გვიან არ არის?

– ბოლო სეანსს, მგონი, მივუსწრებთ, – ნაძალადევი მხიარულებით წარმოთქვა ნინიმ და ჩანთას სტაცა ხელი...

***

გიგიმ რამდენიმე საათი უაზროდ იბოდიალა ქალაქის ქუჩებში. ვერ გადაეწყვიტა, სად წასულიყო. სახლში მისვლა არ უნდოდა, ბარში მარტო წასვლის სურვილიც არ ხიბლავდა. საკუთარ თავს ვერ ცნობდა – ასეთი უჩვეულო ცვლილებები, ასეთი სევდა ადრე არასოდეს უგრძნია. ერთბაშად გადაწყვიტა, ზუკასთან მისულიყო. გაახსენდა, რომ ორ დღეზე მეტი იყო, არ ენახა და უცებ დაფრთხა – ნეტავი, რას აკეთებს ეს ბიჭი, რაიმე სიურპრიზს ხომ არ გეგმავსო. მანქანა შემოატრიალა და ზუკას სახლში მიადგა. ზარი რამდენჯერმე დარეკა. ბინიდან არანაირი ხმა არ ისმოდა. „ამ შუაღამისას სად უნდა წასულიყო?" – გაიფიქრა და კარიც გაიღო. ზუკას შეეტყო, რომ არ ესიამოვნა მეგობრის დანახვა.

– სახლიდან გამოგაგდეს? ამ შუაღამისას რამ მოგიყვანა?

– რა იყო, ბიჭო... არ გაგიხარდა ჩემი დანახვა?

– გამიხარდა? რომელი შეყვარებული შენ მყავხარ, რომ სიხარულისგან და ბედნიერებისგან გული წამსვლოდა? საქმე გაქვს რამე?

– ჰო, საქმე მაქვს. დიდხანს ვიდგებით

სადარბაზოში?

– უკვე ვწვებოდი. მინდოდა, ცოტა ადრე დამეძინა... – შეყოყმანდა ზუკა. გიგი გაცხარდა:

– სახალში არ მიშვებ, ტო?! რა დროს ძილია ათის ნახევარზე. გეუბნები, სალაპარაკო მაქვს და შემომიშვი.

– წამოდი, სამზარეულოში დავსხდეთ. დედაჩემი მაინც არ არის სახლში და ყავასაც მოგიდუღებ.

– არ მინდა შენი მოდუღებული ყავა. არც სამზარეულოში ჯდომა მინდა ჭორიკანა ქალივით, – გიგიმ ზუკას ბუზღუნს ყურადღება არ მიაქცია, გეზი პირდაპირ მისი ოთახისკენ აიღო და კარიც უცერემონიოდ შეაღო... შეაღო და გაოგნდა...

– რა არის, ბიჭო, ეს? – ჰკითხა, როცა პირველმა შოკმა გაუარა.

– გიგი, ახლა არ დამიწყო... ეს ჩემი პირადი, კერძო ტერიტორიაა. ჯერ შემომეჭერი და, ახლა ჭკუის დარიგებასაც თუ დამიწყებ, აჯობებს, წახვიდე. სერიოზულად გეუბნები, ჩხუბი არ მინდა, მით უმეტეს – საკუთარ სახლში.

– ზუკა... – ამოიოხრა გიგიმ, – უკვე რეალურად მგონია, რომ ნორმალური არ ხარ... არც კი ვიცი, ამას რა დავარქვა, – გიგიმ ხელი გაიშვირა და კედლებზე გაკრულ, ლიზას უამრავ პორტრეტზე მიუთითა, – გააფრინე?

– შენ რა გადარდებს და გაწუხებს? ეს ჩემი ჰობია.

– რა არის, ბიჭო, ჰობი? დიდი ხანია, ფოტოგრაფიამ გაგიტაცა? თანაც, პორტრეტულმა, და, ისიც, ერთი კონკრეტული ქალის ფოტოგრაფიამ?! უკან დასდევ და სურათებს უღებ? ეს კიდევ რა არის?!. – გიგი გაშტერდა: მაგიდაზე იდგა ჭიქა ლიზას ფოტოთი, მაისური – ლიზას გამოსახულებით და ისევ უამრავი ფოტო...

ზუკა დივანზე ჩამოჯდა, გულზე ხელები დაიკრიფა და, საბრძოლველად შემართული, ჯიქურ მიაშტერდა მეგობარს.

გიგიმ ამოიოხრა:

– ზუკა, შენ, მგონი, ვერაფერი გაიგე. შაბათს იმ წვეულებაზე ხომ მივდივართ?

– მერე? – აიქოჩრა ზუკა.

– ბიჭო, ნუ გიჟდები. ეს ამბავი კარგს არაფერს მოგიტანს. მაშინებ უკვე, ძალიან მაშინებ.

– ფოტოგრაფიაში საშიში რა ნახე?

– ის, რომ არაადეკვატურს გხდის. თანაც, აქ პეიზაჟებს, რაღაც, ვერ ვხედავ.

– მე რაც მომწონს, იმას ვიღებ და ეს არავისი საქმე არ არის.

– გასაგებია, რომ ეს შენი პირადი საქმეა, მაგრამ, მარტო ხომ არ ხარ?

– რას ნიშნავს – „მარტო არ ვარ"?

– იმას, რომ არსებობს სამეგობრო, სამსახური, სოციუმი, ბოლოს და ბოლოს.

– კარგი, რა, შენ მაინც როგორ მელაპარაკები ამაზე.

– ვითომ, მე რა ვარ? – ჩაეცინა გიგის.

– ის ხარ, რომ არასდროს გაგიწევია ანგარიში არც სოციუმისთვის, არც სამსახურისთვის და არც მეგობრებისთვის, როცა საქმე შენს პირადულს შეხებია. არ ვარ მართალი?

– არ ხარ მართალი, და გეტყვი, რატომ: ჩემი პირადულით პრობლემა არავის შექმნია.

– მე ვის ვუქმნი პრობლემას, შენ?

– მარტო მე რომ ვიყო, ხმას როგორ ამოვიღებდი, მაგრამ, ვახო? მასზე საერთოდ არ ფიქრობ?

– რა გინდა, გიგი? იმიტომ მოხვედი, რომ შაბათს წვეულებაზე წამოსვლა გადამაფიქრებინო?

– არა, მაგრამ, უნდა ვიცოდე, რომ იქ ისეთს არაფერს მოიმოქმედებ, რაც შენ და ჩვენ დაგვაზარალებს.

– ხელწერილი ხომ არ დაგიწერო? – დაცინვით ჩაილაპარაკა ზუკამ. იცი, რას მივხვდი? შენ გშურს ჩემი.

გიგის ჯერ გაეღიმა, მერე სიცილი აუტყდა, სული რომ მოითქვა სერიოზულად ჰკითხა:

– შენ ეს მართლა გგონია?

– დიახ, მართლა და ამის სრული საფუძველიც გამაჩნია.

– რა საფუძველი, ბიჭო, შენ სრულ ჭკუაზე ხარ?

– აბსოლუტურად. თავი მაგარი ტიპი გეგონა, მაგრამ, შეყვარებულმა „დაგადო". ახლა პირადი ცხოვრება აღარ გაქვს, შენ თვითონ არ იცი, რა გინდა და ჩემზე დაიბოღმე.

– გათხოვილი ქალი რომ გიყვარს, ამაზე ვარ, შენი მოკლე ჭკუით, დაბოღმილი?

– რატომაც არა! მე მიყვარს და ბედნიერი ვარ ამით, შენ კი უაზროდ დახეტიალობ და ნინის შემდეგ ერთი რომანიც არ გქონია.

– არ მინდა და იმიტომაც არ მაქვს.

– თავს ნუ იმართლებ, უფრო საცოდავი ხარ ამით.

– მაგარი საცემი ხარ, მაგრამ, რა აზრი აქვს, – ხელი ჩაიქნია გიგიმ, – მოკლედ, მითხარი, რას აპირებ.

– არაფერს. შეგიძლია, მშვიდად იყოთ შენც და ვახოც. თუმცა, მეეჭვება, ვახოს ასეთი ფობია გასჩენოდა. შენი ინტერპრეტაციებია ეს ყველაფერი.

– ანუ, მოდიხარ შაბათს?

– ეგ უკვე შენ არ გეხება. მეც ისევე დამპატიჟეს, როგორც ყველა სხვა და, გადაწყვეტილებასაც თავად მივიღებ.

– კარგი. მე წავედი, მაგრამ, იცოდე, თუ იქ რამე მოხდება, მე შენ ვერ დაგიცავ.

– არც მჭირდება, როგორმე თვითონ ვიზრუნებ საკუთარ უსაფრთხოებაზე.

გიგიმ ხელები გაშალა და სიტყვის უთქმელად გაემართა კარისკენ...

***

ვახომ ცოლი შემფასებლის თვალით შეათვალიერა.

– მაგრად გიხდება, იცი?

ქეთი გაიბადრა:

– მართლა?

– ჰო. ცოტა ძვირი კი დამიჯდა ეს სილამაზე, მაგრამ, ღირდა.

– ახლა, არ იწუწუნო, – ყასიდად გაბრაზდა ქალი.

– არა, არა, პირიქით, ძალიან კმაყოფილი ვარ. თვალისმომჭრელად გამოიყურები.



ქეთი შემობრუნდა და ქმარს კისერზე ჩამოეკიდა:

– ისეთი საყვარელი ხარ, ისეთი... როგორ შეიძლებოდა, შენთან მეჩხუბა?

– აუჰ, ძლივს არ მიხვდი? გეუბნებოდი, კარგი ქმარი გყავს-მეთქი და არ მიჯერებდი, – შეიფერა ვახომ.

– ახლა, თავში ნუ აგივარდება. რამდენ ხანში გავდივართ?

– რა ვიცი, ოთხზე ვართ დაპატიჟებული. დავაგვიანოთ?

– არა, რატომ?

– მაშინ, მეც ჩავიცვამ. შენ ლიზას დაურეკე?

ქეთის გაუკვირდა.

– უნდა დამერეკა?

– რა ვიცი, მეგონა, დაურეკავდი. დიასახლისი ხომ ლიზაა.

– მე ჩემს ქმარს უნდა ვახლდე წვეულებაზე, ასე უფრო მომწონს.

– მეც მომწონს... – გაეღიმა ვახოს, – როგორც მივხვდი, ნატოც აღარ მოდის.

ნატოს ხსენებაზე ქეთი მოიღუშა:

– არა, არ მოდის.

– გადაიფიქრა თუ შენ აღარ შეგითავაზებია?

– ნატოსთან აღარ ვმეგობრობ, – თქვა ქეთიმ და მაშინვე ინანა. ვახო აუცილებლად ჰკითხავდა მიზეზს და არც შემცდარა.

– იჩხუბეთ? მაშინდელი ჩემი ნათქვამის გამო ხომ არა?

– არა... – ქეთის ენა დაება და ერთბაშად ვერ მოიფიქრა, რა უნდა ეპასუხა, – სამსახურში გვქონდა რაღაც პრობლემა და კარგად არ მოიქცა.

– პაციენტი ვერ გაიყავით? – ღიმილით ჰკითხა ვახომ.

– შენ არ გეწყინოს, არ მინდა ამაზე ლაპარაკი. მარტო მე არ მეხება და იმიტომ.

– კარგი, ბატონო, არ მწყინს, – მხრები აიჩეჩა ვახომ, – იმედია, კარგად გავერთობით...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. სათვალით დაიწყეთ ჯეკსონის ხატვა



2. მიახატეთ შუბლი

3. შემდეგ – სახის ნაწილი და ცხვირი





4. დაასრულეთ სახის ხატვა



5. მიახატეთ პირი და თმა



6. დაასრულეთ თავის ხატვა



7. მიახატეთ ტანიც



8. დაასრულეთ ნახატი



9. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## კვადრატებში ჩაწერე ბუშტების რაოდენობა ფერების მიხედვით



# ცხენი და ვირი

## (იგავ-არაკი)

ერთ კაცს ერთი ვირი და ერთი ცხენი ჰყავდა. ერთხელაც მძიმედ დასაპალნებული ვირი ცხენს შეეხვეწა:

– ძმაო, თუ გინდა, არ მოვკვდე, მადლი მოისხი, ტვირთი შემიმსუბუქეო.

ცხენმა ვირის თხოვნა შორს დაიჭირა. საბრალო ვირი დავარდა და ფეხები გაფშიკა. პატრონმა აიღო, მთელი ტვირთი ცხენს აჰკიდა და ვირის ტყავიც ზედ მიაყოლა.

– ვაი, ჩემს რეგვენ თავს, – მწარედ აცრემლდა ცხენი, – რა ხათაბალაში გავები. წელან მცირე არ ვიყაბულე, ახლა კი მთელი ბარგიბარხანა და ვირის ტყავიც მე უნდა ვათრიოო.

## რიცხვრებუსი

,6,,, ,5, 17,,,,,,,, 10,,



# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-18(697)

ლენინგრადში სამი კვირა გავჩერდით და ისეთი საუცხოო დრო ვატარეთ, ოცნებაშიც კი ვერ წარმოვიდგენდი. თავდაპირველად, ეგრეთ წოდებულ „ტალკუჩკაზე“ წავედით, სადაც ბარიგები იკრიბებოდნენ და ორ-ორი ხელი ტანისამოსი შევიძინეთ, კოხტად გამოვეწყვეთ და საუკეთესო რესტორნები და ერთმანეთზე უკეთესი ტანწერწეტა რუსი გოგონები არ დაგვიკლია. მე და სევა ერთმანეთს პულკოვოს აეროპორტში დავშორდით. ის სოჭში მიფრინავდა, მე – თბილისში და გამომშვიდობებისას მითხრა:



– აი, ჩასხდომა გამოაცხადეს. ნახვამდის, კობრა, შეხვედრამდე.

– ნახვამდის სევა, აბა, შენ იცი, – მივუგე ძმაკაცს და გადავეხვიე.

ერთი საათის შემდეგ ჩემი თვითმფრინავიც აფრინდა, სამ საათში უკვე თბილისში ვიყავი და კერძო ტაქსით მთაწმინდაზე მივდიოდი.

– ლენინგრადიდან ჩამოფრინდი, ძმაკაც? – მითხრა შუა ხნის ულვაშა ტაქსისტმა და „პობედა“ ადგილიდან დაძრა.

– დიახ, – მოკლედ ვუპასუხე ტაქსისტს.

– საგულაოდ იყავი, ჯიგარ?

– ვსწავლობ.

– რა სპეციალობაზე, ბრატ?

– იურიდიულზე.

– საღოლ, ძმაკაც, საღოლ. ადვოკატი უნდა გამოხვიდე თუ მოსამართლე? – არ მეშვებოდა აბეზარი ტაქსისტი, რომელსაც მივუგე:

– პროკურორი ან გამომძიებელი.

გვერდით „ჟიგულიმ“ ჩაგვიქროლა. მძღოლმა ხელი გადმოყო და ტაქსისტს ანიშნა, გაჩერდიო.

– მგონი, შენი კოლეგები არიან. უგროზისკია, – მითხრა მძღოლმა და მანქანა ტრასის ნაპირზე გააჩერა. „ჟიგულიდან“ მილიციის სამმართველოს ოთხი „ოპერი” გადმოვიდა, რომლებსაც სახეზე ვიცნობდი, „პობედასთან“ მოცვივდნენ, კარები გააღეს და ერთ-ერთმა მათგანმა გვიბრძანა:

– ჩქარა, მანქანიდან გადმოდით!

– რა ხდება, უფროსო, ხომ არაფერი დაგვიშავებია? თქვენი კოლეგა მიმყავს სახლში, – უთხრა ტაქსისტმა ოპერს და ჩემზე მიანიშნა.

– ვინ ჩვენმი კოლეგა? – ჩაეცინა „ოპერს”.

– აი, ეს ახალგაზრდა კაცი, – თქვა ტაქსისტმა და ხელი ჩემკენ გამოიშვირა.

– კობრა, ძაღლობაში დაიწყე მუშაობა? – ირონიულად მკითხა ოპერმა, – ჩანთაში რა გაქვს?

ჩემი წილი ნაქურდალი ნივთებით სავსე პატარა ჩანთა აეროპორტის შემნახველ საკანში მქონდა ჩაკეტილი. თბილისში რომ ჩამოვფრინდი, გულმა მიკარნახა, ასე მოვქცეულიყავი და არც შევმცდარვარ. სპორტულ ჩანთაში კი „ტალკუჩკაზე“ შეძენილი ტანსაცმელი და დედმამისთვის ნაყიდი საჩუქრები მელაგა. ამიტომ, ოპერს მშვიდად ვუთხარი:

– შმოტკები და სუვენირები.

– აბა, ერთი შენი ჩანთიანად გადმოდი მანქანიდან, – მითხრა ოპერმა და რომ გადავედი, დაამატა: – ჩანთა მომეცი.

– აი, ნახე, მაგრამ, გაფრთხილებ, არაფერი ჩამიგდო, – ვუთხარი ოპერს და ჩანთა მივაწოდე.

ოპერმა გულდასმით გაჩხრიკა ჩანთა და უკან რომ დამიბრუნა, მითხრა:

– ლენინგრადში ვერაფერი იჩალიჩე თუ ნაჩალიჩარი უკვე გაასუხარე?

– რა ნაჩალიჩარი, რის ნაჩალიჩარი, – მხრები ავიჩეჩე მე, – ლენინგრადში ექსკურსიაზე ვიყავი ქალაქის დასათვალიერებლად.

– ექსკურსიაზე თუ გასტროლებზე? – ჩაეცინა ოპერს.

– რომელი მსახიობი ან მომღერალი მე ვარ, რომ გასტროლებზე ვიარო?

– ქურდულ გასტროლებზე, კობრა... ქურდი ხომ ხარ? მამა გიცხონდა, ჯერ არაფერი მოგიპარავს და არაფერი დაგიშავებია.

– რაც დავაშავე, იმის გამო სროკიც მოვიხადე. ეგ სიტყვები კი ცილისწამებაა და მეტი არაფერი.

– ერთი ამას უყურე, ცილისწამებაო, – თქვა ოპერმა, კოლეგებს გადახედა, შემდეგ ისევ მე მომიბრუნდა და დაამატა: – ახლა სამმართველოში წაგიყვანთ და იქ გაჩვენებთ, რა არის ცილისწამება. აბა ერთი ჩვენს მანქანაში ჩაჯექი.

– მე კი ჩავჯდები და წამოვალ, მაგრამ, არა მგონია, თქვენი საქციელი ძია ბესოს მოეწონოს.

– ეგ ვილა ოხერია? – გაეცინა ოპერს.

– ვისზე მეკითხები? – ვკითხე ოპერს.

– ვიღაც ძია ბესოზე, – დააზუსტა ოპერმა.

– ვინაა და პოლკოვნიკი ბესარიონ აბრალავა. ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი, – განვუმარტე ოპერს, რომელსაც სახეზე მწვანე ფერმა გადაჰკრა, მაგრამ, შეეცადა, არ შეემჩნია და მითხრა:

– ამხანაგი პოლკოვნიკი რა შუაშია?

– იმ შუაშია, რომ, არა მგონია, თქვენი უკანონო საქციელი მოეწონოს.

– შენი ახლობელია?

– ეგ სამმართველოში გავარკვიოთ. წავედით, – მივუგე „ოპერს” და „ჟიგულისკენ“ გავემართე, მან კი ხელით შემაჩერა და მითხრა:

– არა, ძმაო, რა საჭიროა. სუფთა ხარ და შენი გზით იარე. ჩვენ კი წავედით.

ოპერები „ჟიგულიში“ ჩასხდნენ, კარები მიიხურეს და მანქანა ადგილიდან მოწყვიტეს. მე კი „პობედაში“ დავბრუნდი და მძღოლს ვუთხარი:

– წავედით!

ტაქსისტი, რომელიც მანამდე უხმოდ ადევნებდა თვალყურს ჩემსა და ოპერებს შორის დიალოგს, უცებ მოეგო გონს, საჭეს მიუჯდა, მანქანა ადგილიდან დაძრა და მითხრა:

– ჩვენიანი ყოფილხარ, ძმაო. საღოლ, „ძაღლები” რა მაგრად მოიშორე! „ძაღლების” დედაც... ლენინგრადში საჩალიჩოდ იყავი?

– ექსკურსიაზე, – მოკლედ მოვუჭერი ტაქსისტს, რომელსაც დანარჩენი მგზავრობის განმავლობაში ხმა არ ამოუღია და ფული რომ მივეცი, მხოლოდ მადლობა გადამიხადა.

სახლში არავინ დამხვდა, რადგან ჩემები სამსახურში იყვნენ. მე ტანსაცმელი გამოვიცვალე, უბრალოდ ჩავიცვი და აეროპორში ტაქსით წავედი. შემნახველი საკნიდან ნაქურდალი ნივთებით სავსე ჩანთა გამოვიღე და უკან ავტობუსით დავბრუნდი, რათა ისევ „ოპერებს” არ გავეჩერებინე გზაში. მიუხედავად ამისა, ინციდენტს ისევ ვერ ავცდი: ორიოდე კილომეტრი რომ გავიარეთ, ჩვენი „იკარუსი“ გაჩერდა, ავტობუსში ავტომატით შეიარაღებული რიგითი ჯარისკაცი ამოვიდა და გვიბრძანა:

– ყველანი ქვემოთ ჩამოდით და ერთ მწკრივში მოეწყვეთ!

„წუხელ ციხიდან პატიმრები გაიქცნენ და, ალბათ, იმათ ეძებენ“, – მომესმა ზურგსუკან მამაკაცის სიტყვები, რომელიც თავის მეზობელს ელაპარაკებოდა.

„ესლა მაკლდა“, – გავიფიქრე გუნებაში, ნაქურდალი ნივთებით სავსე ჩანთა იღლიაში ამოვიდე, ავტობუსიდან ჩავედი და მწკრივში ჩავდექი, უცებ ვიღაცამ ყელზე მომხვია ხელი, ხერხემალზე იარაღი მომადო და შეიარაღებულ სამხედროებს უღრიალა:

– გამატარეთ, თორემ, ამ ბიჭს მოვკლავ!

სამხედროებმა ავტომატი მოგვიშვირეს. შინაგანი ჯარის ოფიცერმა კი ისინი გააჩერა და ჩემს ზურგს ამოფარებულ მამაკაცს დაუძახა:

– დამშვიდდი! მძევალი არ მოკლა, არ გესვრით!

– გამატარეთ, თორემ, კეფას გავუხვრეტ! – იღრიალა მამაკაცმა და იარაღი კეფაზე მომაჭირა, თან დაამატა, – მილიციის მანქანით წავალ და ხელი არ შემიშალოთ!

– კარგი, წადი, – გამოსძახა ოფიცერმა მამაკაცს და ჯარისკაცს უბრძანა:

– იარაღები დაუშვით და გაატარეთ!

ჯარისკაცებმა ოფიცრის ბრძანება შეასრულეს. ჩვენ მილიციის „ჟიგულისთან" მივედით და მამაკაცმა მითხრა:

– საჭესთან დაჯექი და წადი!

მე საჭეს მივუჯექი, მამაკაცი უკან ჩაჯდა, იარაღი სკამის ზურგს მიადო და მითხრა:

– რამე არ მიჭქარო, თორემ, დაგბრიდავ.

მე მანქანა ადგილიდან დავძარი და ქალაქისკენ წავიყვანე, ჩანთა კი ფეხებს შუა ჩავიდე, თან მარცხენა სარკეში ჩავიხედე, რომელშიც სამხედროებისა და მილიციელების მდევარი მანქანები მოჩანდნენ.

– სად მიგიყვანო? – ვკითხე მამაკაცს, მან კი კბილებში გამოცრა:

– დამცინი?

მე, რა თქმა უნდა, ირონიული კითხვა დავუსვი ციხიდან გაქცეულს, მაგრამ მხრები ავიჩეჩე და ვუთხარი:

– საიდან მოიტანე, რომ დაგცინი?

– აბა, რა ტაქსისტივით მეკითხები?

– ჰო, მაგრამ, სადღაც ხომ უნდა ჩამოხვიდე?

– აბა, მე რა ვიცი, სად უნდა ჩამოვიდე! მთავარია, ამ ბოზებს გავექცე! – ღრიალებდა მამაკაცი, თან პისტოლეტიან ხელს აქეთ-იქით ძალიან ნერვიულად იქნევდა.

– ძმაო, ეგ სათამაშო არ გაგივარდეს, თორემ თუ მომარტყი, „ძაღლები" ან აგვაგდებენ, ან დაგბრიდავენ. ამიტომ, დამშვიდდი, პუშკა შეინახე და მომენდე.

– სათამაშოს გაჩვენებ, კეფას რომ გაგიხვრეტ! – აყვირდა მამაკაცი და იარაღი კეფაზე მომადო.

მე სვლა შევანელე და მამაკაცს ვუთხარი:

– იარაღი შეინახე და მოკეტე! ახლა „ძაღლებს" მოვუტყდებით...

მანქანა ადგილიდან მოვწყვიტე, მდევრებს მოვწყდი და მანევრირება დავიწყე. მივქროდი, თან თვალწინ სევა მედგა, რომელიც სოჭის ტრასაზე და ქუჩებში დიდი ოსტატობით გაექცა მილიციას. უკვე საკმაოდ ბნელოდა და გიჟური რბოლა ლამპიონებით განათებულ თბილისის ქუჩებში მიწევდა. მდევარს ჯერ კიდევ ავლაბარში დავუსხლტი ხელიდან. „ჟიგული" ერთ-ერთ ჩიხში მივატოვეთ და მამაკაცს ვუთხარი:

– ახლა შენ შენი გზით წადი, მე კი ჩემი გზით წავალ.

– მადლობა, ძმაო, რომ გამომიყვანე და ბოდიშს გიხდი, – მითხრა მამაკაცმა და მკითხა, – ისეთი რა გიდევს მაგ ჩანთაში, რომ მთელი გზა ხელიდან არ გაგიშვია?

– მოპარული ძვირფასეულობა, – მივუგე მამაკაცს, მას კი გაეცინა და მითხრა:

– შაყირობ?

– აი, ნახე, – ვუთხარი მას, ჩანთა გავხსენი და ძვირფასეულობა დავანახვე.

– წავედი, – მითხრა მამაკაცმა და შეტრიალდა, მე კი ათმანეთიანების დასტა ამოვიღე, დავუძახე და გავუწოდე.

– აი, გამომართვი, აქ ათასი მანეთია და გამოგადგება!

მამაკაცს ფული გადავუგდე, შემდეგ შევტრიალდი და ჩემი გზით წავედი. სახლში შუაღამეზე მივედი, მაგრამ პირდაპირ არ შევსულვარ. მოპარული ნივთებით სავსე ჩანთა სკვერში, ბუჩქებში დავმალე და ეზოსკენ მერე გავემართე. გავაღე თუ არა კარი, ორი ახალგაზრდა აქეთ-იქიდან ამომიდგა და ხელები მაგრად ჩამავლეს მკლავებში.



– რაშია საქმე? – ვკითხე მე. თუმცა მივხვდი, რომ მილიციის „ოპერებთან" მქონდა საქმე.

– მალე გაიგებ, – მიპასუხეს მათ, მანქანაში ჩამსვეს და წამიყვანეს.

„კიდევ კარგი, ჩანთა დავმალე", – გავიფიქრე გუნებაში, „ოპერებს" კი ვუთხარი:

– დღეს ერთხელ უკვე გამიტაცეს, ეს უკვე მეორეა.

„ოპერებმა" მილიციის სამმართველოში მიმიყვანეს და პირდაპირ აზრალავასთან შემიყვანეს, რომელმაც ყურადღებით შემათვალიერა და მითხრა:

– როგორ ხარ?

– ძია ბესო, დღეს უკვე ორჯერ მომიტაცეს და როგორ ვიქნები?

– ზუსტად რომ არ ვიცოდე, რაც მოხდა, ალბათ წარტყმა-წამორტყმა და სროკი არ აგცდებოდა, – მითხრა აზრალავამ, – ასეთი ტარება თუ შეგიძლია, შე დალოცვილო, მიდი და ავტორალისტი გახდი, ფულიც გექნება და სახელიც. ბიჭო, ცოტა ნელა ვერ იარე? ან, სულაც, ვეტყოდი, ტარება არ ვიციო და თავს დაგანებებდა, შენ კი გააქციე.

– თავიდან მასე ვუთხარი, მაგრამ, დამემუქრა, მოგკლავო და, რა უნდა მექნა?

– ბიჭო, მართლა რომ არ გცოდნოდა მანქანის ტარება, მაშინ?

– მაშინ მომკლავდა და ახლა მორგში ვეგდებოდი.

– მანქანა ავლაბარში ვიპოვეთ. საით გაიქცა?

– აბა, მე რა ვიცი, ძია ბესო. ჯერ შენ წადიო, მითხრა და, თვითონ სად წავიდა, რა ვიცი?

– მარშრუტი შენ აირჩიე?

– არა, თვითონ მკარნახობდა.

– დღეს ლენინგრადიდან ჩამოფრინდი, ხომ?

– დიახ.

– საჩალიჩოდ იყავი?

– არა.

აზრალავას ჩაეცინა და მითხრა:

– მეც უცებ არ დაგიჯერო.

– ძია ბესო, დედას გეფიცები, ლენინგრადში არაფერი მიჩალიჩია და საგულაოდ ვიყავი.

– აბა, სად ჩალიჩობდი?

– რაც ციხიდან გამოვედი, არსად.

– კარგი. ახლა ის მითხარი, აეროპორტში მეორედ რატომ წახვედი?

მე ველოდი ამ კითხვას და აზრალავას მშვიდად მივუგე:

– ჩანთა დამრჩა და იმის მოსაძებნად ვიყავი.

– მერე, იპოვე?

– ვიპოვე.

– ისეთი რა გქონდა შიგნით?

– საჩუქრები ჩემი საცოლისთვის, – ვუთხარი აზრალავას და მორიგი კითხვა რომ ამერიდებინა თავიდან, დავამატე: – მაგრამ, რად გინდა? იმ კრეტინმა რომ ამიყვანა მძევლად, მაშინ დავკარგე.

აზრალავამ ყურადღებით შემათვალიერა, თავი გააქნია და მითხრა:

– კარგად აწყობილი ზღაპარია, ვერაფერში შამოგედავები. ისე კი, ნამდვილად არ მჯერა შენი სიტყვების, ვიცი, რომ მატყუებ.

– არ გატყუებ, ძია ბესო, სიმართლეს გეუბნები. თუ აღარ გჭირდები, წავალ, რა...

აზრალავამ საათს დახედა და მითხრა:

– ღამის სამის ნახევარია. ტრანსპორტი არ მუშაობს და ტაქსის ფული გაქვს?

– არა.

– ბიჭები გაგიყვანენ. წადი.

პოლიციის სამმართველოს ოპერებმა ღამის 3 საათზე მიმიყვანეს სახლში, ჩემს ეზოსთან დამტოვეს და წავიდნენ. დედაჩემი აივანზე შემეგება, ჩამეხუტა და მითხრა:

– ამდენი ხანი სად იყავი?

– მძევლად ამიყვანეს, დედი, – მივუგე დედაჩემს.

– მძევლად?

– ჰო, დედი, მაგრამ, არა უშავს. სახლში შევიდეთ, მშია.

უკვე თენდებოდა, როცა ბუჩქებში დამალული, ძვირფასეულობით სავსე ჩანთა მოვძებნე და სახლში შევიტანე. შემდეგ მთელი ტავ-

**პრობლემების მოგვარებისა და საკუთარი მომავლის გაუმჯობესების უნიკალური შანსი!**

ხევისბერების შთამომავალი **ნანა მამაგულაშვილი**, წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებული ცოდნის გამოყენებით, დაგიდგენთ, რა არის თქვენი ფინანსური წარუმატებლობის თუ ნეგატიური აწმყოს მიზეზი.

დაგეხმარებათ, გათავისუფლდეთ უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედებისგან და დაგისახავთ პრობლემების გადაჭრის ეფექტურ გზებს.

გამოიყენეთ შანსი, გაიუმჯობესეთ ცხოვრება და იპოვეთ ბედნიერება!

**ტელეფონები: 599 05-36-05; 557 91 93 96.**



არი ვერცხლისქუჩელ ანზორას ჩავაბარე და კარგი მაყუთიც ავიღე. თუმცა, ანზორა, მინიმუმ ოთხჯერ მეტ „კუშს მოარტყამდა“...

– კობრა-ჯან, ალალი იყოს და მშვიდობაში მოიხმარე ეს ფული, – მითხრა ანზორამ, როდესაც ტავარის ფული მომცა. აშკარად ეტყობოდა, რომ დიდი სარგებელი მიიღო.

– შენ კი ბარაქა მოგცეს ღმერთმა, – მივუგე ანზორას და წამოვედი.

მიუხედავად იმისა, რომ კაპიტნის სეიფის საქმიდან მე და სევამ რამდენიმე მსხვილი წილი დავარიგეთ, ბევრი ხარჯიც გვქონდა და, თანაც, დარჩენილი ნივთები ძალიან იაფად გავყიდე, მაინც იმდენი ფული დამრჩა, მინიმუმ სამ ფეშენებელურ ბინას ვიყიდდი თბილისის ცენტრში, ზემოდან კი ორ ახალ ავტომობილსაც დავამატებდი. თუმცა, მსგავსი რამ ფიქრადაც არ გამივლია თავში და მთელი ფული გაჭირვებულების დახმარებასა და „გულაობაში“ დაიხარჯა, რომ არაფერი ვთქვა ზონებსა და ციხეებში შეგზავნილ „გრევებზე“. მთელი ჩემი ცხოვრება ასე გავატარე და პირადად ჩემთვის არც ბინა მიყიდია, არც აგარაკი, არც მანქანა, არც სხვა ძვირფასი ნივთი და, მით უმეტეს, არასოდეს ჩამიდევს ფული ბიზნესში. მე იმას არ ვამბობ, რომ უცოდველი და ფრთიანი ანგელოზი ვარ-მეთქი, მაგრამ, ქურდულ საქმეში არასოდეს ჩავჭრილვარ და არაქურდული არასოდეს ჩამიდენია. ბოლო სროკზე წასვლამდე ცოტა ხნით ადრე, ჩემი ძველი კოლეგა და მეგობარი შემხვდა მოსკოვში, რომელსაც ქურდის ტიტული ჰქონდა, პარალელურად კი მსხვილი ბიზნესის მეწილე იყო. მან რესტორანში დამპატიჟა, პოლნი წილი შემომთავაზა და მთხოვა, რომ მასთან ერთად მეჩალიჩა, რაზეც, რა თქმა უნდა, უარი მიიღო ჩემგან.

– კარგი, რა, კობრა, რომელ საუკუნეში ცხოვრობ, – მითხრა გაწბილებულმა კოლეგამ, – რა დროს ნეპმანელობა და იდეინობაა? ოცდაამეერთე საუკუნეში ვცხოვრობთ და ყველაფერს ახლებურად უნდა შევხედო.

– მაინც, რას? – ვკითხე მე, მან კი მიპასუხა:

– რას და, ქურდობას.

– დააკონკრეტე.

– ძმაო, ის დრო წავიდა, როცა ოჯახის შექმნისა და სახლ-კარის ყიდვის უფლება არ გვქონდა. რითი ვართ სხვებზე ნაკლები? თუკი ჩვენი პროფესიული მოღვაწეობის გამო მკაცრად ვისჯებით, ჯილდოც ხომ უნდა გვერგოს?

– მაინც, რა ჯილდოს ითხოვ?

– რას და, ჩემი ოფლით მონაპოვარს. თუკი ვიპარავ, ვრისკავ და თავს საფრთხეში ვიგდებ, იმის უფლება მაინც ხომ უნდა მქონდეს, რომ ჩემი მონაგარი რაშიც მინდა, იმაში დავაბანდო? რა, სწორი არ ვარ?

– არა! – მოკლედ მივუგე მე, მან კი მითხრა:

– ამიხსენი, რატომ?

– იმიტომ, რომ ქურდული იდეა მოპარვაა და ამ ფულით თანამოძმეებისა და პატიოსანი გაჭირვებული ხალხის დახმარება, მაგრამ, შენ წურბელობა გსურს, წურბელა კი ქურდი ვერ იქნება. კი ბატონო, უარი თქვი ქურდობაზე და იბიზნესმენე, რამდენიც გინდა. ან ქურდობა და ქურდული კანონების სრული მორჩილება, ან – დანარჩენი სხვა.

– ბევრს იცნობ ისეთ ადამიანს, ვინც სუფთა ქურდულად, იდეინად ცხოვრობს?

– ჩემთან რამე პრეტენზია გაქვს ამ კუთხით? – კითხვითვე ვუპასუხე მე.

– შენ გარდა.

– ჩვენნაირი ბევრი არაა და მეც სწორედ მანდ ვარ. თუ ასე გაგრძელდა, ნაღდი, იდეინი ქურდი აღარ დარჩება.

– ჩემი აზრით კი, იდეა უნდა შეიცვალოს და მეტი თავისუფლება მოგვეცეს.

– ქურდული საქმე ქურდულ იდეაზე დგას და ის რომ შეიცვალოს ჩვენს სახეს დავკარგავთ. იდეის შეცვლა არ შეიძლება და სწორედ იდეინებზე დგას ეს ქვეყანა. უიდეო არც ქურდი ვარგა, არც „ძაღლი“ და არც ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანი. თუ გინდა, რომ დიდი საქმეები აკეთო, პიროვნება უნდა იყო, ხოლო, პიროვნება რომ იყო, უნდა იყო „იდეინი“. ანუ, საქმისთვის თავდადებული და მისთვის თავის გაწირვა უნდა შეგეძლოს.

– ასეთები ძველი კომუნისტები იყვნენ.

– გეთანხმები და სწორედ ამიტომ შექმნეს მათ მსოფლიოში უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო, – ვუთხარი ჩემს ოპონენტს. მას კი თვალები გაუბრწყინდა და მითხრა:

– რომელმაც სამოცდაათი წელი იცოცხლა და დაიშალა – აი, შენი „იდეინების“ გაკეთებული საქმე. მათ რომ დროზე შეეცვალათ იდეა და დროს მორგებოდნენ, ეს ქვეყანა თავზე არ დაემხობოდათ.

– ტყუილია. ეს ქვეყანა, სწორედაც რომ, ყოვლად უიდეო ადამიანებმა დაანგრიეს. ასეა ჩვენთანაც. როდესაც ჩვენ ჩვენი ნებით ვიტყვით უარს ქურდულ იდეაზე და, შენი თქმის არ იყოს, „დროს ავყვებით“, სწორედ მაშინ გვეტირება დედა. ამიტომ, ძმაო, პიროვნება უნდა იყო და არა ქათამი. მეტსაც გეტყვი: მე იდეინი „ძაღლს“ უფრო მეტ პატივს ვცემ, ვიდრე გადაკეთებულ ქურდს.

ჩემი ნაცნობი დაიბნა და ხმა ვერ ამოიღო. საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კი მითხრა:

– პოლიტიკა ჩვენი საქმე არაა, შენ ის მითხარი, თანახმა ხარ თუ არა ჩემს წინადადებაზე და იჩალიჩებ თუ არა ჩემთან ერთად?

– ხომ გითხარი, არა-მეთქი. ეს ქურდულ იდეას ეწინააღმდეგება და არაქურდული საქციელია.

ნაცნობმა თავი გააქნია და მითხრა:

– შენზე მითხრეს, დროს ჩამორჩაო, მაგრამ, თუ მართლა ასეთი ძველმოდური იყავი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

– მე ქურდი ვარ და ამით ყველაფერია ნათქვამი. კარგად იყავი, – ვუთხარი და რესტორნიდან წამოვედი.

იმ ჩემს ნაცნობსაც იგივე ბედი ეწია, რაც გამაფიოზებული ქურდების უმეტესობას – ის ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის დედაქალაქში, მანქანაში ჩაცხრილეს და იმქვეყნად გაისტუმრეს, არადა, თავის დროზე საკმაოდ წარმატებული ქურდი იყო. თავისი პროფესიაც კარგად იცოდა და იდეინიც იყო. თუმცა, სიხარბემ და მომხვეჭელობამ მაინც თავისი ქნა და ცხოვრება ტრაგიკულად დაასრულა. ასეთი რამ, შეიძლება, ბოლომდე პატიოსან და იდეურ ქურდსაც კი შეემთხვ-

## მონატრება
## ზურაბ გოგობერიშვილი



მაისი დადგა, ზუკა, გაზაფხულის ულამაზესი თვე, შენი ოჯახისა და ახლობლებისთვის სევდიანი და ტკივილიანი. მეექვსე წელია, უშენოდ ვხვდებით გაზაფხულს. 12 მაისი წმიდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეა; 12 მაისი – შენი გარდაცვალების დღე. ყველაფერი ისე ხდება, როგორც უფალს სურს. მიწას ვატარებთ, მიწაზე დავდივართ და მიწადვე მივიქცევით.

საოცარი სითბო და სიყვარული დაგვიტოვე, ზუკა. ყველასგან გამორჩეული იყავი. ასეთი ფიზიკური სრულყოფილება, ჰარმონიულად შერწყმული სულიერ სილამაზესთან, რაც ასე შესამჩნევი იყო შენში, მართლაც იშვიათია. შენი ამქვეყნიდან გასვლა მეხის გავარდნას ჰგავდა. შენი ქორწილის დღიდან სულ რაღაც ორ კვირაში თუ დაგვტოვებდი, ამას ვინ იფიქრებდა.

„იმაზე დიდებული არაფერია, ვიდრე ღმერთთან მყოფი ადამიანი და, არაფერია იმაზე არარაობა, ვიდრე ადამიანი – ღმერთის გარეშე,“ – ბრძანებს წმიდა ბასილი დიდი.

21 წლის ბიჭმა მთელი საახლობლო ტაძარში მიიყვანე, უფალმა კი ნუგეშად შენი 4 წლის ულამაზესი ანდრია დაგვიტოვა.

**ოჯახი**

ას, მაგრამ, ის ბოლომდე ინარჩუნებს თავის შეუბღალავ სახელს; სახელი კი ქურდისთვის ბევრს ნიშნავს და მის შებღალვას არ დაუშვებს. სწორედ სახელის შებღალვა და პიროვნული ცილისწამებაა ქურდებთან მებრძოლი სტრუქტურების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და გავრცელებული მეთოდი და ბევრჯერ დადებითი შედეგიც კი მოუტანია ჩვენი მტრებისთვის. არაერთხელ მსმენია ჩემს კოლეგებზე გავრცელებული ჭორები და შევძრწუნებულვარ. მე და ჩემნაირები, რა თქმა უნდა, არასდროს წამოვგებულვართ მსგავს პროვოკაციაზე, მაგრამ, ასეთ ხმებს ჩვენთვის კი არა, ფართო მასებისთვის ავრცელებდნენ და იმაზე იყო გათვლილი, რომ ქურდული იდეის დისკრეტიზაცია მოეხდინათ და ქურდებისთვის ნიადაგი გამოეცალათ ფეხქვეშ.

ერთხელ ჩემთან ბერძენა მოვიდა და მითხრა:

– აზრზე ხარ, კობრა? თხუთმეტი წუთის წინ ვილაც ნაბოზარმა დამირეკა და მითხრა, კობრამ არასრულწლოვანი გოგონა გააუპატიურა და მილიცია ეძებსო.

– ეს ბოზები ხმებს გვივრცელებენ. უნდათ, რომ ჩირქი მოგვცხონ და ხალხში სახელი გაგვიტეხონ, – ვუთხარი ბერძენას. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. მე ყურმილი ავიღე და ვუპასუხე:

– გისმენთ!

– კობრა ხარ? – მკითხა მამაკაცის ბლატნოი ხმამ.

– კი. მე ვარ. შენ ვინ ხარ?

– ბიჭო, თუ ქურდი ხარ, მაშინ ქურდულად მოიქეცი და არა ბოზურად.

ასეთი სიტყვებისთვის, შემეძლო, უცნობისთვის შემეგინებინა და ყურმილი გამეთიშა, მაგრამ, მაინტერესებდა, რა უნდოდა და ვუთხარი:

– მაინც, რა პრეტენზია გაქვს ჩემთან?

– ის პრეტენზია მაქვს, რომ შენი ძმაკაცი ბერძენა პიდარასტია, კაცებს უწევება ლოგინში, შენ ეს იცი და ხელს აფარებ.

– შენ გიქნა რამე?

– მე კი არ მიქნა, მე ვუქენი.

– მაშინ, შენც პიდარასტი ყოფილხარ, შენი დედაც! – ვუთხარი უცნობს და ყურმილი გავთიშე.

– რა მოხდა? – მკითხა ბერძენამ, რომელსაც ყველაფერი მოვუყევი და დავამატე:

– ხედავ? მორიგი ანტიქურდული კამპანია დაიწყო.

ამ დროს ისევ ტელეფონმა დარეკა, განუწყვეტლივ რეკავდა და არ ჩერდებოდა, მაგრამ, ყურმილს არ ვიღებდი, რადგან, ვფიქრობდი, რომ ისევ ის პროვოკატორი მირეკავდა და ნერვების მოშლა არ მინდოდა.

– ღირსი არაა, რომ ამ ნაბოზარს თავი მოვაჭრა? – მითხრა ბერძენამ და აზრიალებულ ტელეფონზე მიმანიშნა.

თითქმის თხუთმეტწუთიანი განუწყვეტელი რეკვის შემდეგ ტელეფონი დადუმდა. ათი წუთის შემდეგ კი ჩემს კარზე ზრაგუნის ხმა გაისმა. კარი რომ გავაღე, ოთახში ჩვენი კოლეგა და მეგობარი ოთარ მესხი, მეტსახელად „მიშკა“ შემოვარდა და თქვა:

– ვაა, ორივე აქ ხართ?

– ჰო, რა მერე? რა მოხდა? – ჰკითხა ბერძენამ.

– დიდი ხანია, აქ ხართ?

– დილიდან. რა იყო, არ იტყვი? – ვუთხარი მე.

– თუ სახლში ხართ, ყურმილს რატომ არ იღებთ? მოვკვდი რეკვით და ტაქსით გამოვვარდი.

– შენ რეკავდი? – თქვა ბერძენამ, მე კი დავამატე:

– ტაქსით რატომ გამოვარდი? არ იტყვი, რა მოხდა?

– რაღა რა მოხდა, – თქვა მიშკამ, – ვილაც ნაბოზარმა დამირეკა და მითხრა, კობრა და ბერძენა ძალლებმა ბავშვის გაუპატიურების გამო ააგდესო.

– და, შენც დაიჯერე, არა? – გაეცინა ბერძენას.

– კი არ დავიჯერე, მაინტერესებდა, რა მოხდა და იმიტომ გირეკავდით, – თქვა მიშკამ.

– ის მოხდა, რომ ანტიქურდული კამპანია დაიწყო, ცუდ ხმებს გვივრცელებენ და ჩვენთვის სახელის გატეხა უნდათ, – ვუთხარი მიშკას და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი.

– ხედავ შენ?! ამათი ბოზი დედაც... – თქვა მიშკამ, – რა უნდა ვქნათ?

– რა და, ტელევიზიით უნდა გამოხვიდე და თქვა, „ძაღლები“ ბოზურ ხმებს გვივრცელებენ-თქო, – იხუმრა ბერძენამ.

– შენ შაყირობ და, ეს ბოზები უარესს იზამენ, – თქვა მიშკამ.

– ვერც ვერაფერს იზამ, – ვთქვი მე, – თავის მართლება რომ დაიწყო, ხალხი უფრო დაიჯერებს ტყუილს.

– მაშინ, აქედან უნდა ავახვიოთ, – თქვა მიშკამ.

– „ძაღლებსაც“ სწორედ ეგ უნდათ, რომ აქედან გაგვყარონ და ქურდული პალაჟენია მოსპონ, – თქვა ბერძენამ.

– აბა, რა ვქნათ, ვისმინოთ ჩვენზე ბინძური ჭორები? – თქვა მიშკამ.

– პირში ამას ვერავინ გვეტყვის – გვეტყვის და, პასუხსაც გავცემთ; ლაპარაკით კი, ისედაც ილაპარაკებენ, თუ უნდათ. რუსეთში რომ წავიდეთ, ხალხი მაშინ უფრო დაიჯერებს ამ ჭორებს და იტყვიან, დამნაშავეები იყვნენ, აქ არ დაედგომებოდათ და გაიქცნენო, – ვთქვი მე.

– კობრა მართალია, აქ უნდა დავრჩეთ. „ძაღლების“ დედაც და იმათიც, ვისაც ეს ჭორები სჯერა, – თქვა ბერძენამ.

იმ დღეს თბილისში მყოფი ყველა ქურდისთვის დაურეკავთ, მათთვის სხვადასხვა ბინძური ჭორი უთქვამთ და საღამოს სპონტანური ქურდული სხოდკა შეიკრიბა ჩემს სახლში. გადავწყვიტეთ, რომ ჭორებისთვის ყურადღება არ მიგვექცია. ბოლოს ვიქეიფეთ და ჩემი კოლეგები წავიდ-წამოვიდნენ, სახლში წავიდა ბერძენაც, მე კი მარტო დავრჩი და დაძინება დავაპირე, რომ ამ დროს ტელეფონმა დარეკა. „ალბათ, ისევ ის პროვოკატორია“, – გავიფიქრე გულში და გადავწყვიტე, ტელეფონი დილამდე გამომერთო, მაგრამ, მაინც ავიღე ყურმილი და ვუპასუხე:

– გისმენთ.



– კობრა, მარტო ხარ? – მკითხა ბესარიონ აბრალავამ.

– დიახ. რაშია საქმე?

– არ დაიძინო. შენთან საქმე მაქვს და თხუთმეტ წუთში მოვალ, – მითხრა მილიციის სამმართველოს უფროსმა და ყურმილი დაკიდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ აბრალავა უკვე ჩემ წინ, სავარძელში იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. საათმა სამჯერ დარეკა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ღამის 3 საათი იყო და პოლკოვნიკს ვკითხე:

– ხომ მშვიდობაა, ძია ბესო, მოხდა რამე?

– შენ მე ბავშვობიდან მიცნობ და, შეგიძლია, თქვა, რომ როდესმე უსამართლოდ მოვქცეულვარ? ან, საერთოდ, თუ გსმენია, რომ ბესარიონ აბრალავა ვინმეს უსამართლოდ მოჰქცევია?

– ნამდვილად არა, მაგრამ, ამას რატომ მეითხები, ძია ბესო?

– იმიტომ, კობრა, რომ, მინდა იცოდე, ამ საქმეში არანაირი წვლილი არ მიმიძღვის.

– რა საქმეში, ძია ბესო?

– რაში და, ქურდების წინააღმდეგ ხმების გავრცელებაში. ალბათ, ამ საკითხზე მსჯელობდა ქურდული სხოდკა, რომელიც ერთი საათის წინ დაიშალა შენს სახლში.

– მე არც მიფიქრია, რომ ეს თქვენ მოიფიქრეთ.

– არც მომიფიქრებია და მისი განხორციელების წინააღმდეგიც ვიყავი, მაგრამ, ვინ დაგიჯერა? – ხელი ჩაიქნია აბრალავამ, – დაწვრილებით ვერ გეტყვი, ვინ და რა, მაგრამ, ვინც ეს სისულელე მოიფიქრა, იმას ვუთხარი, რომ, ეს ყველაფერი, შეიძლება, ჩვენვე შემოგვიბრუნდეს ცუდად-მეთქი.

– მოკლედ, ასე, ჩემო კობრა, – მითხრა აბრალავამ, – მართალია, შენ ქურდი ხარ, მე კი მილიციის პოლკოვნიკი, მაგრამ, წლებების გარდა, კაცობაც არსებობს და, კაცურად გირჩევ, ცოტა ხნით მაინც წახვიდე საქართველოდან და ამ უბედურებას თავი გაარიდო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხე არ აგცდება და, რომც არაფერი დააშავო, მაინც გაგიჩალიჩებენ.

– მადლობელი ვარ, ძია ბესო, – ვუთხარი აბრალავას, რომელიც კარამდე მივაცილე და გავისტუმრე.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მეოცე საუკუნე ძალზე ბობოქარი იყო. ბევრ ქართველს მნიშვნელოვანი მოვლენების ეპიცენტრში მოუწია ყოფნა. მათ შორისაა სერგო ქავთარაძეც. მისი ბიოგრაფიის ნაკლებად ცნობილ მომენტებზე გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ნიკა თევზაძე.**

# რა ინტრიგები დაატრიალა და როგორ მოახდინა გადატრიალება რუმინეთში სერგო ქავთარაძემ

– სერგო ქავთარაძე მეტად რთული ბედის კაცია. დავიწყოთ იქიდან, რომ თავის დროზე პეტერბურგის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავებული, ანუ ბევრი ბოლშევიკისგან განსხვავებით, განათლებული კაცი იყო. ბათუმის შენარჩუნებაში მან მართლაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ქავთარაძეს ბუდუ მდივანის ჯგუფთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, რის გამოც სერგო ორჯონიკიძეს თვალში არ მოუვიდა. მან ქავთარაძეს ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმი” დასწამა. ეს კი მაშინ სერიოზული ბრალდება იყო. მოგვიანებით, ქავთარაძეს ტროცკისტობა დააბრალეს. 1929 წელს ის დააპატიმრეს და ტობოლსკის იზოლატორში მოათავსეს. გათავისუფლების შემდეგ, მას საბჭოთა სახელმწიფო აპარატში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა, მაგრამ 1936 წელს კვლავ დააპატიმრეს. მოგეხსენებათ, მაშინ რა დრო იყო, ქვეყანაში მასობრივი ტერორი მძვინვარებდა. საბედნიეროდ, ქავთარაძეს გაუმართლა. ის სხვა ოპოზიციონერებივით არ დახვრიტეს და პარტიიდან გარიცხვა აკმარეს. მოგვიანებით კი, პარტიაშიც აღადგინეს. ის 1941 წლიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელი იყო, ხოლო 1945 წელს, სტალინმა რუმინეთში საბჭოთა კავშირის ელჩად დანიშნა.



**ქავთარაძემ პირობა შეასრულა და მეფის ყველა მცველს უფლება მისცა, მონარქს ემიგრაციაში გაჰყოლოდა**

სტალინგრადის შემდეგ ჰიტლერული გერმანიის მარცხი აშკარა გახდა. რუმინულმა ელიტამ, უწინარეს ყოვლისა, ანტონესკუმ, დასავლეთთან სეპარატულ ზავზე ზრუნვა დაიწყო. სერგო ქავთარაძემ, რომელიც მაშინ საგარეო საქმეთა კომისარიატში მუშაობდა, მოლოტოვს ვრცელი მოხსენება მიართვა. ქავთარაძის მოხსენებით პირადად სტალინი დაინტერესდა. ქავთარაძე ყურადღებას გენერალ ანტონესკუს ფიგურაზე ამახვილებდა. ის მართლაც ძალიან ძლიერი პიროვნება გახლდათ. თუკი ანტონესკუ რუმინეთს ომიდან გამოიყვანდა, ანუ ხელისუფლებაში დარჩებოდა, ამ ქვეყნის სოვეტიზაცია და რუსეთის გავლენის სფეროში მოქცევა, გამორიცხული იყო. „უწინარეს ყოვლისა, ანტონესკუს მოშორებაა აუცილებელი,” – ამტკიცებდა ქავთარაძე. ის მიიჩნევდა, რომ უნდა გათამაშებულიყო მეფე მიხაისა და ანტონესკუს შორის კონფლიქტი: ახალგაზრდა მეფისათვის უნდა მიეცათ გარანტია, რომ საბჭოთა კავშირი რუმინეთის სოვეტიზაციას არ მოახდენდა და მიხაი ტახტს შეინარჩუნებდა. სტალინს ეს ჭკუაში დაუჯდა. მალე საბჭოთა სპეცსამსახურებმა მიხაისთან კონტაქტი დაამყარეს. მეფე მიხაის ბრძანებით, ანტონესკუს აპატიმრებენ, გერმანიასთან კავშირის გაწყვეტა კი უკვე ახალმა მთავრობამ განახორციელა.

1945 წელს რუმინეთში საბჭოთა კავშირის ელჩად სერგო ქავთარაძე ინიშნება. მისი ამოცანა პრორუსული გადატრიალების ორგანიზება და მარიონეტული ხელისუფლების დამყარება იყო. ქავთარაძე მიიჩნევდა, რომ პირველ ეტაპზე კომპარტია ერთგვარად გვერდზე უნდა გაწეულიყო, წინა პლანზე კი წამოწეულიყო არაკომუნისტური მასიური ორგანიაცია, რომელიც საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ იქნებოდა მართული. ასეთი იყო მიწათმოქმედთა ფრონტი. მისი ლიდერი ვინმე პეტრუ გროზა გახლდათ. გროზას მიზანი ხელისუფლებაში ყოფნა იყო და ამისთვის მზად იყო ყველაფერზე წასულიყო, მათ შორის საკუთარი სამშობლოს სუვერენიტეტის შეზღუდვაზეც.

ქავთარაძის პროტეჟე მსხვილი მემამულე გახლდათ, თანაც მორწმუნე. აშენებდა ეკლესიებს, ცხოვრობდა ეკლესიურად. მაშინ რუმინეთის კომპარტიაში ორი დაჯგუფება არსებობდა. პირველს გეორგიუ-დეჟი ედგა სათავეში, მეორეს – ანა პაუკერი. ქავთარაძის აზრით, კრემლს მხარი გეორგიუ-დეჟის მომხრეებისათის უნდა დაეჭირა, რასაც ავაკუმოვი არ დაეთანხმა. ის მხარს ანა პაუკერს უჭერდა. სტალინმა ქავთარაძის პოზიცია გაიზიარა.

შემდგომი მოვლენებიც ქავთარაძის სქემით განვითარდა. კომუნისტებმა და გროზას მომხრეებმა რუმინეთში მასობრივი გაფიცვები დაიწყეს. ამას რუმინული ხელისუფლების წარმომადგენელთა ტერორიც ერთვოდა. მთელი ამ საქმიანობის კოორდინაცია საბჭოთა საელჩოდან ხდებოდა. შედეგად, რუმინეთის პრემიერმა გენერალმა რედესკუმ სიტუაციაზე კონტროლი მთლიანად დაკარგა.

**– მას წინააღმეგობის გაწევა არ უცდია?**

– რედესკუს შესაძლებლობები შეზღუდული იყო. ომის შედეგად რუმინული არმია განადგურდა, დაილუპა 600 000 მეომარი. ვინც გადარჩა, ან ემიგრაციაში წავიდა, ან რუსებს ტყვედ ჩაუვარდა და თავი ციმბირში ამოჰყო. მართალია რედესკუმ რაღაც ძალის კონცენტრაცია მოახერხა და რუსული აგენტურის განეიტრალებასაც შეეცადა, მაგრამ საქმეში სერგო ქავთარაძე ჩაერია.

**– მისი ჩარევა გადამწყვეტი იყო?**

– ქავთარაძემ რედესკუს უთხრა, რომ წინააღმეგობის გაწევა გენერლისთვის სავალალო შედეგებით დამთავრდებოდა. რედესკუს ისღა დარჩენოდა, ქავთარაძის პირობები მიეღო. ის თანამდებობიდან გადადგა და ემიგრაციაში წავიდა. ახალი პრემიერის დანიშვნის საქმეში კი, გადამწყვეტი სიტყვა რუსებს ეკუთვნოდათ, რადგანაც რუმინეთს უკვე მთლიანად რუსული არმია აკონტროლებდა. ქავთარაძის რეკომენდაციით, პრემიერის პოსტი პეტრუ გროზამ დაიკავა. შემდგომში რუმინელები ამბობდნენ, გროზა პრემიერის სავარძელში ქავთარაძემ ჩასვაო.

**– ანუ გადატრიალება განხორციელდა?**

– გადატრიალება ამით არ დასრულებულა. გროზამ ყველა წამყვან თანამდებობაზე კომპარტიის წევრები ან საბჭოთა აგენტები დანიშნა. ძალოვანი ბლოკი, ეკონომიკური სტრუქტურები მთლიანად კომპარტიის კონტროლქვეშ მოექცა. რუსი ჩეკისტების დახმარებით, აღმოცენდა კომუნისტური უშიშროება – სეკურიტატე, რომლის ხელმძღვანელობაც მთლიანად საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული რუმინელი კომუნისტებით დაკომპლექტდა.

**– ნუთუ, გროზას არ უცდია საკუთარი თამაში ეთამაშა? რაც არ უნდა იყოს, პრემიერ-მინისტრი იყო.**

– გროზა ხედავდა, რომ რეალურ ძალას საბჭოთა არმია წარმოადგენდა. ისიც ზუსტად გათვალა, რომ ურჩობა ძვირი დაუჯდებოდა. მართლაც, მისი პარტიის ზოგიერთი წევრი, რომელმაც რუსების დიქტატის გამო პროტესტი განაცხადა, დააპატიმრეს და დახვრიტეს. გროზას მათ დასაცავად კრინტიც არ დაუძრავს. მეტიც, რეპრესირებულთა შორის, გროზას ახლო ნათესავებიც მოხვნენ. პრემიერ-მინისტრმა არც ერთი მათგანი არ დაიცვა. ქავთარაძემ კანდიდატურა მართლაც დიდებულად შეარჩია.

**– გროზას რა ბედი ეწია?**

– კომუნისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ, პრემიერის თანამდებობა გეორგიუ-დეჟმა დაიკავა. გროზა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ გადაიყვანეს და ეს საპატიო, მაგრამ არაფრის მომცემი, თანამდებობა სიკვდილამდე ეკავა. მისი პარტია აიკრძალა, უფრო სწორად, პარტია აიძულეს, თვითლიკვიდაციის შესახებ განეცხადებინა. მიწათმოქმედთა ფრონტის წევრების ნაწილი დახვრიტეს, სხვებს ბანაკებში უკრეს თავი. ვინც გადარჩა, ისინი კომპარტიის წევრები გახდნენ. თავად გროზა კომპარტიაში არ შევიდა. ამბობენ, სიკვდილის წინ მღვდელს აღსარება ჩააბარა და ცოდვები მოინანიაო. იმასაც ამბობენ, გეორგიუ-დეჟი დაიბარა და უკანასკნელი სიტყვებით აგინა. თუმცა ეს, რასაკვირველია, ლეგენდები არ არის. ის მხოლოდ 1947 წელს დასრულდა, როცა მონარქია დაემხო. იმ დროისთვის რუმინეთი უკვე კომუნისტური ქვეყანა გახლდათ. პარადოქსია, მაგრამ მანამდე, მონარქიის ინსტიტუტი შემორჩა.

**– რატომ?**

– მიხაის სტალინთან ძალიან კარგი ურთიერთობები ჰქონდა. ამას გარდა, ანტონესკუს დაპატიმრება და რუმინეთის ომიდან გამოყვანა, მიხაის სახელთან იყო დაკავშირებული. მეფე მთელი ანტიჰიტლერული კოალიციის თვალში ავტორიტეტით სარგებლობდა. სტალინმაც მას გამარჯვების ორდენი უბოძა. ეს, რასაკვირველია, ტაქტიკური ნაბიჯი გახლდათ. ამით სტალინმა იმისი დემონსტრირება მოახდინა, რომ რუმინეთის სოვეტიზაციას არ აპირებდა და როგორც დასავლეთის, ასევე გარკვეული რუმინული წრეების სიფხიზლე დააცხრო. როგორც აღვნიშნე, სტალინმა პირობა დაარღვია. 1947 წლისთვის რუმინეთი, ფაქტობრივად, უკვე კომუნისტური სახელმწიფო იყო. მეფე მიხაის ჯერიც ახლა დადგა. მართალია, მოსახლეობა, განსაკუთრებით გლეხები, მას მხარს უჭერდნენ, მაგრამ მიხაის უკან არავითარი რეალური ძალა აღარ იდგა. მაფეს მხოლოდ მცირერიცხოვანი დაცვა (200 კაცი) დარჩა.

რუმინელი კომუნისტები მიხაის გასამართლებას აპირებდნენ, მაგრამ სტალინთან შეხვედრის შემდეგ, ამაზე ხელი აიღეს. მართლაც, უხერხული იყო გაესამართლებინათ მეფე, რომელსაც მთელ მსოფლიოში ანტიფაშისტის იმიჯი ჰქონდა და პირადად სტალინმა დააჯილდოვა გამარჯვების ორდენით! სტალინის დირექტივაც მოკლე და ლაკონური იყო: მიხაი მშვიდობიანად უნდა გადადგეს. ქავთარაძემ უშუალოდ შეიმუშავა სცენარი, რომელიც ამას უზრუნველყოფდა. ის პირადად სტალინმა მოიწონა. გეორგიუ-დეჟი მიხაის მოკვლას აპირებდა. ქავთარაძემ მათ პირდაპირ განუცხადა, რომ მიხაის მშვიდობიანად გადადგომა სტალინის სურვილი იყო. ამას კი გეორგიუ-დეჟი წინ ვერ აღუდგებოდა.

**– მიხაის გადადგომა როგორ მოხდა?**

– გროზა და გეორგიუ-დეჟი სასახლეში წავიდნენ და მიხაის გადადგომა მოსთხოვეს. მეფემ მიუგო, ჩავატაროთ რეფერენდუმი, თუკი ხალხი იტყვის, რომ უნდა წავიდე, წავალ, მაგრამ დიქტატს არ დავემორჩილებიო.

სასახლეს რუსი ჯარისკაცები შემოერტყნენ და დაცვის განიარაღება დაიწყეს. მიხაიმ სცადა სტალინს დაკავშირებოდა, მაგრამ ამაოდ, ყველა ტელეფონი გამორთული იყო. სასახლე

# ვის ნერვებზე უკრავს ნინო ლეჟავა და რა სირთულეების გადალახვა მოუწია მას პროფესიის გამო

***„ცეკვები ჩემთვის ყველაფერია, ამით ვსუნთქავ,“ – ეს სიტყვები ნინო ლეჟავას ეკუთვნის, რომელიც მაყურებელმა წლების წინ „ნიჭიერიდან“ გაიცნო, სადაც ის თავის გველთან ერთად, არაჩვეულებრივი შოუთი წარსდგა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ჩემპიონი აღმოსავლურ ცეკვებში, რომელიც სხვადასხვა დიდ ივენთზე მუშაობს და თბილისში მასშტაბურ, განსხვავებულ შოუ-პროგრამებს აკეთებს, აღმოსავლური ცეკვების ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი წარმომადგენელია. ნინოს არჩვეულებრივმა ცეკვამ არ შეიძლება, ვინმე გულგრილი დატოვოს – ის საოცრად მოქნილია და ძალიან ლამაზად ცეკვავს.***

**ნინო ლეჟავა**: დავიბადე ხელოვანების ოჯახში. დედა ფილარმონიის სოლისტი იყო, მსახიობი და მოცეკვავე, სამეჯლისო ცეკვებში მრავალგზის ლაურეატი – ქალბატონი ლია ლეჟავა. მამა, ლევან ლეჟავა „რეროს“ მუსიკოსი გახლდათ, საქსოფონზე, ფლეიტაზე, გიტარაზე უკრავდა. მოკლედ, ისეთ ოჯახში დავიბადე, არ მქონდა უფლება, ამ სფეროს არ გავყოლოდი. ორივე საესტრადოში სწავლობდა, მერე თეატრალურში გადავიდნენ და ასე გაიცნეს ერთმანეთი. აქედან დაიწყო მათი სიყვარულის ამბავი. მშობლებისა და მათი მეგობრებიდან გამომდინარე, სულ ხელოვანების წრეში ვიყავი. 5 წლის ვიყავი, სცენაზე რომ დავდექი. დედიკოს ყველა კონცერტს ვესწრებოდით მე და მამა – მთელი ოჯახი, ვგულშემატკივრობდით. როდესაც დედა სალონში მიდიოდა, თავზე ვადექი და ვუყურებდი: როგორ ლამაზდებოდა. მისით ძალიან ვამაყობდი. სამწუხაროდ, დედა 5 წლის წინ გარდამეცვალა. რომ მომენატრება, მის კაბებს გადმოვიღებ და ვეფერები, ძალიან მაკლია. სანამ მამა ჩემთვის საქსაფონზე არ დაუკრავდა, მანამდე არ ვიძინებდი. კაცს ჩემ გამო უძილო ღამეები აქვს გატარებული. თუმცა დედიკოს გარდაცვალების შემდეგ, ინსტრუმენტისთვის ხელი აღარ მოუკიდია, აღარ უნდა.

**– შენც ხომ არ უკრავ რომელიმე ინსტრუმენტზე?**

– არა, მე ნერვებზე ვუკრავ. ამდენი სიბნელის დამნახავი, ცინიკოსი გავხდი.

**– მოდი, მომიყევი როდის დაიწყე ცეკვა?**

– დაახლოებით 9 წლის ვიყავი, როდესაც დედაჩემმა ჩამოაყალიბა საესტრადო სტუდია „პირველი ნაბიჯები“. ის თბილისში საუკეთესო სტუდიების ხუთეულში შედიოდა. პირველი სერიოზული ქორეოგრაფიული აღზრდა სწორედ იქ მივიღე. თავიდან მსოფლიო ხალხთა ცეკვით დავიწყე და ცოტ-ცოტა მოდებული ვიყავი სხვადასხვა ჟანრს. პარალელურ რეჟიმში, 4 წელი დავდიოდი სამეჯლისო ცეკვებზე, 2 წელი – ქართულ ცეკვებზე. ეს ორი წელი ჩემთვის სერიოზული კოშმარი იყო. განა იმიტომ, რომ არ მომწონდა, უბრალოდ, არ გამომდიოდა. სულ წკეპლები მხვდებოდა ამის გამო, მაგრამ ვერ ვიხდენდი და ტირილით, ისტერიკებით დავდიოდი. 15 წლის ვიყავი, არაბული ცეკვებით რომ დავინტერესდი. 30-მდე დიპლომის მფლობელი ვარ და ვერ ვიტყვი, ყველა აღმოსავლურ ცეკვებში მაქვს მიღებული-მეთქი. თუმცა, ყველაზე დიდი გამარჯვებები მაინც ამ ცეკვებმა მომიტანა.

**– და მაინც, რამ გადაგაწყვეტინა აღმოსავლური ცეკვების შესწავლა?**

– წლების წინ გადიოდა სერიალი „კლონი“, იქ ვნახე პირველად კოსტიუმები, ცეკვა, გავგიჟდი. მივხვდი, ეს იყო ჩემი. დავიწყე, ჩემით შემესწავლა ყველაფერი, ვუყურებდი ვიდეოჩანაწერებს. მერე და მერე უფრო გართულდა ყველაფერი, უცხოეთში გავემგზავრე, რომ ჩემს ცეკვებში გამევლო მასტერკლასები. პირველი მასტერკლასები ეგვიპტეში მივიღე. იქ მივხვდი, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ვიცოდი, მაგრამ ამ მასტერკლასებამდე რომ გავხდი ევროპის ჩემპიონი, ეს უფრო მეტ სტიმულს მაძლევდა. ვიცოდი, ყველაფერი გამოვიდოდა. ცოტა ხნის წინ მივიღე წერილი ძალიან ცნობილი პიროვნებისგან, რომელიც დუბაისა და ეგვიპტეში ყველაზე დიდ ცეკვის ფესტივალს აწყობს. იქ მიწვეულები არიან ლეგენდარული მოცეკვავეები, ვარსკვლავები სხვადასხვა ქვეყნიდან. მეც დამიკავშირდნენ. ფესტივალზე მექნება ჩემი ნომერი, უკვე ვამზადებ. ბევრჯერ მქონია სხვადასხვა მიწვევა, რომლებზეც უარი მითქვამს. არ მინდა, წავიდე დიდი ხნით. მინდა, საქართველოში ხალხი იმ აზრამდე მივიყვანო, რომ აღმოსავლური ცეკვა არ არის ვულგარული, იაფასიანი შოუ. სამწუხაროდ, „ვითომ აღმოსავლური ცეკვების“ შემსრულებლებმა შეულახეს ამ ცეკვებს სახელი და ბევრს ჰგონია, რომ ეს ამორალური შოუა, რადგან რამდენიმე სტიპტიზკლუბში ამ ცეკვებს ცუდი დანიშნულებისთვის იყენებდნენ. მეათე წელია, ვცეკვავ და რა თქმა უნდა, ბევრი სირთულის გადალახვა მომიწია. ქართველი მაყურებელი გარდა იმისა, რომ ვიზუალურად განსხვავდება სხვა ეროვნების ადამიანისგან, „მშიერი“ თვალებით გიყურებს. შენი ტექნიკა კი არ აინტერესებს – რას ცეკვავ, რას აკლავდი თავს, არამედ შენი მკერდი და უკანალი აინტერესებს. ამის გამო, ძალიან ვნერვიულობდი, ვტიროდი. ყველაზე სახალისო მომენტი ის არის – ჩემზე რომ ამბობენ, როგორი პუტკუნა ხარო. გიჟი არ ვარ და რა თქმა უნდა, ჩემი სხეულის პარამეტრებს ვუფრთხილდები. წონაში რომ ვიკლებ, ვგრძნობ, რომ მოძრაობები ისე მკვეთრად აღარ გამომდის, პლასტიკაში ხელს მიშლის. ამიტომ, დაკარგულ ენერგიას, წონას აუცილებლად აღვიდგენ ხოლმე. ძველ დროს ამ ცეკვების დანიშნულება ის იყო, რომ მოცეკვავე ქალებს მშობიარობა უადვილდებოდათ, რადგან მთელი მუცლის ღრუა ჩართული, ყველა კუნთი მოქნილი და მოძრავია. მუცელი ჩემი სავიზიტო ბარათია და ამ ყველაფერს დიდი შრომა სჭირდება. 5 საათი გაუჩერებლად ვმუშაობდი, მერე ვისვენებდი, ისევ განვაგრძობდი ვარჯიშს, არ ვინდობდი თავს. ვერ ვიტყვი, რომ ნაზი არსება ვარ. პირიქით, ბრძოლისუნარიანი ვარ, რქებითა და კბილებით გამაქვს ჩემი პროფესია.



მამას დედიკოს გარდაცვალების შემდეგ ინსტრუმენტისთვის ხელი აღარ მოუკიდია, აღარ უნდა

**– რა ხდება პირად ცხოვრებაში, ცეკვა ხელს ხომ არ გიშლის მის აწყობაში?**

– მარტო ვარ. არასდროს ვყოფილვარ გათხოვილი. ბოლო დროს, პატარა ბავშვების ფოტოებს რომ ვუყურებ, გულში გამკრავს ხოლმე – შვილი მინდა. მაგრამ ჯერ ვერ ვრისკავ. კონსერვატორ და ისეთ ადამიანს, რომ თითი დამიქნიოს: შენ რას აკეთებ, სახლში დაჯექიო, – ნამდვილად ვერ ავიტან. ეს იმას ნიშნავს, რომ ფრთები მომგლიჯოს და სახლში დამსვას. მაშინ მე ხომ აღარაფრად ვივარგებ. ცეკვა სულ მიქმნის პირად ცხოვრებაში პრობლემებს. თუმცა, ბოლო დროს ცოტა გამოიქექნენ ბიჭები – გაიხსნენ რაღაც თემებში, მაგრამ ჰარემიც უნდათ და ევროპაც. ორივე ერთად კი არ გამოდის. მამაკაცი ხელოვანი თუ არ იქნება, სული მაინც უნდა ჰქონდეს ხელოვანის. უნდა ჰქონდეს იუმორის გრძნობა, მუდოსთან ვერ გავჩერდები. ინტელექტიც უნდა ჰქონდეს, რომ მასთან ბევრ სხვადასხვა თემაზე ისაუბრო. მიყვარს ჭკვიან ადამიანებთან ყველანაირი თემის განხილვა. ვერც იმას ვიტყვი, რომ მომწონს მოდის ჟურნალებიდან გადმომხტარი, პლასტმასის ბიჭები. ბუტაფორია არ მინდა, უბრალოდ, „ვიდი“ ჰქონდეს.

**– შენი ცხოველებთან ურთიერთობაც მნიშვნელოვანი თემაა. მახსოვს, როგორ გამოხვედი უზარმაზარ პითონთან ერთად.**

– გველები ჩემმა ნათლიამ შემაყვარა, რომელიც ზოოპარკის ეგზოტარიუმის უფროსია. ის გველი, რომელთან ერთადაც უცხოეთში პერფორმანსები მქონდა, ძალიან დიდი იყო – სამმეტრნახევრიანი აფრიკული პითონი. თურქეთში მასთან ერთად ვაკეთებდი შოუს, მაგრამ საქართველოში უმუშევარია. ერთი პერიოდი სახლში მყავდა, ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ ძაღლი რომ მოვიყვანე, ის ზოოპარკში გავუშვი. 2 წლის განმავლობაში უსახლკარო ძაღლთა დაცვის ასოციაციის უფროსი ვიყავი, ძაღლების თავშესაფარში ვმუშაობდი. ჩემს მოვალეობაში შედიოდა მათთან ურთიერთობა, ფსიქოლოგი ვიყავი იმ ძაღლების, რომლებიც პატრონისგან ტრავმირებულები იყვნენ. ახლა სახლში მყავს დობერმანი, რომელიც პატრიარქმა მაჩუქა.

**ნათია უტიაშვილი**

გარესამყაროს მთლიანად მოწყვეტილი გახლდათ, რადგანაც იქაურობას რუსი ჯარისკაცები აკონტროლებდნენ. ამის შემდეგ სერგო ქავთარაძე სასახლეში მივიდა და სტალინის სახელით მიხაის განუცხადა: თუკი გადადგებით და ქვეყანას დატოვებთ, მოგეცემათ საშუალება, მთელი თქვენი ქონება წაიღოთ. თუკი წინააღმდეგობას გაგვიწევთ, გაგანადგურებთო. მიხაის მეტი რა ჩარა ჰქონდა, დათანხმდა, თუმცა მოითხოვა, ჩემი მცველები გამატანეთო. ქავთარაძე დათანხმდა. მიხაიმაც გადადგომის შესახებ როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი განცხადებები გააკეთა. ეგრეთ წოდებულმა „სახალხო კრებამ” – ასე უწოდებდა საკუთარ თავს, კომუნისტურმა პარლამენტმა, მისი თხოვნა დააკმაყოფილა. მიხაის უფლება მისცეს, წაეღო მთელი თავისი ქონება, რომელიც ორ ვაგონში ძლივს ჩაეტია. ქავთარაძემ პირობა შეასრულა და მეფის ყველა მცველს უფლება მისცა, მონარქს ემიგრაციაში წაჰყოლოდა. რუმინელი კომუნისტები ამისი წინააღმდეგნი იყვნენ, თუმცა მათ არავინ არაფერს ეკითხებოდა. ამის შემდეგ ქვეყანაში პარტიზანული ბრძოლები გაჩაღდა. როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, წინა პლანზე ნაციონალ-რადიკალები გამოვიდნენ – იდეური ხალხი, ვინც სამშობლოსთვის ტყვიაზე მიდიოდა. ასეთი ხალხი მაშინაც კი იბრძოლებს, როცა თითქოსდა ბრძოლას აზრი არა აქვს. კომუნისტებმა და რუსულმა ჯარმა პარტიზანების განადგურება ვერ შესძლეს. სტალინი ისე მოკვდა, რომ რუმინელ პარტიზანებს ვერაფერი მოუხერხა. შემდეგ ხელისუფლებაში ხრუშჩოვი მოვიდა. მან სერგო ქავთარაძე დაიბარა და ჰკითხა, როგორ მოვიქცეთო. ქავთარაძის პასუხი მოკლე და ლაკონური იყო. ან ტოტალური სადამსჯელო ოპერაციები უნდა გავაგრძელოთ, ან ამნისტია გამოვაცხადოთ და რუმინეთიდან ჯარი გამოვიყვანოთო. ხრუშჩოვი თავდაპირველად შეყოყმანდა, მაგრამ 1956 წელს რუმინეთიდან ჯარის გამოყვანა დაიწყო. პარალელურად, გამოცხადდა ამნისტია. 1957 წელს კი საბჭოთა არმიამ რუმინეთი დატოვა.

**ჯულიეტა დემეტრაშვილი**

**პროექტის – „ერთი ერთში“ დაწყების დღიდან, ნინო კოწენიძეს ყველაზე განსხვავებული, ძლიერი და ინდივიდუალური ქალების განსახიერება უწევს. გზა შაკირადან ლაიზა მინელიმდე რთული და საინტერესო იყო. თუ როგორი იქნება ნინოს მიერ შესრულებელი კინოსა და მუსიკის ლეგენდა – ლაიზა მინელი, ამას ოთხშაბათს ვნახავთ. მისი ხმის უკიდეგანო შესაძლებლობები ბევრის საშუალებას აძლევს და, ალბათ, ამიტომ, სცენაზე ის, პირველ ყოვლისა, მღერის. ნინო ჟიურის წევრების შეფასებებით ცოტა გულდაწყვეტილია, რის შესახებაც ქვემოთ თავად ისაუბრებს.**

# ვინ ახერხებს იდეალურად ნინო კოწენიძის ტრანსფორმირებას და რატომ არ ესწრება პროექტის – „ერთი ერთში“ – კონცერტებს მისი მეუღლე

**ნინო კოწენიძე**: ალბათ, ნამდვილად მიმართლებს ამ შოუში, რადგან არაჩვეულებრივი ქალები მხვდებიან. პრინციპში, ყველათი კმაყოფილი ვარ.

**– დაახლოებით ასეთივე სურვილები გქონდა დასაწყისში, თუ, გინდოდა რადიკალური ცვლილებები – ვთქვათ, გარდასახულიყავი მამაკაცად?**

– რადიკალური ცვლილებები უკვე იყო, რადგან, შაკირა ჩემი ვოკალისგან აბსოლუტურად განსხვავებული შემსრულებელია; იგივეა ბიონსე, ალეგროვა და სხვები. შევეცადე, ოთხივე განმესახიარებინა და ვყოფილიყავი ერთი ერთში როგორც შესრულების მანერითა და ხმით, ისე ვიზუალურად. თან, ეს ხდება ნიღბებისა და დამატებითი რაღაცეების გარეშე, პირდაპირ ჩემს სახეზე. ჩემი სახის ტრანსფორმირებას ახერხებენ და ამისთვის გრიმიორებს ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა. არაფერს იშურებენ ჩვენთვის. ნიღბით ბევრი რამის შეცვლა შეიძლება, მაგრამ, მათთან ერთად შევძელი, რომ ერთდროულად შაკირასაც დავმსგავსებოდი, ბიონსესაც, ალეგროვასაც და ჰიუსტონსაც, მათ კი საერთოდ არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო.



შევეცდები, რომ ვიყო ყრუ, მაგრამ გავაკეთო შოუ...

**– ამოდის ვარსკვლავი და, პირველად რას აკეთებთ, რა არის ის, რაც თქვენი მომზადების შესახებ ნაჩვენებ სიუჟეტებში არ ჩანს?**

– მთავარი არ ჩანს – ამა თუ იმ ადამიანის ტყავში შეძრომა, იმად გადაქცევა, მიმიკების მოშლა, ისე ფიქრი, როგორც ის ფიქრობს, ინსტინქტების დონეზეც კი. ასეთი რთული პროექტი საქართველოში არ ყოფილა. ყველაზე მეტად გამიჭირდა უიტნი ჰიუსტონი. საშინლად გაციებული ვიყავი, ყელი ფორმაში არ მქონდა და ამის შესახებ იქ კარგად იცოდნენ. დღეს რომ გადავხედე ნამღერს, მართლა არ მიმღერია ცუდად. იყო იქ რაღაც შეცდომები, რაც ნამდვილად არ მეპატიება და ჩემს თავს არ ვაპატიებ, მაგრამ, ისეთიც არაფერი იყო, რის გამოც შეიძლება ვინმემ თქვას, გაციება დაეტყოო. ურთულესია ამ სიმღერის შესრულება. თან, უკვე მეორედ, პირველს მომიწია ამ პროექტში გამოსვლა – თავიდან შაკირათი გავხსენი. პირველი გაცილებით სანერვიულოა, ვიდრე მეორე, მეხუთე თუ ბოლო გამოსვლა. რაც შეეხება იმას, თუ პირველად რას ვაკეთებ: მოვდივარ სახლში, ვრთავ მუსიკას და ყურში „მყავს“ ეს ადამიანი. ვუყურებ მის ძალიან ბევრ გამოსვლას. ყველაზე რთული მიმიკებთან ბრძოლაა. ალეგროვაში ეს უფრო კარგად შევძელი, რადგან, ის უნდა მეთამაშა. იქ არაფერი იყო ისეთი სამღერი, რაზეც შეიძლებოდა აქცენტის გაკეთება და ნერვიულობა. კიდევ ერთხელ უნდა შევეხო უიტნის: რა თქმა უნდა, აუცილებელია, ერთნაირად იფიქრო მიმიკაზეც, ჟესტებზეც, შესრულებაზეც. ამ შემთხვევაში უფრო შესრულებაზე ვფიქრობდი. ღმერთს ვეხვეწებოდი, რომ ხმა არ ჩამვარდნოდა. აბსოლუტურად ორიგინალურ ტონალობაში ვიმღერე, რაშიც თვითონ უიტნიც არ მღეროდა ლაივში. კლიპში რაც იყო ის გაკეთდა, ძალიან მოვინდომე. არა, ხმამ პატივი მცა, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ, არ იყო ისეთი ჯანსაღი ბგერა, რაც შეატყო ჩემმა მეუღლემ და კიდევ რამდენიმე ადამიანმა.

**– შემდეგი ლაიზა მინელია, ხომ?**

– დიახ, კიდევ ერთი სრულიად განსხვავებული ვარსკვლავი. აქ უკვე, ალბათ, ნიღბით დამჭირდება რაღაცეების გაკეთება, რადგან, ძალიან რთულია ჩემი სახიდან მინელი მივიღოთ. ვოკალურადაც სხვაა, ბევრად უფრო გახსნილი ბგერა აქვს. ძალიან საინტერესო ქალია და, მინდა, გამოვიდე კარგი ლაიზა მინელი.

**– პედაგოგებზე რას იტყვი? მსოფლიო დონის პედაგოგებთან მუშაობთ, რაც დიდი ფუფუნებაა ნებისმიერი მომღერლისთვის. მესმის, რომ შენ სხვა სიტუაცია გაქვს – პირიქით, თქვენ ასწავლით ბავშვებს...**

– ჩემი მეუღლე საერთოდ არ ერევა ამ პროექტში ჩემს მომზადებაში. მხოლოდ პედაგოგებშიც არ არის საქმე, ამ პროექტში თავიდან ბოლომდე საკუთარ თავზე ხარ დამოკიდებული. კი ისინი გირჩევენ, გეუბნებიან, მაგრამ, მერე რჩები მარტო და ძალიან ბევრი უნდა იმუშაო საკუთარ თავზე. უნდა აღვნიშნო შოუ, რომელიც, ასევე, მთავარი დეტალია ამ პროექტში და თავდაუზოგავად შრომობენ ახალგაზრდები, რომ მაგარი შოუ გამოვიდეს, ერთიანობაში კი ეს ქმნის ნომრის საბოლოო სახეს. მაინც ვფიქრობ, რომ ჟიურის მხრიდან ამ პროექტში შოუ უფრო ფასდება. მგონია, რომ ზაკი, ქორეოგრაფი, აფასებს შოუს – არა იმას, როგორ იმღერა, არამედ, როგორ იცეკვეს მისმა მოცეკვავეებმა. შეიძლება, არასწორად ვამბობ, მაგრამ, ეს ჩემი აზრია. არასდროს მიმიღია ზაკისგან და სისისგან მაღალი ქულა. შეიძლება, იმის ბრალიცაა, რომ, საერთოდ არ იცოდნენ, ვინ იყო ალეგროვა. შეიძლება, ესეც შოუს ნაწილია და მერე და მერე ამიწევენ ქულებს. ყოველდღიურად ვგრძნობ ხალხის მხარდაჭერას და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**მთავარია იმ ადამიანის ტყავში შეძრომა, იმად გადაქცევა, მიმიკების მოშლა, ისე ფიქრი, როგორც ის ფიქრობს, ინსტინქტების დონეზე**

**– შენი მეუღლე ჩართულია პროცესში?**

– ყოველთვის ვერ ახერხებს მოსვლას. ახლა გადაღებები და ძალიან ბევრი საქმე აქვს და მოგვიანებით, გადახვევით უყურებს ხოლმე შოუს. ცოტა ეცინება ხოლმე. ის პროდიუსერია და ძალიან კარგად იცის, როგორ ლაგდება ეს რაღაცეები და, მეუბნება, ყველაფერზე ნერვებს ნუ იშლიო. ძალიან ემოციური ვარ და ზოგჯერ რაღაცეებზე ვბრაზდები, ის კი სულ მიმეორებს: ეს არის შოუ და, აქ შენი მოვალეობა ისაა, რომ საკუთარი თავი აჩვენოო.

**– ყველაზე მეტად რაზე გწყდება გული, რაზე ბრაზდები?**

– სიმართლე გითხრათ, ვბრაზდები ცოტა არაობიექტურ ქულებზე. ვბრაზდები, ოღონდ არ ვიმჩნევ. თან, ჯერ მეოთხე ტურია, წინ კიდევ ექვსი ტურია დარჩენილი და, იმედი მაქვს, ისეთი ვიღაცა შემხვდება ლოტოტრონზე, რომ გარდავისახო, გავაკეთო შოუ და არ ვიყო მომღერალი. შევეცდები, რომ ვიყო ყრუ, მაგრამ გავაკეთო შოუ...

**– მგონი, ეგ არ გამოგივა.**

– ***(იცინის)*** არ ვიცი, როგორ გამომივა, მაგრამ, რადგან ასეთი პროექტია, რადგან, უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია შოუს გაკეთება, მეც უფრო ამ მიმართულებით ვიმუშავებ. ჟიურის წევრებს თავიანთი აზრი აქვთ და თავიანთი შეხედულებისამებრ წყვეტენ, ვის რა ქულა დაუწერონ. არ მინდა, ისე გამომივიდეს, რომ რაღაცით უკმაყოფილო ვარ, მათ ბევრჯერ აღნიშნეს, კარგი ხმა გაქვსო, მაგრამ, უიტნი იყო ერთი და, როდესაც ასეთ რთულ სიმღერას იმღერებ, რაღაცნაირად, თუნდაც კოლეგიალურად, უფრო სხვანაირი შეფასება შეიძლებოდა. თუმცა, ამაზეც წუთიერად ვბრაზდები და მერე განვაგრძობ მუშაობას. მოკლედ, რაღაცეებზე დამწყდა გული.

**– ვინ არის ის, ვინც შენს გამოსვლებზე ყველაზე მეტად ნერვიულობს?**

– ჩემი შვილი, რომელიც სულ დადის ლაივებზე და ისე ნერვიულობს, რომ ჩემი თავი აღარ მახსოვს და მას ვაწყნარებ ხოლმე. სანდრო ვერ ეგუება დაბალ ქულებს. გაბრაზდა, თან ჩხუბობდა, რატომ დაგიწერეს ასეთი დაბალი ქულა, ძალიან მაგრად იმღერეო – ასჯერ აქვს მოსმენილი უიტნის ეს სიმღერა. მეც ვაწყნარებ და ვეუბნები: დამშვიდდი, დედიკო, ის პედაგოგია, ჩემგან მეტს ითხოვს-მეთქი. 10 წლისაა და საშინლად ემოციურია. მე მაჯობა ემოციურობაში და სულ მას ვაწყნარებ.

**სალომე გველესიანი**


საუკეთესო საზაფხულო აქცია
ბეკოს მაცივრებზე დაიწყო!
ახლა უკვე ბეკოს მაცივრების ფასი იწყება თვეში 23 ლარიდან!
არ გაუშვათ ეს შანსი და გვეწვიეთ ბეკოს ნებისმიერ მაღაზიაში
5
წლიანი
გარანტია
უამრავი
საჩუქარი
BEKO
პროდუქციის რაოდენობა შეზღუდულია
საჩუქრები: მიკროტალღური ღუმელი,
უთო, მტვერსასრუტი და სხვა.
www. facebook.com/BekoGeorgia
www.beko.com.ge
Tel : 2-15-50-50
BEKO
SMART GENERATION

# ვინ აპირებდა სულხან-საბა ორბელიანის დაყაჩაღებას და როგორ გადაარჩინეს დახრჩობას ტყვეებით მოვაჭრე თათრებმა

როგორც ცნობილია, სულხან-საბა ხშირად ასრულებდა დიპლომატიურ დავალებას. 1713 წელს ის ვახტანგ მეექვსის დავალებით გაემგზავრა ევროპაში პოლიტიკური დახმარების სათხოვნელად – ეახლა საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტესა და რომის პაპს, კლიმენტი მეთერთმეტეს, მაგრამ, მისი დიპლომატიური მისია, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა.

უკან დაბრუნებისას, გულგატეხილმა ჩვენმა დიდმა მწერალმა უამრავი განსაცდელი გამოიარა. უკვე ასაკოვანს (ამ დროს ის უკვე 58 წლისა გახლდათ), უამრავი გაჭირვების, ძალმომრეობის, ძარცვისა და შეურაცხყოფის გადატანა მოუწია, სანამ სამშობლოში დაბრუნდებოდა, თანაც, გზაში გაცივდა... თუმცა, სამშობლოშიც ბევრი პრობლემა შეექმნა.

სულხან-საბას 17 თვე კონსტანტინოპოლში (სტამბულში) ყოფნა მოუწია, სანამ მისი გამომგზავრება მოხერხდებოდა. მას ეხმარებოდა საფრანგეთის ელჩი ოსმალეთში, რომელმაც უშოვა მეზღვაური, ხომალდის მფლობელი – ჭანეთის (ლაზეთის) ქალაქ ათინის (ოსმალეთის) მოქალაქე.



ფრანგმა ელჩმა 400 მარჩილი მისცა მეზღვაურს და დაავალა, ქართველი ელჩი და მისი მსახურები გურიაში, ქობულეთში მიეყვანა და გურიელისთვის ჩაებარებინა.

„მარჩილი" ვერცხლის ფულს ერქვა ძველ საქართველოში. სახელი უნდა მომდინარეობდეს ვენეციური ვერცხლის – „მარჩელოს" სახელწოდებიდან. გავრცელდა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში. როგორც ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალიდან" ირკვევა, მეთვრამეტე საუკუნეში მარჩილი 12 შაურს, ანუ, 3 აბაზს შეადგენდა. მარჩილი იხმარებოდა მეჩვიდმეტე საუკუნეში საქართველოში გავრცელებული ევროპული მონეტის – ტალერის აღსანიშნავადაც. ამ დროს ტალერი 3 აბაზად ფასობდა, ხოლო 3 აბაზი 1 მარჩილს შეადგენდა. 400 მარჩილი საკმაოდ დიდი თანხა იყო იმ დროისათვის.

ჩვენს დესპანს საფრანგეთის ელჩმა სთხოვა, თან წაეყვანა სამი კათოლიკე ბერი – პატრები კაპუცინელთა ორდენიდან, რომლებიც უნდა დარჩენილიყვნენ თბილისში, სადაც, ქართლის მეფისა და ევროპელების შეთანხმებით, კათოლიკური მისია იყო და უნდა შეესრულებინათ მისიონერისა და ქართველი მეფის ევროპასთან დაკავშირების ფუნქცია.

გარდა ამისა, სულხან-საბას საფრანგეთის ელჩმა გამოაყოლა კიდევ ერთი პატრი, რომელიც შირვანში უნდა გამგზავრებულიყო თბილისის გავლით. საფრანგეთის ელჩმა ამ პატრს გამოატანა ერთი დიდი ზანდუკი ისპაჰანში გასაგზავნი – ასე ვთქვათ, დიპლომატიური ტვირთი.

დიდ ქართველს, სულხან-საბა ორბელიანს, მის მსახურებსა და ევროპელ პატრებს თან მოჰყვებოდნენ: ბურსელი ვაჭარი, ხოჯა აივაზ ჩალაბი და მისი შვილი თავისი ხალხითურთ, რომელთაც განჯაში აბრეშუმი უნდა ეყიდათ.

საფრანგეთის ელჩმა მეზღვაურს პირობა ჩამოართვა, რომ თავისი 20 მეზღვაურის მეტს არავის აიყვანდა ხომალდში.

საქართველოსკენ 1716 წლის 13 მაისს გამოემგზავრნენ. როცა მგზავრები კონსტანტინოპოლს, ბოსფორის სრუტეს გამოსცდნენ და შავ ზღვაში შემოცურეს, ხომალდის პატრონმა ბორტზე აიყვანა იანიჩარი თათრები და მათი მეთაური ალა. ხომალდი გადაიჭედა.

ჩვენი დიდებული დესპანი მოსასვენებელ ადგილს ვერ პოულობდა. მას მოუწია ხომალდის ფსკერზე დაბინავებულიყო, სადაც აუტანელი სიცხე იყო. ქართველებმა და ფრანგებმა ვერაფერი უთხრეს ხომალდის მფლობელს, რადგან, ფული უკვე გადახდილი იყო, თან, შეიძლება, სულაც, ჩამოესვა ისინი ხომალდიდან და შუა გზაში დარჩებოდნენ. მუხთალი მეზღვაური ლიქნითა და ტკბილი სიტყვებით ცდილობდა ქართველი ელჩისა და მისი მხლებლების დაშოშმინებას.

ბედად, ზურგის ქარი უბერავდა და მესამე დღეს ათინას მოაღწიეს. გემის მფლობელმა ორბელიანს უთხრა: ამ თათრებს გავუშვებ და თავის გზაზე წავლენ; მე სახლში ორი დღე გავჩერდები, მოვისვენებ და მერე ქობულეთში წაგიყვანო.

სხვა რა გზა ჰქონდა დიდ დესპანს, რომ არ დაეჯერებინა. ათინელმა მართლაც გაუშვა იანიჩრები, მაგრამ, შემდეგ, გავერაგებულმა, ტრაპიზონის ფაშასა და გონიოს სანჯაყ ბეგს შეატყობინა: დიდი კაცი მიმყავს, მრავალი საქონელი მიაქვს, ფრანგები მიჰყავს, ელჩები არიან, მოდით და დაიჭირეთო.

რა უნდა ექნა ხანში შესულ მამულიშვილს, იქირავეს ორი ნავი, ერთში ხოჯა აივაზი განთავსდა თავისი ხალხით, მეორეში კი ჩვენი დესპანი, მისი მხლებლები და ფრანგები ჩასხდნენ და ზღვის პირს გამოუყვნენ ქობულეთისკენ. ამ დროს ზღვა აღელდა და ერთი ნავი ხოფის მხარეს გაიტაცა, მეორე კი – ცოტა საპირისპირო მიმართულებით.

იქ ტყვეებით მოვაჭრე თათრები დახვდნენ, რომლებსაც იმერეთიდან ტყვეები მიჰყავდათ კონსტანტინოპოლში გასაყიდად. ბედის ირონიით სწორედ მათ იხსნეს აბობოქრებული სტიქიისგან სულხან-საბა და მისი მხლებლები...

ოთხი დღე მოუწიათ იქ დარჩენა. ზღვა ძალიან ღელავდა.

ამ დროს მოვიდნენ ლაზები, რომლებიც მებაჟეობას იჩემებდნენ. მათ დაიჭირეს სულხან-საბა და მისი მხლებლები და კარგა ხანს ტყვედ ჰყავდათ, მერე 20 მარჩილი წაართვეს და ზანდუკები დაუმტვრიეს.

რა თქმა უნდა, ქართველ დესპანს თავისი

> **ჩვენს დესპანს საფრანგეთის ელჩმა სთხოვა, თან წაეყვანა სამი კათოლიკე ბერი-პატრი კაპუცინელთა ორდენიდან**

დარდი იმდენად არ ჰქონდა, უფრო იტალიელი სასულიერო პირების ბედი ადარდებდა, რადგან, უცხოდ იყვნენ, ენა არ იცოდნენ და, თან, მას ჰყავდა ჩაბარებული. ამასთან, იმ პერიოდში ოსმალეთის სულთანის მიერ აკრძალული იყო იტალიელთა და, საერთოდ, ევროპელთა გასვლა შავ ზღვაზე (იმ დროს ოსმალეთს მართავდა აჰმედ მესამე).

ოთხი დღე-ღამე ასე იყვნენ. მეხუთე დღეს წამოვიდნენ ნავებითა და მოადგნენ ხოფას და იქ გონიოს სანჯაყ ბეგი დახვდათ, რომელმაც ნავები მიაგება მგზავრებს, გამოიყვანა ნაპირზე და დააპატიმრა. ქართველები და ევროპელები ერთ სახლში გამოკეტეს. ხოჯა აივაზის საქმე მათ არც იცოდნენ.

სწორედ იმ დროს ახალციხის ფაშას დისწული, ალიბეგი სტუმრობდა გონიოში. ის იცნობდა სულხან-საბა ორბელიანს. რა შეიტყო მისი დაპატიმრება, აღშფოთდა, დატყვევებულნი წაართვა სანჯაყ ბეგს და თავის სადგომში მიიყვანა დიდი პატივით.

იმ ღამეს აივაზ ჩალაბმა ჩუმად უთხრა ორბელიანს: ალიბეგს ხომალდი გამზადებული აქვს, ხვალ კონსტანტინოპოლს მიემგზავრება. ეგ რომ წავა, ესენი კვლავ დაგვაპატიმრებენ და უარესს დაგვმართებენ. ამიტომ, რამე ქრთამი მივართვათ ბეგს, იქნებ, თავი დაგვანებონო.

სულხან-საბას მოეწონა ეს აზრი და 80 მარჩილი მიართვეს გონიოს სანჯაყ ბეგს. დილით ალიბეგმა ცხენები უქირავა დიდ ქართველსა და მის მხლებლებს, ახალცხის ფაშას კაცი გამოაყოლა თან და გამოისტუმრა თბილისისაკენ.

აივაზა ჩალაბი იქვე დარჩა, ქართველები და ევროპელები კი არტანუჯისკენ გამოემართნენ. ერთი დღე იარეს და საღამოს სოფელ ჩხალას მიადგნენ.

გაემგზავრა თუ არა ალიბეგი კონსტანტინოპოლში, გონიოს ბეგი მართლაც გამოეკიდა მგზავრებს და მეორე დილას დაეწია. მან განუცხადა ქართლის ელჩს: შენი ბარგი გადაალაგე, ეს ფრანგები კი მომეცი, სულთანს აკრალული აქვს მათი გატარებაო.

რა თქმა უნდა, ქართველმა მასპინძელმა უარი უთხრა. მაშინ იანიჩრებმა აიკლეს მათი ბარგი, ყველა დააპატიმრეს და ქვეითად გამოუყენეს გონიოსკენ.

დიდი ქართველი მწერალი ამ დროს ავად იყო და სიცხე ჰქონდა. განსაკუთრებით უჭირდა მოხუცს აღმართზე სიარული. გზაში ის კვლავ გაჩხრიკეს, სამი ფლური ჰქონდა (ოქროს ფული, დრაჰკანი) და ისიც წაართვეს.

ამასობაში, ივაჟკაცა აივაზ ჩალაბმა, არ მიატოვა ბედის ანაბარა მგზავრები, სანჯაყ ბეგს მიეჭრა და უთხრა; ეს კაცი რომ მოკლა, ძალიან მაგრად დაგსჯიანო; თან, უთხრა, ქრთამს მოგცემო და მერე მივიდა სულხან-საბასთან.

მგზავრები ერთ მთის წვერზე შეაჩერეს. აივაზ ჩალაბი 400 მარჩილს შეჰპირდა გონიოს ბეგს, თუ ტყვეებს გაუშვებდა. ბეგი დათანხმდა ქრთამის აღებას, მაგრამ, მძევლად ერთი პატრი ითხოვა. აივაზ ჩალაბი წავიდა ვერცხლის მოსატანად, ჩვენმა დესპანმა კი თავისი მსახურებიც თან გააყოლა და თვითონაც მძევლად დარჩა.

აივაზა ჩალაბს შეაგვიანდა. ბეგი და მისი მხლებლები გაცოფდნენ – მოგვატყუესო, ხელები შეუკრეს მძევლებს და გონიოსკენ წაიყვანეს. ამ დროს წვიმდა. ხანში შესულ ქართველ ელჩს ძალიან უჭირდა სიარული...

შუაღამისას ერთი კაცის სახლში შეიყვანეს ტყვეები ღამის გასათევად. ამ დროს ორი საპალნიანი ცხენით იანიჩრები მივიდნენ, მძევლები გააღვიძეს, ცხენებზე შესვეს და კვლავ გონიოსკენ წაიყვანეს. ერთი იანიჩარი უბელო ცხენზე იჯდა. მან ჩვენს დესპანს საწვიმარი წაართვა და თავის ცხენზე გადაიფინა. დიდი ქართველი მწერალი საშინლად დაიტანჯა სიცივის, წვიმისა და არაადამიანური მოპყრობისგან.

ტყვეები მიიყვანეს აივაზ ჩალაბთან, რომელსაც ფული უკვე გადაეხადა.

ამასობაში სულხან-საბამ შეიტყო, რომ ორი პატრი სხვა თათრებს დაეჭირათ. ჩვენს დესპანს თავზარი დაეცა ამის გამო. აივაზ ჩალაბი ახლა მათ გადასარჩენად წავიდა, 60 მარჩილი იმ პატრების გამოსახსნელად გადაიხადა და გამოაშვებინა.

ამის მერეც არაერთგან გააჩერეს ნიგალის ხევში მოგზაურები და ქრთამი წაართვეს. ფულს სულ აივაზ ჩალაბი იხდიდა.

ასე მოვიდნენ არტანუჯს. აქაურმა ისაყ-ფაშას (ისაყ I ჯაყელი) ცოლმა კარგი მასპინძლობა გაუწია მგზავრებს: ვახშამი გაუგზავნა, ღამეც გაათევინა და გზად არტაანისკენ თავისი მსახური ალაც გაატანა.

არტაანში ახალციხის მაშინდელი გამგებელი ასლან-ფაშა (ასლან II ჯაყელი) დახვდა, ისაყ ფაშას ბიძაშვილი. მანაც 600 მარჩილი წაართვა მგზავრებს და კიდევ სხვა რაღაცეები (ძაღლებიც კი).

როგორც იქნა მოადგნენ მგზავრები ქართლის მაშინდელ საზღვარს – აბოცს.

**გიორგი მახობეშვილი**

**სულ ახლახან საფრანგეთიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ ქართველი ძიუდოისტები. ჩამოიტანეს 2 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი ინდივიდუალურ შეჯიბრებაში და ჩემპიონები გახდნენ გუნდურ შეჯიბრებაში. მათ კიდევ ერთხელ გაამართლეს ქართველი გულშემატკივრების იმედები და კიდევ ერთხელ გაუცრუეს „ნადეჟდა" რუს ძიუდოსტებსა და მათ ფავორიტს, ვლადიმირ პუტინს. გამაჯვებულებს შორის ერთ-ერთი ოქროსმედალოსანი ვარლამ ლიპარტელიანი გახლავთ. ჩვენ მას ოჯახში ვეწვიეთ და მის მეუღლესთან, ჯემალ ჭკუასელის შვილიშვილთან, გიული ჭკუასელთან ერთად ვესაუბრეთ.**

# რატომ შენატროდა ვლადიმირ პუტინი ქართველ ძიუდოისტებს და რა თქვა მან ვარლამ ლიპარტელიანზე

**– ვარლამ, უპირველესად, გილოცავთ, თქვენ და სრულიად საქართველოს, ამ ბრწყინვალე გამარჯვებას!**

**ვარლამი**: დიდი მადლობა მოლოცვისთვის. რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულოა, როდესაც შენს ქვეყანას ასახელებ უპირველესად და მერე შენი ოჯახი და მთელი სანათესაო ხარობს. ასევე, მინდა, ყველა გულშემატკივარს მივულოცო.

**– ეს გამარჯვება, მეუღლეს მიუძღვნაო, გავიგე?**

– ისევე, როგორც ყველა დანარჩენი ***(იცინის).*** ის ყოველთვის ხელს მიწყობს.

**– რასაც ვერ ვიტყვით პატარა დემეტრეზე.**

– პატარა კაცია... ყველაფერი ეპატიება ***(იცინის).***

**გიული**: დემეტრე, შეჯიბრების წინა პერიოდში, როდესაც რეჟიმი აქვს ლიპოს დასაცავი, ძილს არ აცლის. ცოტათი მართლა უშლის ხელს, მაგრამ მაინც ვუმკლავდებით. იმიტომ რომ, ძალიან თბილი და მოსიყვარულე მამაა. ასეთ დღეებში ვთავაზობ, მე და დემეტრე სხვა ოთახში დავიძინებთ-მეთქი, მაგრამ ლიპო უარს ამბობს. თქვენ ხელს როგორ შემიშლითო?!

**– დემეტრეს ვინ შეურჩია სახელი?**

**ვარლამი**: მე ბაბუას სახელი მქვია, გიულის – ბებიის და გადავწყვიტეთ, შვილისთვის არავის სახელი არ დაგვერქმია. დემეტრე მოგვწონდა ორივეს და დავარქვით კიდეც.

**– გიული, ლიპოო, წეღან ასე მიმართე ვარლამს, თუ მომესმა?**

**გიული**: არ მოგესმათ ***(იცინის).*** მეც ისე ვეძახი, როგორც მეგობრები. ასე მივეჩვიე, ვარლამი არასდროს დამიძახია მისთვის.

**– როგორც შევიტყვე, თქვენი ნაცნობობა ბავშვობიდან მოდის.**

**ვარლამი**: მე და გიული ერთ სკოლაში და ერთ კლასში ვწავლობდით მეხუთე კლასიდან. მე მაშინვე მომეწონა, მაგრამ არ გამიმხელია, „ვმეგობრობდი".

**გიული**: სვანებს რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან. მე, დედა სვანი მყავდა და სულ მახსოვს მისგან, ვინმეს ღირსებებზე რომ საუბრობდა და აქებდა, დააყოლებდა ხოლმე – „თან სვანია". ჰოდა, ლიპო რომ ჩვენს კლასში გადმოვიდა და გავიგე, „თან სვანი" იყო, მივედი და გავეცანი: მეც ნახევრად სვანი ვარ-მეთქი. მე ის ზემო სვანი მეგონა, მაგრამ თურმე ერთ რაიონში გვქონია სოფელი და აღმოჩნდა, რომ იქაც ახლო-ახლო ვცხოვრობდით ერთმანეთთან.

**– გამოდის, რომ სწავლის პერიოდშიც დიდ დროს ატარებდით ერთად და არდადეგების დროსაც.**

– დიახ, როგორ მახსოვს, სვანეთში „დამკის" ჩემპიონატებს ვაწყობდით ხოლმე. მე და ლიპო სულ ფინალში გავდიოდით და საბოლოოდ, მაინც მე რომ ვიმარჯვებდი, ძალიან მიხაროდა. ახლახან გამომიტყდა, ლიპო, რომ თურმე ძალით აგებდა.

**– ვარლამ, სიყვარულში როდის გამოუტყდი?**

**ვარლამი**: მერვე კლასიდან. მე იმ დროიდან სპეცსკოლაში გადავედი და ტელეფონით სულ ვეხმიანებოდი. გიული მელაპარაკებოდა, მაგრამ შეხვედრას თავს ყოველთვის არიდებდა. ასე გრძელდებოდა დიდხანს. მერე, პირველად რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, დამირეკა და მომილოცა.

**გიული**: გულწრფელად გეტყვით, მეგონა, უკვე დავიწყებული ექნებოდა ეს გრძნობა, რადგაც დიდი ხნის განმავლობაში არ გვქონდა ურთიერთობა, მაგრამ შევცდი.

**ვარლამი**: მერე დადგა ის პერიოდიც, როცა გიულიც გამომიტყდა სიყვარულში.

**– ქორწინება როგორ მოხდა – ხელი სთხოვეთ გიულის მშობლებს, თუ გაიპარეთ?**

– მე ევროპის ჩემპიონატზე მივდიოდი ჩელიაბინსკში და გიულის გამოვუცხადე, თუ არ გამომყვები, საერთოდ აღარც მივიღებ მონაწილეობას-მეთქი. ორივემ ვიცოდით, რომ გიულის მამა თანახმა არ იქნებოდა. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ჩვენი ურთიერთობა გაოფიციალურებულიყო. მოვილაპარაკეთ და მე მამამისს შევხვდი. ვუთხარი: თქვენი გოგო მიყვარს და იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან დიდი სტიმული იქნება ჩემთვის გიულის იქ ყოფნა, გთხოვთ, გამოუშვათ-მეთქი.

**– რაო მერე, გამოგაყოლათ?**

– ჯემალი ბაბუ დაგვეხმარა, სიტყვა შეგვაწია და მართლაც გამოუშვეს გიული, ოღონდ იმ პირობით, რომ უკან ოქროს მედლით უნდა ჩამოვსულიყავი. მოხდა ისე, რომ 2 ოქროს მედლით ჩამოვედი – ერთი გუნდურში ავიღე და ერთიც პირადულში. ეს იყო ჩემი პირველი ოქრო ევროპის ჩემპიონატზე.



**გიული: „სვანებს რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან. მე დედა სვანი მყავდა და სულ მახსოვს მისგან, ვინმეს ღირსებებზე რომ საუბრობდა და აქებდა, დააყოლებდა ხოლმე – „თან, სვანია". ჰოდა, ლიპო რომ ჩვენს კლასში გადმოვიდა და გავიგე, „თან სვანი" იყო, მივედი და გავეცანი, მეც ნახევრად სვანი ვარ-მეთქი"**

**გიული**: რომ ჩამოვედით, აეროპორტში ჩვენები, ყველანი დაგვხვდნენ და ლიპოს დედამ მითხრა: სად იყავი აქამდე, რამდენი ოქრო დაგვაკარგვინეო ***(იცინის).*** იქამდე ლიპოს ორჯერ ჰქონდა ვერცხლის მედალი აღებული.

**– ო, რა სანახაობრივი იქნებოდა თქვენი ქორწილი, წარმომიდგენია.**

**ვარლამი**: ამის ორგანიზება გიულიმ ითავა. მე საგანგებოდ, ცეკვაც შემასწავლეს. თან, მოყვარულის დონეზე კი არა – თავის გასმებით.

**გიული**: ცეკვაც დავდგით – „ყარაჩოღელი", რომელსაც ერთი გოგო, ანუ მე და დანარჩენი ბიჭები ასრულებენ. ბიჭების პარტია ლიპოს მეგობარ ძიუდოიტებს შევასრულებინეთ. ამან ისეთი რეაქცია გამოიწვია და ისე მაგრად შეასრულეს, მეტი რომ არ შეიძლება. თან, ჩოხები ისე უხდებოდათ.

**– გააცვლევინე ხომ კიმონოები ჩოხაზე?**

– კი.

**– ახლა, რაც შეეხება, ვარლამის ბოლო გამარჯვებას, ყველაფერი მიამბეთ მის შესახებ.**

**ვარლამი**: შეჯიბრება ჩატარდა საფრანგეთში, ქალაქ მონპელიეში. 50 ქვეყნამდე მონაწილეობდა მასში.

**– ამ ორმოცდაათიდან რომელი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის ხედავდით უფრო კონკურენტს?**

– ფრანგებსა და რუსებს შორის. ფრანგებს ძლიერი გუნდი ჰყავთ. თან, დარბაზში უამრავი გულშემატკივარი ჰყავდათ და მსაჯებსაც, რა თქმა უნდა, მათ მიმართ გარკვეული სიმპათია ჰქონდათ. რუსეთის გუნდს რაც შეეხება, ის რუსეთის პრეზიდენტის ფავორიტია. ყველას მოეხსენება, როგორ ყურადღებას აქცევს და გულშემატკივრობს პუტინი ძიუდოს და რუს ძიუდოიტებს. ახლაც გამარჯვების იმედი ჰქონდათ, მაგრამ მეორე ადგილს დასჯერდნენ.

**გიული**: სოჭის ოლიმპიადის დროს პუტინმა თქვა, რომ ქართველებს ძლიერი სპორტსმენები ჰყავთ, განსაკუთრებით ძიუდოისტებიო. ვფიქრობ, პატარა საქმე არ არის, ასე დაამახსოვრო თავი ამხელა ქვეყნის პრეზიდენტს. მეტსაც გეტყვით, პირადად ლიპარტელიანზე აქვს ნათქვამი, კარგი იქნებოდა, ეს ბიჭი ჩემს გუნდში მყავდესო.

**– ეს საიდან შეიტყვეთ?**

– ბუნებრივია, როდესაც პრეზიდენტი ესწრება თავისი გუნდის შეჯიბრებას, გამარჯვების იმედიც აქვს. 2008 წელს პუტინი საგანგებოდ მისი ფავორიტი სპორტსმენის საგულშემატკივროდ იყო მოსკოვის „გრანდ სლემზე" მისული. ლიპომ ის ძიუდოისტი დაამარცხა, თან მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდებში ასპარეზობდა და უკვე დიდების ტურნირებს იგებდა. პუტინის გარშემო ხომ სხედან დარბაზში ძიუდოს ფედერაციის მესვეურნი, სწორედ მათგანაც გამოვიდა ეს ამბავი. შემდეგ რუსეთის რამდენიმე არხმა ეს ციტატა თავის გადაცემაშიც მოიყვანა.

**– ასწავლეთ ხომ, პუტინს საკუთარი სახელი და გვარი... ამჯერად რომელი შერკინება გელით წინ?**

**ვარლამი**: წინ მრავალი შეჯიბრება გვაქვს. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო ჩემპიონატია, რომელიც რუსეთში გაიმართება აგვისტოში. ძიუდოს ფედერაცია და მწვრთნელთა საბჭო ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მაქსიმალურად მომზადებულები შევხვდეთ მსოფლიო ჩემპიონატს. დაგეგმილია მრავალი შეკრება საზღვრებს გარეთაც და საქართველოშიც. ჩვენ, ჩვენი მხრიდან ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პირადი შედეგები გავაუმჯობესოთ და გუნდურში მსოფლიო ჩემპიონობის ტიტული შევინარჩუნოთ.

**– ისლა დამრჩენია, წარმატებები გისურვოთ. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ ძალიან ბევრი გამარჯვება გელით.**

**ეკა სალაღაია**

# ერევა თუ არა მაკა ჩიჩუა საქართველოს პრეზიდენტის გარდერობში და როდის იღებს ის გიორგი მარგველაშვილისგან კომპლიმენტებს

*გასული კვირა მოდის მოყვარულებისთვის განსაკუთრებულად სასიამოვნო და დატვირთული იყო – ერთწლიანი შესვენების შემდეგ თბილისს მოდის კვირეული დაუბრუნდა. წელს მოდის კვირეულს, რომელიც 6 მაისს გაიხსნა, „ვარდების ბაღი” მასპინძლობდა და მასში როგორც გამოცდილი, ასევე, დამწყები დიზაინერები მონაწილეობდნენ. თბილისის ყველაზე მოდური ღონისძიება „ატელიე კიკალამ“ იმ კოლექციით გახსნა, რომელიც ცოტა ხნის წინ პარიზში „ტრანოის“ შოუ-რუმში იმყოფებოდა და ახალბედა ბრენდს საკმაოდ დიდი წარმატება მოუტანა. „ატელიე კიკალას” შემდეგ კი გოლა დამიანის („დალოოდ ჯგუფი“) ჩვენება გაიმართა: ფერადი კოლექცია, გაწყობილი ქვებით, პრინტებით, ქალური, სპორტული სილუეტით. „ფეშენ-ვიქის“ გახსნის პარალელურად გაიმართა ტრაგიკულად დაღუპული ფოტოგრაფის, ირაკლი ღუღუნიშვილის ფოტოების გამოფენა – ირაკლი „თბილისის ფეშენ-ვიქს“ (და არა მხოლოდ მას) ნამდვილად აკლდა...*

*ასევე, სასიამოვნოდ დატვირთული იყო მეორე დღე მასტერკლასებით, პრეზენტაციებითა და ჩვენებებით. საღამო დიზაინერ მარიამ გვასალიას ჩვენებით დაიწყო, რასაც აკა ნანიტაშვილის ნაზი, ლამაზი, ნათელი, ფერადი სამოსის ჩვენება მოჰყვა – ნაქარგებით, მარგალიტებით გაწყობილი კოლექციის თემა ოპერის თეატრი იყო, აკას არაჩვეულებრივი ხელწერით. ამ დღის კულმინაცია კი დიანა ქვარიანის ჩვენება აღმოჩნდა. მისმა დებიუტმა და ჯეი.ბისთან კოლაბორაციამ ნამდვილად გაამართლა – „ლედი-დენდმა”, მკაცრმა, დახვეწილმა, მოწესრიგებულმა ქალმა, ჯეი.ბის არაჩვეულებრივი ქუდებით, რომელიც თავდაჯერებულად დააბიჯებდა კონსერვატორიის კიბეებზე, დამსწრე საზოგადოებაზე შთაბეჭდილება ნამდვილად მოახდინა...*

**მაკა ჩიჩუა**: ძალიან მომწონს „თბილისის ფეშენ-ვიქი“, ბევრად უფრო დახვეწილია. დიდი ხნის წინ ყოველთვის ვესწრებოდი და ვიღებდი ჩვენებებში მონაწილეობას – შეიძლება ითქვას, ყოფილი მოდელი ვარ. ახლა ვგრძნობ, რომ ეს სფერო ყოველ წელს იზრდება, იხვეწება. ქართველი ყოველთვის იყო გემოვნებიანი ჩამცმელი – ეს უდავოა. ამიტომ, მიხარია, მოდის სამყარო, ტენდენციები რომ არ კვდება და ვითარდება. ამ პროგრესსაც ყველა აშკარად გრძნობს. ის სივრცე, სადაც მოდის კვირეული ჩატარდა, „ვარდების ბაღს” ვგულისხმობ, აბსოლუტურად ჰარმონიულია, კარგად შეეწყო მოდის კვირეულს. კონსერვატორიაში ჩატარდა ახლა ჩვენება და ესეც მომეწონა. ვფიქრობ, დიზაინერებიც გაზრდილები არიან და, რაც მთავარია, ჩემთვის ახალი, ნიჭიერი ადამიანები ჩნდებიან. მაგალითად, „კიკალა სტუდიოდან“ გამოჩნდა ძალიან საინტერესო დიზაინერი, დიანა ქვარიანიც არ ვიცოდი – ესეც ახალია.

**– რამეს ჩაიცვამდით ამ კოლექციებიდან?**

– დიანას კოლექცია მომეწონა, კი ჩავიცვამდი. თუმცა, აკა ნანიტაშვილის კოლექციიდან უფრო ავირჩევდი – უფრო ჩემებურია, მსუბუქი, „ხულიგნური“, ანუ, ჩემი სტილია.

**– ძველი მოდელი ვიყავიო, თქვით. პოდიუმზე ხომ არ მოგინდათ გამოსვლა, ან, ძველი ემოციები ხომ არ გაგახსენდათ?**

– აღარ მომდომებია. გარკვეულ დონეზე კი გამახსენდა ის ემოციები, მაგრამ ამაზე აღარც მიფიქრია. თუმცა, ხომ იცით, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**– როგორც ვიცი, ქართველი დიზაინერების სამოსი გაცვიათ.**

– დიახ, ინაუგურაციაზე დათუნა სულიკაშვილმა ჩამაცვა. მგონია, რომ ძალიან დახვეწილი იყო, ზუსტად მომარგო ის, რაც მე მიხდება. მიმაჩნია, რომ პერსპექტიული დიზაინერია.

**– ხშირად ერევით პრეზიდენტის გარდერობში?**

– სხვათა შორის, არა. რამდენჯერმე უკითხავს, ეს ჰალსტუხი უხდება თუ არა ამ პერანგსო. ძირითადად, არ ვერევი, თვითონაც კარგი გემოვნება აქვს.

**– თქვენ თუ გეუბნებათ კომპლიმენტებს?**

– კი, როგორ არა. კარგი გემოვნება აქვს და



ეს ყოველთვის აინტერესებს, თუმცა, განსაკუთრებულად – არა. ამაშიც ზომიერია, როგორც ყველაფერში.

**– ყველა ჩვენებაზე აპირებთ დასწრებას?**

– მინდა, რომ დავესწრო, ვნახოთ როგორ მოვახერხებთ. მიხარია, რომ ამ დარგის განვითარებას ვხედავ. საქართველოს ნამდვილად სჭირდება გემოვნებიანი ადამიანები ამ სფეროში.

*8 მაისს თავისი პირველი სრული ჩვენება გამართა დიზაინერმა მარიამ მახარაძემ, რასაც ქეთი ჩხიკვაძის ნაზი, დახვეწილი, ქალური კოლექცია მოჰყვა. საღამოს კულმინაცია იყო მოდის სახლ „მატერიის“ დიზაინერის, ალექსანდრე ახალკაციშვილის პირველი კოლექცია, თემით: საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები, მავთულხლართები, ოკუპირებული ტერიტორიები. თითოეულმა სამოსმა, აქსესუარმა და მუსიკამ მაყურებელში ერთდროულად ბევრი ემოცია აღძრა და დიზაინერის დებიუტი დიდი ოვაციებით შეაფასა. თუმცა, მოდის კვირეული ამით არ დამთავრებულა, წინ კიდევ ორი დღე – 9 და 10 მაისი გველოდა (სტატია მომზადებულია 8 მაისს, – ავტორი): ლელა ელოშვილის, Mach & Mach-ის, Salle De Mode-ის, გიორგი შალაშვილის, დათუნა სულიკაშვილის, რამაზო რომასა და ავთანდილის შთამბეჭდავი ჩვენებებით.*



**თაკო ჩხეიძე** ***(თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორი):*** ვფიქრობ, ასეთი ღონისძიება აუცილებელია თბილისისთვის. არასწორია იმის თქმა, რომ „ფეშენ-ვიქი“ დაბრუნდა, უბრალოდ, ერთი სეზონი გაუქმდა და ახლა, ჩვეულებრივ, აღდგა. ყოველთვის ვცდილობთ, ეს ღონისძიება სხვადასხვა ადგილას ჩავატაროთ, წელს „ვარდების ბაღში“ ვატარებთ და ვფიქრობ, ძალიან გაამართლა. ყოველ შემთხვევაში, დიდი კომპლიმენტები მივიღეთ მოსული ხალხისგან, სტუმრებისგან, გვითხრეს, რომ ფანტასტიკური გარემოა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ ამ ლოკაციით – გაზაფხულია, მაისი, ბაღია... მოკლედ, ძალიან კარგია.

**– როგორც წინა სეზონებზე, ახლაც, ყოველ დღეს იმ დიზაინერის სამოსი გაცვია, ვისი ჩვენებაც ტარდება.**

– ყოველდღე ქართველი დიზაინერის სამოსი მაცვია. პირველ დღეს მეცვა „ატელიე კიკალა“, მეორე დღეს – გოლა დამიანის, შემდეგ კი – დიანა ქვარიანის კოსტიუმები, ხოლო დღეს მაცვია „მატერიის“ სამოსი. ძალიან კმაყოფილი ვარ, ყველაფერი კარგად მიდის, ძალიან კარგი კოლექციები ვნახეთ. ბევრი სტუმარი გვყავს – ოცი სტუმარია უცხოეთიდან, საერთაშორისო პრესის წარმომადგენლები ჟურნალებიდან: L'officiel, Style Du Monde, Buro 24/7, Vogue Russia, Fashion Collection, NARGIS Magazine, Esquire (USA), ასევე, ბაიერები. იმართება ძალიან კარგი მასტერკლასები და კონკურსი დამწყები დიზაინერებისთვის. წინ კიდევ ორი მძიმე, დატვირთული დღე გვაქვს. 10 მაისს რიტუალების სასახლეში ჩატარდება ავთანდილის ჩვენება – საოცარ ბაღში მოხვდებით, სადაც ფარშევანგები ივლიან; მოკლედ, მნახველს ზღაპარში ეგონება თავი, ძალიან ლამაზი ჩვენება გელით წინ.

**– შენი მეუღლე დავინახე გუშინ. როგორც სხვა წლებში, ახლაც შენ გვერდით არის ამ მნიშვნელოვან დღეებში.**

– დიახ, გვერდში მიდგას, რადგან, ძალიან დამღლელი კვირა მაქვს.

**– ეს შენს ხასიათზე აისახება ხოლმე?**

– ახლა ისე ვარ, არავისთან არ მინდა კონტაქტი. მერე რაღაც პერიოდი მჭირდება იმისთვის, რომ დავისვენო. რა თქმა უნდა, მიყვარს ის საქმე, რასაც ვაკეთებ და ამისთვის დიდხანს ვემზადებოდით. რომ დამთავრდება, მალევე დავიწყებთ შემდეგი სეზონისთვის მზადებას, რომლის ჩატარებასაც ზაფხულში ვგეგმავთ.

**თიკა ალავიძე**: პირველად წელს მომიწია ამ პერიოდში საქართველოში ჩამოსვლა, რადგან ზაზას გუნდი „ფლეი-ოფებში“ ვერ მოხვდა. მიხარია, რომ ვესწრები „თბილისის მოდის კვირეულს“, ძალიან სასიამოვნო იყო ჩემთვის, ძალიან ლამაზი კოლექცია აჩვენეს. გუშინაც ვიყავი და გუშინაც მომეწონა, მიხარია, რომ ასეთი წარმატებული დიზაინერები გვყავს. ვფიქრობ, ნებისმიერ დიზაინერს აქვს იმის შანსი, რომ უფრო მასებმა გაიცნონ და უპირველეს ყოვლისა, მსოფლიომ.

**– ამერიკაში თუ ახერხებ ასეთი ტიპის ღონისძიებებზე წასვლას?**

– ზაზას განრიგიდან გამომდინარე იშვიათად ვახერხებ. ხშირად გვიგზავნიან მოსაწვევებს, მაგრამ იმ პერიოდში ზაზას აქვს ხოლმე თამაშები და ვერ მივდივართ.

**– თუ იცვამ ქართველი დიზაინერების სამოსს?**

– სხვათა შორის, ახლა მაცვია „ლალოს“

**(გაგრძელება 78-ე გვერდზე)**

**„კასტელ ჯორჯიას" ლუდის ქარხანა თანამედროვე ტექნოლოგიის აპარატურით აღჭურვილი ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოა არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში. „კასტელის" სახელით წარმოებული ყველა ლუდი უმაღლესი ხარისხის ნედლეულით მზადდება, რომელსაც კომპანია მსოფლიოში წამყვანი მწარმოებელი საწარმოებისგან იძენს.**

**„კასტელ ჯორჯიას" კიდევ ერთი საჩუქარი აქვს ლუდის მოყვარულებისთვის – „გერმანული 9", რომელიც მაღალი ალკოჰოლის (7%) შემცველობით გამოირჩევა.**

**ჩვენი რესპონდენტები არიან კომპანია „კასტელ ჯორჯიას" მთავარი ტექნოლოგი, ფრენკ ლანგე და კომპანია „კასტელ ჯორჯიას" დირექტორი, ლევან ზაუტაშვილი.**

# ლუდი „გერმანული" – გერმანელი ტექნოლოგისგან

**ფრენკ ლანგე** *(„კასტელ ჯორჯიას" მთავარი ტექნოლოგი):* ამ სეზონზე ჩვენს მომხმარებელს შევთავაზეთ სიახლე: „გერმანული 9", თუმცა მანამდე „გერმანული ტრადიციული" და „გერმანული ექსპორტი" უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბაზარზე. სამივე სახეობა თავისებურად გამოირჩევა: „გერმანული ტრადიციული" კლასიკური ლუდია, საშუალო სიმწარით, ხოლო „გერმანული ექსპორტი" – ძლიერი გემოთი ხასიათდება. ჩვენი ბოლო სიახლე – „გერმანული 9" მეტ ალკოჰოლს შეიცავს. გვაინტერესებდა, გაამართლებდა თუ არა ის. როგორც ვხედავთ, გაამართლა – ხალხს მოსწონს და, შესაბამისად, მოთხოვნაც გაიზარდა.

**– ეტიკეტზე თავად აწერთ ხელს, რაც, თქვენი მხრიდან, ლუდის მაღალ ხარისხზე პასუხისმგებლობას ნიშნავს.**

– რა თქმა უნდა. ეტიკეტზე ხელმოწერით ხარისხზე პასუხისმგებელი ვარ. მომხმარებელმა დააგემოვნა ლუდი, ნახა, რომ ხარისხი მაღალია და შეიყვარა ის.

**– რომელია ამ კონკრეტულ ლუდთან მისაყოლებელი კერძი, რომელიც „გერმანულ 9-ს" კიდევ უფრო გემრიელს ხდის?**

– გამომდინარე იქიდან, რომ „გერმანული 9" უფრო მეტ ალკოჰოლს შეიცავს, შესაბამისად, კერძებიც შედარებით „მძიმე" უხდება – ცხიმიანი საკვები, ხორცი და ასე შემდეგ.

**– ტექნოლოგია და ნედლეული, როგორც ვიცით, მთლიანად გერმანულია.**

– გვყავს მსხვილი მომწოდებლები გერმანიაში, რომლებიც უმაღლესი ხარისხის პროდუქციას გვაწვდიან. ამ კომპანიებს დიდი გამოცდილება აქვთ და „კასტელ ჯორჯია" ამიტომაც თანამშრომლობს მათთან. შესაბამისად, ჩვენი ლუდი ხარისხით ყოველთვის გამორჩეულია.

**– საქართველოში როგორ მოხვდით?**

– წლების განმავლობაში ვმუშაობდი „კასტელ გრუპში", საქართველოშიც რამდენიმეჯერ მომიწია ჩამოსვლა. ასე რომ, აქაურობა ჩემთვის უცხო ნამდვილად არ იყო. ერთი წელია, უკვე აქ ვარ. ჩემს პროფესიას გერმანიაში დავეუფლე და 1979 წლიდან ამ სფეროში ვმუშაობ. საკმარისი გამოცდილებაც დამიგროვდა. ამ წლების განმავლობაში ვმუშაობდი კანადაში, გერმანიაში და ასე შემდეგ. ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას ახლა „კასტელ ჯორჯიას" ვუზიარებ.

**ლევან ზაუტაშვილი** *(„კასტელ ჯორჯიას" დირექტორი):* 2013 წლის მარტში „კასტელის" მენეჯმენტი შეიცვალა. ჩვენი ინტერესი იყო ქარხნის დიდი პოტენციალი წარმადობის მხრივ, საკმაოდ ძლიერი ტექნოლოგიური ბაზა. 2013 წლის დასაწყისში ბაზრის წილი 6% დაგვხვდა, წელიწადი კი, 16%-ით დავასრულეთ. ეს იყო მარტიდან დეკემბრის ჩათვლით. ჩვენი მიზანი გახლდათ, მომხმარებლისთვის შეგვეთავაზებინა ძალიან მარტივი ფორმულა: „მაღალი ხარისხის ლუდი – რეალურ ფასად!" მომხმარებელს შევთავაზეთ ლუდი „გერმანული" – 0.5 ლიტრი 1 ლარად. ლუდს ისეთი მომხმარებელი ჰყავს, მარტო ფასის გამო არ შეიძენს, თუ ხარისხი არ აკმაყოფილებს მოთხოვნას. რეალურმა ფასმა და მაღალმა ხარისხმა, შედეგი ნამდვილად მოგვცა. წელს დაგეგმილი გვაქვს, რომ ბაზრის დაახლოებით 32% ავითვისოთ.

ძალიან მარტივია შეფასება, თუ კონკრეტულად რომელი კომპანია როგორ ლუდს აწარმოებს – უნდა დავთვალოთ, გარეთ რამდენი რეზერვუარი (ცეკატე) აქვს. ლუდმა დამზადების თავისი პროცესები უნდა გაიაროს. ლუდი რომ მოიხარშება და დამზადდება, შემდეგ მისი ყველაზე მთავარი პროცედურა დაყოვნებაა. მაგალითად, „გერმანული 9", რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ და მაღალალკოჰოლიანია, დამზადების შემდეგ მინიმუმ 40-დღიანი დაყოვნება სჭირდება რეზერვუარში. აქედან გამომდინარე, როდესაც დაახლოებით იცი, ბაზრის რა წილზეა საუბარი, მთლიანად რამდენი იყიდება და შემდეგ, ამას გადაიყვან ქარხანაში ჭურჭლის რაოდენობაზე, მარტივად მიხვდები, ქარხანა რა ხარისხის ლუდს აწარმოებს.

გვაქვს ბრენდირებული ჩამოსასხმელი ლუდის მაღაზიათა ქსელი, სადაც ჩვენს ჩამოსასხმელ „ცოცხალ ლუდს" ვყიდით. სერიოზულ სიურპრიზს ვუმზადებთ ასეთი ლუდის მოყვარულებს – ძალიან მალე ახალი ლუდის დაგემოვნების საშუალება ექნება ჩვენს მაღაზიაში მოსულ მომხმარებელს.

ბუნებრივია, არ გავჩერდებით ბაზარზე სიახლეების გარეშე, კიდევ ბევრი კარგი და საინტერესო გეგმა გვაქვს, რომელსაც „კასტელ ჯორჯია" უახლოეს მომავალში შესთავაზებს მომხმარებელს.

**მარიკა ხიდურელი**



# ბრძნული აზრები

**კონფუცი**: აირჩიე სამუშაო, რომელიც გიყვარს და შენს ცხოვრებაში ერთ დღესაც აღარ იმუშავებ.

**ფრანკი**: სიზარმაცე, შეიძლება, მიმზიდველი იყოს, მაგრამ, კმაყოფილებას შრომა ჰგვრის.

**ოვიდიუსი**: ზოგი კეთილსა ხედავს, თანაუგრძნობს და ავს კი მაინც სჩადის.

**მონტესკიე**: ძალიან ჭკვიანები და ძალიან სულელები არ იცვლებიან.

**ვერნი**: ყველა ადამიანი, რომელიც სხვებზე უპირატესია ინტელექტით ან მორალური ხარისხებით, მისი სურვილის მიუხედავად, პასუხისმგებელია სხვა ადამიანებზე.

**კირკეგორი**: რა უცნაურები არიან ადამიანები! არასდროს სარგებლობენ მინიჭებული ერთი რომელიმე თავისუფლებით და მაინცდამაინც სხვას მოითხოვენ.

**პასკალი**: რაც უფრო ჭკვიანია კაცი, მით უფრო მეტ თავისებურებებსა და მრავალფეროვნებას პოულობს მოყვასთა შორის. ჩვეულებრივი კაცისთვის კი ყველა ერთია.

**ერაზმ როტერდამელი**: რაც სიჭაბუკეში შევცოდეთ, სიბერეში დაგვხვდება.

**გოეთე**: მიუხედავად იმისა, რომ სამყარო მთლიანობაში წინ მიიწევს, ახალგაზრდობას მაინც ყველაფრის თავიდან დაწყება უწევს.

**შარდენი**: ყველა რელიგია ადამიანის მატერიაზე ამაღლებას ისახავს მიზნად.

**ბერნე**: სიძულვილის დამალვა იოლია, სიყვარულის – ძნელი, ყველაზე ძნელი კი გულგრილობის დამალვაა.

**სოფოკლე**: საშინელია გონება, თუ ის კაცს არ ემსახურება.

**ლაროშფუკო**: საუბარს ნდობა უფრო აცხოველებს, ვიდრე გონება.

**ემერსონი**: არ შეიძლება, ორ ადამიანს სძულდეს ერთმანეთი, თუ ორივეს სწამს ღმერთი.

**ბუასტი**: ყველაზე დიდი კმაყოფილება მდგომარეობს იმაში, რომ შენგან კმაყოფილი იყოს ყველა.

**ვილსონი**: ჩვენ თვითონ უნდა გვჯეროდეს იმის, რასაც ვასწავლით ჩვენს შვილებს.

**ლაო ძი**: დიდი ვნებები და დიდი ნაწარმოებები დაუკმაყოფილებლობისგან იქმნებიან.

**ციცერონი**: შეცდომა ყველას მოუვა, მაგრამ, ვინც შეცდომას იცავს, ის სულელია.

**ვოლტერი**: შეცდომათა ქექვაში კარგავენ დროს, რომელიც, შესაძლოა, გამოეყენებინათ ჭეშმარიტების აღმოსაჩენად.

**რუსო**: ერთი საათის მუშაობა უფრო მეტს გასწავლის, ვიდრე ერთი დღის ახსნა-განმარტებები.

**ანტისფენე**: უნდა მივდიოთ იმ სიამოვნებებს, რომელიც შრომას მოსდევს, და არა იმას, რომელიც უსწრებს მას.

**ბიორკი**: ადათ-წესებში კანონებს ცვლიან.

**სალიუსტიუსი**: თანხმობაში პატარა საქმეები დადებითად იზრდება, უთანხმოებაში კი დიდი საქმეებიც ეცემა.

**კარლაილი**: დაფარულად უნდა იმოქმედო – მოულოდნელობა წარმატების პირობაა, ღია თამაშში კი სიხარული არ არის.

**ბალზაკი**: ქალი, გენიალური ჯალათი, უნიჭიერესი მასწავლებელი იყო და ყოველთვის იქნება მამაკაცის დამღუპველი.

**ჰაინე**: ქალს ისევ ქალით უნდა ვუწამლოთ – ეს, ალბათ, ყველაზე ნაცადი მეთოდია.

# თუ გაგიკვირდათ

1. მეთხუთმეტე საუკუნის ინგლისი. რამდენიმე მეომარი სავარჯიშოდ გავიდა, თუმცა ნისლიანი ალბიონის წვიმამ ამის საშუალება მათ არ მისცა და ახალგაზრდებმა მახლობელ ტრაქტირში ლუდის დასალევად შეუხვიეს. წვიმა გაგრძელდა და დროის გასაყვანად მოიფიქრეს, ის, რაც შემდგომში ერთ-ერთი საყვარელი გასართობი გახდა ინგლისელთათვის პაბებში. **რა?**

2. ოსმალეთის იმპერიაში არ იყო დევნა რელიგიური ნიშნით. ქრისტიანებს შეეძლოთ, თავისუფლად ჩაეტარებინათ ღვთისმსახურება, აეშენებინათ ტაძრები და მათში წმინდანებიც კი გამოესახათ, რაც ყურანისთვის მიუღებელია. მაგრამ ეკლესიებში ერთი რამ მაინც იკრძალებოდა, რითაც თურქული ქრისტიანული ტაძრები ყველა დანარჩენებისგან გამოირჩეოდნენ. **რას ვერ ნახავდით იქ?**

3. 1965 წელს მაროკოში გამოიცა რუსულიდან თარგმნილი „სიონელ ბრძენთა ოქმები". ისრაელში დღესაც ამბობენ, რომ ებრაელთა სახელმწიფო სწორედ ამ მოვლენას უნდა უმადლოდეს გაძლიერებას. **რატომ?**

4. ქრისტიანობის არსებობის პირველ წლებში რომის იმპერიაში საშინელი ანტიქრისტიანული რეპრესიები ტარდებოდა. ახალი მიმდინარეობის მიმდევრობაზე მცირე ეჭვის გამოც კი ადამიანებს პირდაპირ ქუჩებში იჭერდნენ და ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე სჯიდნენ. სწორედ იმ დროს წარმოიშვა ისტორიაში პირველი ქრისტიანული სექტა – აკვარიების სექტა. სხვებისგან ისინი ტრადიციული რიტუალის ჩატარების მხოლოდ ერთი დეტალით განსხვავდებოდნენ. **რით?**

5. მათი გამოყენების იდეაზე დიდი ხნის განმავლობაში საუბრობდნენ, კომერციული სახე მხოლოდ 1993 წელს მიიღო, როდესაც ცნობილმა „კრისტის" აუქციონმა საერთაშორისო ასტრონომიულ კავშირთან შეთანხმებით ისინი ერთ-ერთ ლოტად გამოიტანა და დიდი წარმატებითაც. **რა?**

6. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კარგი აფთიაქი ვატიკანშია, სადაც ისეთი პრეპარატებია, რომლებსაც, მაგალითად, რომის ვერცერთ აფთიაქში ვერ იშოვით. ამიტომ რომაელები ხშირად გადადიან სხვა სახელმწიფოში წამლის შესაძენად. თუმცა არის რაღაც, რომელსაც ვატიკანის აფთიაქში ვერასოდეს იყიდით, მაგრამ სხვა ქვეყნების თითქმის ნებისმიერ აფთიაქშია. **რა?**

7. ამინდის მონაცემებზე მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დიდი ქალაქების უმრავლესობაში შაბათ-კვირაობით გაცილებით გრილი დღეებია, ვიდრე კვირის სხვა დღეებში. **რატომ?**

8. პლუტარქეს დროს საბერძნეთში მას ლექსებად წერდნენ და სახალხოდ მღეროდნენ ქალაქის მოედანზე. ამის გამო იყო, რომ მოქალაქეთა უმეტესობამ იცოდა ის, რისი ცოდნაც ნამდვილად საჭიროა. **რა?**

9. ამერიკა-მექსიკის ომის დროს 1846 - 1848 წლებში ამერიკელი ჯარისკაცების საყვარელი სიმღერა იყო „Green grow the violets" – „იზრდებიან მწვანე იები". მექსიკელებმა ომი წააგეს და სიმღერაზე იძიეს შური. **როგორ?**

10. ტრადიციული ესპანური კორიდა დიდხანს არ გრძელდება – დაახლოებით 20 წუთი. მაყურებლები კი მზად არიან, საათობით უყურონ სანახაობას. ამიტომ ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ორთაბრძოლა იმართება. **რატომ არის შეზღუდული დრო?**

***პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე***

# ქართველ გამოჩენილ ადამიანთა ეპიტაფიები და წარწერები სამნებზე

**ერეკლე მეორე** – თავის თოფზე ამოუკვეთავს შემდეგი სიტყვები: „მე ვარ თოფი, მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა". ხოლო ხმალზე ჰქონდა წარწერა: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა".

**ბუდუ მდივანი** – ბოლშევიკური რუსეთის და საქართველოს გამოჩენილი პიროვნება. მისი ბოლო სიტყვები იყო. „დაე, სტალინი ნუ დაივიწყებს, რომ დანტონის შემდეგ, რობესპიერის რიგი დადგება".

**ქაქუცა ჩოლოყაშვილი** – მან ასეთი სიტყვები ამოაქარგვინა საბრძოლო დროშაზე: „ჩვენთან არს ღმერთი. უწყოდეთ, წარმართნო, ჩვენთან არს ღმერთი და გემორჩილებდეთ, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი".

**ამილახვრების** საგვარეულო სასაფლაოზე წარწერა: „მეფისა მტრისა ლახვარი ვამტკიცებ ამილახვარი".

**ბაგრატიონ იულონ ირაკლის ძის** წარწერა საფლავზე: „ტომ სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან".

**პატარა კახი** – მის ბეჭედზე ამოტვიფრულია სიტყვები: „მე ფეხ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე".

**მეფის ძე ვახტანგ ბაგრატიონი** – წარწერა საფლავზე: „ტომად იუდათ ბაგეთათ, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად".

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი: 1. e2-e4!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



გოგონამ გადაწყვიტა, შეცვალოს ქერა ქალებზე წარმოდგენა, გადაიღება თმა შავად და გავიდა... ქალაქის შემოსასვლელში, გზის პირას, მინდორში მწყემსი და ცხვრები დაინახა. მივიდა მწყემსთან და ეუბნება:




– თუ გამოვიცნობ, რამდენი ცხვარია, ერთ ცხვარს მომცემ?

– კარგი.

– 61.

– მართალია.

გოგონა კმაყოფილი მიდის, მოგებულით.

– და თუ მივხვდები, შენი თმა სინამდვილეში რა ფერია, დამიბრუნებ ძაღლს? – დაუძახა მწყემსმა.

***

ქალბატონი და ბატონი საწოლში სიყვარულს უნდა მიეცნენ. საწოლთან მოსამსახურე ბიჭი დგას სანთლით და ეკითხება:

– კარგია, ჩემო ქალბატონო?

– არა. სანთელი მარჯვენიდან მოაშუქე.

– ასე კარგია, ჩემო ქალბატონო?

– არა. მეორე მხრიდან დადექი..

– ახლა, ჩემო ქალბატონო?

– არა...

წამოხტა ბატონი და მსახურს ხელიდან გამოსტაცა სანთელი.

– მომეცი და ჩემს ადგილას დაწექი! კარგია, ქალბატონო?

– ჰო, ჰო, ძალიან კარგია, ძალიან...

– ჰოდა, ისწავლე, უტვინო, როგორ უნდა მომინათო...

***

როგორ გადაწყდება დემოგრაფიული პრობლემა, როდესაც ნამდვილი ქალი არასდროს თანხმდება პირველ შემოთავაზებაზე, ნამდვილი მამაკაცი კი მეორედ არ შესთავაზებს...

***

– მაგარი პოზა ვისწავლე...

– არა, თუთიყუში ყველაფერს ჩემს ქმარს მოუყვება...

– ოღონდ მაყურებინეთ და, თუ გინდათ, ენა ამომაგლიჯეთ...

***

– ჩაი, როგორც იქნა, ჩაი! – წამოიყვირა ღვიძლმა და გონება დაკარგა.

***

ლუდის, კონიაკის, დღეში 7 ჭიქა ყავის დალევა – ნორმალურია, აი, წყალი კი აუცილებლად გაფილტრული უნდა სვა.

***

შევნიშნე, რომ თუ არ სვამ ტკბილ ჩაის ან ყავას, ლუდს, ღვინოს, არ ჭამ ცხიმიან ხორცს, ნამცხვარს, სახე ნამდვილად გაგიხდებათ... მოწყენილი.

***

თუ იღბალი თქვენგან ზურგით შებრუნდა, არ მოიწყინოთ, ამოარტყით პანღური... ის აუცილებლად მოგიბრუნდებათ, რომ დაინახოს, ეს ვინ გააკეთა.

***

ვცხოვრობ ძალიან მოკრძალებულად: მდნარი ყველი, უჭერო მანქანა, ძველი ღვინო, ულილაკო ტელეფონი...

***

მოსწავლეები ისტორიაში მეორე მსოფლიო ომის თემას გადიან. მასწავლებელმა თვალსაჩინოებისთვის ბავშვებს ამ ომზე გადაღებული ფილმი აჩვენა და გამოკითხვაც ჩაატარა.

– მე ის ნარკომანი მომეწონა, – წამოიძახა სანდრომ.

– რომელი, იქ ნარკომანი საერთოდ არ




იყო?! – გაოცდა მასწავლებელი.

– როგორ არა, ყოველ წუთში რომ ამბობდა: „ტავარიშჩ ჟუკოვ, უ ვას ხაროში პლან...“

***

ტაჯიკეთში კატასტროფა მოხდა. დაიღუპა 300 ათასი ტაჯიკი. ამერიკამ ფული გაუგზავნა, გერმანიამ – პროდუქტი, რუსეთმა – 300 ათასი ტაჯიკი.

***

კითხვაზე: ვისი კოცნაა უფრო ტკბილი – ქმრის თუ საყვარლის, 500 გამოკითხული ქალიდან 300-მა უპასუხა, რომ საყვარლის, 200-მა – ქმრის. პასუხი „არ ვიცი“ არ დაფიქსირებულა.

***

წავიკითხე კარნეგი და გადავწყვიტე, მეორე დღიდან ცხოვრება ღიმილით დამეწყო... შემხვდა უფროსი და...

– თუ კიდევ მოწეული მოხვალ, ჩათვალე, რომ გათავისუფლებული ხარ...

## ცნობილ ადამიანთა იუმორისტული გამონათქვამები

რაფიელ ერისთავის წყალობით ერთ დროს მოდაში შემოვიდა სახალხო ლექსების წერა, მაგრამ ყოველი კაცი არ იყო ისე ბედნიერი, როგორც „სამშობლო ხევსურისას“ ავტორი. მწერლობაშიაც „მრავალნი არიან წვეულ და მცირედნი რჩეულ“. ასე იწყებოდა დასაბეჭდად გამოგზავნილი ერთი ასეთი ლექსი:

„გლეხის შრომის შვილი ვიყავ,
მიხაროდა ჩემი ბედი,
ცხოვრების მიზნად მიმაჩნდა
ხარები და კამბეჩები“.

***

ელჩი სადმე მოუვიდა მეფე ერეკლეს, რომელმაც სტუმრის საპატიოდ დიდი მეჯლისი გამართა. შუა ლხინში გამხიარულებული მეფე მიუბრუნდა სალომონ მსაჯულს და ჰკითხა: როგორ მოგწონს ნადიმიო.

– კარგია, მეფეო! გარნა ეს ნადიმი მამათქვენისაა და არა თქვენი. თქვენი შვილები ამისთანა ნადიმს როცა გამართავენ, აი თქვენი მაშინ იქნებაო, უპასუხა მსაჯულმა.

მეფე მიუხვდა, რომ ბატონიშვილებს გადაუკრა სიტყვა და ჩაფიქრდა.

***

სასტუმროში ერთმა ადვოკატმა ძეხვი მოითხოვა, ბევრი ეწვალა და კანი ვერ გააცალა. გულ-მოსულმა ადვოკატმა იკითხა:

– არ გიკვირთ, რომ კანი არა სძვრება ამ ძეხვსაო?




– ეგ არ მიკვირსო, – მიუგო იქვე მყოფმა აკაკიმ, – ის კი გასაკვირველია, რომ ადვოკატი ხარ და ტყავის გაძრობას ვერ ახერხებო.

***

აკაკის ჰკითხეს:

– რას მივაწეროთ, რომ ესა და ეს კაცი, როცა მთვრალია კარგად ლაპარაკობს და სასიამოვნოც არის და თუ ფხიზელია, მაგისი ვერა გაგვიგია-რა?

– უთუოდ, როცა თვრება, რაც თქვენ არ მოგწონთ, იმას ჰკარგავსო.

# წილში ჩამჯდარი ჯიმშერა და შეწერილი ტელევიზორი

„თბილისელების“ თავგადაკლული მკითხველი ვარ და, რა კარგია, რომ გაგიცანი, „ხოხმა“ უნდა მოგაწოდოო, – მითხრა ერთმა სუფრაზე გაცნობილმა (მიშიკო მქვიაო) და დაიწყო:

– ძირძველი ქუთაისელი ვარ. ცხონებული მამაჩემი პროკურორად მუშაობდა მაშინ ერთ-ერთ განყოფილებაში. ახალი ბინა მივიღეთ საფიჩხიასთან ახლოს. სკოლაც შევიცვალე, შესაბამისად და, ეს სიტუაციაა.

მეოთხეკლასელ ბავშვს ხშირად მგზავნიდნენ პურისა და საოჯახო საჭიროების პროდუქტების საყიდლად, მაგრამ, სახლში მხოლოდ ნახევარი მომქონდა.

რატომ და, ნახევარს უბნის ყოჩი, მოძველკაიბიჭო, 20 წლის ჯიმშერა „მაწერდა” სახლისკენ მიმავალს.

პირველად ძეხვზე მომიჭრა ნახევარი, მეორედ – ნამცხვარზე, მერე და მერე (რომ შერჩა) ყველაფრის წილში არ ჩამიჯდა?! უფრო სწორად, ჩემს ოჯახს ჩაუჯდა წილში.

მე ჯიმშერას რას მოვერეოდი, მიწას ძლივს ვაჩნდი.

– სადაა დანარჩენი? – მეკითხებოდნენ სახლში.

ქუთაისელი ბიჭი „ჩაშვებას” როგორ ვიკადრებდი!

– გზაში შემომეჭამა, – ვიმართლებდი თავს ცრლემლმომდგარი. ბევრჯერ მიმტკუცეს – ეს რაღაცას გვატყუებს, თორემ, სახლში არაფერს მიირთმევს და გზაში რა ახელებს ასეო, მაგრამ, რას გამომტეხავდნენ.

ჯიმშერა, როგორც ზემოთ ვთქვი, ჯიბგირობაშიც იყო შემჩნეული და ორგანოს მუშაკებს „პოდგლაზ“ ჰყავდათ. ერთი-ორჯერ დაიჭირეს, მაგრამ, სერიოზული ვერაფერი დაუმტკიცეს და გაუშვეს.

ამასობაში გათამამდა და მოუმატა ჩემს ძარცვას, პარალელურად, მამაჩემმაც მოუმატა ჩემს ცემას. მაღლა ცა იწვოდა ჩემი ცოდვით და დაბლა – დედამიწა. დღედაღამ იმას ვფიქრობდი, ჯიმშერაზე შური როგორ მეძია, მაგრამ, ერთხანს ვერაფერი მოვიფიქრე. თუმცა, უსაშველო ხომ არაფერია ამქვეყნად. ავამუშავე და ავამუშავე ტვინი და, მომენტიც გაიჩითა...

იმ ხანებში ქუთაისში ახალი შემოსული იყო „ცისფერი ეკრანი“ (ანუ – ტელევიზია).

ოთხ-ხუთ „შიშკა“ პიროვნებას ჰქონდა ტელევიზორი ჩვენს საახლობლოში. „შიშკებში“, რა თქმა უნდა, მამაჩემიც გადიოდა – პროკურორი გახლდათ, ბოლოს და ბოლოს და, იმ დღეს მოიტანა ტელევიზორი „ვორონეჟი“. გახსნა ყუთი, ამოიღო ტელევიზორი, ჩართო და ჩვენს ოჯახშიც გაისმა ჯულიეტა ვაშაყმაძისა და ლია მიქაძის ხმები.

280 მანეთი ამოიღო მამაჩემმა, გაზეთში საიმედოდ შეახვია და მეუბნება:

– მიშიკო, წადი უნივერმაღში, საშა ბიძია იკითხე და ეს ფული გადაეცი. წერილი შიგ დევს.

ესე იგი, ტელევიზორი რომ წამოიღო, ჯიბეზე თანხა არ ჰქონია. თვითონ ახალნაყიდი „საოცრებით“ ტკბება და სიფრთხილე სულ დაავიწყდა – ფულის მიტანა მე დამავალა.

მაშინ იფეთქა ჩემში „მაქინატორ-ავანტურ-




ისტის“ ნიჭმა: გამოვედი სახლიდან. ეს ფული საიმედო სამალავში მოვაყუჩე. ილლიაში ცარიელი გაზეთი ამოვიჩარე და მივდივარ დავალების შესასრულებლად.

ვიცი, ამ გაბედულ გადაწყვეტილებას შეიძლება, მძიმე შედეგი მოჰყვეს, მაგრამ ჯიმშერამ რომ ფული გამიყოს?! ან, გამიყოს კი არა, სულ შემაწეროს? მე, როგორც ქუთაისელი, ხომ ვერ „ჩავუშვებ?” მაგრამ, ეს დიდი საქმეა და არც „ჩაშვებას” მიწყენს ღმერთი – მე ხომ, ბოლოს და ბოლოს შური უნდა ვიძიო!

– გაზეთში რა გაქვს? – „პრიმას“ ექაჩება ჯიმშერა.

– ფული... ტელევიზორი იყიდა მამამ და მე გამატანა გამყიდველთან.

სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ წარბებს შორის ჯერ მკაფიო განათება ვიგრძენი, მერე – ტკივილი. სისხლის მოტკბო-მომლაშო გემოც ვიგრძენი კბილებთან. თვალი რომ გავახილე, არც ჩემი გაზეთი იყო, არც ჯიმშერა.

მივლასლასდი სახლში მტვერში ამოსვრილ-ამოგანგლული. სახლთან „პობედა“ მანქანა დგას – „ჩეკისტი“ ძმაკაცები წვევიან პაპუჩის და ახალ ტელევიზორს „ასველებენ“. ჩემს ასეთ მდგომარეობაში დანახვაზე ხელში აღებული სასმისები დინჯად დადგეს.

– რა მოხდა, შვილო? – მკითხა მამაჩემმა.

– ფული მიმქონდა და შავმა ბიჭმა წამართვაა! – ავღნავლდი მე.

– აბა, რა მოუვიდოდა, ბავშვს ფული როგორ ანდე? – აკაპასდა დედაჩემი.

– ვინ შავმა ბიჭმა?

– რა ვიცი... ჯემალია თუ ჯუანშერაა... – ისევ ავღნავლდი. ახალგაზრდა ჩეკისტებმა ერთმანეთს გადახედეს ირონიული ღიმილით.

– ჯიმშერი იქნება, სიმონ, რათ უნდა მაგას ლაყაფი! წამოდი, მიშიკო, ბიძია, შენ ჩვენთან! – შეცვივდნენ „პაბედაში“ და მე შუაში ჩამისვეს.

ქალაქში „შმონი“ დიდხანს არ გაგრძელებულა. ჯიმშერა კინოთეატრთან წაიჭირეს, შემოაგდეს მანქანაში და გავარდა მანქანა საღორიის ტყისკენ.

– რას მერჩით? – ყვირის დაბნეული ჩემი მწვალებელი.

– რას გერჩით კი არა, შენ მ...ავთ ახლა დაბადების თარიღს, – სადაა, ბუჯო, 280 მანეთი, შე სკლინტიანო იდიოტო? – დაადეს ფეხზე შეყენებული „ტეტეები“ საფეთქელზე.

– რა ფული, რის ფული?! ღმერთი, რჯული...

– აპა, ბიჭო, მაგის ჩიტები რო ვართ, არ გვეტყობა?! ფული დადევი, თვარა, დაგალპობთ ციხეში, შე გარეწარო, ამ ბაღანას რომ წაართვი!

– მე შენ ფული წაგართვი? – შეშინებული მეკითხება ჯიმშერა.

– აბა, რა ქენი, ეს შენ არ დამარტყი? – ვაჩვენე გამსკდარი წარბი (ღვთის წინაშე მართალი ვიყავი).

– კი, დარტყმით ქე დაგარტყი, – ველარ უარყო ჯიბგირმა.

აღიარებითი ჩვენება სახეზე იყო.

– ახლაა... საღამოს დაბინდებამდე მოათრიე ფული, შე ახვარო, თუ არა, ვერ გადაგვირჩები, ძველს და ახალს ერთმანეთს მივუმატებთ და, რაც გელის, კი იცი.

– ოღონდ გამიშვით და სამასს მევიტან! – გადმოსცვივდა ცრემლები ყაჩაღს. რა ბიჭი არ მოიტანდა!

ტელევიზორი შეწერილი იყო. აბა, რა ეგონა? რაც მაწვალა, ყველაფერი ერთად ავინაზღაურე.

ის ფული რომ დავმალე, არსად დაკარგულა. კაი მეექვსე კლასამდე გვეყო მე და ჩემს თანაკლასელებს.

ჯიმშერა კი, იმის შემდეგ, როგორც დამინახავდა, ფანტომასივით აორთქლდებოდა ხოლმე. ალბათ, იმიტომაც, რომ ჩემი რცხვენოდა. იმ ავბედით საღამოს იმდენი ვიტირე, რომ აღარ დავაჭერინე მამაჩემის „ჩეკისტებს“. გუნებაში კი ჩვენს ტელევიზორ „ვორონეჟს“ „ჯიმშერა“ შევარქვი.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

## ერევა თუ არა მაკა ჩიჩუა საქართველოს პრეზიდენტის გარდერობში და როდის იღებს ის გიორგი მარგველაშვილისგან კომპლიმენტებს

(74-ე გვერდიდან)

ტანსაცმელი, რომელიც ჩემი მეგობარია და მისი შექმნილი კოსტიუმები ძალიან მომწონს. აკეთებს ძალიან ლამაზ ჟაკეტებს, რაც ძალიან მაწყობს, რადგან, ჩრდილოეთში ვცხოვრობ და ჩემთვის მათი ტარება ყველაზე აქტუალურია.

**– არაჩვეულებრივად გამოიყურები. როგორ ახერხებ, იყო კარგი მეუღლე, სამი შვილის დედა და, თან, ასეთ არაჩვეულებრივ ფორმაში?**

– აქტიურად ვვარჯიშობ – სპორტი, კრივი... პირადი მწვრთნელი მყავს. თბილისშიც განვაგრძე ვარჯიში, არ ვჩერდები. რადგან, ერთხელ რომ დაიწყებ ვარჯიშს, მერე ველარ გაჩერდები. ვცდილობ, ყველაფერი მოვასწრო, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ვარ დედა და მეუღლე, შემდეგ კი – სხვა დანარჩენი.

**ლელა მეზურიშვილი**: ვფიქრობ, ის ფაქტი, რომ ტარდება „თბილისი ფეშენ-ვიქი“ ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებლად უნდა იმართებოდეს ხოლმე. რაც უფრო ხშირად მოეწყობა ასეთი ღონისძიება, მით უფრო კარგი და სასიამოვნო იქნება ყველასთვის. მეც სულ ვცდილობ, დავესწრო ხოლმე „ფეშენ-ვიქს“, თან, მაინტერესებს, რადგან, ბევრი ჩემი მეგობარი დიზაინერი იღებს მონაწილეობას. მე ხშირად ვიცვამ ქართველი დიზაინერების სამოსს, რადგან მომწონს. წელსაც არ დავუშვი გამონაკლისი და მოვედი მათი ჩვენებების სანახავად.

**– ორსულობამ შენი გარდერობი შეცვალა.**

– კი, ნელ-ნელა დამჭირდა ცვილებების შეტანა.

**– ალბათ, ერიდები ხმაურიან ადგილებში სიარულს.**

– მთავარია, სიგარეტის ბული არ იყოს. 15 წუთი ხმაური არაფერია, უსიამოვნო შეგრძნება ნამდვილად არ მაქვს.

**– რაც ორსულად ხარ, ხასიათი ხომ არ შეგეცვალა, მეუღლეს უჩვეულო მოთხოვნებით ხომ არ აწუხებ?**

– არა, სიგარეტის სუნი ისედაც არ მსიამოვნებდა და ახლაც არ მსიამოვნებს. პრეტენზიული არ გავმხდარვარ, ჯერჯერობით არაფერი მინდება და არავის ვაწუხებ, მათ შორის, არც ჩემს ქმარს. ყველაფერი კარგად მიდის. ბავშვს ივლისში ველოდებით.

**ნათია უტიაშვილი**
















# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი) 28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მე ურნეობის სა მინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11



გვ. 73

რატომ შენატროდა ვლადიმირ პუტინი ქართველ ძიუდოისტებს და რა თქვა მან ვარლამ ლიპარტელიანზე



გვ. 23

რას ეუბნებიან კოტიკოზე გაბრაზებულები გიორგი აფხაზავას და როგორია ის რეალურ ცხოვრებაში



ვის ნერვებზე უკრავს ნინო ლეჟავა და რა სირთულეების გადალახვა მოუწია მას პროფესიის გამო

გვ. 69

ISSN 1987-569X

9 771987 569002

თბილ ®

საქართველო ბეჭედია

ყოველკვირეული ჟურნალი • 12–18 მაისი • №19(698)

ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge